იოანე ოქროპირი

ღვთივ-შვენიერი სწავლანი, რომელსა ეწოდება

ოქროს წყარო

თქმული წმიდათა შორის მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირის მიერ

ელწიგნი შეადგინა და გამოსცა კონსტანტინე ალიბეგაშვილმა

თბილისი

„წიგნის სავანე“

2019

წინასიტყვაობა

მდიდარი სასულიერო მწერლობა ქართველთა ეკლესიისა ჯერ კიდევ გამოუკვლეველია და შეუსწავლელი, რაიცა მრავალთაგან ითხოვს გულდადებით შრომასა შესასწავლად და გამოსაქვეყნებლად. არა მარტო ლიტონი სიტყვა, არამედ ცხოვრება და მწერლობა ხელი ხელ ჩართულნი, ჰქმნიდენ ათსა და ორმოც წელიწადში იმას, რასაც ახლანდელი ასი და ორასი წელიწადი ვერ დაანგრევს და ვერც ააშენებს. ეს იყო დაუღალავი შრომა წინანდელ მწყემსთმთავართა, მწყემსთა და ცხოვართა, და არა ორთა უფალთა მონება - მამონასი და ღვთისა, როგორც ახლა გარდაუქცევიათ წყაროდ ბედნიერებისა სააქაოსიც და საიქიოსიც. ეს შრომაც ეკუთვნის იმ მწერლობასა და არის ნათარგმნი დაახლოვებით 1052 წელში გიორგი ოლთისელისაგან, რომელიც გარდაიცვალა 1072 წელს. სრული სათაური ამ წიგნისა უნდა იყოს: „იოანე ოქროპირის წყარო-სწავლა.“ სწავლანი და მოძღვრებანი და პასუხიც იოანე ოქროპირისა მოწმობენ ჯეროვანს მის ოქროს წყაროვნებაზე. თუნდ ეს განმარტება ქრისტეს სიყვარულისა: „მე ქრისტე მიყვარს, ხოლო მე მეშინის - რამეთუ, სიყვარული მისი ჩემდამო, არა განვარისხო,“ ჭეშმარიტად რომ ამას ვერც ბასილ და ვერც გრიგორი ღვთისმეტყველი ვერ იტყოდნენ ესე მოხდენით და სავსებით.

აი კიდევ ერთი საბუთი ქართულის საღვთისმეტყველო მწერლობისა და საეკლესიო ქადაგების სიმდიდრისა. როგორც წინედ იყო აღყვავებული ქართველთა ღვთისმეტყველება და ქადაგება, დაწყობილი მეოთხე საუკუნიდგან ვიდრე მეთორმეტემდე, მას შემდეგ ვეღარ ვხედავთ მასში იმ სიმდიდრეს, იმ დაუშრეტელს წყაროს, რასაც თვალსაჩინოდ ვამჩნევთ ამ სასულიერო მწერლობაში ზემოდასახელებულ ხანებში, ბოლომდისინ. რუსუდანის დროიდან იწყება სხვა ხანა: ხანა ძველის მწერლების შესწავლისა და განმტკიცებისა, ვინაიდგან სელჟუკთა ძალმომრეობამ შემოიტანა საშინელი სენი ზნე-ჩვეულების დაქვეითებისა, ურთიერთ ღალატისა, ქრისტეს სწავლის შერყევისა, დაწყებული მეთოთხმეტე საუკუნით ვიდრემე მეჩვიდმეტემდის, რომ განუწყვეტელი ბრძოლა ჰქონდათ ქართველობასა, ერთი მეორეზე უმძვინვარეს მტერთან, ჩინგის ხან ტამერლანთან, მერმე შახებთან, რომლებთან ბრძოლაში საქართველო აოხრდა და მთლად. გადაასახლა შახაბაზმან შინაგან ნაწილებში თვისის სამეფოსას მთელი კახეთი, სადაც დღესაც ელიან თავისს ტურფა სამშობლოში დაბრუნებასა, გარნა ქართველთა საღათას ძილი გამხდარა მიზეზად მათის დავიწყებისა, ურთიერთა შეუთანხმობისა, ესე ვითართა მოვლენათა, რომელნიც გულს უკლავენ კაცსა, რომელიც კი გაითვალისწინებს მომავალსა.

ქართველი ერი წამებული სარწმუნოებისათვის გაურბის დღეს საყდარსა და მოძღვარსა, ვინაიდგან აღარ ესმის მას მაღალის ზნეობით განმსჭვალული

მქადაგებელთა მოძღვრებანი, რომელთაც, აქ ამ წიგნში შეხვდები. ის სწავლა-მოძღვრება, რომლის დამყარებას ქადაგებით ლამობენ ცხოვრებაში, იყო დანერგილი და ქართველთა ერი დაწყებული მეფით ვიდრე მოსამსახურემდის - ცხოვრებით სცხოვრებდა და იმათგან უნდა ესწავლათ ახლანდელს მოძღვართა სჯულისას, თუმცა არა ყველას. არ შემიძლიან ერთი წარწერა არ მოვიყვანო აქ. „დიდი მქადაგებელი ფილარეტი, მოსკოვის მიტროპოლიტი, ქადაგებდა თავის სობოროში წირვის დროს, სადაც იყო ბატონიშვილი მიხეილ, კაცი ფილოსოფოსი, ფრიად ნასწავლი და სალოსი. ჟამის წირვის შემდეგ ბატონიშვილი მიხეილ შევიდა მიტროპოლიტ ფილარეტთან, რომელთანაც ძალიან იყო დაახლოვებული, საჩაიოდ. ჩაის სმის დროს ჰკითხა მიტროპოლიტმა ფილარეტმა - თქვენო უკეთილმსახურესობავ, ბატონისშვილო მიხეილ! მოგეწონათ ჩემი ქადაგება? კი ძალიან მშვენივრება იყო. „თქვენი ქათალიკოსებიც ეგრე ქადაგებდნენ ხოლმე? მიხეილ ბატონისშვილი გაოცდა ამ კითხვაზე. შეჩერდა და მცირე დუმილის შემდეგ მიუგო: - რასაც თქვენ უქადაგებთ მსმენელთ, ეგ ყოველივე წმინდად სრულდება ჩვენში, დაწყებული უბრალო ხალხიდგან, ვიდრემე მეფემდისინ; აი ესე იყო დამწყსილი ჩვენი ეკლესია (ერი)!

მაშინ მიტროპოლიტმა ფილარეტმა შუბლზე ხელი შემოიკრა და სთქვა: „ფას ფილარეტ! ბრძნული კითხვა მიეცი, გარნა უუბრძნესი პასუხი მიიღე!“ მეტი აღარა მეთქმის-რა და ამ უკუღმართულ დროში. ვისაც ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ. რომელს მოძღვრებას აიღებ, რომ ეკლად არ ედგეს იმ შინაგნურს მიდრეკილებას, რომელსაც კი ადგია ვნებით მოცული ახლანდელი ქრისტეს მოსავი? ის ღვთაებრიული ძალა აღფრთოვანებული თვითეულში, ის სინდისი იყო მაჩვენებელი ძალა მისაღწევად საერთო მიზანისა ბედობაში და უბედობაში, და არა განხეთქილებისა და ურთიერთა განმცემლობისა და იუდაობისა, ის მაღალი მცნება ქრისტესი „სიყვარული მოყვასისათვის“ იყო მიზნად - გეგმად ცხოვრებისა და არა პირადის ბედნიერებისა. უნდა ქვის გული ჰქონდეს კაცსა, რომ წაიკითხოს ეს წიგნი და არ იგრძნოს ჰო, მართალსა სწერსო და კარგი მოძღვრებაც არისო. რაღა სახსენებელნი არიან აქ სხვა უცხო და წარჩინებულნი მწერლები? მაგრამ ჩვენ ჩვენი არ გვწამს, არ ვაფასებთ და არად მიგვაჩნია. არა გვაქვს სურვილი ქართულის შესწავლისა, რომ მომავალი მასზედ აღვაშენოთ და რაღაცას ვებღაუჭებით. სიმდიდრე ქართულის სიტყვიერებისა ჩვენგანვე არის დაწიხლული და დაფლული. სიტყვებს ვეძებთ, ვთხზავთ, რაღაცას, ვფათურობთ, მაგრამ არა! ის არ არის რაც უნდა იყოს. სულ ერთია, რაც უნდა ეცადნენ, ქართულს ენას ვერავინ ვერ აღმოფხვრის. იგი დარჩება ბოლომდის, ვიდრე ქვეყნიერება არსებობს. არ შემიძლიან აქაც არ მოვიხსენიო ერთი წარწერა: „ტიმოთეს მოგზაურობაში იმ ალაგას, სადაც სწერია, რომ ამა და ამ სენაკში იწვაო ევთიმე, სალმობიერი სასიკვდინედ. გამოეცხადა ღვთისმშობელიო და უთხრა: „აღზდეგ მამაო ევთიმე!“ „არა ძალმიძს ყოვლად წმიდაო ღვთისმშობელო! ვწევარ სალმობიერი სასიკვდინედ.“ „ნუ გეშინის! აღზდეგ და წარსთქვი ესა და ეს ლოცვა.“ ევთიმე აღსდგა

და იწყო დასახელებული ლოცვა ბერძნულად. „არა, ქართულად წარსთქვი ეგევე ლოცვა!“ ღვთის მადლმა შთააგონა ანაზდად, წარმოსთქვა იგი ლოცვა და მეორე დღესვე შეუდგა თარგმანსა საღმრთო წერილისას და დაგვიტოვა ესე ვითარი სიმდიდრე. ამ ადგილს მიუწერია ვიღაცას: „ჰოი მკითხველო! უნდა ვიგულისხმოთ, რომ ენა ქართველთა არასოდეს არ წარწყმდების, ვინაიდგან ღვთისმშობელმან, რომლის წილხდომილ არს ივერია, უბრძანა ლოცვის თქმა არა ბერძნულად, არამედ ქართულად! ჭეშმარიტად საგულისხმო და შესანიშნავი წარწერა არის ესე.

მღვდელი ვასილ კარბელაშვილი.

სარჩევი

წმიდათა წერილთა ხელად მიღებისათვის

ეკლესიასა შინა კრძალულებისათვის

ეკლესიასა შინა დუმილისათვის

ეკლესიასა შინა ლოცვისათვის

ლოცვისათვისვე

ლოცვისათვის ყოველსა ადგილსა

ლოცვად აღდგომისათვის

ეპისკოპოსთა პატივისათვის

მღვდელთა პატივისათვის

მღვდელთა მიმართ

აღსარებისათვის ცოდვათასა

აღსარებისათვის

წმიდისა ზიარებისათვის

ღვთისა სიყვარულისათვის

ქრისტეს სიყვარულისათვის

სიყვარულისათვის მოყვასისა

სიყვარულისათვის ძმათასა

მოწყალებისათვის

რათა არა ნატაცებისაგან ვიქმოდეთ მოწყალებასა

რათა არა ანგარებისაგან ვიქმოდეთ მოწყალებასა

რათა არა მონახვეჭთაგან ვიქმოდეთ მოწყალებასა

სათნოებისათვის

წმიდათა წერილთა კითხვისათვის

ქრისტეს მცნებათა დამარხვისათვის

მოთმინებისათვის

მოთმინებისათვის და მოწყალებისა

არა ბოროტის ყოფისათვის მტერთასა

სიმდაბლისათვის და სიმშვიდისა

ამპარტავნებისათვის

ცუდად მზვაობრობისათვის

ვერცხლის მოყვარეებისათვის

მრისხანებისათვის

შურისათვის

ნაყროვანებისათვის

მთვრალობისათვის

მარხვისათვის

სინანულისათვის

საქმეთათვის კეთილთა

გლახაკთ-მოყვარეებისათვის

ღვთისა სათნო ყოფისათვის

სიმართლისათვის

კეთილად ხმარებისათვის სიმდიდრისა

სასუფევლის დიდებისათვის

ქრისტეანეთათვის ჭეშმარიტისა

ქრისტიანთა ქცევისათვის

კვალად ქრისტიანეთათვის

ქრისტიანეთა მიცვალებისათვის

მიცვალებულთა პატივისათვის

რათა არა უზომოდ ვიგლოვდეთ მიცვალებულთათვის

შემდგომად სიკვდილისა მოწყალებისათვის

მეორედ მოსვლისათვის და სასჯელისა

საშინელისა მისთვის სასჯელისა

შესხმა და ვედრება წმიდისა მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირისა

წმიდათა შორის მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირის,

კონსტანტინეპოლელ პატრიარქის მიერ თქმული

ღვთივ-შვენიერი სწავლანი, რომელსა ეწოდების

ოქროს წყარო

სწავლა ა. წმიდათა წერილთა ხელად (სამოძღვრებელად) მიღებისათვის

საყვარელო, იკითხვიდე რა საღმრთოთა სიტყვათა, პირველად ევედრე ღმერთსა, რათა განგიხვნეს შენ თვალნი გულისანი არა მხოლოდ კითხვად წერილისა, არამედ ყოფადცა, რათა არა ცუდად წმიდათა ცხოვრებასა და სიტყვათა აღმოიკითხვიდე. ხოლო ოდეს იკითხვიდე, წადიერად ყოვლითა გულითა და მრავლითა გულს-მოდგინებითა აღმოიკითხენ საღმრთონი სიტყვანი და ნუ ისწრაფი ფურცელთა გარდმოქცევად, არამედ ორ გზის და სამ გზის აღმოიკითხე და უმრავლესცა, რათა გულის-ხმა-ჰყო ძალი მისი. ოდეს გენებოს კითხვა ანუ სმენა, ევედრე ღმერთსა ესრეთ მეტყველმან:

„უფალო იესო ქრისტე, განმიხვენ მე თვალნი გულისა ჩემისანი, სმენად სიტყვათა შენთა და გულის-ხმის-ყოფად მისა და ყოფად ნებისა შენისა, რამეთუ მწირ ვარ მე ქვეყანასა ზედა. ნუ დაჰფარავ ჩემგან მცნებათა შენთა, არამედ განახვენ თვალნი ჩემნი, რათა ვხედვიდე საკვირველებასა სულისა შენისასა. მაუწყენ მე, უფალო, დაფარულნი საიდუმლოსა სიბრძნისა შენისანი, რამეთუ შენდა მომართ არს სასოება ჩემი, ღმერთო ჩემო, რათა განმინათლო გონება ჩემი და საცნობელნი წმიდისა მეცნიერებისა შენისანი, არა ოდენ აღმოკითხვად წერილისა, არამედ ყოფადცა მისა, რათა არა დასასჯელად თავისა თვისისა წმიდათა ცხოვრებასა და სიტყვათა აღმოვიკითხვიდე, არამედ განახლებად და განსანათლებელად სიწმიდით და საცხოვრებელად სულისა და სამკვიდრებელად საუკუნოსა სუფევისა. რამეთუ შენ ხარ განმანათლებელი მდებარეთა ბნელსა შინა და შენ მიერ არს ყოველივე მოცემა კეთილი და ყოველი ნიჭი სრული, და შენდა შვენის დიდება თანა მამით, და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ბ. თავი ა, ეკლესიასა შინა კრძალულებისათვის

აქა ეკლესიად რა შემოვალთ, ცად შევალთ, საყვარელნო, - არა ადგილითა ვიტყვი, არამედ ძალითა და გონებითა, რამეთუ შესაძლებელ არს ქვეყანასა ზედა ყოფნითა ცათა შინა ყოფა და მათთა სიკეთეთა განცდა. აწ უკვე ქვეყანისასა ცათა შინა ნუ ვინ შემოიღებს. ნუცა ვინ აქა ეკლესიად მდგომარენი, სოფლისასა ზრუნავს და სახლისა თვისისასა. რამეთუ მუნ რაჟამს მიხვიდეთ თანა გაძსთ, რათა აქაით მიღებულსა სარგებელსა იტყოდეთ და არა მუნ ქმნილთა საქმეთა. აქა ეკლესიასა შინა ახსენებდეთ, რამეთუ ამისთვის შემოვალთ წმიდასა ამას ადგილსა, რათა განვიბანნეთ ბიწნი ცოდვათანი. უკეთუ კვლავ აქა მასვე ბილწებასა შინა ვართ, უმჯობეს არს ყოვლადვე არა შემოსვლა აქა. ნუმცა ვინ უკვე ეკლესიასა შინა სოფლისასა ზრუნავს, არამედ უფროსად სოფელსა შინა ეკლესიისასა იხსენებდეთ. უფროს ყოვლისა ესე იყავნ პატიოსან, რამეთუ ესე სულისა არს, - ხოლო იგი ხორცთა. და უფროსად აქა თქმულნი სიტყვანი საღმრთონი სულთაცა და ხორცთაცა სარგებელ არიან. ამისთვის ჯერ არს, რათა ესე იყოს საქებელ ჩვენდა შინაგანად, ხოლო სხვა იგი ყოველი გარეწარად. რამეთუ ესე ამასცა ცხოვრებასა სარგებელ არს და მერმესაცა, ხოლო ვნებანი აქაცა მავნებელ არიან და მუნცა. რამეთუ სახლი ესე ეკლესია სამკვიდრებელ უფლისა არს, რომელი არა თუ საუკუნესა ოდენ გვასწავებს, არამედ საწუთოსაცა, თუ ვითარ ვიყოფოდეთ და რაიცა გარე წყლულება მოგვეახლოს, აქა ეკლესიისაგან განვიკურნებოდეთ.

უკეთუ კულა სულისა წმიდისა სიტყვათა არა ვისმენდეთ, არა თუ ოდენ ვერ განვიკურნნეთ წყლულებათა ჩვენთაგან, არამედ, სხვაცა მოვიღოთ. ამისთვის, გევედრები, ძმანო, ვისმენდეთ სიტყვათა წიგნთასა მოსწრაფებით, რომელი მადლითა ღვთისათა ყოველსავე გამოგვიცხადებს, და ძალ-გვიძს, უკეთუ გვენებოს, მცირედითა შრომითა ცნობად ძალსა მათსა და პოვნად საღმრთოსა გულის-ხმის-ყოფასა, რამეთუ ამისთვის მცირე მცირედ გითხრობ თქვენ, რათა შეუძლოთ ადვილად სწავლად ყოველსავე და არა დაგავიწყდებოდეს. გვეშინოდენ უკვე, ნუმცა ვიქმნებით თანამდებ ხმისა მის, რომელი იტყვის: „უკეთუმცა არა მოვედ და ვეტყოდი მათ, ცოდვამცა არა აქვნდა.“ რა არს სარგებელი სმენისა, უკეთუ წარხვიდეთ და, ვითარმცა არა გასმიოდა, ესრედ არა რა იცოდეთ? მოგვეცით უკვე ქვეყანა კეთილი, გულნი თქვენნი, სათესველად, რათა ჩვენ გულს-მოდგინე ვიქმნნეთ თესვად. და რომელსა ეკალნი ჰქონან, აღეტყინენ მათ შორის ცეცხლი იგი სულისა. რომელი გულ-ფიცხელ და წინააღმდგომ იყოს, განასუქენ იგი და ლბილ ჰყავნ მითვე ცეცხლითა. რომელი გზასა ზედა არს და ყოველთა მიერ ვნებათა დაითრგუნვის, უშინაგანესსა ადგილსა შევედინ და ნუ არს ყოველთა მიერ წარტაცებულ, რათა ყანანი თქვენნი შვებულ იყვნენ; და

უკეთუ ესრეთ ვისწრაფდეთ, დაღათუ მეყსა შინა არა, პირველად მცირედ მცირედ ყოველთა ვნებათაგან განვთავისუფლდეთ.

ვეკრძალენით უკვე, რათა არა ჩვენთვისცა ითქვას, ვითარმედ „ასპიტისა ყრუსანი არიან ყურნი მათნი.“ და ვითარ არა უარეს არს მხეცთა და პირუტყვთასა, რომელი სიტყვათა ღვთისათა არა ისმენდეს და უკეთუ კაცი იგი არს, რომელი სათნო ეყოფოდეს ღმერთსა? ხოლო რომელი ყოვლადვე სათნო-ყოფისა მისისა სიტყვათა არა ისმენდეს, რაით განყოფილ არს მხეცთაგან? იხილე უკვე, ვითარ ბოროტ არს, რომელ ქრისტეს ჰნებავს, რათამცა კაცთაგან ანგელოსად შეგვცვალნეს! და ჩვენ კაცთაგან მხეცად შევიცვალებით, რამეთუ მუცლისა მონობისა და ვერცხლისა მოყვარებისა მიერ დაგვეუფლება მრისხანება და სიძულვილი, ესე ყოველი არა კაცისა არს, არამედ მხეცისა და უარესიცა არს მხეცთასა, რამეთუ მათ აქვს თვითოეულსა სხვადასხვა ვნება, და იგიცა ბუნებით. ხოლო რაჟამს კაცმან გონება თვისი წარიწყმიდოს და მოქალაქობისაგან საღმრთოსა განვარდეს, არღარა ერთსა, არამედ ყოველთა ვნებათა შეერთვის და არა ერთსა მხეცსა მიემსგვასების, არამედ ყოველთა უბოროტეს იქმნების და არღარა აქვს წყალობა, რამეთუ ნებსით შევიდა ბოროტსა. გარნა ამასცა ერსა ზედა ნურა რაი სმენილ არს ესე ვითარი, რამეთუ გვწადს თქვენთვის უმჯობესი და ამისთვის უმჯობესად განგაკრძალებთ, რათა ყოველნი მივიწივნეთ თავსა სათნოებათასა, და მივემთხვივნეთ კეთილთა მათ საუკუნეთა მადლითა და კაცთ-მოყვარებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა მიერ და რომლისა თანა მამასა ჰშვენის დიდება, სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა გ. ეკლესიასა შინა დუმილისათვის

ეკლესია უკვე, საყვარელნო, საყოფელი ზეცისა ადგილისა არს ქადაგებითა და ლოცვითა. ხოლო აწ ეკლესია არა რაისა უმჯობეს უბანსა და სახლსა სავაჭროსა არს, რამეთუ შეკრბებიან დედანი ეკლესიად, შემკობილნი, რათა შეაცთუნონ უგუნურნი. უკეთუ ვინ ინებოს მითხრობად სიტყვისა, ვჰგონებცა თუ არა აქვს სხვა ადგილი მოპოვნებად თვინიერ ეკლესიისა. ხოლო უკეთუ ვინ ინებოს ვაჭრობისა ყოფად, ჰყოფენ ეკლესიასა შინა. დაღათუ ვის უნდეს ლალვად ანუ განგებად სახლთა მეტყველებისა, ანუ სამხედროსა წესისა მეტყველებად, ანუ სასჯელი, ანუ ვითარნი რა სამკურნალო, ამას ყოველსავე ეკლესიასა შინა ჰყოფენ. ვინაცა მარადდღე ვიურვი ამის ყოვლისათვის და მწუხარე ვიქმნები, რათამცა ვიქმენ მომპოვნებელ კეთილისა ეკლესიასა შინა. არამედ ესრეთ გპოვნენ თქვენ. - საქენჯნელად და საცოდველად მოხვალთ მეტყველებად ეკლესიასა შინა და არა ცოდვათა სინანულად, - და ამას იტყვი, ვერ გულის-ხმა-ვჰყოფ? იხილე, ვითარ საჭურისი იგი გზასა ზედა მყოფი იკითხვიდა წიგნსა? და შენ, შორის მოძღვართა მდგომარე, მიზეზ ჰყოფ მეტყველი უმეცრებასა და გულის-ხმოებასა? ამისთვის ევედრე უფალსა, რათა გულის-ხმა-ჰყო მცნებანი მისნი.

და შენ გიხმს დუმილი ეკლესიასა შინა, რათა მიითვალოს ღმერთმან დუმილი შენი და მყუდროება. უკეთუ არა ძალ-გიძს დუმილად, განვედ ეკლესიით, რათა არა ექმნე სხვათა საწერტელ, (ნესტარი, მიზეზი). რამეთუ ერთი ოდენ ჯერ არს ეკლესიასა შინა გალობა და ლოცვა ჟამსა ეკლესიად შეკრებისასა და არა ხმიანობად და ურთიერთარს ზრახვად. არამედ დუმილით სმენად საკითხავისა, რამეთუ თვით ეპისკოპოსიცა ჰსდუმს და მხოლოდ მგალობელნი ჰგალობენ. რად უკვე ჭეშმარიტებასა უტევებთ და აჩრდილსა და სიზმარსა სდევთ? ვინაცა, გლოცავ და გევერდები, საყვარელნო, მტერისა საქმეთაგან განთავისუფლდით და იხსენით საბრთხეთაგან მისთა და ანგარებისა წილ შეიყვარეთ მოწყალება, ხოლო სიძულვილისა წილ ძმათ-მოყვარება, რათა ესრეთ მყოფთა აწინდელიცა კეთილი და ყოფადიცა დაიმკვიდრნეთ ქრისტეს იესოს მიერ უფლისა ჩვენისა, რომლისა არს დიდება, და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა დ. ეკლესიასა შინა ლოცვისათვის

საყვარელნო, მე გეტყვი თქვენ ამისთვის დღითი დღედ, რათა შეკრბებოდეთ წმიდასა ეკლესიასა შინა ლოცვად და სმენად საღმრთოთა სიტყვათა და მე გაუწყებ თქვენ ნებასა ღვთისასა, რომლისა მყოფელნი სცხონდეთ, ხოლო უკეთუ ვინ წიგნსა სამეფოსა ანუ სამთავროსა მოიღებდეს ხელ ქვეშეთა მისთა მოქალაქეთა და იგინი არა გამოეძიებენ ცხოვრებასა მომღებელისასა, თუ მდიდარი არს ანუ გლახაკი, მართალი ანუ ცოდვილი, არამედ აღმოიკითხვის რა იგი, ყოველნი ისმენენ კეთილად; უკეთუმცა ვერა ისმინოს რაიმე ვინმე, მსმენელსა ჰკითხავნ. ხოლო უკეთუ ქვეყანისა მთავრისა ესე ვითარი შიში არს თქვენ-ზედა, რაოდენ უფროს აქა ეკლესიასა შინა? თვინიერ ცილობისა ჯერ არს სმენად თქვენდა, სადა შემოქმედისა ცათასა ძალსა გაზრახებთ (გაუწყებთ) ჩვენ ცოდვილნი. ვინაცა გლოცავ თქვენ, მოსრულთა აქა! ასწავებდით მცონართაცა მოსვლად ეკლესიასა, რამეთუ თქვენ გემო იხილეთ მოძღვრებისა სიტკბოებისა და მათ არა სადა. ხოლო, რომელიცა მცონარსა შიშად ღვთისა მოიყვანებდეს, მიიღოს მრავალი სასყიდელი ღვთისაგან. ხოლო ესენი უკვე აღმოვსთქვენ და კვალად ლოცვისათვისცა გასწავლნე, ამის მიერ (ამ გვარის ლოცვით) სათნოებანიცა აღსრულდებიან. უკეთუმცა გულისაგან მდაბლისა და უმანკოისა შეიწირვოდეს ლოცვა, ვითარცა საკმეველი ღვთისა მიმართ აღვალს, რომლისათვის სთქვა წინასწარ-მეტყველმანცა: „წარემართენ ლოცვა ჩემი, ვითარცა საკმეველი შენ წინაშე.“ ხოლო, ვითარცა საკმეველი არს სუნნელი, ოდეს დაისხნეს ცეცხლსა ზედა, ეგრეთვე ლოცვა, ოდეს აღტყინებულისაგან გულისა იქმნებოდეს, შეიწირვის ღვთისა მიმართ.

მოვედით უკვე, ძმანო, საყვარელნო! და ისმინეთ სწავლა ესე ჩვენი, რომელი არს ცხოვრებად სულთა თქვენთა. უკეთუ ჰქმნეთ და არა თანამდებ ჰსჯულისა იქმნეთ, ხოლო რომელნი ამათ მოძღვრებათა არა ერჩდეთ (შეისმენთ), ვითარ იქმნეთ თქვენ ეგოდენთა გზათა მსვლელ, რაოდენსაცა მოვიდა დედოფალი სამხრისა სმენად სიბრძნესა სოლომონისასა? ხოლო აქა, ეკლესიასა შინა, უფროს სოლომონისსა არს, და არა გზათა გრძელთა და შრომად; არცა გარემოს ზღვისა მოვლად, არცა მონაგებთა წარგებად, არცა სალმობათა ქვეშე პყრობად, რამეთუ ეკლესია არს ყოველთა სადგურ და ყოველნი ისწრაფდით მისა.

ხოლო უკეთუ ხარ მართალ, შევედ ეკლესიად, რათა არა წარსწყმიდნე სიმართლე. უკეთუ ხარ ცოდვილ, მივედ ეკლესიადვე, რათა სცხონდე. ხოლო მე, არა თავით თვისით გაიძულებ თქვენ საქმედ და მოსვლად ეკლესიად, რამეთუ ვარ ყოველთა უცოდვილეს, არამედ რათა სწავლისა მსმენელთა იცხოვნნეთ სულნი თქვენნი. ხოლო არა მსმენელმან წმიდისა მოძღვრებისამან, ვითარ ვინ შეუძლოს წარმართებად სულისა თვისისა, რამეთუ ნათელ ეწოდების სიტყვასა ღმრთისასა, და უფროს ხილულისა ნათლისა არს და ფრიად განანათლებს სულსა, რომლისათვის სთქვა წინასწარმეტყველმან ისაია, ვითარმედ „ერმან მსხდომარემან ბნელსა შინა იხილა ნათელი დიდი,“ ესე იგი არს მოძღვრება ჭეშმარიტი. რაოდენნი უკვე მოხვიდოდეთ აქა ეკლესიად, აიძულებდით სხვათაცა - არა მომსვლელთა, და ნუ ვინ იტყვით, ვითარმედ უცოდველ ვართო. მოიგონე, ძმაო, წოდებულთათვის სამეუფოსა ზედა სერსა, რომელნი არა მივიდეს: რომელმანმე სთქვა, „უღლეული ხართა ვიყიდე, სხვამან აგარაკი და სხვამან ცოლი მოვიყვანე.“ და განრისხნაცა მხოლოდ მათ ზედა მეუფე, და თქვენ არა ძალ-გიძსთ ერთსა ჟამსა მიახლებად ღვთისა, რამეთუ რაიმე სიმძიმე არს ეკლესიასა შინა სმენისაგან გალობისა? და მაშინ წარხვალთ საქმედ. უკეთუმცა (თუ კი) იქმნეთ მოსარგებლე, ანუ მარად-დღე განმყოფელ ვერცხლისა, გინა რვალისა, ანუ ღვინისა, ესრეთ არა თვით მიხვალთა, არა მიწოდებულნი?! ხოლო აქა ეკლესიასა შინა ჟამ ყოველ სიტყვანი ღვთისანი განიცემიან, უმჯობეს ოქროსა და უძვირფასეს ქვისა მრავალ სასყიდლისა და უტკბილეს თაფლისა. ხოლო თქვენ ამათ მოაკლდებით, ვინადგან არა მოხვალთ მარადის ეკლესიად მცონარებისა თქვენისათვის. გიზრახავ ამას ძვირსა და გაბრალებ, და რაჟამს მოხვალთ ეკლესიად უკრძალველად მოხვალთ და თვით ნებსით დააკლდებით სულიერსა ამას სწავლასა, რომლისა მიერ იქმნების კეთილი ცხოვრება, სიხარული საუკუნო და დიდება გამოუთქმელი და ცხოვრება სულისა, რომელსა ღირსმცა ვართ ყოველნი მადლითა და კაცთ-მოყვარეებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა ჰშვენის დიდება, სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ე. თავი ბ. ლოცვისათვის

ყოველთა უკვე უწყოდეთ, საყვარელნო, რამეთუ დასაბამი ყოვლისა კეთილისა - ლოცვა არს. ცხოვრება და ცხოვრებისა შუა მდგომელი სახმარ არს ჩვენდა. რაოდენ შეუძლო, ვიტყოდე ლოცვისათვის, რათა გასწავო ლოცვათა შინა ცხოვრებულთა. და რომელნი ჰგიეთ საქმეთა შინა ღვთისათა მარადის, უმოსწრაფეს გყოფსთ თქვენ სიტყვა ესე. ხოლო რომელნი მყოფ არიან დახსნილობათა შინა. დაუტეობენ სულსა უნაყოფოსა, და ჰსცნან გარდასრულთა ჟამთა ამაოება, და არა დააკლონ თავნი თვისნი ცხოვრებასა შემდგომთა ჟამთა. ხოლო აწ მნებავს თქმად დიდი ესე სარგებელი ლოცვისათვის, რამეთუ ყოველი, რომელი ილოცვიდეს, ღვთისა თანა მზრახველობს. ხოლო თუ ვითარ არს კაცად მყოფისა ღვთისათანა ზრახვა, ყოველთა უწყით და არა ძალ-მიძს პატივისა მის გამოთქმად. რამეთუ ესე პატივი ლოცვისა და დიდად შვენიერება ანგელოსთაცა აღემატების, რომელი უფროს მათ უწყიან. რამეთუ ერთი დიდებული წინასწარმეტყველი მოგვითხრობს მათთვის, რომელნი შიშით ლოცვასა შესწირვენ ღმერთსა, დამფარველნი პირთა და ფერხთა თვისთა მრავლითა კრძალულებითა, რომელთა არა ძალ-უძსთ დადუმებად მრავლისათვის შიშისა. ხოლო შემდგომი ყოველი ბუნება, ცხოვრება, სიბრძნე, მეცნიერება და სხვა ყოველივე, რომელი უკეთუ ვინმე სთქვას. ხოლო ლოცვა საზოგადო საქმე არს ანგელოსთა და კაცთა. არა რა არს განყოფილ შორის ორთა ბუნებისა ლოცვათა შინა, რამეთუ საიდუმლოდ შეირაცხების მათდა მიმართ და მსწრაფლ ცხოვრებასა მათსა მიეახლების მლოცველი პატივითა და აზნაურებითა და მეცნიერებისა ცხოვრებითა თვისითა. ამისთვის გევედრები, ძმანო, ყოველსა შინა ადგილთა და ჟამთა ვისწრაფოთ ღვთისა მიმართ ლოცვა, რამეთუ რამე იყოს უბრწყინვალეს მზრახველთა ღვთისათა და მვედრებელთა? რაიმე უმართლეს, რაიმე უბრძნეს და რაიმე ჯერ-არს თქმად თანა მზრახველთა ღვთისათა, რომელნი მარადის მისთანა არიან ლოცვისა მიერ და მისთანავე იდიდებიან საუკუნოდ, რომელსა ღირსმცა ვართ ყოველნი, მადლითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა. ვ. ლოცვისათვის ყოველსა ადგილსა

საყვარელნო, ლოცვისათვის ნუ ვეძიებთ ადგილსა სავედრებელსა, ნუცა მრავლისა მეტყველებასა ლოცვასა შინა და გრძელთა სიტყვათა, არამედ, ვითარცა ქანანელი იტყოდა, „შემიწყალე მე უფალო, რამეთუ ასული ჩემი ბოროტად ეშმაკეულ არს,“ ეგრეთვე შენცა იტყოდე: „უფალო, შემიწყალე მე, რამეთუ სული ჩემი ბოროტად

იგვემების ეშმაკისაგან.“[1] დაღაცათუ მცირე არიან ესე სიტყვანი, არამედ უფროს კაცთ-მოყვარებანი (წყალობანი) ღვთისანი! სადაცა არს წყალობა ღვთისა, მუნ ყოველი კეთილი, და სადაცა იყო, ესრეთ იტყოდე: „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი.“ უკეთუმცა არა აღძრნე ბაგენი, არამედ გონებითა გულსა შინა ესრეთ ღაღად-ჰყავ, რამეთუ მდუმრიად თქმულიცა ლოცვანი ისმინის ღმერთმან. ხოლო შენ თვით ტაძარი ხარ ღვთისა ცხოველისა! რად ეძიებ ადგილსა ლოცვისასა, რამეთუ ღმერთი ყოველგან არს? იხილე, ვითარ მოსე ივლტოდა ეგვიპტით პირისაგან ფარაოსა? ზღვა იყო პირით კერძო (წინ) და ფარაო ზურგით (უკან) და შორის (მათსა) მოსე, და დიდი იწროება იყო მისა. არა იყო მისაყრდნობელ მისა ვედრებად ღვთისა, (ლოცვის მეტი, სხვა გზა არ იყო). და ჰრქვა მოსეს ღმერთმან, „რასა ღაღადებ ჩემდამო?“ ხოლო ეგრეთვე სამნი ყრმანიცა შეთხეულნი სახმილსა შინა ილოცვიდეს და ლოცვამან მათმან დაშრიტა ალი ცეცხლისა, და საკრველნი მათნი დახსნა, და ცხოველნი გამოიყვანნა იგინი და დიდებულად გამოაჩინნა ძალმან ლოცვისამან. ხოლო ეგრეთვე იობ სკორესა ზედა (სანეხვეზედ) ილოცვიდა და ღმერთი მოწყალე ჰყო. უკეთუ შენზედაცა მოვიდეს, ძმაო, განსაცდელი, მაშინ ღვთისა მიმართ მიივლტოდე ლოცვითა და ევედრებოდე, რათა გიხსნას შენ, რამეთუ ღმერთი ყოველგან არს და მახლობელ შენსა, რამეთუ ვიდრეღა შენ იტყოდე გულითა წმიდითა, გრქვას: „აჰა ესერა მე შენთანა ვარ.“ და არღარა აღგესრულებინოს, ლოცვა, (შენ ლოცვამდის) მან მოგცეს შენ ლხინება და ცხოვრება საუკუნო, რამეთუ მისა ჰშვენის ლოცვა და თაყვანის-ცემა, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ზ. ლოცვად აღდგომისათვის

მიიღე ფარი სიმტკიცისა, ჰოი ძმაო, საყვარელო, ესე იგი არს, წმიდანი ლოცვანი და მით შეზღუდვილ იქმენ! აღსდეგ ძილისაგან და იხადე მახვილი ესე ლოცვისა და დასდეგ მტკიცედ ძალისაებრ შენისა და ევედრე ღმერთსა სურვილით, ყოვლითა სულითა შენითა და შეგეწიოს შენ ღმერთი მოსწრაფედ, და მოგცეს შენ ძალი და ძლიერება ძლევად უხილავისა მტერისა შენ ზედა კადნიერისა! რამეთუ არა მისთვის არს, ძმანო, ღამე ქმნული, რათა მარადის გვეძინოს და უქმად ვიყვნეთ, არამედ ჯერ-არს განყოფად ღამე: რომელნიმე უკვე საქმედ, ხოლო რომელნიმე განსვენებად. იხილეთ უკვე, ვითარ აღსდგებიან ხელთ-მოქმედნი შუა ღამესა, მხვნელნი და ვაჭარნი. ამისთვის, გევედრები, თქვენცა, ყოველნი აღსდგებოდეთ კაცად-კაცადი ღამე და პირველ ყოველთა საქმეთა ჰყოფდეთ ლოცვასა ღვთისა მიმართ, რათა ღმერთმან

[1] მართალია, თუმცა მცირედნი (მოკლენი) არიან ესე სიტყვანი, მაგრამ უფროს ყოვლისა, ყველაზე შესანიშნავია კაცთ-მოყვარეობა ღვთისა.

მოწყალება თვისი მოგანიჭოს თქვენ. და ოდეს დასწვებოდეთ ძილად, ნუ უტევებთ ნუცა ერთსა ღამესა, რომელ არა თაყვანის-ჰსცემდეთ ღმერთსა, არამედ, რაოდენი უკვე ძალ გედვასთ ძალისაებრ თქვენისა, ჰყავთ თაყვანის-ცემა, რამეთუ ლოცვითა და თაყვანის-ცემითა სძლევს კაცი ძალსა ეშმაკისასა, და ლოცვისა მიერ იხსნები ცოდვათაგან, რომელი ჰსცოდე მას დღესა. რამეთუ ღამით გონებაცა შენი უმსუბუქეს არს და მიახლებულ ღვთისა მიმართ და ძალ-უძს შენი სინანულად მოქცევა. ლოცვასა ღამისასა და ღამეულთა ლოცვათა უფროს ისმენს ღმერთი, რამეთუ მაშინ სულიცა შენი უპატიოსნეს არს მყუდროებითა და გონება შენი დაწყნარებულ ვედრებად ღვთისა. ვინაცა (ამისთვის), საყვარელო, აღსდეგ ღამე და მოიდრიკენ მუხლნი და შეუვრდი ღმერთსა მვედრებელი: მოყოს ყური თვისი ღმერთმან და ისმინოს ვედრება შენი. მოიხსენე უკვე დავით მეფისა, ვითარ იტყოდა: „შვიდ გზის დღეთა შინა გაქებდე შენ უფალო,“ და კვალად „შუაღამე აღვსდეგი აღსარებად შენდა განკითხვათათვის სიმართლეთა შენთასა და დავშვერი მე სულთქმითა ჩემითა, ღამე ყოველ ცრემლითა ჩემითა სარეცელი ჩემი დავალტე.“ გულის-ხმა-ვჰყოთ, ძმანო, უკეთუ მეფედ მყოფსა ესოდენი აქვნდა მწუხარება და ესრეთ ჰყოფდა ღამე ყოველ, ხოლო ჩვენ ვითარი პასუხი მივსცეთ ღმერთსა უდებებასა შინა მყოფთა?! გევედრები თქვენ, ძმანო, აღვსდგეთ ვედრებად ღვთისა ცოდვათათვის ჩვენთა და აღსარებად მისა, რამეთუ ღამესა შინა არცა ცუდად მზვაობრობა აღსძრავს გონებასა და არცა ვის ევედრებინ - რამეთუ არავინ გავნებს, არცა გქენჯნის. იყავნ სახელი თქვენი ვითარცა ეკლესია ღამე ყოველ, ქმარნი ცოლთა თანა დადგინებულ ლოცვად, რამეთუ სთქვა უფალმან: „სადაცა არიან ორნი გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათვის, მუნ ვარ მე შორის მათსა.“ კეთილ არს ღვთისა ნებისა ყოფა, უკეთუ თქვენგანთა ვისთანამე შვილნიცა არიან (ვისმეს შვილები ჰყვანან), განაღვიძეთ იგინი ვედრებად ღვთისა და ასწავეთ, რათა ილოცვიდენ ღამე და დღე. რამეთუ არა რა არს ესრეთ კეთილი სახლეულისა, ვითარ ღამე და დღე ლოცვა და ხსენება ღვთისა. ისმინეთ რასა იტყვის წინასწარმეტყველი: „უკეთუმცა მოგიხსენო შენ სარეცელსა ჩემსა ზედა და ცისკარსამცა გევედრებოდე შენ უფალო.“ ვისწრაფოთ უკვე, ძმანო, ღამე ყოველ, რათა განვხსნნეთ საკრველნი ცოდვათა ჩვენთანი ლოცვითა. გეტყვი თქვენ - აღსდეგით ღამე; უკეთუ არა შუა ღამე, მაშა განთიად ევედრებოდეთ ღმერთსა. რამეთუ ღამე ორად განყოფილ არს - ხორცთა განსვენებად და სულისა ცხოვნებად ლოცვისა მიერ. აღსდეგ უკვე ღამე და ევედრე ღმერთსა, შეუვრდი სულთქმით დამბადებელსა შენსა ცოდვათა მოტევებისათვის და საუკუნოსა დიდებისა პოვნისათვის, რომელსა მიმთხვევად ღირსმცა ვართ ყოველნი მადლითა და კაცთ-მოყვარებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა ჰშვენის დიდება სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა წ. თავი გ. ეპისკოპოსთა პატივისათვის

„დაემორჩილენით წინა ეპისკოპოსთა და პატივ-ჰსცემდინ მღვდელნი ეკლესიისანი, რათა მათ თანა ზიარ იქმნნეთ მადლსა ღვთისა მიერ. რამეთუ სასმენელსა ჩემსა არს, რომლისათვის უღელი მოვიღე და პირისაგან კაცთასა არა მიცნობიეს, არამედ სული მიქადებს მე“ ესრეთ მეტყველი (ესე ამბობს, რომ), ვითარმედ „თვინიერ ეპისკოპოსისა არა რაისა ყოფად, რამეთუ სადაცა გამოჩნდეს ეპისკოპოსი, მუნ სიმრავლე კეთილთა იყოს, და სადაცა სახელ იდვას ქრისტე, მუნ კრებულნი ეკლესიისანი შევლენ. ვითარცა, სადაცა მწყემსნი ცხოვართანი ვლენ, მუნ იგინი ჰსძოვენ და მწყემსნი ჰსცვენ; ხოლო თვინიერ მწყემსისა ცხოვარნი წარიტაცებიან მხეცთა მიერ და თვინიერ მღვდელთ-მთავრისა არცა ნათლისღება იქმნების, არცა სხვა საიდუმლოთაგანი.

ესე უკვე ღვთისა სათნო არს, რომელ პატივ-ჰსცე მღვდელთ-მთავართა და პატივის-მცემელი მღვდელთ-მთავართა ღვთისაგან პატივ-ცემულ იქმნების, და რომელი თვინიერ მღვდელთ-მთავრისა რასამე ჰყოფდეს, არა შვენიერ არს; ხოლო მღვდელთა უღირს (ჰშვენის) მორჩილება, ვითარცა რა მოციქულთა ქრისტესთა, სასოებისა ჩვენისა, რათა მსგავს მათდა ვიპოვნეთ. ხოლო შვენის დიაკონთაცა მსახურთა საიდუმლოთა ქრისტესთა ყოველსა შინა სათნო ყოფად, ვინათგან არა საჭმელისა და სასმელისა არიან მსახურ, არამედ ღვთისა ეკლესიათა და საიდუმლოთა მისთა. აწ უკვე, საყვარელნო! პატივ-სცემდეთ ეპისკოპოსთა, ვითარცა თვით ქრისტესა, ხოლო მღვდელთა, ვითარცა თანა მოსაყდრეთა და შეუღლებულთა მოციქულთასა, რამეთუ თვინიერ მათსა ეკლესია არა განათლდების. ამისთვის ისმინებიან (გამოითარგმანებიან ძალნი) ჰსჯულისანი, ვითარმედ ყოველი, რაოდენი გრქვას შენ მღვდელმან, ჰყავ და ნუ მიაქცევ მარცხენით, ნუცა მარჯვენით სიტყვათაგან. რომელმან არა უსმინოს მღვდელსა, თანამდებ არს სიკვდილისა. ხოლო სთქვა წინასწარმეტყველმან მალაქია სიტყვანი მღვდელთათვის ღირსნი: „ვითარმედ დაიმარხენ მეცნიერება და სჯული პირისაგან მისისა, რამეთუ ქადაგი არს ღვთისა ყოვლისა მპყრობელისა და სოფლისა წარსამართებელად ვალს.“ და სხვამან სთქვა: „ყოვლითა სულითა შენითა კეთილსა უყოფდი უფალსა და მღვდელთა მიმართ პატივ-ჰსცემდი და მსახურთა მისთა ნუ დაუტეობ, გეშინოდენ ღვთისა, ადიდე მღვდელი.“ ხოლო პავლე ესრეთ მისწერს ტიმოთეს მიმართ: „ვითარმედ შესძინებდი კეთილ ღირს ყოფისათვის მღვდელთა ორ კეცსა პატივსა,“ და სთქვა კანონმან ესრეთ: „მღვდელნი განწმენდილ არიან უფლისა მიმართ ღვთისა, რამეთუ მსხვერპლსა და ძღვენსა ღმერთსა შესწირვენ და წმიდა არიან.“ და კვალად სთქვა უფალმან აარონის მიმართ: „იტყოდი შენ მსახურთა მიმართ ჩემთა ტაძარსა შინა წამებისასა, იგინი მიიღებდენ ცოდვას თვისთა ერთასა და მონაგებთა მათთაგან მისცემდენ ლევიტელთა, ვითარცა

სასყიდელსა თქვენსა მსახურებისათვის.“ ხოლო ისაია სთქვა: „თქვენ მღვდელთა გეწოდოს მსახურნი ღვთისანი,“ და იერემია სთქვა: „განვადიდო და გამოვზარდო სულნი მღვდელთანი,“ ხოლო პავლეცა სთქვა: „რამეთუ ყოველი მღვდელთ-მთავარი შეწირვად სოფლისა მსხვერპლისა და შესაწირავისა დადგინებულ არს, რომელნი იგი სახედ აჩრდილისა მსახურებენ ზეცისასა.“ და ესე ვითარი დავითცა სთქვა: „ვითარმედ მღვდელთა შენთა შეიმოსონ სიმართლე და წმიდანნი შენნი იხარებდენ სიხარულითა.“ ხოლო აწ მე გლოცავ თქვენ, ძმანო, იცით რომელნი შვრებიან თქვენთვის. ჰყავთ სიყვარული მღვდელთა მომართ და პატივის-ცემა, რამეთუ შვენიერ არს. საყვარელნო! ვითარცა რა მეგობართა ღვთისათა პატივის-ცემად მღვდელთა, რამეთუ გამოირჩინა უფალმან და ადიდნა ღმერთმან მღვდელნი და არა ვინ თავით თვისით მიიღებს პატივსა, არამედ ჩინებულნი ღვთისანი. არა არს თქმული აწ არცა პირველ მღვდელთა წინა აღდგომა, ხოლო წინა აღმდგომნი სასჯელსა თავისა თვისისასა მიიღებენ, რამეთუ წერილ არს: „მთავრისა მიმართ შენისა ნუ იტყვი ძვირსა,“ და უფალი დიდი მთავარი იტყვის: „რომელმან თქვენ შეგიწყნაროს, მე შემიწყნაროს, და რომელმან მე შემიწყნაროს, შეიწყნაროს მომავლინებელი ჩემი მამა. რომელმან შეიწყნაროს წინასწარმეტყველი სახელად წინასწარმეტყველისა, სასყიდელი წინასწარმეტყველისა მიიღოს, და რომელმან შეიწყნაროს მართალი სახელად მართლისა, სასყიდელი მართლისა მიიღოს.“ დიდება ღმერთსა ჩვენსა, აწ და უკუნისამდე, ამინ.

სწავლა თ. მღვდელთა პატივისათვის

საყვარელნო ძმანო! ვისწრაფოთ ყოველთა, რათა, მადლი სულისა წმიდისა იყოს ჩვენთანა და მღვდელთა დიდითა პატივითა პატივ-ვჰსცემდეთ. რამეთუ დიდ არს პატივი მღვდელთა და მათ აქვს მადლი სულისა წმიდისა, ვითარცა იტყვის მოციქული: „ვითარმედ დაემორჩილენით წინამძღვართა თქვენთა.“ რამეთუ შენ ზრუნავ თავისა შენისა და, უკეთუ საქმენი შენნი ჰქმნე კეთილად, სხვათათვის არა რა ზრუნვა გაქვს. ხოლო მღვდელი, დაღაცა თუ თვით სათნო იყოს და შენსა ცხოვრებასა არა კეთილად განაგებდეს, უკეთურთა თანა გეენიად წარვალს, და მრავალ გზის თვით კეთილად არნ, - და თქვენთა საქმეთათვის წარწყმდის, უკეთუ ყოველი, რომელი მისდა ჯერ-იყოს ქმნა მოსწრაფებისა, და არა ჰქმნას. ამისთვის უკვე ჯერ-არს, რათა პატივ-ჰსცემდეთ მღვდელთა, რამეთუ ესე მოასწავა მოციქულმან, ვითარმედ „იგინი იღვიძებენ სულთა თქვენთათვის, რამეთუ სიტყვისა თანა-აძს მიცემა.“ ამისთვის ჯერ-არს, რათა პატივ-ვსცემდეთ მღვდელსა, რამეთუ ესრეთ უმეტესად ძალ-უძს მოსწრაფება თქვენთვის. უკეთუ კვლავ თქვენ შეურაცხ-ჰყოფდეთ, ბოროტად ყოფად არს საქმენი თქვენნი და იგინიცა დაიხსნებიან შეწევნად თქვენდა. ისმინე, უფალი რაისა იტყვის: „ვითარმედ საყდართა ზედა მოსესა დასხდენ მწიგნობარნი და ფარისეველნი. ყოველსა უკვე რაოდენსა გეტყოდენ ქმნად, იქმოდეთ.“ ხოლო აწ ვერ ვინ იტყვის, თუ მოსეს საყდარსა

ზედა დასხდენ მღვდელნი, არამედ ქრისტესსა, რამეთუ მისი სწავლა აქვს. - არა ხედავა, რამეთუ მთავართა სოფლისათა ყოველნი მორჩილებენ, დაღაცათუ უმჯობეს მათსა იყვნენ? და უკეთუ რომელი კაცმან დაადგინოს, ესრეთ არს, ხოლო ღვთისა დადგინებულთა არა ჯერ-არსა პატივის-ცემა? რა უკვე სიტყვა აქვნდეს, რომელთადა ბრძანებულ არს, არა განკითხვა მოყვასისა, და იგინი მღვდელთა აგინებენ და შეასმენენ? ხოლო ამას რა ვიტყვი, არა თუ ამისთვის, ვითარმედ, რომელნი მოუხდებიან მღვდელობასა არა ღირსებით, კეთილმცა იყვნეს, არამედ ფრიადცა საწყალობელ და ღირს ტანჯვისა არიან. არამედ მათთა სამწყსოთა არავე უხმს მათი შეურაცხ-ყოფა. რამეთუ უკეთუ შენ კეთილად იყო, მისისა ბოროტისაგან შენ არა რა გევნების. და უკეთუ ღმერთმან ვირისა[2] მიერ სწავლა გამოაჩინა და მოგვისა მიერ კურთხევა მოჰფინა, თქვენმცა არა მოგცა მადლი მღვდელთა მიერ და სული წმიდა მოგანიჭა. რამეთუ არცა წმიდა სიწმიდითა თვისითა მოიყვანებს მადლსა მას, არამედ მადლი იგი იქმს ყოველსავე. რამეთუ არა თუ კაცი, მღვდელი, არამედ არცა ანგელოსი, არცა მთავარ-ანგელოსი რას იქმს ნიჭთა მათ შინა ღვთისათა, არამედ მამა და ძე და სული წმიდა არს, რომელი ყოველსავე განაგებს. ხოლო მღვდელი თვისსა ენასა ავასხებს და ხელსა მისცემს, რამეთუ რადმცა ეთნებოდა მადლსა მას მღვდლისა მიერ მორწმუნეთა ზედა. ამისთვის უკვე რომელთა ესე უწყით, ღვთისაგანცა გვეშინოდენ და მღვდელთა პატივ-ვჰსვემდეთ, რათა ესრეთ სასყიდელი მოვიღოთ ღვთისაგან, მადლითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ი. მღვდელთა მიმართ

გეტყვი შენ, ჰოი მღვდელო, მწყემსო ქრისტეს ცხოვართაო და მდგომარევ წინაშე საშინელსა მისსა ტრაპეზსა, ყოველთათვის მორწმუნეთა ვედრებისა შემწირველო ღვთისა მიმართ, განიშორე სიმთვრალე, რამეთუ შეამწიკვლებს ვედრებასა შენსა და ნუ აღრევ სიტყვასა შენსა ერისა მიმართ ლიტონისა. იხილე, რამეთუ ღვთისა თანა მზრახველ ხარ. ხორცნი შენნი წმიდად დაიმარხენ, უწყოდე, რამეთუ შუა მდგომელი ხარ ღვთისა და კაცთა. სლვა მშვიდი გაქუნდინ ფერხთა შენთა, ვინათგან ადგილსა წმიდასა ჰსდგახარ! დაიცევ ხელი შენი ყოვლისაგან არა წმიდებისა, რამეთუ მათ მიერ მოიღებ ხორცსა ქრისტესსა. სიმდაბლე მიიღე, რამეთუ მდაბალთა მოხედავს ღმერთი. წმიდად გაქვნდინ ენა ყოვლისა კაცისა განკითხვისაგან, რამეთუ მით ადიდებს ღმერთსა ანგელოსთა თანა! განეშორე შფოთსა ერისასა, რათა არა შემაშფოთებელ გექმნას გონება, არამედ წმიდასა ლოცვასა ღვთისა მიმართ აღავლენდეს! მოწყალე იქმენ გლახაკთა ზედა, რამეთუ მოწყალენი ჰპოვებენ წყალობასა ღვთისა მიერ. მოუხდე რა წმიდასა მას ტრაპეზსა, წარიხადენ, ვითარცა მოსე, შიში უჯერო და მწუხარება

[2] ბალაამის შესახებ, ვირმა რომ ლაპარაკი იწყო. (რიცხვნი. 22,28-30)

მსოფლიო და არა წმიდანნი გულის-სიტყვანი გულისაგან შენისა, რამეთუ ადგილი, რომელსა ზედა შენ ჰსდგა, წმიდა არს. მოიხსენენ წმიდათა შესაწირავთა შინა ძმანი შენნი სულიერნი და ხორციელნი! ნუ ჰსცვალებ ვედრებასა უჯეროდ, ნუცა ხმასა უწესოდ, იკითხვიდე გულს-მოდგინებით ცხოვრებასა წმიდათა მამათასა, ნუ ლაღობთ არამედ მიცნიერებით. ასწავებდ თავსაცა შენსა და სხვათაცა კეთილად და ბრძანებისაებრ უხუცესისა შენისა და ნუ შენ მიერ, რათა არა კადნიერებისა მახვილითა დაეცე.

ნუ განაძღებ მუცელსა შენსა ფრიად, რათა არა ოხრვიდე უშვერად და განსდევნო ფშვინვითა სული წმიდა გარდამომავალი ნიჭსა ზედა. და დგომასა შენსა წინაშე წმიდისა ტრაპეზისა, ნუ წამწამ იხედავ, არამედ ოდენ აღიხილევდი თვალთა მხოლოსა ღვთისა მიმართ, რომელი დამკვიდრებულ არს ცათა შინა, და თაყვანის-ცემდ; მშვიდობასა ჰყოფდი უკანასკნელადმდე და ყოველთათვის კურთხევასა და წყალობასა ითხოვდე. დასდეგ წინაშე საკურთხეველისა, თვინიერ განკითხვისა, აღიპყრენ ხელნი ფრთეთაებრ სერაფიმთასა.

კვალად გეტყვი შენ, ჰოი მსახურო ქრისტესო! ეკრძალე სასმელსა, რამეთუ სერაფიმი ხარ ხორციელი და უშვერ არს შენდა მიდევნება სასმელისა და უჯერო მონაგებთა სიყვარული და საძაგელ ამპარტავნება, განმკითხველობა, ზვაობა, სილაღე და გულის-თქმა სიძვისა. ესე ყოველნი ანგელოსთა მხედრობისაგან უცხო არიან, რომელთა წესი მოგიგიეს, ჰოი მღვდელო, და მსახურებ ხორცსა და სისხლსა ქრისტესსა და უფროს მათსა შეერთები, რამეთუ იტყვი: „აწ ძალნი ცათანი უხილავად ჩვენთანა მსახურებენ.“ ამისთვის, მღვდელო, იყავ კეთილ გონიერ და გულის-ხმა-ჰყავ, თუ რა ხარ, ანუ რაისა მსახურებ. ჰსცან თავი შენი და ჰმონე უფალსა შიშით და სიყვარულით, და ყოველი ჩვეულება ამაო განაგდე და ანგელოსებრივი მსახურება მოიგე. შიშით და სიყვარულით და კრძალულებით იპყარ საიდუმლონი, რათა იქმნა ცათა შინა მედღესასწაულე ანგელოსთა თანა და ყოველთა წმიდათა დაუსრულებელსა მას კეთილსა, რომელსა ღირსმცა ვართ ყოველნი მიმთხვევად და დამკვიდრებად, მადლითა და კაცთ-მოყვარებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა მიერ და რომლისა თანა მამასა შვენის დიდება, და სიმტკიცე სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ია. თავი დ. აღსარებისათვის ცოდვათასა

საყვარელნო! აღიარებდით თვისთა ცოდვათა ყოვლითა გულითა წინაშე სულიერისა მამისა თქვენისა, რამეთუ აღსარებითა წყლულებანი სულისანი განიკურნებიან, ვითარ იგი სალმობანი ხორცთანი განცხადებითა მკურნალისათა განმრთელდებიან. ხოლო დაფარვა ცოდვისა მოძღვრისა მიმართ დიდად სავნებელ არს

- შემდგომად სიკვდილისა სულთა შესაწუხებელ და ეშმაკთა სახარულევან იქმნების. ამისთვის ფრიად სარგებელ არს აღსარება ცოდვათა, ხოლო დაფარვა სიხარულ სატანასი. რამეთუ იგი ლიქნით იტყვის, ვითარმედ დღეს ესე სათნო იყავ და ხვალე შეინანე, არამედ, ჰოი კაცო, უწყია მიწევნა ხვალისა დღე ანუ არა? არამედ ჰნებავს უფროსღა სიღრმესა ქვესკნელისასა შთაგდება შენი, რათამცა უნანელი წარგიტაცოს. უკეთუ მწიგნობარი ვინმე იყოს, ესე შთაუთესავს გონებასა შინა ეშმაკი, ვითარმედ თვით უწყი რაისაცა წერილი იტყვის კანონსა. ეგრეთვე ჰყავ შენცა და ნუ იტყვი აღსარებასა. არამედ, ჰოი საყვარელო, ნუ უსმენ ეშმაკსა და ნუცა ჰყოვნი (აგვიანებ) აღსარებად ცოდვათა შენთა, რათა შენდობილ იქმნე ამასცა სოფელსა და მერმესა მას საუკუნესა, მადლითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა იბ. აღსარებისათვის

მოვიხსენნეთ ყოველნი ცოდვანი ჩვენნი, საყვარელნო, და ვისწრაფოთ აღხოცად მათდა აღსარებითა და სინანულითა. რამეთუ მრავალნი გზანი მოუცემიან ჩვენდა ღმერთსა აღსარებისათვის, ვითარცა იტყვის: **ა,** „იტყოდე შენ ცოდვათა შენთა პირველ, რათა განმართლდე;“ და კვალად იტყვის: „უსჯულოება ჩემი გითხრა შენ, და შენ მომიტევე უღმრთოება გულისა ჩემისა;“ რამეთუ არა მცირედ შეგვეწევის ჩვენ აღხოცად ცოდვათა ჩვენთა აღსარება მათი და ხსენება; **ბ,** და კვალად არს სხვაცა წამალი აღხოცისა მათისა, რათა არავის ჩვენდა მომართ შეცოდებულისა ვიხსენებდეთ ძვირსა, არამედ შევუნდობდეთ; **გ,** გნებავსა რათა მესამეცა გითხრა? ისმინე დანიილ წინასწარმეტყველისა რასა იტყვის: „ცოდვანი შენნი მოწყალებითა აღხოცენ და უსჯულოებანი შენნი შეწყნარებითა გლახაკთათა;“ **დ,** და კვალად არს სხვაცა გზა ცოდვათა აღხოცისა, ესე იგი არს, **ე,** ლოცვისა სიმრავლე და ვედრება ღვთისა უწყინოდ მოგვცემს ნუგეშინის-ცემასა შენდობისასა, ხოლო მარხვაცა, რაჟამს სხვათა მოწყალებითა იქმნებოდეს, დაშრეტს მოტყინარეობასა რისხვისა ღვთისასა, რამეთუ ცეცხლი მოტყინარე დაშრიტის წყალმან და მოწყალებითა განწმდებიან ცოდვანი. ამათ უკვე ყოველთა გზათა ვიდოდეთ, რამეთუ, უკეთუ ამათ შინა ვჰყოთ სლვა ჩვენი, არა თუ ოდენ გარდასრულნი ცოდვანი განვიბანოთ, არამედ მომავალთათვისცა შევიზღუდნეთ თავნი ჩვენნი. არა ვჰსცეთ ეშმაკსა ადგილი ბრძოლად ჩვენდა და შთაგდებად უდებებასა და ამაოსა მას გამოძიებასა, რამეთუ ესეცა ამისგან მოიწევის, რაჟამს არა გვაქვნდეს საქმე სათნოებისა, არამედ მოცალებით ვიყვნეთ. ხოლო ჩვენ, საყვარელნო, ვისწრაფოთ სათნო ყოფად ღვთისა აღსარებითა და სინანულითა, რათა მცირესა ამას ჟამსა დავშვრეთ მოღვაწებითა და მერმე უკუნისამდე ვიშვებდეთ მოღვაწებითა კეთილითა მათ შინა ზეცისათა მადლითა და კაცთ-მოყვარებითა

უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა ჰშვენის დიდება სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა იგ. აღსარებისათვისვე

მოვედით, საყვარელნო ძმანო, და აღუაროთ ცოდვანი ჩვენნი სულიერსა მოძღვარსა ჩვენსა და ნუ გვრცხვენის გამოცხადებად ცოდვათა ჩვენთა წინაშე მისსა, არამედ გვეშინოდეს ღვთისაგან, რამეთუ ღმერთი ყოველსავე ჰხედავს და არა რა დაეფარვის და მუნ ჰსტანჯავს უნანელთა, რამეთუ ჩვენ, რომელსა იგი ეგულების ჰსჯა, არა გვეშინის მისგან. ხოლო გამოცხადებად ცოდვათა ჩვენთა წინაშე ერთისა კაცისა გვრცხვენის და არა ვუწყით, ვითარმედ, რომელმან არა შეინანოს თვისნი ბოროტნი, მას დღესა (განკითხვისასა) არა წინაშე ერთისა და ორისა კაცისა, არამედ წინაშე ყოველთა დაბადებულთასა გამოცხადდებიან. რამეთუ მუნ დასჯდების მართლ-მსაჯული იესო და თვითოეულისა საქმენი, ვითარნიცა იყვნიან კეთილნი ანუ ბოროტნი. გულის-ხმა ჰყავ, ჰოი კაცო, თუ რა გიქმნიეს ბოროტი ანუ მოგიგონებიეს და ჰფარავ მოძღვრისა წინაშე, გარნა ღმერთსა ვერ დაუფარავ, და შენ კაცისაგან გრცხვენის და ღვთისა შიშსა არა მოიგონებ? გულის-ხმა ჰყავ, ვითარმედ ვერცა კაცთა დაეფარო მას დღესა შინა, რამეთუ ყოველნი ბოროტნი ჩვენნი, ვითარცა გამოხატულნი, დასდგენ წინაშე ჩვენსა, რათა თვით დასჯილ ვიყვნეთ, ვითარცა იგი მდიდარი ჰხედვიდა ლაზარეს წინაშე თვალთა მისთა, და რომელი იგი საძაგელ უჩნდა, მისსა თითსა ინატრიდა, რათამცა ნუგეშინის-იცა ალსა მას ცეცხლისასა. ამისთვის გევედრები, საყვარელნო ძმანო, შევიდეთ თვითეული გონებასა ჩვენსა და დავსდგათ სამსჯავრო და წარმოვადგინნეთ შორის ცოდვანი ჩვენნი. და იყავნ გონება მსაჯულ და უკეთუ მას დღესა არა გვნებავს განქიქება, აქავე განვიკურნეთ წყლულებანი ჩვენნი აღსარებითა და დავსდგათ მათ ზედა წამალნი სინანულისანი. რამეთუ შესაძლებელ არს აქავე განკურნება წყლულებათა ჩვენთა ვითარცა იტყვის უფალი: „ვითარმედ უკეთუ მიუტევნეთ, მოგეტევნენ თქვენცა ცოდვანი.“ ეგრეთ ვიქმნეთ, (ავხოცოთ ცოდვანნი ჩვენნი), უკეთუ გვენებოს აღსარებისა და სინანულისა მიერ. ხოლო სინანული ესრეთ იქმნების, რათა პირველად განვეშორნეთ ქმნისაგან ბოროტთასა და მერმე აღმოვიხოცნეთ იგინი სრულიად გონებათა ჩვენთაგან აღსარებითა. და ესრეთ ვიწყოთ დადებად წამლისა წყლულებათა ზედა ჩვენთა. და უკეთუ მიგიტაცებიეს, განეშორე მისგან და დაიდევ წამალი მისგან მოწყალებისა. და უკეთუ გისიძავს, განეშორე მისგან და დაიდევ წამალი სიწმიდისა. უკეთუ ძვირი გიზრახავს ძმისადა, აჩვენე კვალად სიყვარული და ესრეთ ვიქმოდეთ თვითეულსა ზედა საქმესა. და ნუმცა თანა წარვხდებით ცოდვათა ჩვენთა, რამეთუ მოახლებულ არს ჟამი სასჯელისა, ვითარცა იტყვის მოციქული: „ვითარმედ უფალი ახლოს არს.“ ნუ ზრუნავთ, რომელნი მოღვაწებასა და ჭირთა შინა ხართ, ხოლო

რომელნი ცოდვათა შინა ხართ თქვენ ესრეთ გეტყვი: „უფალი ახლოს არს, ზრუნევდით, რამეთუ მოახლოებულ არს აღსასრული.“

და, უკეთუ პირველ სამასისა წლისა, ოდეს პავლე იყო, იტყოდა, ვითარმედ „უფალი ახლოს არს,“ არა აწ უფროსად ახლოს არსა? უკეთუ მას ჟამსა (დროსა) ჟამთა აღსასრულად უწოდა მოციქულმან, არა უფროსად აწ იყოსა აღსასრული?! არამედ შევიკრძალნეთ თავნი ჩვენნი შიშითა ღვთისათა და განვიწმიდნეთ გონებანი ჩვენნი აღსარებითა. რამეთუ ოდეს არა ვუწყოდეთ და უზრუნველ ვიყვნეთ, მაშინ მოვიდეს აღსასრული მეყსა შინა, (უცებ, ანაზდეულად), ვითარცა იტყვის უფალი: „ვითარმედ, ვითარცა დღეთა ნოესთა და ლოთისთა, ეგრეთ იყოს, რამეთუ მყისსა (უმსწრაფლეს), შინა მოიწიოს - ვითარცა სალმობა შობადისა უცნაურად მყისსა შინა ეწიოს დედაკაცსა, რაჟამს არა მოელოდეს მრავალ გზის. და ამისთვის გლოცავ და გევედრები, ძმანო, ვიყვნეთ მარადის მზა აღსარებითა, რამეთუ მრავალ გზის, არა მოგვეცემის ჟამი სინანულისა, ვითარცა წერილ არს, „ვითარმედ ჯოჯოხეთსა შინა ვინ აღგიაროს შენ?“ არამედ აქავე შევინანოთ ცოდვანი ჩვენნი, რათა მოწყალე გვექმნას მას დღესა უფალი და ვჰპოვოთ შენდობა მადლითა და წყალობითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება თანა მამით, და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა იდ. თავი ე. წმიდისა ზიარებისათვის

საყვარელნო! გულის-ხმა-ვყოთ, თუ რა არს საკვირველი ესე საიდუმლო ამის ზიარებისა? ესე არს ფრიადისა სიყვარულისა სახე, რომელ ქრისტემან ჰქმნა, რათა უმტკიცესად სიყვარულად მისსა მოგვიყვანნეს ჩვენ, და თვისიცა სიყვარული გვიჩვენოს, რომელი აქვს ჩვენდა მომართ, და ესრეთ მეტყვის ჩვენ, „ვითარმედ ხორცითა ჩემითა გზრდი თქვენ და თავსა ჩემსა წინაშე თქვენსა დაგიგებ, რამეთუ მნებავს, რათამცა თქვენ ყოველნი მთავარ და დიდებულ იქმნნეთ, და მიგცემ თქვენ სასოებათა კეთილთა საუკუნოსათა, რამეთუ რომელსა ესე აქავე თავი ჩემი მიმიცემიეს თქვენდა, არა უფროს მას საუკუნოსა ვჰყოა ესე?! რომელმან ესე ვინებე ძმად თქვენდა ყოფად, ზიარ ვიქმენ თქვენთვის ხორცთა და სისხლთა; ვითარმედ ხორცსა და სისხლსა მას მიგცემ თქვენ, რამეთუ თქვენთვის ვიქმენ ზიარ მათდა.“ აწ უკვე, საყვარელნო ძმანო, ესე სისხლი ხატსა მას სამეუფოსა კეთილად გამოსახავს და განაბრწყინვებს ჩვენ შორის ესე პატიოსნებასა მას სულისასა და მთავრობასა გვირგვინოსან ჰყოფს. ესე სისხლი იოტებს ეშმაკთა და შორს ჰყოფს ჩვენგან და მოუწოდს ანგელოსთა ჩვენდა და მეუფესა მას ანგელოსთასა, რამეთუ სადა იხილონ სისხლი ესე სამეუფო, ივლტიან ეშმაკნი და მიისწრაფიან მუნ ანგელოსნი. ესე სისხლი დაითხია რა, ყოველივე სოფელი განიბანა. ამან სისხლმან განსწმიდნა ცოდვანი; ესე არს ცხოვრება სულთა ჩვენთა, ამით განიბანების სული, ამით შეიმკვების, ამით გამოიხსნების, ესე ცეცხლისა

უბრწყინვალეს ჰყოფს გონებასა, ესე ოქროისა უწმიდეს ჰყოფს სულსა, ესე სისხლი დაითხია და ცანი სავალად კაცთა იქმნა. ჭეშმარიტად საშინელ არს საიდუმლო ესე ეკლესიისა, ესე სისხლი არს სასყიდელი ყოვლისა სოფლისა, ამით მოიყიდა ქრისტემან ეკლესია, ამით შეიმკო იგი ყოვლით კერძო, რამეთუ, ვითარცა კაცი, რომელი მოიყიდნ მონათა, ოქრო მისცის, და უკეთუ შემკობა მათი ჰნებავნ, ოქროთავე (ოქროითვე) შეამკვნის. ეგრეთვე ქრისტემან ჰქმნა: სისხლითა თვისითა მოგვიყიდნა და კვალად შემამკვნა ჩვენ სისხლითავე თვისითა და, რომელნი ამის სისხლისაგან ეზიარებოდენ, იგინი ანგელოსთა თანა და მთავარ-ანგელოსთა თანა, და ძალთა ზეცისათა მდგომარე არიან, და შეუმოსიეს სამეუფო იგი სამოსელი და საჭურველი იგი სულიერი და რად ესრეთ ვიტყვი, რამეთუ თავადი იგი მეუფე ყოველთა შეუმოსიეს. ხედავა, ვითარ დიდ არს საქმე ესე და დიდებულ? აწ უკვე უწყოდე, ვითარმედ რავდენ ესე დიდ არს და საკვირველ, ეგრეთვე, უკეთუ სიწმინდით და ღირსებით მოუხდე (მიუახლოვდე) მას, ცხოვრებად თავისა შენისა მისრულხარ. უკეთუ კულა ბოროტითა გონებითა და შეგინებულითა მოუხდე, დასასჯელად და წარსაწყმედელად თავისა შენისა მოუხდები, რამეთუ „რომელი ჰსჭამდეს და სმიდეს უღირსებით, იგი დასასჯელად თავისა თვისისა სჭამს და სვამს მას.“ იხილე ვითარ საშინელად გამოაჩინა პავლე (მოციქულმან?) ვითარმედ, რომელთა არა წმიდითა გონებითა მიიღონ ხორცი და სისხლი ქრისტესი, დაისჯებიან ბოროტად. აწ უკვე, საყვარელნო, გულის-ხმა ვყოთ, თუ ვითარითა კეთილითა ღირს უქმნიეთ. ჩვენ მას ქრისტესა ვმადლობდეთ და ვადიდებდეთ და ღირსებით ვეზიარებოდეთ წმიდათა საიდუმლოთა მისთა, ნუ (არა მარტო) სარწმუნოებითა ოდენ, არამედ საქმეთა მიერცა კეთილთა, რათა ღირს ვიქმნეთ კეთილთა მათ საუკუნეთაცა მადლითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა შვენის დიდება სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა იე. წმიდისა ზიარებისათვისვე

აჰა ესერა, საყვარელნო, ხორცი და სისხლი ქრისტესი წინა მდებარე არს ჩვენდა, არა შესახებელად ხოლო, არამედ საჭმელადცა და სასმელად და, უკეთუ გვენებოს, მოუც (მოუცია) ჩვენდა. მოვუხდეთ უკვე სარწმუნოებით, რათა განიკურნენ ყოველნივე უძლურებანი ჩვენნი. უკეთუ რომელნი ფესვსა სამოსლისა მისისასა შეეხნესთ, ესრეთ სარგებელ ეყო, რავდენ უმეტესად სარგებელ ეყოსთ, რომელთა შეიწყნარონ იგი თავთა შორის თვისთა, უკეთუ ოდენ ღირს იქმნენ გულითა წმიდითა და სარწმუნოებითა შეუორგულებელითა შეწყნარებად?! რამეთუ ჭეშმარიტად, მორწმუნენო, აწცა ქრისტესა მოუხდებით, დაღაცათუ ხმა მისი არა გვესმის, და უფროსღა გვესმის ხმა მისი დღითი დღედ სახარებისა მიერ.

აწ უკვე შეუორგულებელად გრწმენინ, ძმანო, ვითარმედ აწცა სერობა იგი არს, რომელსა შინა თავადი ინახით მჯდომარე იყო, და არა რაითა განყოფილ არს ესე მისგან, - რამეთუ, ვითარცა იგი მაშინ ქრისტემან შემზადა, ეგრეთვე აწ ამას, თქვენმცა არა მოგცაა მადლი მღვდელთა მიერ და სული წმიდა მოგანიჭა, რამეთუ არცა წმიდა იგივე შემზადებს?! ამისთვის გეტყვი, საყვარელნო, ოდეს იხილო, რომელ მღვდელი გაზიარებდეს წმიდასა საიდუმლოსა, ნუ ჰგონებ თუ მღვდელი იგი მოგცემს შენ წმიდასა მას საიდუმლოსა, არამედ ხელი ქრისტესი განმარტებულ (გამოშვერილი) არს მოცემად შენდა ხორცსა და სისხლსა მისსა. რამეთუ ვითარცა იგი ნათელ იღებდე რა, არა თუ მღვდელი იგი ნათელ-გცემს, არამედ ღმერთსა უხილავად უპყრიეს თავი შენი და არცა ანგელოსი, არცა მთავარ-ანგელოსი, არცა სხვა ვინ იკადრებს მიახლებად. ეგრეთვე აქაცა იგი არს, რომელი გაზიარებს წმიდათა მათ საიდუმლოთა, რამეთუ არა ანგელოსთა დაურწმუნებიეს ნიჭი ესე, არამედ თავადი ქრისტე არს განმყოფელი და მიმნიჭებელი: რამეთუ, რომელმან უმეტესი ქმნა, უდარესიმცა უღირს იჩინაა? რომელმან თავი თვისი მოგვცა საჭმელად, ხელითამცა თვისითა არა ჯერ იჩინაა განყოფად პატიოსნისა მის ხორცისა და სისხლისა მისისა მოყვარეთა მისთა? ვისმინოთ უკვე მღვდელთაცა და ყოველმან ერმან, თუ ვითარსა პატივსა ღირს ქმნულ ვართ! ვისმინოთ და შევიკრძალოთ და შევძრწუნდეთ, წმიდისა ხორცისა და სისხლისა მისისა ზიარ მყვნა ჩვენ, თავი თვისი დაკლული წინაშე დაგვიდვა. რაიმე უკვე მივუგოთ, რომელნი ესე ვითარსა საიდუმლოსა ზიარ ქმნილ ვართ და ესრეთ წარმდებებით ვსცოდავთ? რომელნი კრავსა მის ღვთისასა მოვიღებთ და არა შევიკდემთ. (მოკრძალებით არ მივალთ მგელთა მიმსგავსებულად), რომელნი ტარიგსა მას მოვიქვამთ აღმხმელსა ცოდვათა სოფლისათა და ვართ მხეც მტაცებელ. ესე საიდუმლო ნიჭი არს მშვიდობისა, განმწმედელი ყოველთა ცოდვათაგან, ღირსად მიმღებელთა მისთა და არა ნებავს, რათა ყოვლადვე უფლებულ ვიყვნეთ ვნებათაგან შურისა, გინა მტერობისა, გინა მტაცებლობისა, გინა ანგარებისა, ანუ თუ გულის-თქმისაგან ბოროტისა, - რამეთუ, უკეთუ ქრისტემან ცხოვრებისათვის სულთა ჩვენთასა არა რიდა თავსა თვისსა სიკვდილად მიცემად, ჩვენ ვითარ უგულებელს-ვყოფთ ცხოვრებასა ჩვენსა? არამედ, საყვარელნო ძმანო, წმიდითა გულითა ვეზიარებოდეთ წმიდათა ქრისტეს საიდუმლოთა, რათა საუკუნეთა კეთილთა ღირს ვიქმნეთ მადლითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ივ. წმიდისა ზიარებისათვისვე

საყვარელნო! განიცადეთ და იხილეთ, თუ რაბამ (რამდენად) ტკბილ და სახიერ არს უფალი ჩვენი იესო ქრისტე, - რამეთუ ხორცითა თვისითა გვზრდის და სისხლსა თვისსა არა ჰრიდებს დათხევად ჩვენთვის, ხოლო ჩვენ არცა თუ პურსა მივსცემთ მისთვის, არცა სასმელსა წყლისასა. ქრისტემან წიაღთა თვისთა შეგვიტკბო და

შეგვიწყნარა, ხოლო ჩვენ არცა თუ ძმათა ჩვენთა უცხოთა შევიწყნარებთ სახლთა. ჰოი ესე უწყალოება! ღმერთმან ძე თვისი მისცა სიკვდილად ჩვენთვის და ჩვენ პურსაცა არა მივსცემთ მისთვის! ჩვენისა სიყვარულისათვის ჯვარს ეცვა ძე ღვთისა და ჩვენ არ გვნებავს ძმათათვის სიყვარულისა ყოფა. ჰოი ესე უგუნურება! ქრისტესთვის თანაგვედვა სიკვდილი და ჩვენ არცა მოწყალებასა მივსცემთ და არავე უკვდავ ვართ, რომლისა ნებსით არა გვნებავს მიცემა, ესე უნებლიეთ დავუტეოთ. რამე სიტყვა მივუგოთ ქრისტესა, რომელმან ხორცი და სისხლი თვისი ყოვლითურთ მოგვცა?! ხოლო ჩვენ უმტკიცეს ქვისა ვართ და სიხარბესავე შინა დავადგრებით. გარნა იგი ტკბილი ესრედ მეტყვის ჩვენ, ვითარმედ არა რასა ვითხოვ დიდსა, არამედ ხორცსა და სისხლსა ჩემსა მიგცემ თქვენ და პურსა და წყალსა ვითხოვ, - სასუფეველსა აღგითქვამ და შეწყნარებასა ვითხოვ თქვენგან. არა გეტყვი შენ, ჰოი კაცო, ვითარმედ დაიხსენ სიგლახაკე ჩემი და მომეც სიმდიდრე შენი, არამედ ვითხოვ მცირესა პურსა ნუგეშინის საცემელად სიყმილისა ჩემისა; საპყრობილესა რა ვიყო, არა გაიძულებ შენ გახსნად საკვრველთა და გამოყვანებად, არამედ გთხოვ, რათა მოხვიდე და მიხილო მე ტკბილად. სნეულ რა ვიყო, არა გეტყვი, თუ განმკურნე და აღმადგინე, არამედ მოვედ და მიხილე ტკბილითა ენითა, სიტყვითა ნუგეშინის-ცემისათა. უფროს ამით სახითა მნებავს სასყიდლის მიცემად შენდა და გვირგვინოსან ყოფად. ამათ უნდოთა (უბრალო საქმეთა) წილ მნებავს, რათა წინაშე ყოვლისა სოფლისა გაქო გამომზრდელი ჩემი და კურთხეულ გიწოდო მამისა ჩემისა მიერ და შორის ანგელოსთა და მთავარ-ანგელოსთა განვაწესო სავანე შენი, რამეთუ მე ფრიად მიყვარ შენ. ესე ყოველი გულის-ხმა-ვჰყოთ, საყვარელნო, და ვეძიებდეთ წყალობასა თვისისა ცხოვრებისასა! ამათ ესე ვითართა კეთილთა საქმეთა მიერ შევამკვნეთ თავნი ჩვენნი და გულითა წმიდითა ვეზიარნეთ უკვდავ-მყოფელსა ხორცსა და სისხლსა ქრისტესსა, რათა ღირს ვიქმნეთ მის თანა დგომად, ვითარცა იტყვის: „რომელი სჭამდეს ხორცსა ჩემსა და სმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემთანა დადგრომილ არს და მე მისთანა," რამეთუ მისსა შვენის ყოველი დიდება, პატივი და თაყვანისცემა თანა მამით, და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა იზ. თავი ვ. ღვთისა სიყვარულისათვის

საყვარელნო ძმანო ჩემნო! შევიყვაროთ ღმერთი ყოვლითა სულითა ჩვენითა და ყოვლითა გულითა ჩვენითა, რათა ღირს ვიქმნეთ ცნობად მისა. სიყვარული არა გონებითა ოდენ ჯერ არს, არამედ საქმითაცა, რათა მცნებათა მისთა ვიმარხვიდეთ. და უკეთუ განვარისხებდეთ მას ვინაი (როგორ, საიდან უნდა) გამოჩნდეს, თუ გვიყვარს იგი და გვიხარის მისთვის? არა ხედავა, ვითარ რაჟამს მეგობარი ვინმე მოვიდის ჩვენდა და გვიხაროდის მისთვის, ვისწრაფით ყოვლით კერძო ნებისა მისისა აღსრულებად? ხოლო უკეთუ ნებასა მისსა არა აღვასრულებდეთ, დაღაცათუ (და თუნდ რომ)

ბევრეულ გზის ვიტყვით, თუ გვიხარის მისვლისა მისთვის, არა რწამს მას სიტყვა იგი. ეგრეთვე, უკეთუ გამოვაჩინოთ, ვითარმედ ჭეშმარიტად გვიხარის მოსვლა ქრისტესი, ნუმცა რას ზედა განვარისხებთ მას: შევამკოთ სახლი იგი, რომელსა შინა შემოვალს, წარმოვუდგათ სერი, რომელი მას ნებავს. ხოლო რაი არს სერი იგი? ვითარცა თავადმან სთქვა: ვითარმედ „ჩემი ჭამადი ესე არს, რათა ვქმნე ნება მომავლინებელისა ჩემისა.“ ვიხილოთ თუ მშიერად, გამოვზარდოთ იგი, და უკეთუ წყურიელად, ვასვათ მას, დაღაცათუ მცირე იყოს და უნდა მიცემა ჩვენი, შეიწირავს იგი, გინათუ გრილსა წყალსა, ანუ თუ ორთა მწვლილთა, რამეთუ ვინათგან არა ეხმარების მას, ამისთვის არცა ეძიებს ფრიადსა, არამედ სიკეთესა გონებისასა ოდენ. გამოვაჩინოთ, ვითარმედ გვიყვარს ქრისტე და გვიხარის მოსვლა მისი ჩვენდა მომართ, რამეთუ მან სული თვისი ჩვენთვის დასდვა და შემდგომად ამისსა ჩვენვე გვთხოვს მოწყალებასა. და უკეთუ მის მიერ მოცემული მასვე მივსცეთ, ესრეთ შეიწირავს, ვითარცა ჩვენი მიგვეცა. ვიცი ვითარმედ ყოველნი ქრისტიანენი იტყვიან, ვითარმედ ვის არა უყვარს ქრისტე? სიტყვით და გონებით არავინ უარ-ყოფს მას, არამედ არა სიტყვითა ოდენ ჯერ არს სიყვარული, რამეთუ, უკეთუ სიტყვით ვიტყოდეთ - თუ გვიყვარს ღმერთი და საქმითა არა ვიქმოდეთ მცნებათა მისთა, ესე კიცხვა არს არა თუ ღვთისა ოდენ (არა მარტო), არამედ კაცთაცა. არამედ, საყვარელნო, საქმით ვაჩვენოთ სიყვარული ღმერთსა, რათა მანცა აღგვიარნეს მას დღესა, რაჟამს წინაშე მამისა თვისისა აღიარებდეს ღირსთა მისთა და ჩვენცა ღირს ვიქმნნეთ საუკუნეთა კეთილთა, რომელნი განუმზადა მოყვარეთა მისთა, რამეთუ მისი არს დიდება თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა იწ. ქრისტეს სიყვარულისათვის

საყვარელნო! ყოვლადვე შევიყვაროთ ქრისტე და ვისწრაფოთ ხილვად პირისა მისისა ბრწყინვალებისა ტკბილად დღესა მას განკითხვისასა. გევედრები, ძმანო, ნუმცა უკუ დავემხობით ესე ვითარისა დიდებისა და ბრწყინვალებისაგან, - რამეთუ არა ძნელ არს საქმე ესე, არცა მძიმე, უკეთუ ოდენ ჩვენ გვენებოს და მოვითმენდეთ ქრისტეს სიყვარულისათვის ყოველსავე, რათა მისთანაცა ვსუფევდეთ და ვიდოდეთ აქა იწროსა მას შინა გზასა, რამეთუ დაღაცათუ იწროდ სჩანს, არამედ ფრიადისა სივრცისა მიზეზ იქმნების ჩვენდა. აღვიხილნეთ უკვე ზეცად თვალნი ჩვენნი და მუნ მყოფთა მათ კეთილთა ვიგონებდეთ და ესრეთ ყოველი ჭირი სოფლისა სიხარულით თავს ვიდვათ, და ვერა რამან საქმემან სოფლისამან დაგვიმონნეს. და რად ვიტყვი, თუ დაგვიმონნეს? უკეთუ ქრისტე შევიყვაროთ, არცაღა თუ მივხედნეთ საქმეთა სოფლისათა, რამეთუ დიდ არს სიყვარულისა ძალი და ვსთქვათ ჩვენცა: „ვინ განმაშორნეს ჩვენ სიყვარულსა მას ქრისტესსა. ჭირმან ანუ იწროებამან“ და შემდგომი ამისი. რამეთუ იხილე ვითარ მოციქულმან არა სთქვა საფასენი, ანუ გულის-თქმა, ანუ სხვა ესე ვითარი რამე. რამეთუ

ესე ყოველი უნდო არს, არამედ ძნელოვანთა მათ საქმეთათვის სთქვა სიკვდილისათვის და დევნულებათა და ცეცხლისა და მახვილისა. და მან ესე ყოველნი მძიმენი საქმენი არად შერაცხა სიყვარულისათვის ქრისტესისა. ხოლო ჩვენ საფასეთათვის და გულის-თქმათა ბილწთა განვარდებით ცხოვრებისაგან და ნათლისა. ხოლო პავლეს სიკვდილი, და ცხოვრება, და საწუთო, და საუკუნო, და ყოველივე არა რად შერაცხა ქრისტეს სიყვარულისა თანა. ხოლო ჩვენ მცირე გულის-თქმა ყოველსა მას დაგვავიწყებს და ვფუცავთ და ვიტაცებთ და ვახშსა მივსცემთ და ხორცთა ბილწებასა ვეძიებთ და საუკუნეთა მათ კეთილთა არა მოვიხსენებთ, არამედ თითო ფერთა გზათა წარწყმედისათა ვეძიებთ. ხოლო მართალი იგი გზა ცხოვრებისა დაგვიტევებიეს და არა მოვიხსენებთ საუკუნეთა მათ სატანჯველთა, რომელთა შთავვარდებით, არცა კეთილთა მათ, რომელთაგან დავაკლდებით. რასა იტყვის უფალი? „უკეთუ არა გარდაემატოს სიმართლე ჩვენი უფროს მწიგნობართა და ფარისეველთასა, გეენიად მივალთ.“ რა სიტყვა ვუგოთ, უკეთუ მათ ოდენიცა არავე იყოს?

არამედ ნუ, საყვარელნო, ნუ ესრეთ ვიყოფით! გარნა ვისწრაფოთ შეყვარებად ქრისტესა, ვითარცა მან შემიყვარნა ჩვენ, რათა ვპოვოთ საუკუნო განსვენება, მადლითა და კაცთ-მოყვარებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება, და სიმტკიცე თანა მამით, და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ით. ქრისტეს სიყვარულისათვისვე

საყვარელნო! ვინათგან უკვე დიდ და უძლეველ არს სიყვარული ქრისტესი და არა სიტყვა ცუდი არს, არამედ საქმე მაღალი, ამისთვის ვისწრაფოთ შეყვარებად ქრისტესა ჭეშმარიტებითა. დაღათუ პირველ მტერ ვიყვენით და დამაგნა (შეგვარიგა ჩვენ). აწ ვინათგან მეგობარ ქმნილ ვერთ, დავადგრეთ მეგობრობასა შინა ქრისტესა და სიყვარულსა. ქრისტემან გვიწოდა, ხოლო ჩვენ არა შევუდექით მას. არა თვისად სარგებელად ვუყვართ, რამეთუ არა რა ვისგან ეხმარების, არამედ ჩვენისა ცხოვრებისათვის. ხოლო ჩვენ თავთავე ჩვენთა სარგებლობისათვის არა შევიყვაროთ ქრისტე? ჩვენ მტერ ვიყვენით და მან შემიყვარნა ჩვენ. ხოლო ჩვენ, რომელსა იგი უყვართ, არა შევიყვაროთა სახიერი იგი ტკბილი მეუფე? არამედ, აწ ესერა, წინააღმდგომსა ვიქმთ, რამეთუ მარად-დღე ჩვენ მიერ ღმერთი იგმობის მტაცებლობითა და ანგარებითა ჩვენითა. და ნუ უკვე ვინმე თქვენგანმან მრქვას მე, ვითარმედ აჰა ესერა მარად-დღე ანგარებისათვის გვეტყვის ჩვენ. არამედ ნეტარ თუმცა არა მე ოდენ გეტყოდე, არამედ მეუღლენიცა, და მეგობარნიცა, და შვილნი, და მონანი, და მეზობელნი და კედელნი და ქვანი, უკეთუმცა შესაძლებელ იყო, ღაღადებდეს ამის საქმისათვის, რათა მცირედ რამე დავსცხერით. რამეთუ ყოველი სოფელი დაიპყრა

ანგარებისა სენმან და ყოველთავე სულნი დააბნელნა. და დიდ არს მძლავრება იგი მამონასი. ეჰა საკვირველი! ქრისტემან შემიყვარნა და ქრისტეს მიერ ვიხსენებით, და ჩვენ ოქრო შევიყვარეთ და ოქროსა ვმსახურებთ! ქრისტეს მეუფებასა ვქადაგებთ და ოქროსა ვმონებთ და რაიცა გვიბრძანოს ოქრომან, ყოველსავე მოსწრაფებით ვიქმთ და ვმორჩილებთ. ხოლო მეგობრობა ქრისტესი და სიყვარული და სჯული, ყოველივე უგულებელს ვყავთ. ამისთვის არავინ აღიხილავს ზეცად, არავინ მოიხსენებს საუკუნესა მას სასჯელსა. არამედ მოიწიოს ჟამი, რაჟამს არცა ამათ სიტყვათაგან იყოს სარგებელი, „რამეთუ ჯოჯოხეთსა შინა ვინ აღგიაროს შენ?“ სასურველ არს ოქრო და საშვებელ, არამედ არა ესრეთ, ვითარ ქრისტე და ზეცისა სასუფეველი. რამეთუ მდიდარი ამის სოფლისა მრავალთა მიერ საძულველ არს, ხოლო რომელი სათნოებასა შინა იყოს, პატივს-ცემენ ყოველნი და უყვარს. უკეთუ კულა (კიდევ) ვინ სთქვას, ვითარმედ გლახაკი საკიცხველ არს ყოველთა მიერ, დაღათუ სათნო იყოს, არამედ გულის-ხმა-ჰყავ, ვითარმედ არა კაცთა მიერ, არამედ პირუტყვთა მიერ არს საკიცხველ, ხოლო კაცისა ბრძნისა უფროსად საქებელ. რამეთუ, უკეთუ ქვეყნისა მეფე გვაქებდეს ჩვენ, არღარა ვისგან ვეძიებთ სხვასა ქებასა, ხოლო უკეთუ ანგელოსთა მეუფე გაქებდეს შენ, ჰოი კაცო, ბუზთა მიერ და მუმლთა ეძიება ქებასა?! რამეთუ ამათსაცა უდარეს არიან კაცნი იგი მოყვარენი წარმავალთა ამათ საქმეთანი. ვიდრემდის ვიქცევით მწვირესა მას შინა, ვიდრემდის ვყოფთ თავთა ჩვენთა საქებელ კაცთა ნაყროვანებითა სავსეთა, რამეთუ იგინი კაცთა ამაოთავე სავსე არიან. ხოლო სათნოებისა მიმართ უგულისხმო, ხოლო შენ, ჰოი კაცო, რომელსა გნებავს სათნოებისა ქმნა, კაცთა უმეცართა სათნოებითა ეჩვენებია? ამისთვის ვერასოდეს წარემართები. არამედ გევედრები, საყვარელნო, გულის-ხმა-ვყოთ ესე ყოველი, მოვიძულოთ ოქრო და შევიყვაროთ ქრისტე. ვეძიებდეთ ქებასა ღვთისაგან და ნუ ვეძიებთ საფასეთა ცუდთა, ნუმცა ბოროტად შეგვირაცხიეს ქრისტეს სიყვარულისათვის სიგლახაკე. რამეთუ ყოველისავე სიბრძნისა და მოთმინებისა მასწავლელ გვექმნების, რამეთუ ლაზარეცა გლახაკობასა შინა იყო და მიიღო გვირგვინი ღვთისაგან; და იაკობ პურითა ოდენ განძღომად სუროდა, და იოსებ უკანასკნელსა სიგლახაკესა შინა იყოფოდა და არა მონა ოდენ იყო, არამედ პყრობილიცა, და ამისთვის უკვე გვიკვირს საქმე მისი. და არა ესრეთ ვაქებთ, რაჟამს იგი განუყოფდა იფქლსა, ვითარ რაჟამს იგი იყო საპყრობილესა შინა, არცა რაჟამს გვირგვინი ემოსა, არამედ, რაჟამს ჯაჭვი; არცა რაჟამს საყდართა ზედა მჯდომარე იყო, არამედ რაჟამს განისყიდებოდა.

აწ უკვე, რაჟამს ესე ყოველი გულის-ხმა-ვყოთ, საყვარელნო, და ჩვენცა ყოველნივე მოვითმინოთ ქრისტეს სიყვარულისათვის, რათა დავთხზათ გვირგვინი იგი სათნოებათა, ნუ სიმდიდრესა და შვებასა, და პატივსა და ძლიერებასა ვეძიებთ, არამედ სიგლახაკესა და ჭირსა და მოთმინებასა სათნოებისასა ქრისტეს სიყვარულისათვის. რამეთუ აღსასრული მათი სავსე არს შფოთითა და ამაოებითა ფრიადითა. ხოლო აღსასრული სათნოებათა არს ცაი და კეთილნი იგი ცათანი,

რომლისა „არცა თვალმან იხილა, არცა ყურსა ესმა, არცა გულსა კაცისასა მოუხდა,“ რომელი იგი განუმზადა ღმერთმან მოყვარეთა თვისთა, რომელსა ღირსმცა ვართ ყოველნი მიმთხვევად მადლითა და კაცთ-მოყვარებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა კ. თავი ზ. სიყვარულისათვის მოყვასისა

ღირსი უკვე ესე ვითარისა მის ქრისტეს სიყვარულისა, პატივისა მოქალაქობა ვაჩვენოთ, საყვარელნო ძმანო. და ნუმცა რაი გვაქვს ზიარებაი ქვეყნისა თანა, რამეთუ ამისთვის ქრისტემან ზეცით მოგვართვა ჩვენ სწავლა კაცთ-მოყვარებისა, რათა მოძღვრისა მის სწავლასა შევუდგეთ ძალისაებრ ჩვენისა და ვემსგავსნეთ. ხოლო მსგავსება ქრისტესი ესრეთ იქმნების, რათა არა თვისთა თავთასა ვეძიებდეთ ყოვლადვე, არამედ მოყვასთასა, ვითარცა იგი ქრისტემან ქმნა. და რაჟამს კაცი არა თვისსა ეძიებდეს, არამედ მოყვასისასა, მაშინ ეძიებს თვისსა ჭეშმარიტებით, რამეთუ მოყვასისა ყოველი ჩვენი არს, ვინათგან ერთ გვამ ვართ და ურთიერთარს ასოებ. ნუმცა უკვე ვინ იტყვის, თუ იგი ვინმე არა არს მეგობარ ჩემდაო, არცა ნათესავი, და ვითარ მიყვარდეს იგი, ვითარცა ჩემნიო? ამისთვის გულის-ხმა-ჰყავ, საყვარელო, დაღაცათუ არა არს მეგობარი და ნათესავი, არამედ კაცი არს შენისავე ბუნებისა და მისვე ქრისტეს მეუფისა მონა, რომლისაცა შენ ხარ და შენ თანა მკვიდრი. რამეთუ ყოველნი ერთსა სოფელსა შინა მკვიდრ ვართ, ვინათგან სარწმუნოებისა შენისა ზიარი არს. აჰა ესერა ასოცა არს შენი, რამეთუ რომელი მეგობრობა იქმს ესოდენსა თვისებასა, ვითარ ერთობა იგი წმიდისა სარწმუნოებისა, რამეთუ ყოველნი ნათელღებულნი ერთ გვამ ვართ. ნუმცა უკვე უგულებელს-ვყოფთ ერთი ერთსა, რამეთუ არავინ თვისი გვამი და ასონი უგულებელს-ჰყვნის, არამედ ფუფუნებნ და იღვწინ. ამისთვის ერთი სახლი მოგვცა ღმერთმან, სოფელი ესე და ყოველივე ზოგად განგვიყო და ერთსა მზესა ყოველთა აღმოგვიბრწყინვებს და ერთი სართული გარდაართხა ჩვენ ზედაცა და ერთი საყოფელი ქვეყანა, და ერთი ტაბლა ცხოვრებისა ტაბლა იგი შესაწირავისა, ერთი სახე შობისა მოგვცა ყოველთა, - წმიდა ნათლისღება, და ერთი არს ყოველთა მამული, სასუფეველი ცათა და ერთისა სასმელისაგან ვსვამთ ყოველნი. არა თუ მდიდართა უმეტესად მიეცემის საიდუმლო იგი და გლახაკთა უდარესად, არამედ ყოველთა სწორად უწდია სისხლი თვისი ქრისტემან და ყოველთა სწორად განუყო ხორცი თვისი საცხოვნებელად ყოველთა სულთა. აწ უკვე ვინა არს უწესოება ესე, რომელ არა გვიყვარან ძმანი? გარნა ანგაარებისაგან მდიდართასა და ამპარტავანებისაგან მათისა. არამედ ნუღარა იყოფინ ესე, ძმანო ჩემნო საყვარელნო! ნუმცა განგვყოფენ ხორციელნი ესე საქმენი, რომელნი სულიერად ერთ ვართ; რამეთუ ყოველი ხორცი აჩრდილი არს და აჩრდილისა უძლიერესი. ხოლო ჩვენ, ძმანო, საკრველი იგი სიყვარულისა მტკიცედ

დავიცვათ და ვერა რაი ვნებათაგანი შეგვემთხვიოს განყოფად ესე ვითარისა მის ერთობისაგან და სულიერისა სიყვარულისა, რომლისა მიერ ყოველნივე ერთობით საუკუნეთა მათ კეთილთა მივემთხვივნეთ, მადლითა და კაცთ-მოყვარებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა შვენის დიდება სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა კა. სიყვარულისათვისვე მოყვასისა

გევედრები, საყვარელნო ძმანო! რომელთა ესე ყოველი ვიცით. ვისწრაფოთ შეყვარებად ძმათა, რათა არა მტყუარად გამოვაჩინოთ სიყვარული ღვთისა, რამეთუ იტყვის: „რომელმან სთქვას, მიყვარს ღმერთი და ძმაი არა უყვარდეს, იგი მტყუარ არს.“ არამედ ვიღვწიდეთ სულთა ჩვენთა და ვისწრაფდეთ შეყვარებად მოყვასისა და ნუმცა განვეშორებით გვამნი (ჩვენ) თავსა, რომელ არს ქრისტე, და ნუმცა განვეყოფით ასოთა ჩვენთა, რომელ ესე საქმე არს განცოფებულთა (სულელთა). არამედ უფროსღა ვისწრაფდეთ კვალსა ქრისტესსა შედგომად, და ვკურნებდეთ ასოთა ჩვენთა, უკეთუ უძლურნი იყვნენ, რამეთუ ხორციელთა ამათ ასოთა შინა (არიან), უკეთუ ვიხილით ერთი რომელიმე მოუძლურებული, ყოვლითა მოსწრაფებითა არა დავსცხრებით კურნებად, და უკეთუ ვერ შევუძლოთ, არავე უგულებელს-ვყოფთ. ეგრეთვე უკვე, საყვარელნო, ვისწრაფოთ ძმათ-მოყვარება და კეთილის ყოფა, რათა „ურთიერთარს სიმძიმე ვიტვირთოთ, და ესრეთ აღვასრულოთ სჯული იგი ქრისტეს სიყვარულისა“ და მივემთხვივნეთ საუკუნეთა მათ კეთილთა, მადლითა და კაცთ-მოყვარებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება თანა მამით, და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა კბ. სიყვარულისათვის ძმათასა

საყვარელნო, არა მოციქულთა ოდენ (მარტო) ამცნებდა ღმერთი ურთიერთარს სიყვარულსა, არამედ ყოველთა, რომელთა ეგულებოდა სიტყვითა მათითა რწმუნება მისა მიმართ. და არა რაი სხვა დააბრკოლებს წარმართთა ჩვენდა მომართ, გარნა ესე, რომელ სიყვარული არა გვაქვს ურთიერთარს. ხოლო მოციქულნი ძლიერად იყვარებოდენ ურთიერთარს, ვითარცა იგი იხილეთ პეტრე და იოანე - ვითარ იყვნეს. და კვალად პავლე, ვითარ იყო მათდა მიმართ სიყვარულითა, რომელთა იგი ყოველივე სათნოება აქუნდა, არამცა უფროსად (და განსაკუთრებით) დედა იგი სათნოებათა - სიყვარული აქვნდა, - რამეთუ ესე საქმე სულისაგან სათნოისა და წმიდისა აღმოეცენების. ხოლო სადა უკეთურება იყოს, ესე ნერგი განხმების, რამეთუ რაჟამს განმრავლდეს უსჯულოება, განხმეს სიყვარული მრავალთა და წარმართთაცა ვერ

მოაქცევენ სასწაულნი, ვითარ საქმენი კეთილნი და ცხოვრება სათნოი. ხოლო ცხოვრებასა ბრწყინვალე არა რაი ჰყოფს, ვითარ სიყვარული ძმათა. რამეთუ, რაჟამს ქადაგება იგი არღა განვრცელებულ იყო, სამართლად საძიებელ იყვნეს სასწაულნი. ხოლო აწ, უფროსად საქმეთა კეთილთა, ჯერ არს მოგებაი, რომელ არს ძმათ სიყვარული. რამეთუ ვერა რაი ესრეთ შეარცხვენს წარმართთა, ვითარ სათნოება, ვერცა რაი ესრეთ დააბრკოლებს, ვითარ უკეთურება. რამეთუ, რაჟამს იხილონ მასწავლელი სიყვარულისა, სიძულვილსა შინა, და ანგარებასა, და ტაცებასა, არა ტყუილად შერაცხონა სწავლა იგი და ჩვენ ვიქმნებით მიზეზ მათისა საცთურსა შინა დადგრომისა?! რამეთუ მათისა სარწმუნოებისა საცთური უცნობიეს და ჩვენი ესე ჭეშმარიტება უყვარს, არამედ საქმეთა ჩვენთა მიერ დაიხრწევის, რაჟამს არა გვიყვარდენ ძმანი. ხოლო უკეთუ ვიტყვით, ვითარმედ პირველთა მამათა რად არა ჰბაძვენ, არამედ იგინი ჩვენ მიერ ეძიებენ სარგებელსა, რომელთა გვხედვენ და იტყვიან, გვიჩვენეთ სარწმუნოება თქვენი საქმეთა მიერ კეთილთა და, რაჟამს გვიხილენ ჩვენ ბოროტთა შინა, თვისსავე წესსა ზედა დაადგრებიან. ამისთვის უკვე მოგვეხადების ჩვენ სასჯელი არა ბოროტთა მათთვის ოდენ, რომელსა ვიქმთ, არამედ ამისათვისცა, რომელ სახელი ღვთისა ჩვენ მიერ იგმობის. ამისთვის მეშინის, ნუ უკვე დავადგრეთ ბოროტსა შინა და ვჰპოვოთ სასჯელი საუკუნო, არამედ გევედრები, საყვარელნო, ხელ ვჰყოთ სათნოებასა და აღვასრულოთ ჰსჯული სიყვარულისა. რამეთუ აღმასრულებელი ჰსჯულისა სიყვარული არს, და ძმათ მოყვარებითა ვჰსწყალობდეთ ყოველთავე, რათა საუკუნეთა მათ კეთილთა მივემთხვივნეთ მადლითა და კაცთ-მოყვარებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა ჰშვენის დიდება, სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა კგ. თავი ᲬᲔ. მოწყალებისათვის

საყვარელნო, უფალი იტყვის, ვითარმედ „ვიდრემდის ვარ სოფელსა შინა, ნათელი ვარ სოფლისა,“ რამეთუ, უკეთუ ესე ნათელი დღისა ესრეთ კეთილ არს, გულის-ხმა-ვჰყოთ, თუ რაბამ იყოს იგი ნათელი ჭეშმარიტი, რამეთუ რაოდენ მცირედისა სანთლისა ნათელსა მზისა ბრწყინვალება უმჯობეს არს, ესოდენ და ფრიად უმეტესცა, იგი ნათელი მზისა ნათელსა უმჯობეს არს და უდიდებულეს? ამისთვის თქმულ არს, ვითარმედ მზე დაბნელდეს მის ნათლისა დიდებულებისაგან.

ხოლო უკეთუ ამას სოფელსა შინა სახლთა ნათელთა და შვენიერთათვის ფრიადსა ვიქმთ წარსაგებელსა და შრომასა, არა ჯერ არსა? სრულიად ხორცნიცა ჩვენნი მოვაკვდინნეთ და წარვსწყმიდნეთ, რათა საუკუნესა მას მოვიგოთ საყოფელი დიდებული, სადა იგი ნათელი თვალთშეუდგამი არს. რამეთუ აქა ჭირი გვიხმს და შფოთნი, სასჯელნი და შურნი სხვათათანა, ხოლო მუნ არა რაი არს ესე ვითარი: არცა

შური, არცა ჰხდომა, არცა სასჯელი საზღვართათვის და ამის სოფლისა საყოფელთა უეჭველად დატევება თანა გვაძს. ხოლო იგი საუკუნოდ ჰგიეს და ესე ყოველი წარხდეს. ხოლო იგი დაუძველებელ არს და ამას, გლახაკი თუ იყოს, ვერ მოიგებს. ხოლო მისი ორითა დანგითა შესაძლებელ არს მოგებაი, ვითარცა მან ქვრივმან ჰქმნა. ამისთვის მწუხარე ვარ, რომელ, ესოდენი კეთილნი ჩვენდა წინამდებარე არიან და, ჩვენ ესრეთ უდებ ვართ. და რათამცა აქა ბრწყინვალენი სახლნი აღვაშენნეთ მოსწრაფე ვართ, ხოლო მუნ არა გვნებავს, რათამცა მცირე საყოფელი მოვიგეთ, რამეთუ სადა გიყვარს ყოფაი შენ სოფელსა ამას - ქალაქსა სამეფოსა, ანუ ადგილსა უდაბნოსა? არა სამეუფოთა მათ საყოფელთა შინა გირჩევიესა ყოფაი? ხოლო მე წარგიყვანო შენ ქალაქად, რომლისა ხელოვანი და აღმაშენებელი ღმერთი არს მუნ! გევედრები, საყვარელო, რათა აღიშენო საყოფელი მცირედითა საფასითა და მცირედითა შრომითა სახლისა მის, რომლითა გლახაკთა ხელნი აღაშენებენ და იგი არს ჭეშმარიტი მონაგები, ხოლო ამის სოფლისა ყოველივე ცუდ არს და ამაო, და საქმე უგულისხმოებისა. მითხარ-ღა, უკეთუმცა ვინ ქვეყანასა სპარსეთსა მიგიყვანა ხილვად ქვეყანისა მის, და მასვე ჟამსა მოქცევად, და მერმეცა გეტყოდა მუნ აღშენებად სახლთა და ტაძართა დიდთა? არამცა აბრალეა უგუნურებასა მისსა, რამეთუ ესრეთ ამაოსა წარსაგებელისა ყოფასა გაწვევს? ვითარ უკვე აქა იქმ, სოფელსა შინა, რომელი შემდგომად მცირედისა ჟამისა წარსვლად ხარ ამიერ? ნუ იტყვი, თუ შვილთა დავუტეო, არამედ მათცა დატევებაი თანა ამსთ ყოვლისავე მცირედისა შემდგომად შენსა. და ნუ უკვე უწინარეს შენსაცა დაუტეობ, და არს ესე ყოველი შრომა ცუდი. ხოლო მუნ ესე ვითარი არა რაი არს, არამედ შეურყეველ არს მონაგები იგი, რომელნი იგი მოიგოს: მის მონაგებისა მმარხველი ქრისტე არს, მას მონაგებსა ზრუნვანი და საურავნი არა უხმან, რამეთუ, რაჟამს ღმერთი იყოს მომქმედი საქმისა, რადღა სახმარ არს ზრუნვაი და ჭირი? ღმერთი ყოველსა საფასესა შენსა, რომელი მისცე გლახაკთა, აღიხვამს და აღგიშენებს მუნ სახლსა. და არა ესე ოდენ არს საკვირველი, არამედ უფროსად ესეცა, რომელი ესე ვითართა აღგიშენებს, ვითარი შენდა სათნო იყოს, რამეთუ ხელოვანი არს კეთილი და ფრიად ეწყალვი შენ. და უკეთუ გლახაკი იყო და აღიშენებდე შენ სახლსა მას, არა მოიწიოს შენ ზედა სხვათა მიერ შური, რამეთუ არავინ ჰხედავს მას, მოშურნეთაგანი, არამედ ანგელოსნი ჰხედვენ მას, რომელთა ფრიად უხარის კეთილი შენი, და მეზობელ შენდა არა არიან კაცნი ბოროტნი, არამედ წმიდანი იგი და კეთილნი პეტრე და პავლე, და იოანე, და მსგავსნი მათნი წინასწარმეტყველნი, მოწამენი, ანგელოსნი, მთავარანგელოსნი და ყოველნი ზეცისა მხედრობანი, და რომელნი მოწყალებისა მიერ განბრწყინდენ. ამისთვის გევედრები, ჰოი ძმანო საყვარელნო, წარვაგოთ ჩვენ ყოველივე გლახაკთა ზედა, რათა ესე ვითარნი იგი საყოფელნი ვჰპოვნეთ სასუფეველსა ცათასა, რომელსა ღირსმცა ვართ ყოველნი მიმთხვევად მადლითა და კაცთმოყვარეებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა შვენის ყოველი დიდება სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა კდ. მოწყალებისათვისვე

საყვარელნო, ვიქმოდეთ მოწყალებასა გლახაკთა ზედა, რათა არა დავშრეტდეთ ლამპართა ჩვენთა. არამედ დავიცვნეთ იგინი ბრწყინვალედ მოწყალებისა მიერ, რამეთუ მოწყალებისა ნათელი უშრეტელ არს და განმწმედელ სულისა უფროს ოქროსა ბრწყინვალისა. რამეთუ იტყვის, „მიეცით მოწყალება და აჰა თქვენი ყოველი წმიდა არს.“ განვაბნიოთ საფასე და შევიკრიბოთ ჭურჭელთა ჩვენთა ზეთი წყალობისა ვიდრეღა აქა ვართ. რამეთუ მუნ არღარა არს სავაჭროი, არცა ვინ მიიღოს სხვისა მისგან, გარნა ხელისაგან გლახაკთასა შევიკრიბოთ უკვე აქავე მდიდრად, უკეთუ გვენებოს სიძისა მის თანა შესვლა და არა გარე დაშთომაი. რამეთუ დაღაცათუ ბევრეული სათნოება წარვმართოთ თვინიერ მოწყალებისა, ვერ შევიდეთ სასუფეველსა. ამისთვის გევედრები, საყვარელნო, მოსწრაფედ მოვიგოთ მოწყალება, რომელი მსგავს ღვთისა ჰყოფს მომგებელთა მისთა, რამეთუ იტყვის „იყვენით მოწყალე, ვითარცა მამა თქვენი ზეცათა მოწყალე არს,“ და მოწყალენი შეიწყალებიან ღვთისა მიერ, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა კე. მოწყალებისათვისვე

ისმინეთ, საყვარელნო, ვითარმედ, რომელი სწყალობდეს გლახაკსა, იგი ავასხებს ღმერთსა და ვერვინ შემძლებელ არს მიტაცებად მისსა, არამედ იქმნების კეთილ დამარხულ მისთვის და განმრავლებულ. რამეთუ არცა კაცი უგულებელს ჰყოფს და, შესწორებულად, მიაგებს ნიჭსა. არა უფროსად და უმეტესად ქრისტემან მიანიჭოსა?! რამეთუ რომელი არა ავასხებს, მასცა მისცემს, ხოლო რომელმან ავასხოს მას არა მისცესა? ისმინე სოლომონისი, თუ ვითარ იტყვის: „რომელი ჰსწყალობდეს გლახაკსა, იგი ავასხებს ღმერთსა.“ ჰხედავაა საქმესა ყოვლად დიდებულსა ვასხისასა? სხვა არს რომელი აღიღებს, და სხვა არს რომელი ავასხებს და ხელთ უდებს, რამეთუ არა სთქვა, თუ რომელი სწყალობდეს გლახაკსა, მისცემს ღმერთსა, არამედ „ავასხებს ღმერთსაო,“ რათა არა ლიტონად თვისი მიიღოს, არამედ მრავლითა სარგებლითა. ხოლო ჩვენ მათ ვავასხებთ, რომელნი უფროს მოგვაგებენ. და ვეძიებთ მშვიდთა, და დაუტეობთ მშვიდსა და კეთილ-მეცნიერსა ღმერთსა, სამ წილად მომგებელსა და უფროსღა ათს წილად, და ცხოვრებისა საუკუნოსა მომნიჭებელსა იესოს. და მივანდობთ მიწასა, რამეთუ რაი მოგვაგოს ჩვენ მატლმან მრავალთა განმხრწნელმან ანუ თოხმან, ბარმან და წერაქვმან? ხოლო რაი არიან ცუდად მზვაობრობაი, გარნა შური და სიბოროტე? რა არს გემოთმოყვარება, გარნა მწუხარება და ამაოება? ხოლო რა არს სიძვა, გარნა გეენია და მატლნი დაუძინებელნი? ესე არიან მდიდართა და უწყალოთა

ღირსნი: აქაცა ბოროტი მათი და მერმესა მას მწარე სატანჯველი. არამედ არა ტყუილ არს მეტყველი, ვითარმედ „ეძიებდეთ პირველად სასუფეველსა ღვთისასა და ესე ყოველი შეგეძინოს თქვენ.“ ამისთვის გევედრები, საყვარელნო, ძმანო, ვიქმოდეთ მოწყალებასა და ვავასხოთ ღმერთსა, რამეთუ იტყვის: „რომელი სწყალობდეს გლახაკსა, ავასხებს ღმერთსა.“ ამას ვასხსა შეიტკბობა, უფალო, ჩვენ მიერ, რომელი გლახაკთა მიმართ ვჰყოთ წყალობა, არამედ ოდეს მომაგო ჩვენ, მომითხრა ესეცა მეუფეო წმიდაო:

ოდეს დასჯდეს ძე კაცისა საყდართა დიდებისა თვისისათა და დაადგინნეს მოწყალენი მარჯვენით მისსა, ხოლო ანგელოსნი (ბოროტნი) და უწყალონი მარცხენით და რქვას მოწყალეთა: „მოვედით კურთხეულნო მამისა ჩემისანო და დაიმკვიდრეთ განმზადებული თქვენთვის სასუფეველი დასაბამითგან სოფლისათ, რამეთუ მშიოდა და მეცით მე ჭამადი, მწყუროდა, და მასვით მე, შიშველ ვიყავ და შემმოსეთ მე.“ რაისათვის, უფალო, არა რასა სხვასა სახესა შემოიღებთ ხსენებად გარნა მოწყალებასა.

და სთქვა, „არა ვსჯი შეცოდებულთა, არამედ უნანელთა.“ არა დავსაჯნე მდიდარნი, არამედ უწყალონი და მათ ვამხილო, ვითარმედ აქუნდა ესე ვითარი შემწე ცხოვრებისა, ესე იგი არს მოწყალება, რომლითა ყოველნი ცოდვანი მოისპობიან და ესოდენნი კეთილისა საქმენი უგულებელს-ჰყვნეს.

ისმინე და შეძრწუნდი, ჰოი კაცო! რამეთუ არა ესე სიმდიდრე მონაგებისა მოგიღებიეს, რათა ჭამასა და სიმთვრალესა შინა წარაგო იგი ყოველი, არამედ, რათა სწყალობდე გლახაკთა. უმჯობეს არს, რათა წარგზავნო ეგე მას საუკუნესა, ხელითა გლახაკთათა და მოწყალებასა შინა განაბნიო. ნუ უკვე ჰგონებ, თუ შენი არს ეგე? არამედ გლახაკთა განსაყოფელად მოცემულ არს შენდა. ღმერთი თვის თვისად ყოფს მონაგებსა? ანუ არა ძალ ედვაა ღმერთსა მოღებად შენგან და მიცემად გლახაკთა? არამედ არა ჰყოს ეგრე, რათა შენ გყოს გლახაკთა მიმართ პატივის მოყვარე და მოწყალებისა მიერ სასუფეველი დაგიმკვიდროს, რომელსა ღირსმცა ვართ ყოველნი მადლითა და კაცთ-მოყვარებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა მიერ და რომლისა თანა მამასა შვენის დიდება, სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა კვ. თავი თ.

რათა არა ნატაცებისაგან ვიქმოდეთ მოწყალებასა

რათა არა ნატაცებისაგან ვიქმოდეთ მოწყალებასა, ვისწრაფოთ, ძმანო, ყოვლითა ძალითა ჩვენითა, რათა აღვხოცოთ ყოველი ბილწება სულისაგან ჩვენისა! რამეთუ განსწმედს პირველად ნათლისღებაი, ხოლო უკანასკნელ - სხვანი საქმენი კეთილნი.

რამეთუ ღმერთმან კაცთ-მოყვარებითა თვისითა მოგვცა ჩვენ შემდგომად ნათლის-ღებისა მიზეზნი მრავალნი განწმედისანი, რომელთაგანი არს პირველი მოწყალებაი, - რამეთუ მოწყალებითა და სარწმუნოებითა განწმდებიან ცოდვანი.

ხოლო მოწყალებასა არა მას ვიტყვი, რომელი ტაცებისა მიერ და მონახვეჭილთა მონაგებთაგან იქმნებოდეს, რამეთუ იგი არა მოწყალება არს, არამედ უკეთურება! რამეთუ რაი სარგებელ არს ერთისა განძარცვაი და მეორისაი? რამეთუ, დაღაცათუ ჩემი მოტაცებული გლახაკთა მივსცეთ, არა რაი სარგებელ იყოს და გამოაჩინებს ზაქე, რომელმან მოტაცებული ყოველივე ოთხკეცად უკვე ჰსცა. ხოლო ჩვენ ფრიადსა ვიტაცებთ და მცირედსა მივსცემთ და ამით ბჰგონებთ ღვთისა მომადლებასა, რომლისა მიერ უფროსად განრისხნების იგი. რამეთუ მითხარღა, ჰოი კაცო, უკეთუ ვითარი მომკვდარი გზასა ზედა ჰპოვო და მოითრივო და შეიღო საკურთხეველად, არა ყოველნი შენ გეცინოდინა? აწ უკვე გამხილებ, ვითარმედ მოტაცებულისაგან ქმნილი მოწყალება ამისსა უსაძაგელეს არს. რამეთუ ყოველივე ცოდვა სიმყრალე არს ბოროტი, და ისმინე წინასწარმეტყველისა, ვითარ იტყვის, ვითარმედ „შეყროლდეს და დალპეს წყლულებანი ჩემნი.“ ხოლო შენ სიტყვით ევედრები ღმერთსა დავიწყებად ცოდვათა შენთა და საქმით არა შეუნდობ მას დავიწყებად, არამედ მარად-დღე მოიხსენებ. რამეთუ უკეთურებისა მონაგებსა საკურთხეველსა ზედა დასდებ და წმიდათა მისცემ; ანუ იტყვი შენ, ვითარმედ არა მოტაცებულსა მივსცემ, არამედ სხვასა, რომელნი თვით ჩვენი იყოს და არა გულის-ხმა-ჰყოფ, ვითარმედ, დაღაცათუ სიმრავლესა საფასეთასა მცირედი უსჯულოებით მოგებული შთავარდეს, მას ყოველსა შეაბილწებს, - ვითარცა სკორე მცირე აღამღვრევს წყალსა წმიდასა და აღაყროლებს, და ჩვენ ხელთა ვიბანთ, მირავიდოდეთ ეკლესიად, ხოლო გულთა არა. და არა უწყით, ვითარმედ არა თუ ხელნი რას იტყვიან, არამედ სული იქმს ვედრებასა ღვთისა მიმართ. რამეთუ ჩვენ უნდოთა საქმეთა და მცირეთა ვისწრაფით ქმნად და დიდთ შეურაცხვჰყოფთ. რამეთუ, უკეთუ უბანელითა ხელითა ლოცვაი უწესოება არს, არა უფროსად შეგინებულითა სულითა ბოროტ არს ლოცვაი? ამისთვის ურიანიცა შექცეულ იყვნეს ბოროტთა საქმეთა და წყლითა დაბანასა ხელთასა მოსწრაფე იყვნეს! ამისთვის ეტყვის მათ წერილი, ვითარმედ „განიბანე უკეთურებისაგან სული შენი ვიდრემდის იყვნენ შენთანა გულის-სიტყვანი ბილწნი.“ განვიბანოთ უკვე ნუ მწვირითა, არამედ წყლითა მოწყალებისათა, და ნუცა ანგარებით. პირველად განეყენე მოხვეჭასა და ტაცებასა და მერმე ჰქმენ მოწყალება. „მოიქეც ბოროტისაგან და ჰქმენ კეთილი,“ დააყენენ ხელნი ანგარებისაგან და მოხვეჭისა და ესრეთ წარმართენ იგინი მოწყალებად. უკეთუ მითვე ხელითა, რომლითა ვჰსძარცვიდეთ სხვათა და სხვათა შევჰმოსდეთ, საძაგელ არს ესე წინაშე ღვთისა, რამეთუ კაენისთვისცა უმსჯობეს იყო, უკეთუმცა არა შეეწირა. ხოლო, რომელმან უკეთუ უდარესი შესწირა, განარისხა ღმერთი, ხოლო - რომელი შესწირვიდეს ღვთისასა (სხვისასა) არა ფრიად განარისხოსა, რამეთუ გრქვას შენ, ვითარმედ „მე არა მოტაცება გასწავე, და შენ მოტაცებულისა მიერ პატივ-მცემა, ჰგონებ

სამე უსჯულოო, მეცა შენვე გემსგავსო? აწ გამხილო და წარმოგიდგინნე წინაშე პირსა შენსა ცოდვანი შენნი.“ გარნა ნუ იყოფინ სმენად ერთსაცა ჩვენგანისა ამის ხმისა. არამედ გევედრები, ძმანო, რათა მოწყალება წმიდა ვჰქმნათ „და საუკუნენი კეთილნი ვჰპოვნეთ მადლითა და კაცთ-მოყვარეებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება და სიმტკიცე, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა კზ.

რათა არა ანგარებისაგან ვიქმოდეთ მოწყალებასა

საყვარელნო, იტყვის უფალი, ვითარმედ „ბრწყინევდინ ნათელი თქვენი წინაშე კაცთა, რათა იხილნენ საქმენი თქვენნი კეთილნი და ადიდებდნენ მამასა თქვენსა ზეცათასა.“ რამეთუ არა რაი არს უბრწყინვალეს საქმეთა კეთილთასა, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ „გზანი მართალთანი მსგავსად ნათლისა ბრწყინვენ,“ ხოლო ჰნათობენ არა თავით თვისით ოდენ, არამედ სხვათაცა განათლებად. ამისთვის გევედრები, საყვარელნო, რათა არა დავაკლოთ ზეთი ლამპართა ჩვენთა, რათა განძლიერდეს ნათელი მათი, რამეთუ ესე ზეთი მოწყალებისა მარადის კეთილ არს, რამეთუ იტყვის: „წყალობა მნებავს და არა მსხვერპლი.“ რამეთუ მსხვერპლი ქებისა ესე არს, რომელი არა განილევის არცა განიხრწნების, არამედ მარადის ბრწყინავს სადიდებელად ღვთისა. ამისთვის უკვე გევედრები, საყვარელნო ძმანო! შევსწიროთ ესე ვითარი ესე მსხვერპლი საკურთხეველთა ამათ ზედა, რომელი ესე უპატიოსნეს არს მარხვისაცა და ლოცვისა და სხვათა მრავალთა სათნოებათა, რამეთუ ესე ვითარი უყვარს მსხვერპლი ღმერთსა. არამედ ნუმცა არს ესე ანგარებისაგან ქმნილი, ნუცა მოტაცებულთა საფასეთაგან, რამეთუ ესე ვითარი სძულს ღმერთსა და გარე მიიქცევს პირსა თვისსა მათგან. ამისთვის ვეკრძალნეთ, რათა არა დატკბობისა წილ განვარისხოთ ღმერთი. და უკეთუ კაინ, ვინათგან უდარესი შესწირა ღმერთსა, დაისაჯა, რაი ვჰყოთ ჩვენ, უკეთუ ანგარებისაგან ვიქმოდეთ მოწყალებასა?! ამისთვის გევედრები, რათა არა მოხვეჭილთა მონაგებთაგან ვიქმოდეთ ქველისა საქმესა. უკეთუ ერთი გვლოცვიდეს და ერთი გწყევდეს, რაი სარგებელ არს, გარნა ცუდი შრომაი? ხოლო უკეთუ ვეკრძალებოდეთ, და ყოველსა ზედა ნებასა ღვთისასა აღსრულებად ვისწრაფდეთ, შევუძლოთ მიმთხვევად კეთილთა მათ საუკუნეთა, მადლითა და კაცთ-მოყვარეებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა შვენის დიდება, სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა კᲑ.

რათა არა მონახᲒეჭთაგან ვიქმოდეთ მოწყალებასა

საყვარელნო! ჩვენ რომელთა ესე სარწმუნოება ვიცით, აღვსდგეთ და ვადიდებდეთ უფალსა ნუ სარწმუნოებითა ოდენ, არამედ საქმეთა მიერცა კეთილთა, თუ არა (გვექნება კეთილი საქმე) არღარა დიდება არს, არამედ გმობაი, უკეთუ მცნებათა მისთა შეურაცხვყოფთ. რამეთუ არა ესრეთ იგმობის ღმერთი წარმართთაგან ცოდვისა მიერ, ვითარ ქრისტიანე, თუ ბოროტი იყოს და უკეთური. ამისთვის უკვე გევედრები, ძმანო, რათა ყოვლით კერძო ვისწრაფდეთ დიდებად ღმრთისა. რამეთუ იტყვის, „ვაი არს მონისა მის, რომლისა მიერ სახელი ღვთისა იგმობოდის.“ რამეთუ რაი წყალობა ვპოვოთ, ოდეს რომელთადა ბრძანებულ არს, რათა სხვათა მივსცემდეთ მოწყალებასა და ჩვენ სხვათაგან მივიტაცებდეთ - და უკეთუ უგლახაკეს ჩვენსაცა იყვნენ, და უფროსღა ქვრივ და ობოლ?! აწ უკვე ნუმცა ვითარცა ბნელსა შინა ვართ, არამედ ყოვლისაგან ცოდვისა ვივლტოდეთ, რამეთუ, უკეთუ ღმერთი სტანჯავს მათ, რომელთა მშიერი არა გამოზარდონ და რომელთა შიშველი არა შემოსონ, დასჯისა რაიმე ყოფად არს მათთვის, რომელთა შემოსილი განძარცვონ და ქვრივთა და ობოლთა აჭირვონ, და გლახაკთაგან მოიხვეჭდენ და მით მოწყალებასა და შესაწირავსა ჰყოფდენ! მსგავს არს ესე ვითარი, რომელმან შვილი ვისმე მისტაცოს და მასვე მამასა წინაშე დაუკლის და შესწიროს. ამათ ესე ვითართა სიტყვათა თქმად არა დავსცხრები, ნუ უკვე, რომელთა დღეს არა გვისმინონ, ხვალე გვისმინონ, და რომელნი ხვალე ურჩ იქმნენ, სხვასა დღესა ისმინონ, და უკეთუ კულა ვიეთნიმე ურჩებასა შინა დაადგრენ, ჩვენ უბრალო ვიყვნეთ, რამეთუ ჩვენ ჩვენი გვიქმნიეს. არამედ ნუმცავინ იქმნების თქვენგანი ურჩ, რათა არცა ჩვენ გვრცხვენეს, არცა თქვენ დაისაჯნეთ, არამედ ყოველნი კადნიერებით წარმოვუდგეთ საყდარსა ღვთისასა, და ჩვენ ვიქადოდეთ თქვენთვის და ჩვენთა ბრალთა ნუგეშინის-მცემელად გვაქვნდეს თქვენი სათნოება და ესრეთ საუკუნეთა მათ კეთილთა ღირს ვიქმნნეთ ქრისტეს იესოს მიერ უფლისა ჩვენისა, რომელსა შვენის დიდება თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა კთ. თავი ი. სათნოებისათვის

საყვარელნო, გულის-ხმა-ვყოთ, რამეთუ, რომელთა იგი ეშინოდა და ძრწოდეს, მათ მორაიღეს სული წმიდა. მეყვსეულად უშიშად შევიდოდეს ბრძოლად მახვილისა და ცეცხლისა და მხეცთა და ზღვათა და ყოვლისა ჭირისა და უსწავლელთა მათ და უმეცართა ესე ვითარი სიბრძნე და კადნიერება მოიღეს, ვიდრეღა ყოველი განაკვირვნეს, რამეთუ თიხისანი იყვნეს და რკინად გარდააქცივნა იგინი სულმან წმიდამან და ვერა რამან სძლია მათ, რამეთუ ესე ვითარი არს მადლი სულისა წმიდისა.

უკეთუ დახსნილებაი ჰპოვოს, განიოტებს, უკეთუ გულის-თქმა ბოროტი ჰპოვოს, განლევს, უკეთუ მოშიშება ჰპოვოს, წარსდევნის და არღარა კაცებასა შინა დაუტეობს მას, არამედ ვითარცა ზეცისასა. ესრეთ ყოვლითურთ მუნ მიიყვანებს გონებასა მისსა, და ამისთვისცა არღარა ვის მათგანს აქვნდა რაი თვისად, არამედ ყოველნი იყვნეს ლოცვასა შინა სიხარულითა გულისათა, რამეთუ ნაყოფი სულისა არს სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სარწმუნოება, სიმშვიდე.

მოვიგოთ უკვე, საყვარელნო, სათნოება, რათა ჩვენზედაცა მოვიდეს უძლეველი იგი შეწევნაი სულისა წმიდისა დამარხვითა მცნებათათა. და არცა ანგელოსთა უდარეს ვიყვნეთ, რამეთუ ანგელოსთაცა თვისისა გონებისა სიკეთითა აქვს ესე ვითარი დიდება და არა თუ მათ არა უხმს კრძალულებაი, უკეთუმცა არა რადმცა გარდამოვრდომილ იყო ერთი მათგანი. გარნა რამეთუ არა შეიკრძალა გონება თვისი, უარეს კაცთა უკეთურთასა და პირუტყვთასა იქმნა. და კვალად ყოველთა წმიდათა ქვეყანასა ზედა მყოფთა ხორცთა შინა ჰქმნეს რა იგი იქმნეს კეთილი და სათნოებაი, - რამეთუ, ვითარცა მწირნი და უცხონი, იყვნეს ქვეყანასა ზედა, და მოქალაქობა მათი იყო ცათა შინა. ამისთვის უკვე ნუ იტყვი თუ ხორცი მასხენ და ვერ ვიტვირთავ ოფლთა სათნოებისათა და შრომათა. ნუ აბრალებ ამათ სიტყვათა მიერ შემოქმედსა. რამეთუ იხილენ ყოველნი წმიდანი, რომელნი ხორცთა შინა იყვნეს, რაი ჰყვნეს: რამეთუ პავლე არა დააყენეს ხორცთა ყოფად რაი იგი ჰქმნა, არცა პეტრე დააყენეს მიხმად კლიტეთა სასუფეველისათა და ენუქ ხორცითა მიიცვალა და ილია ეგრეთვე ხორცითა აღიტაცა, და აბრაამ, და შვილი მისი ისააკ, და იაკობ, ძე ისააკისი ხორცითა გამობრწყინდეს მოქმედ სათნოებათა და იოსებ ხორცითა ბრძოლა უყო სიძვის მოყვარესა მას დედაკაცსა. და რად ვიტყვი ხორცთა ოდენ, რამეთუ დაღაცათუ ჯაჭვიცა ვინ შეიმოსოს ხორცითა არას ევნების მოგებად სათნოებათა და რად ჯაჭვსა ვიტყვი? ვერცა საპყრობილე, ვერცა საკვრელნი ძლიერნი დამხრწეველ ექმნებიან სათნოებათა! რამეთუ საკრველი სულისა არა რკინისა არს, არამედ გულისთქმა ბოროტი, შიში უჯეროი და სხვანი ყოველნი ვნებანი, იგინი შეჰკვრენ სულსა! დაღაცათუ ხორცნი ხსნილ იყვნენ. არამედ იტყვიან ვიეთნიმე, ვითარმედ ესეცა ვნებანი ხორცთაგან იშვებიანო. გარნა ამაოება არს ესე სიტყვა და მიზეზი ცუდი, რამეთუ, უკეთუმცა ხორცთა იყო ცთომა, ყოველთა ზედამცა მოიწეოდეს იგინი. რამეთუ, ვითარცა ჭამა, და სმა, და ძილი ყოველთა ზედა არს, ეგრეთვე ესემცა იყო ყოველი, ვინათგან მრავალნი განერნეს მათ. საცნაურ არს, ვითარმედ არა სადამე ხორცთაგან არს, არამედ უდებებისაგან სულისა. ხოლო ჩვენ უდებება მოვიწყვიდოთ, საყვარელნო, და გულს-მოდგინედ ვიქმოდეთ სათნოებასა, და ნუმცა ხორცთა ზედა დავსდებთ მიზეზსა, არამედ დავუმორჩილნეთ ხორცნი სულსა, რათა საუკუნეთა მათ კეთილთა მივემთხვივნეთ, მადლითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ლ.

ვითარმედ სათნოება განაბრძნობს კაცსა

საყვარელნო, ვისწრაფოთ, რათა ყოველი უკეთურება განვსდევნოთ სულთაგან ჩვენთა და არა ოდეს ვიქმოდეთ ზაკვასა. რამეთუ გულარძნილთა მიმართ გულარძნილნი გზანი მიავლინეს უფალმან ღმერთმან და წმიდა იგი სული ღვთისა ივლტის ზაკვისაგან და ზრახვათა ბოროტთა. რამეთუ არა რაი ესრეთ ცუდ-ჰყოფს კაცსა, ვითარ უკეთურებაი და არა რაი ესრეთ განაბრძნობს კაცსა, ვითარ სათნოებაი. რამეთუ ჰყოფს კაცსა სათნოება მადლიერ, კაცთ-მოყვარე, მშვიდ და ტკბილ და რაიმცა იყო ესე ვითარისა მის უბრძნეს? რამეთუ წყარონი და ძირი სიბრძნისა სათნოება არს, ვითარცა იგი ყოვლისა უკეთურებისა დაწყებაი უგუნურებისაგან არს. რამეთუ ამპარტავანი და მრისხანე ნაკლულევანებისაგან ცნობისა იძლევის ვნებათაგან. ამისთვისცა წინასწარმეტყველი იტყოდა, „არა არს კურნება ხორცთა ჩემთა პირისაგან უგუნურებისა ჩემისა.“ რათამცა გვიჩვენა, ვითარმედ ყოველი ცოდვა დაწყებასა უგუნურებისაგან მიიღებს, ხოლო სათნოებით შემოსილი კაცი და მოშიში უფლისა, უბრძნეს ყოველთასა არს, რამეთუ დასაბამი სიბრძნისა არს შიში უფლისა. ხოლო უკეთურსა შიში უფლისა არა აქვს, სიბრძნისაგან სადამე გამოხვებულ არს და უუგუნურეს არს ყოველთასა და მრავალნი უკეთურთა ბრძნად უწოდენ. რამეთუ ავნებენ სხვათა ხელოვნად და არა იციან, ვითარმედ ესე არს დიდი უგუნურებაი. რამეთუ, რომელი სხვასა ავნებდეს, არა მას ავნებს, არამედ თვისსა გულსა განიწონს მახვილსა და ვერ გულის-ხმა-ჰყოფს და ესე არს დიდი უგუნურების სასწაული. არამედ ჩვენ ნუმცა ჭირვეულთა და სხვათაგან ვნებულთა სახელ ვსდებთ უბადრუკად, არამედ უფროსად მავნებელთა და მაჭირვებელთა მათთა. რამეთუ იგინი არიან ვნებულნი, რომელნი ღმერთსა მბრძოლად აღიდგენენ თავთა თვისთათვის და ბევრეულთა შესმენათა პირსა აღუღებენ და დიდსა სასჯელსა განიმზადებენ ჯოჯოხეთსა შინა. ხოლო, რომელნი ჭირვეულნი იყვნენ და მოითმენდენ, მათ ღმერთიცა ჰსწყალობს და ყოველნი კაცნი, და ამასცა სოფელსა სიბრძნესა თვისსა აჩვენებენ, და მას საუკუნესა დაუსრულებელთა კეთილთა ჰპოვებენ, რომელთა ღირსმცა ვართ ჩვენ ყოველნი მიმთხვევად, მადლითა და კაცთ-მოყვარებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა მიერ და რომლისა თანა მამასა ჰშვენის დიდება, სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ლა. სათნოებისათვისვე

გლოცავ და გევედრები, საყვარელნო ძმანო, რათა მოსწრაფე ვიყვნეთ სათნოებათა მოგებად, სათნო ყოფად სახიერისა მის ღვთისა, რომელნი იგი სარგებელ

ჩვენდა იყვნენ, ესე იგი არს, რათა სულთა ჩვენთათვის კეთილად ვზრუნვიდეთ, რამეთუ ესეცა მისის კაცთ-მოყვარეობისაგან არს, რომელ არა რაი ეხმარების მას ჩვენგან და ჩვენსა ოდენ კეთილსა და სათნოებასა ეძიებს, - და იგი შეურაცხიეს ვითარცა მისაგებელად მისთა კეთილთა, რაჟამს ჩვენ სულთა ჩვენთათვის კეთილად ვზრუნვიდეთ.

ამისთვისცა უკვე ფრიადისა უგულისხმოებისა სახე არს, რათა ვინათგან მეუფესა ჩვენსა ესრეთ ნებავს ჩვენი ცხოვრება და ჩვენ არა ვჰქმნათ ძალისაებრ ჩვენისა კეთილი და სათნო ვეყვნეთ, რათამცა მივემთხვივნეთ ურიცხვთა მათ კეთილთა. ამის ყოვლისათვის უკვე შევსწიროთ მადლი კაცთ-მოყვარესა ღმერთსა - ნუ სიტყვით ოდენ, არამედ უფროსად საქმეთა მიერ კეთილთა, რათა საუკუნენი კეთილნი მოგვეცნენ, რომელთა ღირსმცა ვართ ყოველნი მიმთხვევად მადლითა და კაცთ-მოყვარებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა ჰშვენის დიდება სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ლბ. თავი ია.

წმიდათა წერილთა კითხვისათვის

საყვარელნო, იტყვის უფალი, ვითარმედ, ყოველი მწიგნობარი, რომელსა უსწავლიეს სასუფეველისათვის ცათასა, მსგავს არს კაცსა სახლისა უფალსა, რომელმან გამოიღის საუნჯისაგან თვისისა ძველი და ახალი. რამეთუ, მწიგნობარი არს, რომელი შრომითა და გულს-მოდგინებითა კითხვასა ყოფს საღმრთოთა წერილთასა. რამეთუ ესე საუნჯესა დაიდებს მცნებათა ძველისა ჰსჯულისა და ახლისა აღთქმისასა და მას ჟამსა შინა მოიღებს მისგან მოძღვრებასა. და რაოდენნი არა დაიმარხვენ სწავლასა წმიდასა წერილთასა, ესენი არა არიან სახლისა უფალნი: არცა თვით-მქონებელნი, არცა სხვათა მიმცემელნი, არამედ უგულებელს ჰყოფს თავსა თვისსა უმეცრებით და სიყმილით განხრწნის სულსა. რამეთუ, ვითარცა ქვეყანასა უწვიმარსა, თუ ვინმე მრავალნი თესლნი დასთესნეს აღორძინებად ვერ უძლებს, ეგრეთვე სულსა, უკეთუ არა პირველ მოირწყოს წერილთაგან, არა ძალუძს ნაყოფსა კეთილის ყოფად. რამეთუ დიდი ბოროტი არს, რომელნი არა ისმენენ წერილისასა და, ვითარცა პირუტყვნი, ვლენან. და დიდი კეთილი არს წერილის კითხვა და სმენა, რამეთუ მისგან აღმოეცენებიან ყოველნი კეთილნი სწავლანი და წმიდათა მობაძაობა და ისწავების ზეცისა მოქალაქობა. ხოლო რომელნი არა ისმენენ წერილთა, მათგან იშობებიან მრავალნი ძვირნი და არიან უდებსა ცხოვრებასა შინა, და სულითა ბრმანი, ვითარცა ნათლისაგან მოკლებულნი, სწორად ვერ ვლენან და ეშმაკი ფრიად უბრკმობს. ამისთვის გვასწავებს მოციქული, ვითარმედ „ეკრძალენით საკითხავსა და მოძღვრებასა ნუგეშინის-ცემითა,“ ესე იგი არს, ვითარმედ არა მომედგრდეთ, არამედ

იკითხვიდეთ წიგნთა გულის-ხმის-ყოფით და სხვათაცა ასწავებდეთ, რათა მრჩობლი სასყიდელი მოიღოთ ღვთისა მიერ, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ლგ. წმიდათა წერილთა კითხვისათვის

საყვარელნო, ჯერ არს ჩვენდა, რათა მოვიგებდეთ წიგნთა და აღმოვიკითხვიდეთ გულის-ხმის-ყოფით, არა ფიცარსა ზედა ქვისათა, არამედ ფიცარსა ზედა გულისა ჩვენისათა დავიწერდეთ და აღსრულებად საქმითცა სურვიელ ვიყვნეთ. და აღუხოცელად გონებათა შინა ჩვენთა შთავწერნეთ ძალნი და სიტყვანი წიგნთანი. რამეთუ, უკეთუ სახლსა შინა, სადა წმიდა სახარება იდვას, ვერ შევალს ეშმაკი, არა უფროსად სულსა, რომელსა შინა ძალი სიტყვათა დამკვიდრებულ იყოს, შეეშინოსა შესლვად? და არა ოდენ ეშმაკსა, არამედ ყოველსა ბუნებასა ცოდვისასა. ამისთვის, გევედრები, საყვარელო, წმიდა ჰყავ სული შენი, წმიდა ჰყავ ხორცნიცა ამით საღმრთოთა სიტყვათა გულთა შინა და პირსა შენსა დამკვიდრებითა. რამეთუ უკეთუ ბოროტთა სიტყვათა მეტყველებაი შემაგინებელ კაცისა არს, ხოლო სულიერთა სიტყვათა წურთამან და კითხვამან და სმენამან არა განსწმიდოსა პირიცა და სული და გონება, და დაემკვიდროს მას შინა მადლი სულისა წმიდისა?! საღმრთონი წერილნი - წამალნი არიან სულისანი. განვჰკურნეთ უკვე მათ მიერ სულნი ჩვენნი. ხოლო ესე ვითარი არა ბოროტ არს, რამეთუ მოყვარეთა სოფლისათა იციან მონაგებთა თვისთა ყოველი ბუნება: და ცხენთა თითოეულისა პაპის პაპანი და ბუნებანი, და რომელნი აქა ეკლესიასა შინა შემოჰკრბებით, არა იცით აქა შინა თქმულნი სიტყვანი, არცა თუ რიცხვი და სახელი წიგნთა?! არამედ გევედრები, განეშორენით ყოვლისაგან საქმისა ბოროტისა და ღირს იქმნნეთ გულის-ხმის-ყოფასა საღმრთოთა სიტყვათა და საქმეთა, რათა ნაყოფიცა კეთილი გამოიღოთ და ღირს იქმნნეთ დამკვიდრებად საუკუნეთა მათ კეთილთა, მადლითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა შვენის დიდება სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ლდ. წმიდათა წერილთა კითხვისათვის

საყვარელნო, უკეთუ გულს-მოდგინედ გამოვეძიებდეთ წმიდათა წერილთა გამოწლვილვით და არა ლიტონად, შევუძლოთ პოვნად ცხოვრება სულთა ჩვენთა. უკეთუ მარადის ვისმენდეთ სიტყვათა წერილისათა, ესრეთ მოვიგოთ სიმტკიცეცა მართლისა სარწმუნოებისა და ცხოვრება კეთილი. ვისმენდეთ უკვე სიტყვათა წერილისათა. ჰოი საყვარელნო, დაღაცათუ სხვისა წიგნისა მიერ განვნათლდეთ, არამედ უფროსღა წმიდასა სახარებასა ვისმენდეთ და ზედას-ზედა ვიკითხვიდეთ მას,

რამეთუ მეყვსეულად განრააღოთ წიგნი, იხილოთ მას შინა სახელი ქრისტესი დაწერილი. და გესმას მეყვსეულად, იტყოდეს რა, ვითარმედ „იესოს ქრისტეს შობა ესრეთ იყო,“ და კვალად იხილო და აღმოიკითხო, იტყოდის რა იგი ვითარმედ, „ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა,“ არა სურვიელ იქმნაა ტკბილისა მის უღლისა? კვალად ისმინო, ვითარმედ, „უკეთუ გიყვარ მე მცნებანი ჩემნი დაიმარხენ და რომელსა უყვარდე მე, საყვარელ იყოს მამისა ჩემისა მიერ და მეცა შევიყვარო იგი და მოვიდეთ მე და მამა ჩემი და მის თანა სავანე ვჰყოთ.“ არა გსუროდის ამათ სიტყვათა ტკბილისა მის მეუფისათა? და მერმეცა იხილო და აღმოიკითხო, ვითარმედ შენთვის შეიკრა და ჯვარსა მოეკიდა და სიკვდილისა გემო იხილა. არა შეიკდიმოა და ლმობიერ იქმნა შენანებად ცოდვათა შენთა? აჰა ესე რა ესოდენნი კეთილნი და სარგებელნი აღმოეცენებიან წმიდათა წერილთა კითხვისა და სმენისაგან. ამისთვის უკვე გევედრები, საყვარელნო ძმანო, რათა მოვიგებდეთ წიგნთა და მათთანა გულის-ხმის-ყოფასაცა, და რათა გულის-ხმა-ვჰყოფდეთ სიტყვათა მათ და დავსწერდეთ მათ გონებათა შინა ჩვენთა დამტკიცებად სიტყვათა მათ, რათა ესრეთ შევუძლოთ ცხოვრებისა ამის ჩვენისა წმიდა ყოფაი და ღირს ვიქმნნეთ საუკუნეთა მათ კეთილთა, რომელნი მოცემულ არიან ჩვენდა მადლითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა ჰშვენის დიდება სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ლე. თავი იბ.

ქრისტეს მცნებათა დამარხვისათვის

გევედრები, საყვარელნო ძმანო, ვისმინოთ ხმაი მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი, და მას ვმორჩილებდეთ. ხოლო რაი არს ხმა მისი: „ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა; ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა; ნეტარ იყვნენ მოწყალენი.“ უკეთუ ამას ვიქმოდეთ, ქრისტესთანა ვართ და ეშმაკი ვერ შემოგვეხოს და უკეთუ მოგვეახლოს, მეყვსეულად შეიმუსროს, რამეთუ ქრისტე მეუფე არს ჩვენი, რომელსა ესრეთ უყვართ, რომელ სულსა თვისსა დასდებს ჩვენთვის და ძლიერი ყოველთა მეუფე და უფალი. ხოლო ვინათგან ძლიერიცა არს და უყვართცა, რაიღა არს დამაყენებელ ჩვენდა ცხოვრებად? არა რაი გარნა ჩვენი უდებებაი, და იტყვის: „ვერ ძალ-გიძს ღმრთისა და მამონისა მონებაი,“ აწ უკეთუ ღმერთსა ვჰმონებდეთ, მამონას მძლავრება არა მოიწიოს ჩვენ ზედა, რომელი უბოროტეს არს ყოვლისა მძლავრებისა სიყვარული საფასეთა, რომელი სავსე არს შურითა და ხდომითა, ბილწებითა, ანგარებითა, სიმთვრალითა და აზნაურთა ჰყოფს მონა არა კაცთა მონა, არამედ ვნებათა. ჰოი მონება საეშმაკოი, რომელსა მრავალნი სულნი დაუბნელებიან და დაბნელებულნი იგი ვერ ჰსცნობენ წარწყმედასა მათსა, და უფროსად არა ჰნებავს ცნობაი, არამედ უხარის ბოროტსა მას

შინა, და უკეთუ ვის ენებოს ხსნაი მათ, განრისხებულ იქმნებიან. ჰოი კაცო! არა თუ ამისთვის დაიბადე, რათა მარადის ოქროსა და ვერცხლსა ჰმონებდე, არა თუ ამისთვის შეგქმნა ღმერთმან ხატად თვისად, არამედ ამისთვის, რათა მარადის მას სათნო ეყო და ჰპოვნე საუკუნენი კეთილნი და ანგელოსთა თანა იშვებდე?! ხოლო შენ რად შთააგდებ თავსა შენსა უკანასკნელსა მას უნდოებასა შინა ესე ვითარისა პატივისა წილ? რამეთუ ძმა შენი რომელი მისვე ემბაზისაგან შობილ არს, რომლისაგანაც შენ, იგი სიყმილითა განიხრწნების, და შენ სიმაძღრითა განსქდები? იგი შიშველი განიყინების და შენ სამოსელთა ზედა სამოსელთა შესძინებ საჭმლად მატლთა? და არა უმჯობეს იყოა, უკეთუმცა გლახაკთა შემოსე და რათამცა განუხრწნელ და წარუპარველ იყო და საუკუნომცა ცხოვრება მოგენიჭა? ანუ არა გვამი ქრისტესი უპატიოსნეს არსა არტახისა და კიდობნისა. რამეთუ არა თუ განუხრწნელად ოდენ დაიმარხავს სამოსელთა, არამედ უბრწყინვალესცა ჰყოფს? არცა კართა და მოქლონთა გიხმს შეკრძალვაი შიშისათვის მპარავთასა, რამეთუ ყოვლისაგანვე წარპარვისა უშიშ არს იგი და არს დამარხულ ცათა შინა? ამას ყოველსა მე არა დავსცხრები თქმად მარადის და თქვენ არა ისმენთ! არამედ ნუმცა არს ესე თქვენ ყოველთა ზედა, გარნა ისმინეთ ჩემი მდიდარნო და გლახაკნო, რამეთუ გლახაკთაცა ძალუძს, ენებოს თუ ქმნად მოწყალებისა, პურითა და გრილითა წყლითა და ხილვითა უძლურთათა და სიტყვათა ნუგეშინის ცემისათა, და დადგენითა სახლსა შინა თვისსა უცხოსათა. რამეთუ არა სიმრავლესა საფასეთასა ვეძიებთ გლახაკთაგან, არამედ ამას მდიდართაგან ვეძიებთ, ხოლო გლახაკთაგან ქმნად ძალისაებრ თვისისა თვითოეულმან ქველის საქმე და შეიწირავს მას ღმერთი.

რაოდენნი ინატრიან, რათამცა პოვნილ იყვნეს მას ჟამსა, რაჟამს ქრისტე იქცეოდა ქვეყანასა ზედა, რათამცა შეეწყნარა იგი სახლად თვისა? ხოლო აჰა ესე რა, შესაძლებელ არს აწცა ამის საქმისა ქმნაი, უკეთუ ვის ენებოს, რათა მოუწოდოთ მას სახლად თქვენდა და მიიღოთ კურთხევა მისგან და გესმას მას დღესა: „მოვედით კურთხეულნო მამისა ჩემისანო და დაიმკვიდრეთ სასუფეველი განმზადებული თქვენთვის უწინარეს სოფლის დაბადებისა, რამეთუ მშიოდა და მეცით მე ჭამადი“ და შემდგომი ამისი. აწ უკვე, საყვარელნო, უკეთუ გვსურის ქრისტეს მცნებათა აღსრულებაი, და უკეთუ გვნებავს, რათა ესე ხმა გვესმას, შევმოსოთ შიშველი, შევიწყნაროთ უცხოი, გამოვზარდოთ მშიერი, ვასვათ წყურიელს, მივიდეთ სნეულისა და საპყრობილესა მყოფისა, რათა ვჰპოვოთ მას დღესა კადნიერება და შენდობა ცოდვათა და საუკუნოთა კეთილთა მივემთხვივნეთ მადლითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა ჰშვენის დიდება სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ლვ.

ქრისტეს მცნებათა დამარხვისათვის

ქრისტესა მეუფესა ვბაძვიდეთ, საყვარელნო, რომელმან არა თუ ოდენ მოითმინა ყვედრებანი ურიათაგან, არამედ ბევრეულნი კეთილნი უყვნა მათ, რომელნი იგი აგინებდეს მას და ეძიებდეს მოკვლად. და რად ვიტყვი თუ კეთილი უყო, რამეთუ სულიცა თვისი დასდვა მათთვის და, ჯვარს აცვეს რა, მათთვის მამასა ევედრებოდა? ჩვენცა უკვე, ძმანო, ვჰბაძვიდეთ მას, რამეთუ ესე არს, ქრისტეს მცნებისა აღსრულება და მოწაფე ყოფა მისი, რათა კაცი მშვიდ იყოს და მდაბალ. ხოლო სიმშვიდე ვითარ მოვიგოთ, უკეთუ ცოდვათა ჩვენთა არა ვიხსენებდეთ და ვიგლოვდეთ და ვსტიროდეთ? რამეთუ სადა გლოვა იყოს, მუნ მრისხანება ვერ დაიმკვიდრებს, სადა შემუსრვილება გულისა არს, მუნ გულფიცხელობა არა იპოვების. რამეთუ რაჟამს გონება იტანჯებოდინ გლოვისა მიერ და ყოვლადვე ვერ შემძლებელ არნ განრისხებად, არამედ ქვე დადრეკილი იგლოვნ და სტირნ. რამეთუ ტირილისაცა არს საწუთო ესე და გლოვისა, ვინათგან მრავალთა მიერ ცოდვათა შებღალულ ვართ საქმითცა და სიტყვით, რომელთათვის მიგველის გეენიაი ცეცხლისა და განვრდომა სასუფეველისაგან, რომელი ესე უბოროტეს არს ყოვლისავე და ვინაითგან ესე ესრეთ არს, ვითარ იკადრებ შენ სიცილსა და განცხრომასა, რომელსა ეგე რისხვა მეუფისა გესმის და სდგა უდებებით და არ სძრწი? არა გესმისა, ვითარ იტყვის, ვითარმედ „მას დღესა ჰრქვას მეუფემან მარცხენითთა, წარვედით ჩემგან წყეულნო ცეცხლსა მას განმზადებულსა ეშმაკისათვის და ანგელოზთა მისთათვის, რამეთუ მშიოდა და არა მეცით მე ჭამადი“ და შემდეგი ამისი?!

ისმინე იგავი ქალწულთა მათ, ვითარ განვარდეს სასძლოსა მისგან? ვინათგან ზეთი წყალობისა არა აქვნდა. ისმინე წინასწარ-მეტყველისა, ვითარ იტყვის, „შემიწყალე მე ღმერთო დიდითა წყალობითა შენითა?“ რამეთუ ეგრეთვე ჩვენ თანაგვაძს მოწყალება მოყვასისა, ვითარცა, ჩვენ ვითხოვთ ღვთისა მიერ. რამეთუ მოწყალება კეთილი ესე არს, რაჟამს ნაკლულევანებისაგან ჩვენისა მივსცემდეთ. და უკეთუ კულა ნამეტნავისაგანცა არა მივსცემდეთ, არა ვუწყი, თუ ვითარი წყალობა ვჰპოვოთ მას დღესა, ანუ ვითარ განვერნეთ სატანჯველთაგან. რამეთუ უკეთუ ქალწულთა მათ ესოდენთა შრომათა და მოღვაწებათა შემდგომად არა რაი ჰპოვეს ნუგეშინის-ცემაი, რაი ვჰყოთ ჩვენ საწყალობელთა ამათ, რაჟამს ესრეთ გვაყვედრებდეს ქრისტე, ვითარმედ „მშიოდა, და არა მეცით მე ჭამადი, და რაოდენი არა უყავთ ერთსა მცირეთგანსა, არცა მე მიყავთ.“ რამეთუ ყოველივე კაცი გინა დიდი იყოს, გინა მცირეოდენ მორწმუნე იყოს და არა ვჰყოთ მის თანა წყალობაი?! ესე სიტყვა გვესმას ჩვენ, ძმანო, რაისა ძნელსა ეძიებს ჩვენგან მეუფე, და არა იტყვის, თუ უძლურ ვიყავ, და არა აღმადგინე, არამედ არა მიხილეო. არა იტყვის, თუ საპყრობილესა ვიყავ და არა გამომიყვანეთ, არამედ არა მოხვედით ჩემდამო. რაზომცა უკვე მსუბუქ არიან მცნებანი

ესე ქრისტესნი, ესე ზომცა მძიმე არიან სატანჯველნი მათთვის, უკეთუ არა აღვასრულნეთ. რამეთუ რაი არს უადვილეს საპყრობილესა მისვლისა, ანუ უმჯობეს, სადაცა იხილნე რომელნიმე კრულნი, რომელნიმე ტანჯვასა შინა, რომელნიმე მშიერნი, რომელნიმე უძლურნი საწყალობელნი? დაღაცათუ ქვაი იყო, ლმობიერ იქმნე, იხილნე რა საქმენი კაცობრივნი, და საუკუნოცა სატანჯველი მოიგონო და ესრეთ განიოტო შენგან გულის-წყრომაი, და გულის-თქმა, და სიყვარული საწუთოისა, და გულის-ხმა-ჰყო, ვითარმედ, უკეთუ კაცთა მიერ ესე ვითარნი შიშნი და ტანჯვანი და სასჯელნი არიან, რაიმე ყოფად არს წინაშე ღვთისა დღესა მას განკითხვისასა? ამისთვისცა ბრძენი იგი იტყოდა, „კეთილ არს შესვლა სახლსა გლოვისასა, ვიდრე სახლსა სიხარულისასა.“ გევედრები, საყვარელნო ძმანო, დავიმარხნეთ მცნებანი ქრისტესნი და აღვასრულნეთ იგინი მიხედვითა სნეულთა და შესვლად საპყრობილესა, რათა გვესმას ხმა იგი სანატრელი, ვითარმედ „კეთილ მონაო სახიერო და სარწმუნოო, შევედ სიხარულს უფლისა შენისასა,“ რომელსა ღირსმცა ვართ მიმთხვევად ყოველნი მადლითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა ჰშვენის დიდება სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ლზ.

ქრისტეს მცნებათა დამარხვისათვისვე

ჰოი ძმანო საყვარელნო! დავიმარხნეთ მცნებანი ქრისტესნი, რამეთუ იტყვის: „უკეთუ გიყვარ მე, მცნებანი ჩემნი დაიმარხენით.“ რაი არს მცნება მისი? ესე იგი არს ჭმევა მშიერთა, სმევა წყურიელთა, შემოსვა შიშველთა, შეწყნარება უცხოთა, ხილვა სნეულთა, მისვლა საპყობილესა მყოფთა. უკეთუ კულა იტყვი, ვითარმედ საპყრობილესა შინა, არა თუ კაცნი საღმრთონი არიან, არამედ კაცის მკვლელნი და ავაზაკნი და მპარავნი? არამედ ჩვენდა არათუ ბრძანებულ არს, რათა კეთილნი გვეწყალოდენ და ბოროტთა ვსტანჯვიდეთ! რამეთუ იტყვის უფალი, „იყვენით მოწყალე, ვითარცა მამა თქვენი ზეცათა, რამეთუ აღმოაბრწყინვებს მზესა თვისსა ცოდვილთა ზედა და მართალთა,“ და შენცა უკვე ნუ ხარ უწყალო მსაჯული, არამედ გულის-ხმა-ჰყავ, რამეთუ ჩვენცა მრავალთა ცოდვათა თანამდებ ვართ, რომელნი შემძლებელ არაინ ჩვენდა შთაგდებად არა საპყრობილესა, არამედ ჯოჯოხეთსაცა!

რამეთუ მრავალ გზის ძმათა მიმართ „ცოფ და რაკა გვითქვამს,“ და დედათა მიმართ გულისთქმით მიგვიხედავნ, რომელ ესე მრუშება არს და მრავალ გზის უღირსებით ვზიარებულ ვართ?! ესე ვითარითა ცოდვითა შებღალულნი, რომლისადა ანგელნოსნი ვერ იკადრებენ შეხებად, რომელ ესე ჩვენთვის უძვირეს არს ყოვლისავე,

ნუმცა უკვე სხვათა ბრალთა გამოვიძიებთ? არამედ თავთა თვისთა ცოდვათა მოვიხსენებდეთ, რამეთუ ქრისტე არა მართალთა თანა ოდენ იქცეოდა, არამედ ცოდვილთა თანაცა, ვითარცა იგი ქანანელსა და სამარიტელსა, და მეძავსა მას და სხვათა მრავალთა. და ჩვენ შებღალულნი მრავალთა მიერ ცოდვათა, შეურაცხ-ვჰყოფთა მათ, რომელნი იგი მისვე მიწისაგან ქმნულ არიან, ვინაიცა ჩვენ, რაისა იტყვის საპყრობილესა შინა ბოროტნი კაცნი არიანა, ხოლო ქალაქსა შინა ყოველნი კეთილნი არიანა? რამეთუ არა მცირედნი არიან უკეთურნი ქალაქთაცა და ჩვენ ყოველნი ცოდვათა თანამდებ ვართ. რაისათვის უკვე დაუტეობთ თვისთა ცოდვათა და სხვათა ვჰხედავთ, და სადა კაცთ-მოყვარებისა ჟამი იყოს გამოვეძიებთ უკეთურებასა. არამედ ვიხილნეთ-ღა თავნი ჩვენნი, თუ ვითარ ვიყვენით ოდესმე ჩვენცა და ესრეთ ვიქმნნეთ სახიერ, რამეთუ ჩვენცა ვიყვენით ოდესმე ურჩ, უგუნურ და შეცთომილ მონა თვითო სახეთა მათ გულის-თქმათა. უკეთურ, მოძულე ძმათა და შვილ რისხვისა. ხოლო ღმერთმან იხილა რა, ვითარსა საპყრობილესა შინა ვიყვენით და ვითარითა ჯაჭვითა შეკრულ, არა სირცხვილ იჩინა, არამედ მოვიდა საპყრობილედ და ჩვენ გამოგვიყვანნა მიერ და მოგვიყვანნა სასუფეველად და ცათა უმაღლეს მყვნა, რათა ჩვენცა ძალისაებრ ჩვენისა ვჰბაძვიდეთ მას. რამეთუ მოწაფეთა რა ეტყოდა, ვითარმედ „უკეთუ მე დაგბანნენ ფერხნი უფალმან და მოძღვარმან, თქვენცა თანა გაძსთ ურთიერთარს ფერხთა დაბანაი, რამეთუ სახე მიგეც თქვენ, რათა ვითარცა მე ვჰქმენ, ეგრეთცა თქვენ იქმოდეთ.“ არა თუ ფერხთა დაბანისათვის ოდენ ჰსთქვა, არამედ ყოვლისათვისვე, რათა მარადის მას ვბაძვიდეთ და მცნებათა მისთა ვიქმოდეთ.

ეგრეთვე უკვე ჩვენ გინათუ ბოროტი ვინ იყოს, გინათუ კეთილი, კეთილის ყოფასა ნუ დავაცხრობთ და მრავალ-გზის იპოვისცა კაცი დიდ წინაშე ღვთისა. რამეთუ აბრაჰამცა ყოველთა შეიწყნარებდა და მერმე შეიწყნარნა ანგელოსნი. ეგრეთვე ჩვენცა მივემთხვივნეთ კაცთა მაღალთა. უკეთუ მარადის კეთილსა ვიქმოდეთ, დაღაცათუ აქა არა მივემთხვივნეთ კაცთა წმიდათა, ღმერთმან არა იცნისა, თუ ვისთვის ვიქმთ მოწყალებასა?!

ესე ყოველი გულის-ხმა-ვჰყოთ, საყვარელნო, და მარადის აღვასრულებდეთ ქრისტეს მცნებასა და ვიქმოდეთ ქველისა საქმესა ჭირვეულთა ზედა და მივიდოდეთ საპყრობილესა შინა მყოფთა, რათა მათცა ვარგოთ და ჩვენცა ვირგოთ უმეტესი და ღმერთი იდიდოს ჩვენთა ზედა სათნოებათა და ესრეთ ღირს ვიქმნნეთ საუკუნეთა მათ კეთილთა მადლითა და კაცთ-მოყვარეობითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა მიერ და რომლისა-თანა მამასა შვენის დიდება სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნესამდე, ამინ.

სწავლა ლწ. თავი იგ. მოთმინებისათვის

საყვარელნო, რაჟამს გესმას, ვითარმედ მეუფე ყოველთა შეკრული განისჯებოდა, ნურა რად შეგირაცხიეს სოფლისა ამის საქმენი! უკეთუ ქრისტემან ესოდენნი ვნებანი თავს იდვაა და მოითმინა შენთვის და შენ სიტყვაცა არა თავს იდვა მისთვის და მოითმინო სიხარულით? არამედ ქრისტე თავს იდებს ნერწყვასა, და შენ იმკობი სამოსლითა შვენიერითა და ბეჭდითა აბრწყინვებ ხელთა შენთა? ქრისტე იყვედრებოდა და იგინებებოდა და იცემებოდა, ხოლო შენ მცირედსა ჭირსა არა თავს-იდებ? არამედ ეძიებ პატივსა. რაჟამს ვინმე გაგინოს, საყვარელნო, მოიხსენე ქრისტესი, ვითარ აგინებდეს! უკეთუ ვინ განგკიცხოს, მოიგონე, რამეთუ კიცხევით თაყვანის-ცემდეს მას და ეცინოდეს. და არა თუ ოდენ ბოროტი არა უყო, არამედ სიმშვიდით და ტკბილად თავს იდებდა ყოველსავე. მას უკვე ვბაძვიდეთ, ჰოი ძმანო! და რომელი მან ჩვენთვის თავს იდვა, ჩვენ ჩვენთვისვე არა მოვითმინოთა? რამეთუ რად განრისხნები მაგიმენელისა შენისათვის, უკეთუ უსამართლოდ გაგინა? არა ჯერ არს განრისხება, არამედ უფროსად წყალობა მისი. რამეთუ შეცთომილ არს, უკეთუ კულა სამართლად გაგინა, მაშინ ჯერ არს მყუდროებით მოთმენაი, რამეთუ სამართალსა იტყვის: რამეთუ უკეთუ მდიდარიმცა იყავ და გლახაკად ვინ გიწოდა, რადმცა დაგეთმინა შენ სიტყვა იგი, ანუ თუ გლახაკი გიწოდონ? ეგრეთვე არა განრისხნი, რამეთუ სამართალ არს. ეგრეთვე უკვე გულის-ხმა-ყოფდი ყოველსავე და კეთილად მოითმინო. უკეთუ კულა სხვათა წინაშე გაგინოს და გრცხვენოდეს მათ ყოველთაგან, გულის-ხმა-ჰყავ, რამეთუ უფროსად კეთილ არს, რათა იხილონ მათ ყოველთა მოთმინება შენი და გაქონ და მას აბრალონ, ხოლო უკეთუ არავინ იყოს მუნ ბრძენი, მაშინ უფროსად იხარებდ, რამეთუ ღმერთი ჰხედავს და წმიდანი ანგელოსნი მოთმინებასა შენსა და მუნ გაქებდენ. რამეთუ უმჯობეს არს ერთისა ანგელოსისა ქებაი, ვიდრე ყოვლისა სოფლისა. და რად ვიტყვი ანგელოსთა, რამეთუ თვით თავადმან ღმერთმან გაქოს წინაშე ანგელოსთა და ყოველთა კაცთა? ამათ ესე ვითართა გულის-სიტყვათა მოვიგონებდეთ, საყვარელნო, და მადლობით მოვითმენდეთ ყოველსავე, რამეთუ, უკეთუ გვაგინოს ვინ, იგი არს ბოროტ. არამედ უკეთუ შური ვიძიოთ მის ზედა და უკეთუმცა არა კეთილ იყო დუმილით თავს-დებაი, და მოთმინებაი, არამცა ეთქვა ქრისტესა, ვითარმედ, „უკეთუ ვინ გცეს ყვრიმალსა მარჯვენესა, მიუპყარ მეორეცა.“ არამედ ყოველი ბოროტი ჩვენ ზედა ამისთვის არს, რამეთუ კაცობრივთა საქმეთა ვეძიებთ და არა ღვთისათა, გარნა ვისწრაფოთ ხსენება თვისთა ცოდვათა და ესრეთ შემუსრვილად წარვლოთ ცხოვრება ესე, რათა მივიწივნეთ ზეცად მცირედ-მცირედ, ვითარცა კიბითა, რამეთუ ამას მოასწავებდა კიბე იგი იაკობისი - ამაღლებასა სათნოებითი სათნოებად. აღვიდოდეთ უკვე, საყვარელნო, კიბესა მას, რათა მივიწივნეთ ცად და ვჰპოვნეთ კეთილნი იგი საუკუნენი მადლითა და კაცთ-მოყვარებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ლთ. მოთმინებისათვისვე

საყვარელნო! ვითარცა უფალმან ჰსძლო (დასძლია სოფელი) სოფელსა, შესაძლებელ არს უკვე ჩვენ მიერცა ძლევაი, უკეთუ გვენებოს სასოებითა წინამძღვრისა მის სარწმუნოებისა ჩვენისათა, და ვიდოდეთ გზასა მას, რომელი მან წარვლო.

ვჰსძლოთ უკვე სოფელსა, მივივლტოდეთ უკვდავებად, შევუდგეთ მეუფესა, შეურაცხ-ვჰყოთ გულის-თქმანი, მივსცვალნეთ ზეცად სულნი ჩვენნი! ესრეთ იძლიოს ყოველი სოფელი ჩვენ მიერ: უკეთუ შეურაცხ-ვჰყოთ, იგი ძლეულ არს. უცხო ვართ ჩვენ და წარმავალ. ნუმცა რას უკვე ზედა მწუხარე ვართ სოფლისა საქმესა, არამედ სიხარულით მოვითმენდეთ და ვჰმადლობდეთ ღმერთსა.

რამეთუ, დაღაცა თუმცა მდიდარი იყავ და დიდებული, და წარხვედმცა ქვეყანასა უცხოსა, სადა არავინ გიცნობს, და მუნმცა გაგინეს, არამცა გეტკინა შენ, ვითარ შენსა მას ქალაქსა შინა, უკეთუ გაგინოს ვინ. არამედ მას უცხოსა ქვეყანასა თავს-იდებ: შიმშილსაცა და წყურილსა და ყოველსავე ჭირსა. ეგრეთვე უკვე აწ მოიგონე, ვითარმედ უცხო ხარ და წარმავალ, და ნუმცა რაი შეგაწუხებს. არამედ ყოველივე მოითმინე, უცხოსა ამას შინა ქვეყანასა, რაიცა მოიწიოს შენ ზედა, რამეთუ ქალაქი გაქვს, რომლისა ხელოვანი და შემოქმედი ღმერთი არს, და მწირობა ესე მცირედ ჟამ არს. თავს-იდებდე ულმობელად გინებასა, და ცემასა, და ყოველსავე ჭირსა, რამეთუ უცხოებასა შინა ვართ. ბოროტი იგი არს, უკეთუ ჩვენსა მას ქვეყანასა და ჩვენთა ქალაქთა წინაშე ვიყვნეთ შეურაცხად. იგი არს ფრიადი უშვერებაი და დიდი დაჭირვებაი. ხოლო სადა მეცნიერი არავინ ესვას, მუნ ყოველსავე ადვილად თავს იდებს. ამისთვის უკვე ნუმცა რად შეგირაცხიეს ამის სოფლისა ჭირი, არამედ მადლობით მოითმენდე, რათა მუნ განსვენება ჰპოვო, და ბრწყინვალითა გვირგვინითა იშვებდე. რამეთუ მრავალი ცოდვისათვის ფრიადსა ჭირსა და შრომასა შინა არიან და თავს-იდებენ მას ყოველსა ეშმაკისათვის. ხოლო ჩვენ ღვთისათვის არა თავს ვიდვათა და სიხარულით მოვითმინოთ?! და რამეთუ სათნოება სავსე არს ყოვლითა დაწყნარებითა; რამეთუ ნაყოფი სულისა არს სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულ-გრძელება და მსგავსნი ამათნი. არა გვიხმს წარსაგებელი უსარგებლოი, არცა ყვედრებანი წარსაგებელსა მასთანა, არამედ, დაღაცათუ სასმელი ერთი გრილი წყალისა წარვაგოთ ღვთისათვის, სასყიდელი მისი არა დაგვჭირდების, არამედ გარდამატებულად მოგვეცეს, და ღმერთი მადლიერ იყოს ჩვენდა. ხოლო ვინაითგან ესე ყოველი ესრეთ არს, რაი სიტყვა მივუგოთ ჩვენ უფალსა? უკეთუ ამას დავუტეობდეთ და წინააღმდგომსა ვსდევდეთ, და ნებსით ჩვენით შთავსთხევდეთ თავთა ჩვენთა ცეცხლსა გეენიისასა.

ამისთვის გევედრები, ძმანო, განიფრთხვეთ და განიკურნენით სულნი თქვენნი სენისა მისგან სულიერისა და ნუ ვინ წარიკვეთს სასოებასა. რამეთუ შვილმან მანცა უძღებმან ფრიადი ბოროტი ჰქმნა, არამედ, ვინაითგან მოიქცა სახლადვე მამისა თვისისა, პირველივე პატივი მიეცა. და ჩვენცა უკვე, საყვარელნო, ვბაძვიდეთ მას და მამისა მისვე სახიერისა მივიქცეთ და განვთავისუფლდეთ ტყვეობისა მისგან, რათა მივემთხვივნეთ სასუფეველსა ცათასა მადლითა და კაცთ-მოყვარებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა მ. მოთმინებისათვის და მოწყალებისა

საყვარელნო! ჟამსა განსაცდელისასა ქრისტეს ვნებათა ვიხსენებდეთ და ვხედვიდეთ წინამძღვარსა მას და სრულ-მყოფელსა სარწმუნოებისა ჩვენისასა იესოს, და ვითარმედ სახელისა მისისათვის არს ყოველივე, - და, უკეთუ ამას ვიხსენებდეთ, ყოველივე ადვილად აღგვიჩნდეს და სიხარულით მოვითმინოთ, რამეთუ, უკეთუ მეგობრისათვის იჭირვინ კაცი და უხარინ, ხოლო რომელსა ღმრთისათვის ევნებოდეს, ვითარ არა უხაროდეს? რამეთუ უკეთუ ქრისტე ჯვარცმასა ჩვენთვის დიდებად თვისსა უწესს, არა უფროსად ჩვენ მისთვის სიკვდილი დიდებად შევრაცხოთა და სიხარულით მოვითმინოთ?! ხოლო უკეთუ ქრისტესთვის ტანჯვაი გვიღირს თავსდებად და თავთა თვისთა უგულებელს-ყოფა, რაი ვჰყოთ ჩვენ, რომელნი არცა თუ საფასეთა და ანგარებასა უგულებელს-ვჰყოფთ მისთვის? გვიღირს უკვე, ძმანო, რათა, რაჟამს ჭირი რაიმე იყოს ჩვენ ზედა, არა ჭირსა მას გულის-ხმა-ვჰყოფდეთ, არამედ მისისა მოთმინებისათვის მომავალსა სასყიდელსა და გვირგვინსა და სიხარულით მოვითმენდეთ. ვითარცა იგი ვაჭარნი არა გზათა სიშორეთა იგონებენ, არამედ შესაძინელსაცა, ეგრეთვე ჩვენცა გვიღირს, რაჟამს მოიწიოს რაიმე განსაცდელი, ვიგონებდეთ სასუფეველსა ცათასა და ღვთისა მიერ კადნიერებასა თავს-ვიდებდეთ მოთმინებით. ეგრეთვე, უკეთუ გულის-თქმა ცოდვისა მოგიხდეს რა, მოიხსენე სატანჯველი საუკუნო და მსწრაფლ წარხდეს შენგან. და კვალად უკეთუ ძნელ გიჩნდეს სათნოება, შეჰმოსე პირსა შენსა საუკუნოსა მის განსვენებისა მოსაგებელი და ადვილად აღგიჩნდეს. ეგრეთვე მოწყალებასა ზედა ვჰყოფდეთ და ნუ შეურაცხ-ვჰყოფთ ძმათა ჩვენთა, რამეთუ თქმულ არს, „ვითარმედ, რომლითა საწყაულითა მიუწყოთ, მოგეწყოსთ.“ ვიდრემდის, ჰოი კაცნო, მხეცთა ვჰბაძავთ უწყალოებითა და ბუნებისაცა ჩვენსა უმეცარ ვართ? გულის-ხმა-ვჰყოთ დღე იგი, რაჟამს წარვსდგეთ წინაშე ქრისტესა, რაჟამს ვეძიებდეთ წყალობასა და შორის შემოიყვანნეს გლახაკნი ქრისტემან, რომელნი ჩვენ უგულებელს ვჰყვენით და არა ვჰყავთ მათ ზედა წყალობა; და გვრქვას ჩვენ, ვითარმედ „რაი იგი არა უყავთ ერთსა ამათ ძმათა ჩემთაგანსა, მე არა მიყავთ.“ რამეთუ მაშინ არღარა გლახაკნი ჰყოფდენ სიტყვასა, არამედ მათ წილ ქრისტე გვეტყოდეს.

ვითარცა იგი არღარა ლაზარე ეტყოდა მდიდარსა მას, არამედ მის წილ აბრაამ, ეგრეთვე ჰყოს გლახაკთათვის ქრისტემან. რომელთა ჩვენ აწ შეურაცხ-ვჰყოფთ, აწ იგინი არიან გლახაკ და მაშინ ჩვენ ვიყვნეთ გლახაკ და საწყალობელ; და ვითარცა აწ ჩვენ არა ვისმენთ ხმასა გლახაკთასა, არცა მაშინ ქრისტემან ისმინოს ვედრება ჩვენი. და რაიმე სიტყვა მივუგოთ ქრისტესა, რომელმან იგი ჩვენ ცად აღმიყვანნა? ხოლო ჩვენ სახლთაცა შინა არა შევიყვანთ მას. რამეთუ ქრისტე პატიოსანსა ხორცსა მისსა (ხორცსა მას თვისსა) მოგვცემს, ხოლო ჩვენ პურსაცა არა მივსცემთ მას. ქრისტე უხრწნელსა სისხლსა მისსა გვიწვდევს, ხოლო ჩვენ არცა სასმელსა ერთსა მიუპყრობთ მას. არა ჰხედავაა, ვითარმედ ღმერთმან ყოველივე ზოგად მოგვცა? და უკეთუმცა ვიეთნიმე გლახაკ არიან საფასითა, ესეცა მდიდართათვის არს, რათა მოწყალებითა გლახაკთათა აღიძარცონ ცოდვანი მათნი. ხოლო შენ, რომელსა ეგე არა რაი გაქვს და ესრეთ უწყალო ხარ, საცნაურ არს, ვითარმედ, უკეთუმცა უმეტესი რაიმე ხელმწიფება გაქვნდა, ბევრეულნიმცა კაცის კვლანი ჰქმნენ და ნათელიცა და ცხოვრება დაიშურვე კაცთათვის. ვიდრემდის იყო შენ მდიდარ და იგი გლახაკ, ვიდრე მწუხრადმდე, რომელ არს სიკვდილი, და მერმე არღარა, რამეთუ ესრეთ უნდოი არს ცხოვრება ესე და სიკვდილი კართა ზედა არს. რაი სარგებელ გეყოფის მრავალთა მათ საუნჯეთა და მონაგებთაგან? რად არა არიან ბევრეულნი ქადაგნი მოწყალებისა შენისანი? რამეთუ საფასეთა ეგე საუნჯენი მტერთა განგიმრავლებენ. ხოლო რომელი გლახაკთა მისცე, იგი ღვთის ხელთა მიიწიოს, და ცოდვათა დამხსნელ გექმნას და ღვთისა მიერ დიდება და კაცთაგან პატივი მოგეტყუას. რაისათვის უკვე ჰვნებ (ავნებ) ესრეთ თავსა შენსა? რამეთუ მოწყალებითა თავსა შენსა არგებ უფროსად, ვიდრეღა გლახაკთა. რამეთუ მათ ხორციელად არგებ, ხოლო თავსა შენსა სულიერად, და საუკუნესა დიდებას მოატყუებ, რომელსა ღირსმცა ვართ ყოველნი მიმთხვევად მადლითა და კაცთ-მოყვარებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება და სიმტკიცე თანა მამით, და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა მა. თავი იდ.

არა ბოროტის ყოფისათვის მტერთასა

საყვარელნო! ჯერ არს ჩვენდა ქრისტიანეთა, რათა არა ძვირსა ვიხსენებდეთ ბოროტის მყოფელთა ჩვენთათვის, არამედ უფროსად ვსწუხდეთ მათთვის რამეთუ ევნების უფროსად ბოროტის მყოფელთა და იგინი არიან ღირს ტირილისა ფრიადისა, ვიდრეღა (იგინი), რომელთა უყონ ბოროტი. რამეთუ ანგაარნიცა და ცილის მწამებელი თავთა თვისთა ავნებენ დიდად. ხოლო ჩვენ, ფრიად გვარგებენ, უკეთუ ჩვენ ოდენ გვინდეს. რამეთუ უკეთუ ვინ მიიტაცოს შენი და შენ მადლობდე ღმერთსა, მრავალი სარგებელი მიგიღებიეს, მადლობისა მიერ, ხოლო მან მრავალი სასჯელი და ბრალი

მოიგო. რამეთუ, დაღაცათუ უძლურ იყო შენ, და ვერ ძალ-გედვას ბოროტის ყოფად ბოროტის მყოფელისა შენისა. არამედ ძალგიძს განრისხებად და წყევად მისდა, და ძვირის ხსენებად. და უკეთუ არა ჰქმნე ესე, არამედ უფროსად ულოცო მას და აკურთხო იგი, მიიღო სასყიდელი. და ამის მიერ საცნაურ იქმნნეს, ვითარმედ დაღაცა თუმცა ხელგეწიფებოდა ხორციელადცა ვნებად, არა ავნებდი, რამეთუ, უკეთუ ულოცვიდე, აკურთხევდე ბოროტის-მყოფელსა შენსა, მიემსგავსები ღმერთსა, ვითარცა იტყვის უფალი, ვითარმედ „ულოცევდით ბოროტის მყოფელთა თქვენთა, რათა იყვნეთ მსგავს მამისა თქვენისა ზეცათასა.“ ხედავაა, რაოდენსა კეთილსა შევიძენთ, უკეთუ ვინებოთ (მოთმინება) ბოროტის მყოფელთა ჩვენთა მიერ? რამეთუ არა რაი ესრეთ მხიარულ ჰყოფს ღმერთსა ჩვენ ზედა, ვითარ არა მიგებაი ბოროტისა ბოროტისა წილ! რამეთუ არა თუ ბოროტისა ოდენ არა ყოფაი, არამედ უფროსად ლოცვაცა და კურთხევა ბოროტის მყოფელთა ჩვენთა ბრძანებულ არს ჩვენდა. რამეთუ ქრისტემან იხილე რაოდენი კეთილი უყო მიმცემელსა თვისსა იუდას: ფერხნი დაბანნა, ფარულად ამხილებდა, ტაბლასა თვისსა ზიარ ჰყო, ამბორის ყოფა მისცა და იგი არავე მოიქცეოდა. არამედ უფალი მასვე ზედა ეგო და კეთილის ყოფად არა დასცხრებოდა! არამედ გასწავო („ქცევა“) ძველისაცა ჰსჯულისა მონათა მიერ ღვთისათა. იხილე ნეტარი იოსებ, რომელი გამობრწყინდა სიწმინდითა, და უფროს სულგრძელებითა. რამეთუ განიყიდა უბრალოი, რომელი იგი მსახურებდა ძმათა თვისთა და კეთილსა უყოფდა; და შეასმინეს იგი ძმათა და იოსებ მერმეცა წარვიდა უდაბნოს, და მიართვა ძმათა თვისთა საზრდელი და ვერ ჰპოვნა. რამეთუ ეძიებდა, და არა მოიწყინა. და ვითარცა (რადგან) ძმაი იყო. ხოლო უწყალოთა მათ ძმათა ამას ყოველსა ზედა განჰყიდეს იგი. და დაემკვიდრა იოსებ მათ მიერ საპყრობილესა შინა, და არავე რაი ჰსთქვა ბოროტი ძმათათვის. და ამისა შემდგომად მიიღო რა უფლებაი იოსებ, გამოზარდნა ძმანი თვისნი და მრავალთაგან ბოროტთა იხსნა იგინი. აგრეთვე, უკეთუ ჩვენ გვენებოს მოყვასისა ბოროტი, ვერ დაგვახრწევს სათნოებასა; გარნა მათ არა ესრეთ ჰყვეს, არამედ ბოროტი დასწამეს იოსებს, და ჩვენებისა მისთვის აყვედრებდეს და შთააგდეს მღვიმესა და იგინი სჭამდეს მის მიერ მოღებულსა საზრდელსა, ხოლო მძასა თვისსა იოსებს ჰხედვიდეს მღვიმესა მას შინა შიშველსა და არა ეწყალოდა. რაიმცა იყო ამის საქმისა უძვირეს, ანუ რომელთა კაცის მკვლელთასა არა იყვნეს უბოროტეს? და მერმე აღიღეს და მისცეს კაცთა უსახურთა ბარბაროსთა. გარნა იოსებ იქმნა მეფე, არა თუ ოდენ ბოროტი იგი შეუნდო, არამედ ცოდვისა მისგანცა ძალისაებრ თვისისა განათავისუფლნა, და განგებულებად ღვთისა უწოდა საქმესა მას, და არა მათდა უკეთურებად. და რაი იგი იყო არა თუ ძვირის ხსენებით, არამედ ძმისათვის თვისისა სიყვარულით, და მერმე მოეხვია ძმათა თვისთა და ტიროდა მათ ზედა, მათ მიერ მოკლული იგი იოსებ, და ყოველნი იგი ეგვიპტედ შთაიყვანნა და ბევრეული კეთილი უყო მათ. ხოლო რაი სიტყვა გვაქვნდეს, რომელნი შემდგომად სჯულისა და ქრისტეს მოსვლისა, და უწინარეს სჯულისაცა ყოფილთა არა ვჰბაძვიდეთ? ვინ მიხსნნეს ჩვენ სატანჯველთაგან? რამეთუ არა რაი არს უბოროტეს ძვირის ხსენებისა, და ნაცვლის

მიგებისა ბოროტის-მყოფელთა, და ამას გამოაჩინებს თანანადები იგი ბევრეულისა ტალანტისა, რომელსა შეენდო და მერმე მიეხადა. რამეთუ შეენდო ღვთისა კაცთ-მოყვარებისათვის და მიეხადა თვისისა უკეთურებისათვის. ხოლო ჩვენ, საყვარელნო, მოყვასთა ყოველივე ცთომა შევუნდოთ ყოვლითა გულითა ჩვენითა და კეთილიცა ვუყოთ მათ, რათა მივემთხვივნეთ ღვთისა კაცთ-მოყვარებასა და ჩვენცა მოგვიტევნეს ყოველნი თანანადებნი ჩვენნი, და საუკუნენი კეთილნი მოგვეცნენ მადლითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება თანა მამით, და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა მბ.

არა ბოროტის ყოფისათვის მტერთასა

საყვარელნო! აღმოვიკითხვიდეთ რა ქრისტეს ვნებათა, გონებათაცა შინა ჩვენთა დავნერგოთ გვირგვინი ეკლისა, სამოსელი კიცხევისა, ლელწამი იგი და ყვრიმლის ცემაი, ნერწყვა და კიცხვაი ფრიად სარგებელ გვეყოს, და არა განვრისხნეთ, რაიცა ვინ ბოროტი მოაწიოს ჩვენ ზედა, რამეთუ „არა არს მონა უფროს უფლისა თვისისა.“ ვითარ ეტყოდეს ქრისტესა ჰურიანი, ვითარმედ სამარიტელი ხარ და ეშმაკი არს შენთანა და სხვანი მრავალნი ესე ვითარნი? და მისთვის თავს იდვა ესე ყოველი მეუფემან, რათა ჩვენცა კვალსა მისსა შევუდგეთ. რამეთუ ესევე ასწავა მოციქულთა და ჩვენ ყოველთა.

მოვიგოთ უკვე საქმე ესე, საყვარელნო, რამეთუ არა რაი ესრეთ მოწყალე ჰყოფს ღმერთსა ჩვენზედა, ვითარ სიყვარული და მოთმინება, და არა ბოროტის ყოფა მტერთა. რაჟამს ვინმე გაგინოს, ნუ მას აბრალებ, არამედ ეშმაკსა, რომელმან აცთუნა იგი. ხოლო მას უფროსად სწყალობდე, რამეთუ ქრისტეცა შესწუხნა იუდასთვის. რაისათვის შესწუხნა მისისა წარწყმედისათვის?

ამისთვის ქრისტესა ჩვენცა ვჰბაძვიდეთ, რამეთუ, უკეთუ მას არა ვჰბაძვიდეთ, უმჯობეს იყო არათუმცა შობილ ვიყვენით. რამეთუ სარწმუნოება ოდენ თვინიერ საქმეთასა არა კმა არს სასუფეველსა შეყვანებად ჩვენდა, არამედ უფროსად დასასჯელ იქმნების. რამეთუ მონამან, რომელმან იცოდის ნება უფლისა თვისისა და არა იქმოდეს, იგვემოს ფრიად. რაი უკვე სიტყვა მივუგოთ მეუფესა, რომელნი ესე შინაგან სასუფეველისა ქმნილ ვართ, და უხილავნი იგი გვიხილავნ? და ზიარ მაღალთა მათ საიდუმლოთა ქმნილ ვართ და უძვირეს წარმართთასა ვიყვნეთ? რამეთუ, უკეთუ მათ დიდებისათვის ამაოსა მოღვაწება აჩვენეს, ხოლო ჩვენ სასუფეველისა და ღმრთისათვის, და უფროსღა სულთა ჩვენთათვის არა ვაჩვენოთა? რამეთუ მათ მრავალ გზის კაცთათვის სულნიცა თვისნი შეურაცხჰყვნეს. ხოლო ჩვენ მცირედისა ოქროისთვის სულსა წარვიწყმედთ, და არა შეურაცხვჰყოფთ ოქროსა ქრისტესთვის. და

ამისთვის მრისხანენი ვართ და საქმენი საძაგელნი გვიყვარან. არამედ ნუმცა არს ესე ჩვენ ზედა! და განვაგდოთ უღელი ანგარებისა ჩვენგან, უფროსად მივუტევნეთ შემცოდეთა ჩვენთა და ვაკურთხევდეთ მწყევართა ჩვენთა, რათა ესრეთ კადნიერად წარმოვუდგეთ წინაშე საყდარსა ქრისტესსა, რომლისა არს დიდება თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

სწავლა მგ.

არა ბოროტის ყოფისათვის

ძმანო ჩემნო, საყვარელნო! ნუმცა ოდეს განვიზრახავთ ბოროტსა სხვისათვის, რამეთუ გულსავსე იყვენით. რომელნი ამას იქმოდეთ, თავთა თვისთათვის ჰლესთ მახვილსა, და უბოროტესად მოიწყლვით ხელითა თქვენითა. არამედ, უკეთუ ვინ შეგაწუხოს და გენებოს ნაცვლის მიგებაი, ნუ მიაგებ ბოროტსა, და (მოთმინებით) მიგიგიეს, უკეთუ კულა ბოროტი იყო, არა მიგიგიეს. და ნუ ჰგონებ, თუ ცუდად ვიტყვი სიტყვასა ამას, რამეთუ ჭეშმარიტ არს ესე. და უკეთუ იტყვი, თუ ვითარ იყოს ესე, ისმინე თუ ვითარ, რაჟამს არა ავნო, მაშინ ღმერთი იქმნების მიმგებელ ბოროტის მყოფელის მის შენისა. ხოლო, რაჟამს შენ თვით იწყო ბოროტის ყოფად მისდა, მერმე ღმერთი არღარა მას, არამედ შენ გემტერების, რამეთუ დახსენ სიტყვა იგი წერილისა, რომელი იტყვის, „ჩემი არს სასჯელი და მე მივაგო," იტყვის უფალი, რამეთუ უკეთუ მონანი იყვნენ ჩვენნი და ურთიერთარს შეშფოთნენ და არა ჩვენდა მოვიდენ სამართლისა სასჯელისა ყოფად, არამედ თვით იგინი განჰსჯიდენ, არა შევსწუხნეთა? ხოლო უკეთუ ჩვენ ესრეთ ვართ, არა უფროსად ღმერთი იყოსა ესრეთ? რომელმან ბრძანა, ყოვლისავე სასჯელისა მისდა მიგდებაი, რამეთუ არა უგუნურება არსა, უკეთუ ესოდენსა სიბრძნესა და მორჩილებასა ჩვენ ღმერთსა არა ვაჩვენებდეთ, რაოდენსა ჩვენ მონათა ჩვენთაგან ვეძიებდეთ, ხოლო ამას ვიტყვი ჩვენთვის, რომელნი ესე მოსწრაფე ვართ ურთიერთ არს ბოროტის ყოფად, თუ არა ჭეშმარიტი ესე არს, რათა არა ოდენ ბოროტსა არ უყოფდეთ, არამედ სრულიად შეუნდობდეთ, და უფროსღა კეთილსა ვუყოფდეთ, რათა ჩვენცა მოგვცეს დიდი იგი ნაცვალი ამის კეთილისა, რომელ არს შენდობისა პოვნაი. რამეთუ მითხარღა, უკეთუ შეცოდებულსა მას რისხავ, შენ რადღა ჰსცოდავ და მასვე ბოროტსა შთავარდები? რამეთუ, უკეთუ გაგინა, შენ ნუღარა აგინებ მას, - თუ არა, თავსა თვისსა აგინებ. უკეთუ შეგაწუხა შენ, ნუღარა შეაწუხებ. თუ არა, არღარა გაქვს განყოფილება მისგან. უკეთუ რაიმე გავნო, შენ ნუღარა ავნებ, თუ არა სარგებელი არღარა იყოს შენდა. არამედ ხარ ყოვლითურთ მსგავს მისსა. ესრეთ შემძლებელ ხარ შერცხვინებად მისისა, უკეთუ ყოველივე სიმშვიდით თავს იდვა და მოითმინო. ესრეთ შეუძლო დაწყნარებად გულის-წყრომასა მისსა - მასცა დიდად არგო და თავსა შენსა უმეტესი სასყიდელი მოარტყვა. რამეთუ ვერვის ძალ-უძს ბოროტითა

ბოროტისა განკურნებაი, არამედ კეთილითა განიკურნების ბოროტი. ესრეთ ყოველთა მიმართ კეთილსა ვიქმოდეთ, საყვარელნო, რომელთა სული წმიდა მოგვიღებიეს, რომელნი სასუფეველსა ცათასა მოველით, რომელთადა ბრძანებულ არს ანგელოს ყოფაი, რომელთადა მოცემულ არიან ესე ვითარნი საიდუმლონი. ამისთვის გევედრები, ძმანო, აღმოვფხვრათ ჩვენთაგან გულის-წყრომა და მრისხანებაი, და მივუტეოთ შემცოდეთა ჩვენთა და უფროსღა კეთილსა ვუყოფდეთ მათ, რათა ჩვენცა მოვიღოთ მოტევება ცოდვათა ჩვენთა, და მივემთხვივნეთ საუკუნეთა მათ კეთილთა მადლითა და კაცთ-მოყვარებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა შვენის დიდება სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა მდ. თავი იე.

სიმდაბლისათვის და სიმშვიდისა

ქრისტესგან ვისწავლოთ, საყვარელნო ძმანო, ჭეშმარიტი სიმდაბლე და სიმშვიდე, რამეთუ იტყვის: „ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა.“

ესე ვითარი სიმდაბლე და სიმშვიდე ჩვენცა მოვიგოთ, და ვიქმნნეთ შემუსრვილისა გულითა, ლოცვისა შემწირველ ღვთისა, რათა ვჰპოვოთ განსვენება სულთა ჩვენთა ამასცა სოფელსა და მას საუკუნესა; შევიმოსოთ სიმდაბლე, დედა იგი ყოველთა სათნოებათა, დავნერგოთ იგი სულთა შინა ჩვენთა, რათა ზღვაცა ესე ამის სოფლისა დაუნთქმელად წარვლოთ და მყუდროსა მას ნავსაყუდელსა ღირს ვიქმნეთ შესვლად.

ვიქმნნეთ უკვე მდაბალ, საყვარელნო, რათა ავმაღლდეთ, რამეთუ ნამდვილვე აღამაღლებს სიმდაბლე კაცსა, სიმაღლითა მით საღმრთოითა და უზესთაეს კამარათა ზეცისათა ჰყოფს, რამეთუ იტყვის: „რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს.“ აწ უკვე, საყვარელნო, შევიტკბოთ სიმდაბლე, რომელი ქრისტეს მიამსგავსებს მომგებელთა მისთა, და ღირს ვიქმნეთ საუკუნეთა მათ კეთილთა, მადლითა და კაცთ-მოყვარებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება თანა მამით, და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა მე. სიმდაბლისათვისვე

საყვარელნო! შევიმოსოთ სიმდაბლე, რათა ლოცვა ჩვენი ფრთოვან იყოს. გულის-ხმა-ვჰყოთ წერილი იგი, ბრძანება უფლისა, ვითარ იტყვის, „რომელსა უნდეს დიდ ყოფა, იყოს ყოველთა მსახურ, და მონა, რათა დიდ იქმნას.“ ესე რა გესმოდეს, საყვარელო, ყოვლითა ძალითა შენითა ისწრაფე მოგებად სიმდაბლე; ნუ გეშინინ, თუმცა პატივსა შენსა რაიმე ევნო სიმდაბლისაგან, რამეთუ, რაოდენცა დამდაბლდე, ვერ ძალ გიძს ესოდენ დამდაბლებად, ვითარ იგი მეუფე ჩვენი დამდაბლდა. გარნა გარდამოსლვა იგი მისი, ჩვენ ყოველთა აღსლვა გვექმნა და მისიცა დიდება გამოაბრწყინვა კაცთა შორის, რომელი პირველ განკაცებისა, ანგელოსთა მიერ ხოლო საცნაურ იყო და კაცთა მცირედთა წმიდათა მათ წინასწარმეტყველთა, და მამათ-მთავართა. ხოლო განკაცნა რა და ჯვარს ეცვა, ყოველმან სოფელმან იცნა იგი და არა რაი დააკლდა დიდებასა მისსა, არამედ უფროსად შეიძინა ცხოვრება კაცთა. ხოლო შენ კაცო, რაისა გეშინის და ჰგონებ თუ სიმდაბლისაგან პატივსა შენსა ევნოს? არამედ უფროსღა უწყოდე, ვითარმედ რაოდენცა დაიმდაბლო თავი შენი, უფროსად ამაღლდების დიდება შენი, ესე სიმდაბლე არს კარი სასუფეველისა! უკეთუ გვენებოს მუნ შესვლა, ესე გზაი ვიპყრათ სიმდაბლისა, რამეთუ ვინებოთ თუ გზასა მას ამპარტავნებისასა შესვლად, შორს ვიპოვნეთ სასუფეველისაგან და ვიქმნეთ უფროს ყოველთა შეურაცხ, და წარწყმედულ; და ვითარცა სხვასა ადგილსა ვიტყოდეთ, კვალად რაისათვის აჩვენებ კაცთა ქველის საქმესა შენსა? რათა იდიდოა და საქებელ იქმნა? აწ უკვე ნუ ესრეთ იქმ, და მაშინ ჰპოვო ჭეშმარიტი დიდება და ქება. კვალად ვიტყოდეთ, ვითარმედ რაისათვის იუნჯებ, კაცო? რათა სიმდიდრე გაქუნდესა? აწ უკვე ნუ იუნჯებ და მაშინ ჰპოვო ჭეშმარიტი სიმდიდრე. ეგრეთვე აქა ვიტყვი, რაისათვის გიყვარს დიდება და ზვაობაი? რათა პირველ სხვათასა და უდიდეს იყოა? აწ უკვე შეიმოსე სიმდაბლე და უდარეს ყოველთა იყავ, და მერმე იქმნა ჭეშმარიტად დიდი და ყოველთა პირველ. ხოლო იყო თუ აქა ზვავ და ამპარტავან, იყო ყოველთა უმცირეს და ნარჩევ და შეურაცხ. ესე სიტყვა არა ჩემი არს, არამედ ქრისტესი, ვითარცა იტყვის, „რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს, და რომელმან აღიმაღლოს თავი თვისი, იგი დამდაბლდეს.“

აწ უკვე, საყვარელნო! სიმდაბლე შევიტკბოთ, სიმდაბლე შევიყვაროთ, სიმდაბლე შევიმოსოთ, რათა ქრისტე შევიმოსოთ და აქაცა კეთილი გვეყოს და წარუალსა მას ზეცისა დიდებასა მივემთხვივნეთ, მადლითა და კაცთ-მოყვარებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება თანა მამით, და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა მვ. სიმდაბლისათვის და სიმშვიდისა

საყვარელნო! ესე უპირატესნი სათნოებანი, სიმდაბლე და სიმშვიდე აქვნდეს სანატრელსა მახარებელსა იოანეს და მისთვის უყვარდა იგი უფალსა. რაიმცა იყო ამის ნეტარებისა უზესთაეს? გარნა ნუმცა ოდენ ვნატრით მოციქულსა მას, ძმანო, არამედ ვისწრაფოთ ჩვენცა, რათა მახლობელ სანატრელისა მის ვიქმნნეთ და მივემსგავსნეთ ყოვლითა ღონითა საყვარელსა მას იოანე მახარებელსა, და ვიხილოთ, თუ რომლისა საქმისათვის უფროს ყოველთასა უყვარდა იგი უფალსა? უკეთუ დაუტევა მამა თვისი და შეუდგა უფალსა, და ამას საქმესა ძმაცა თვისი ზიარ ჰყო, და პეტრეცა და ანდრია, გარნა ესე რაისათვის უყვარდა უფროს ყოველთასა? რამეთუ თვით არა სთქვა სიმდაბლისათვის მიზეზი იგი სიყვარულისა, არამედ მე ამას გულის-ხმა-ვჰყოფ, ამისთვის, რამეთუ ფრიად აქვნდა სიმშვიდე და სიმდაბლე და სიწრფოება. და ამისთვის უყვარდა იგი უფალსა უმეტეს სხვათასა, რამეთუ თავადსა ჰბაძვიდა სიმშვიდით და სიმდაბლით, ვითარცა იტყვის, „მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა.“ ხოლო ესე ვითარი სათნოება მოსეს მიერცა საცნაურ არს, რამეთუ მოსე დიდსა საზომსა ამან სათნოებამან მიაწია, და არა რაი არს სწორ სიმშვიდისა და სიმდაბლისა. ამისთვის ნეტარებათა ამისგან იწყო ქრისტემან, რამეთუ, ვითარცა საფუძველი სათნოებათა სიმდაბლე ახსენა პირველად, ვითარმედ „ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა.“ ესე არს სიმდაბლე და შეუძლებელ არს თვინიერ სიმდაბლისა ცხოვნებაი. გინა თუ იმარხვიდეს ვინ, ანუ თუ ილოცვიდეს, ანუ რაისაცა იქმოდეს ზვაობით, საძაგელ არს წინაშე უფლისა. არამედ უკეთუ სიმდაბლით იყოს, მაშინ ყოველივე საქმე მისი პატიოსან არს და შეწირულ წინაშე უფლისა. მოვიგოთ უკვე, საყვარელნო, სიმდაბლე, რამეთუ, უკეთუ გვინდეს ფრიად ადვილ არს ესე სათნოებაი, ანუ რაი არს რომლისათვის ზვაობ, ჰოი კაცო? არა ჰხედავა ბუნებისა შენისა უნდოებასა, გონების ცთომილებასა?! მოიხსენენ ცოდვანი შენნი: უკეთუ კულა სათნოებანი გქონან და მისთვის ზვაობ, ამით წარსწყმედ ყოველსავე; რამეთუ უკეთუ გლახაკთა მისცემ და მისთვის ზვაობ, არა შენსა მისცემ, არამედ ღვთისასა. და უფროსად სიმდაბლე გიღირს, რაჟამს გლახაკთა ჰხედვიდე და გულის-ხმა-ჰყოფდე ბუნებისა შენისა უნდოებასა.

რამეთუ უკეთუ დღეს მდიდარ ვართ და ხვალე შიშველნივე განსლვად ვართ, ანუ რაი არს სიმდიდრე? აჩრდილი უნდოი, კვამლი განქარვებადი, ყვავილი თივისა და ყვავილისაცა უუძლურესი. რაისა უკვე ზვაობ, ჰოი კაცო, თივასა ზედა? ანუ არა მეძავნიცა და ავაზაკნი მოიგებენ სიმდიდრესა! უკეთუ კულა პატივი და დიდება გიყვარს, ღვთისა მიერ მოიძიე, რომელი იგი არა ოდეს განქარდების. სიმდაბლე მოიგე და ამპარტავნება განაგდე, რათა, ესრეთ სათნოებითა შემკობილი, მას დიდებასა ღირს

იქმნე, რომელსა ღირსმცა ვართ დამკვიდრებად ყოველნი, მადლითა და კაცთ-მოყვარებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა ჰშვენის დიდება და სიმტკიცე, პატივი და თაყვანის-ცემა ყოვლად წმიდით, სახიერით და ცხოველს-მყოფელით სულითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა მზ. თავი ივ. ამპარტავნებისათვის

ამპარტავნებისათვის ანგელოსნი ზეცით გარდამოსცვივნეს და ეშმაკად შეიცვალნეს. სიმდაბლე ზეცად აღვალს და ანგელოსთა თანა მოდასე იქმნების, და ამპარტავნება ეშმაკთა თანა განიწესების. ვედრება მდაბლისა მიიწევის წინაშე ღმრთისა, და ვედრება ამპარტავანისა განარისხებს ღმერთსა. ვითარცა სიმძიმე ნაყოფისა დასცემს რტოსა, ეგრეთვე ამპარტავნება წარსწყმედს სათნოებასა; ვითარცა ხე უფესვო მოსწრაფედ დაეცემის, ეგრეთვე კაცი ამპარტავანი ადვილად ჯოჯოხეთისა ნახეთქსა შთავარდეს. ვითარცა ნერგსა განუწმედელსა კუროს თავთაგან (ეკალთაგან) არა ძალ-უძს აღორძინებად, ეგრეთვე კაცსა ამპარტავანსა არა ძალ-უძს წარმართებად კეთილისა ცხოვრებად, უკეთუ არა სიმდაბლითა ამპარტავნება განიოტოს და მორჩილებითა სინანულისათა, რამეთუ მაღლად რბის სული ამპარტავანისა და მუნითგან სიღრმესა შინა ჯოჯოხეთისასა შთაიჭრების. ვითარცა ნაყოფი განრყვნილი უხმარ არს მუშაკისა, ეგრეთვე ლოცვაცა ამპარტავნისა არა შესაწყნარებელ არს ღმრთისა. სულსა ამპარტავანისასა არა აქვს ნაწილი ღმრთისა თანა, არამედ ეშმაკთა სახარულევან იქმნების. რად მაღლოი, ჰოი კაცო? მიწა ხარ და ნაცარი და რად ამპარტავნებით მოიწყვლები? ჰოი უგუნურო! უკეთუ დიდ ვინმე ხარ, რომელისამე წესითა გაქუნდინ სიმდაბლე, და არა სადა იგმოს დიდება შენი, სხვათა ცოდვათა ნუ გამოეძიები, რათა დიდებულ იქმნე დღესა სასჯელისასა. ნუ დაუტეობ შეჭირვებულსა მტირალსა, და არა უგულებელს იქმნეს ლოცვა შენი, ჰოი გლახაკო კაცო! ვინ შეგქმნა შენ ანუ სადა აღგიღო მიწაი? რაისა ესავ სიმდიდრესა და არა გეშინის ღმრთისა, რომელი მიწადვე მიქცევად ხარ, რად ამაოდ შვრები (იღლები) და ამპარტავნებ და მოქადულობითა ცუდითა ბოროტად წარსწყმდები? და რად განიბერები, ვითარცა პერული წყლისა? ვითარმედ მიწა ხარ და არა მრავლისა შემდგომად მიწადვე შთახვიდე აწ ამპარტავანი და შემდგომად მცირედისა მატლთა თანა განისვენო. ჰოი, უგუნურებაი!!! გულის-ხმა-ჰყავ შენი უძლურება და ნუ ამპარტავნებ, რამეთუ დაბადებული ხარ ღვთისა! ნუ უარ ჰყოფ დამბადებელსა შენსა, მიხედენ ბუნებასა შენსა და იხილენ თანა მონათესავენი შენნი, რამეთუ იგინიცა მისვე ბუნებისანი არიან და ნუ განაგდებ ამპარტავნებისათვის შენისა. უკეთუმცა დღეს შენ მდიდარ ხარ და იგი გლახაკი, არამედ წინაშე ღმრთისა იგი უფროს არს შენსა. ჰოი კაცო, ნუ ამპარტავნებ მრავლისათვის სიმდიდრისა, რამეთუ მწუხარება მისი განგყოფს ღმრთისაგან, და ცხოვრებასა მდიდართასა ნუ ჰნატრი, რამეთუ ძლიერნი ძლიერად გამოიძინეს.

ვითარცა ფერხ შეკრულისა არა იქმნების სლვაი, ეგრეთვე მწუხარებით შეპყრობილისა ცად აღსლვაი, ჰოი მდიდარო! ნუ ამპარტავნებ მონაგებთათვის შენთა და განხრწნადთა ნუ იქადი. ღმერთ არს მხოლოდ მდიდარი, რომელსა აქვს უხრწნელი სიმდიდრე, რომელსა ღირსმცა ვართ ყოველნი მიმთხვევად მადლითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება თანა მამით, და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა მწ. ამპარტავნებისათვის

საყვარელნო! ამპარტავნება არს მიზეზი დაცემისა. ეშმაკიცა, რომელმან კაცი იგი აცთუნა ამითვე სახითა დაეცა სიმაღლისა მისგან დიდისა. ამისთვისცა იცოდა უკეთურმან ცოდვისა მის ძალი, ვითარმედ ზეცით გარდამოგდებადცა შემძლებელ არს. ამისთვის ადამს მითვე სახითა ებრძოლა და დასცა, რამეთუ, აღაზვავა იგი აღთქმითა მით სწორ ღვთისა ყოფისათა, და ესრეთ დასცა და შთახადა ქვესკნელსა ჯოჯოხეთისათა, რამეთუ არა რაი ესრეთ უცხო ჰყოფს ღმრთისაგან და მისცემს გეენიასა ცეცხლისასა, ვითარ ამპარტავანებისა მძლავრებაი. რამეთუ რაჟამს ამპარტავნება ჩვენთანა იყოს, ყოველივე ცხოვრება ჩვენი არაწმიდა არს, გინათუ ქალწულებასა ვიქმოდეთ, ანუ თუ მარხვასა, ანუ ლოცვასა, ანუ მოწყალებასა, ანუ სხვასა რასა. რამეთუ არაწმიდა არს და საძაგელ უფლისა ყოველი მაღალი გულითა. დავაცხროთ უკვე ამპარტავნება ჩვენი და უკეთუ გვენებოს, რათა ვიყვნეთ წმიდა და განთავისუფლდეთ სასჯელისა მისგან, რომელი მიელის ეშმაკსა, ვითარცა პავლე იტყვის, ვითარმედ ნუ ახალ ნერგ, რათა არა აღზვავნე და სასჯელსა და საბრხესა ეშმაკისასა მიეცე, არამედ განერე ამის უსჯულოებისა საქმესა. უკეთუ გულის-ხმა-ვჰყოთ ბუნება ჩვენი და ცოდვათა ჩვენთა სიმრავლე მოვიხსენოთ, და მერმეთა მათ სატანჯველთა სიმწარე და სოფლისა ამის საქმეთა ამაოება, რომელი არათ უმჯობეს არს თივისა და ყვავილთა მათ არისათა უადვილესად დაჭნების. უკეთუ ამას ყოველსა ვიგონებდეთ და სათნოებათა მათ წმიდათასა ვჰბაძვიდეთ, ვერა ოდეს დაგვცეს ეშმაკმან ამპარტავნებითა, ხოლო ღმერთმან მდაბალმან, სახიერმან და ტკბილმან მოგვანიჭოს ჩვენცა და თქვენცა გული შემუსრვილი და მდაბალი, რათა ესრეთ შევუძლოთ სხვათაცა სათნოებათა წარმართებად დიდებად უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა, რომლისა თანა მამასა შვენის დიდება სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა მთ. კვალად ამპარტავნებისათვისვე

საყვარელნო, უკეთუ იოანე ნათლისმცემელი არა-ღირს იყო საბელთა ხამლთა ქრისტესთა განხსნად, იოანე, რომლისა უზესთაესნი ნაშობთა შორის დედათასა არავინ აღდგომილ არს, ჩვენ სადა დავაწესნეთ თავნი ჩვენნი?! უკეთუ რომელი იგი უზესთაეს იყო ყოვლისა სოფლისა, მან სთქვა, ვითარმედ უკანასკნელთაცა მონათა მისთა შერაცხვად არა ღირს ვარ, რაი ვჰსთქვათ ჩვენ, რომელნი ბევრეულითა ბოროტითა სავსე ვართ? რომელნი ესოდენ ნაკლულევან ვართ მისისა სათნოებისაგან, რომელიცა ქვეყანისაგან არა არს ესრეთ შორს. და მან ჰსთქვა, ვითარმედ საბელსა ხამლთა მისთასა განხსნად არა ღირს ვარ, ხოლო ჩვენ, რომელნი ამპარტავნობითაცა ძლეულ ვართ, რაიმე ვჰსთქვა? არა უწყი. არამცა გარდამოვრდომილ იყო ზეცით ეშმაკი, უკეთუმცა არა ამპარტავნებითა შეპყრობილ იყო. ამან შთახადა იგი გეენიად. ამპარტავნება იქმნა მიზეზ ბევრეულთა ბოროტთა, რომელ ესე მარტოდ შემძლებელ არს ყოველსავე სათნოებისა განრყვნად, რამეთუ „მაღალი იგი წინაშე კაცთა, საძაგელ არს წინაშე ღვთისა.“ არა სამე სიძვაი ოდენ შეაგინებს კაცსა, არამედ ამპარტავნებაცა, რამეთუ სიძვასა, დაღაცათუ ბოროტ არს, აქვს მიზეზად გულის-თქმაი ხორცთა, ხოლო ამპარტავნებისა მიზეზი არცა ერთი არს, არამედ სენი არს ბოროტი სულისა. უგულისხმოებისაგან შობილი, რამეთუ არა რაი არს უბოროტეს კაცისა ამპარტავანისა. დაღაცათუ ფრიად მდიდარი იყოს, არა რაი არს უუგუნურეს მისა. დაღაცათუ ყოველი სიბრძნე კაცთა ასწავოს და ყოველი ძალი მისი აქვნდეს, რამეთუ უკეთუ, რომელი სათნოებასა და მოღვაწებასა ზედა ზვაობდეს, ყოველსა მას სასყიდელსა წარწყმედს. უკეთუ რომელი სიზმართა და აჩრდილსა ზედა ზვაობდეს, რომელ არს ამის სოფელისა დიდებაი, მისთვის რაი ვჰსთქვათ? რამეთუ მსგავს არს კაცისა, რომელი სიგლახაკითა და სიყმილითა მოკვდებოდეს, და უკეთუ სადა იხილოს სიზმარი რაიმე კეთილი მას ზედა მაღლოდეს. ჰოი, უბადრუკო კაცო! სული შენი ბევრეულითა სენითა სავსე არს და შენ რომელ ოქრო და ვერცხლი გაქვს, ამისთვის გონება ღრუბელთა უმაღლეს გიპყრიეს? არამედ სიმდიდრე ეგე არა შენი არს და, უკეთუ ჩემი არა გრწამს, თვით საქმენი იხილენ, და უკეთუ ჯერეთ გთრავს და არა გულის-ხმა-ჰყოფ, სხვათა ზედა მოწევნულთა საქმეთაგან, მცირედ ელოდე და შენ ზედა მოწევნულისაგან ჰსცნა, ვითარმედ ესე ყოველი არას გერგების, რაჟამს იგი მოიწიოს სიკვდილი და ერთისაცა ჟამისა უფალ არა იყო, არამედ უნებლიეთ დაუტევო. და ნუ უკვე ვიეთთა შენ არა გინდეს მათ წარიღონ, რამეთუ მრავალთაცა სიტყვისა თქმად ვერ-ხელეწიფა. არამედ ესე რათა არა მოიწიოს ჩვენზედაცა, ამისთვის, ვიდრეღა ცხოვრებასა ვართ, ხელით ჩვენით წარვსცეთ ყოველი ჩვენი მონაგები მას ქალაქსა, რათა მუნ ვჰპოვოთ

ყოვლითურთ, და მუნ არა არს შიში წარწყმედისა, არცა სიკვდილისა მიერ, არცა სხვისა რაიმე განსაცდელისა, არამედ თვითეული უკვე იშვებდეს თვისსა მას სიმდიდრესა ზედა. მივსცვალოთ უკვე, საყვარელნო, სიმდიდრე ჩვენი ამიერ მუნ, რამეთუ არა სახმარ არიან ჩვენდა ამის მიცვალებისათვის კარაულნი ანუ აქლემნი, ანუ ნავნი, არამედ გლახაკთა მიერ იქმნების საქმე ესე კეთილად, უძლურთა მიერ და მკელობელთა და ბრმათა, იგინი წარიღებენ მას ყოველსა მუნ ამიერ. იგინი მოწყალესა მას თანა შეგვიყვანებენ სასუფეველსა ცათასა, რომლისა ღირსმცა ვართ ყოველნი მიმთხვევად მადლითა და კაცთ-მოყვარებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა მიერ და რომლისა თანა მამასა შვენის დიდება სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ნ. თავი იზ. ცუდად მზვაობრობისათვის

ვივლტოდეთ, ძმანო, ცუდად მზვაობრობისაგან, რომელი ესე უძვირეს არს ყოველთა ვნებათასა. ცუდად მზვაობრობისაგან იშვების ანგარება და სახმართ-მოყვარება, ცუდად მზვაობრობისაგან იქმნების სიძულვილი და ბრძოლანი, და შფოთნი, რამეთუ, რომელი უმეტესსა დიდებასა ეძიებდეს, მარადის ბრძოლათა და ბოროტთა შინა არს, და ვერაოდეს ჰპოვებს გულის-თქმისა თვისისა დასასრულსა, - ხოლო ესე ყოველი ცუდად მზვაობრობისაგან არს. რამეთუ რაისაგან არს სიმრავლე სამკაულთა, მონათა და ტაძართა, რომელ ჰქონან მრავალთა? არა თუ სახმარ მათდა არს იგი ყოველი, არამედ რათა ამპარტავნებისა და ზვაობისა მათისა მოწამენი მრავალნი იყვნენ. ხოლო უკეთუ ცუდად მზვაობრობასა ვჰსძლოთ, სხვანი მრავალნი ვნებანი უჩინო ვჰყვნეთ მისთანა, რამეთუ არღარა იყოს დამაყენებელ, რათა ესრეთ ვიყოფოდეთ ქვეყანასა ზედა, ვითარცა ცათა შინა. რამეთუ ესე ვნება არა თუ ცოდვათა ოდენ შინა არს, არამედ სათნოებათაცა შინა შეერთვის, და განმრყვნელი არს სათნოებისა ყოვლისა, რომელსაცა თანა იყოს. რამეთუ შრომათა თავსდებად გვაიძულებს, და ნაყოფისა მოკრებად არა შეგვინდობს. რამეთუ აქავე მიუღებიეს სასყიდელი ყოვლისა შრომისა ცუდად მზვაობართა. და რაიმცა იყო ამის დაჭირვებისა უსაწყალობელეს? რამეთუ შეუძლებელ არს, თუმცა სოფლისაცა დიდებასა ვეძიებდეთ და ღვთისასაცა, და ორივემცა ვჰპოვეთ. არამედ მაშინ ოდენ ვჰპოვებთ ორსავე, რაჟამს ერთსა ვეძიებდეთ ოდენ ღვთისა მიერსა. და ამისთვის გევედრები, ძმანო, რათა ვივლტოდეთ დიდებისაგან კაცთასა და ვეძიებდეთ დიდებასა ღვთისაგან, რომელსა ღირსმცა ვართ მიმთხვევად მადლითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა შვენის დიდება სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ნა. ცუდად მზვაობრობისათვისვე

ყოვლისა ბოროტისა მიზეზი არს ცუდად მზვაობრობაი. ამან მოიყვანნა ჰურიანი შურად ქრისტესსა, და ამან კვალად დაარწმუნა მათ. და მოუხდეს იესოს და ჰრქვეს, ვითარმედ „რად არა იმარხვენ მოწაფენი შენნი.“ ვივლტოდეთ უკვე, საყვარელნო, ცუდად მზვაობრობისა ვნებისაგან, და უკეთუ ამისგან ვივლტოდეთ, გეენიისაგან განვერნეთ, რამეთუ ესე არს, რომელი აღატყინებს ცეცხლსა გეენიისასა, და ყველგან განუფენია თვისნი რტონი, და ყოველი ჰასაკი და ნათესავი დაუპყრიეს. ამან ეკლესიანი ზედა ქვე ქმნა, და ქალაქნი და ნათესავნი ამან ვნებამან ცუდად მზვაობრობისამან. ხოლო ვჰსძლოთ ვნებასა ცუდად მზვაობრობისასა: ესრეთ უკვე წინააღუდგინოთ დიდებასა დიდებაი, რამეთუ სიმდიდრესა მაშინ შეურაცხ-ვჰყოფთ, რაჟამს სხვისა სიმდიდრისა მიმართ ვხედვიდეთ, და ცხოვრებასა ამას მაშინ შეურაცხ-ვჰყოფთ, რაჟამს საუკუნო ცხოვრება გულის-ხმა-ვჰყოთ. ეგრეთვე ცუდი დიდება მაშინ დავსთრგუნოთ, უკეთუ მერმისა მის დიდებისა სურვილი გვაქვნდეს, და რამეთუ კაცთა დიდება ამაო არს და ცუდი ოდენ სახელი აქვს, და საქმე არა. ხოლო ზეცისა იგი დიდება ჭეშმარიტ არს, და არა თუ კაცნი, არამედ ანგელოსნი, და მთავარ-ანგელოსნი, და ანგელოსთა მეუფე იყოს მაქებელად ესე ვითარისა.

უკეთუ იგი საუკუნო დიდება და იგი მსაჯული გულის-ხმა-ჰყო, ვერა რამან სოფლისა საქმემან გაცთუნოს შენ. რამეთუ სოფელსაცა ამას ვინმცა აღირჩია წინაშე მეფისა მდგომარეთაგანმან, რომელსა თვით მეფე და ყოველნი მსახურნი მისნი აქებედ, რათამცა აღირჩია მან ქება ბუზთა და მუმლთა? ესრეთ არს კაცობრივი დიდება ღვთისა თანა, ვითარცა ხმა ბუზთა და მუმლთა, ქებასა მას თანა მეფისა და მხედართასა. არამედ რომელთა ესე უნდოებაი კაცობრივთა საქმეთა ვიცით, ყოვლითა ღონის ძიებითა საუკუნო იგი და მიუწთომელი დიდება ვიძიოთ, რომელსა ღირსმცა ვართ ყოველნი მიმთხვევად მადლითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა შვენის დიდება სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ნბ. ცუდად მზვაობრობისათვისვე

ვივლტოდეთ, ძმანო, ცუდად მზვაობრისა მხეცისაგან მარადის, რამეთუ მზაკვარი არს და მრავალ ფერი, და ყოველსა ადგილსა მიჰფენს თვისსა გესლსა და სახესაცა შინა და შვებასა და შვენიერებასა ხორცთასა. ცუდად მზვაობრობისათვის უმეტეს სახმართასა ვეძიებთ, ცუდად მზვაობრობისათვის არს შვენიერება სამოსელთა საძიებელ, ცუდად მზვაობრობისაგან გარდაემატა ჩვენ შორის ანგაჰარებაი. არამედ ერიდე ამას ბოროტსა, ჰოი ძმაო, და უკეთუ გნებავს რათა დიდება გაქვნდეს, იქმოდე

სათნოებასა, იქმოდე მოწყალებასა. მაშინ გაქონ შენ ანგელოსთა და კაცთა, და თავადმან ღმერთმან შეგიწყნაროს. რამეთუ ვიდრემდის ხორცთა ამკობდე, ამაო არს შრომა შენი და ხარ ცუდად მზვაობრობასა შინა. ხოლო უკეთუ გლახაკთა ზედა წარაგებდე, ყოვლით კერძო დიდ ჰყო ქება შენი. რაისათვის ამკობ ხორცთა, ჰოი კაცო, ცუდად მზვაობრობითა და სული შენი უდებ გიყოფიეს და არა წმიდებითა სავსე არს? რამეთუ უმეტესი მოსწრაფება სულისა შემკობისათვის ჯერ იყო ქმნად, ხოლო ჩვენ დაღაცათუ უმეტესი არა ვჰყოთ, გარნა სწორად ხორცთა ვიღვაწოთ სულიცა.

მოაქციე, ძმაო, ესე სამკაული შინაგან, და შემოსე სულსა, რამეთუ ხორცთა არას არგებენ ძოწეულნი და პორფირნი, არცა სიმრთელესა მისცემენ, არცა შვენიერებასა, რამეთუ შავსა ვერ განასპეტაკებს და უშვერს ვერ განაშვენებს. ხოლო სულსა, უკეთუ შემოსო, მეყვსეულად განასპეტაკებს მას, დაღაცათუ შავი იყოს, და უკეთუ უშვერი იყოს, განაშვენებს, რამეთუ იტყვის უფალი „უკეთუ იყვნენ ცოდვანი თქვენნი ვითარცა მეწამული, ვითარცა თოვლი განვასპეტაკო.“ მიეც უკვე, ძმაო, მოწყალება და აჰა შენი ყოველივე წმიდა იყოს, და შვენიერ, და კეთილ, რათა ესრეთ შემკობილი პორფირითა გვირგვინოსანი იქცეოდე სავანეთა მათ ზეცისათა, კეთილთა მათ მიუთხრობელთა, რომელსა ღირსმცა ვართ ყოველნი პოვნად, მადლითა და კაცთ-მოყვარეებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ნგ. თავი. იწ.

ვერცხლის მოყვარეობისათვის

საყვარელნო! შევუდგეთ იესოს და აღვიღოთ ჯვარი ჩვენი. რამეთუ იტყვის, „უარ ჰყავნ თავი თვისი და აღიღენ ჯვარი თვისი და შემომიდეგინ მე.“ ესე არს აღება ჯვარისა, რათა მოვაკვდინნეთ ასონი ჩვენნი ქვეყანასა ზედა, დავშრიტოთ გულის-თქმა, მოვაკვდინოთ გულის-წყრომა, მოვკლათ შური, და ესე არს მსხვერპლი ცხოველი, რომელი არა მტვერ იქმნების, არცა კვამლად განიბნევის, არცა ცეცხლი უხმს და შეშა და მახვილი, არამედ აქვს მახვილად და ცეცხლად სული წმიდა.

ესე მახვილი აღიღე, ძმაო, და მოიკვეთე ნამეტნავი იგი გულისა, განაღე დაყოფილი სასმენელი, რამეთუ სენი და ბოროტნი გულის-თქმანი დაუყოფენ სასმენელთა სმენად სიტყვასა ღვთისასა. რამეთუ, ვერცხლის-მოყვარება რა მოიწიოს, არა უტევებს შესვლად სიტყვათა მოწყალებისათა, - და, სიძულვილი რა მოიწიოს, დაუყოფს შესავალსა სიყვარულისასა, და ყოველი ვნება ესრეთ არს. არამედ ჩვენ აღმოვფხვრნეთ ბოროტნი გულის-თქმანი. რამეთუ ოდენ ვინებოთ, და ყოველი დაშრეტილ არს. ხოლო ჩვენ ვართ, რომელნი ვაუფლებთ ვნებათა ჩვენ ზედა. ნუ

მძლავრებასა ვერცხლის-მოყვარებისასა ჰხედავ, არამედ გულის-ხმა-ჰყავ, ვითარმედ შენგან არს იგი მძლავრებაი. რამეთუ არა თუ ბუნებით არს ვერცხლის-მოყვარებისა გულის-თქმა, რამეთუ ვინათგან ბუნებითნი ყოველნი პირველითგან იქმნნეს. ხოლო ოქროი და ვერცხლი ვიდრე მრავლად ჟამადმდე ყოვლადვე არა ჰსჩნდეს. სადა უკვე აღორძინდა ვერცხლის-მოყვარებისა გულის-თქმა? გარნა ცუდად მზვაობრობისაგან და დახსნილობისა, რამეთუ გულის-თქმანი რომელნიმე საჭირო არიან და რომელნიმე ბოროტნი, და რომელნიმე არცა ერთისა ამათგანისა. ესე იგი არს, ვითარმედ რაოდენი არიან, რომელ თვინიერ მათსა მოკვდების კაცი. იგინი საჭირო არიან და ბუნებით - ვითარ არიან ჭამის და სმისა და ძილისა გულის-თქმაი. ხოლო ტრფიალება იგი ხორცთა - სიმხურვალისა ბუნებით არს, გარნა არა საჭიროი. რამეთუ მრავალთა სძლიეს ხორცთა მხურვალებასა და არა მოკვდეს. ხოლო ვერცხლის-მოყვარებისა გულის-თქმაი - არცა ბუნებითი არს, არცა საჭიროი, არამედ ცუდი. და უკეთუ გვენებოს, არ შევიწყნარებთ ვერცხლის-მოყვარებასა. რამეთუ უფალმანცა ქალწულებისათვის სთქვა, „რომელთა ძალ-უძსო.“ ხოლო სახმართ-მოყვარებისათვის სთქვა, „რომელმან არა დაუტეოს მონაგები თვისი და შემომიდგეს მე, არა არს იგი ჩემდა ღირს.“ რამეთუ სულ (სრულებით) ადვილ არს. ამას გვამცნებს (უფალი). ხოლო, რომელი ვერ ყოველთა ძალ-უძს, მიუშვებს ნებასა ზედა. აწ უკვე რად ვჰყოფთ თავთა ჩვენთა უსიტყველ წინაშე ღვთისა? რამეთუ რაი ვსთქვათ, რაჟამს გვრქვას, ვითარმედ „მიხილეთ მე მშიერი, და არა მეცით ჭამადი“? ნუ უკვე ქვრივისა მის უგლახაკეს ვართა, რათამცა სიგლახაკე ვიმიზეზოთ? რამეთუ ღმერთი არა სიმრავლესა საფასეთასა ეძიებს, არამედ სიკეთესა გონებისასა და ესეცა მისისა კაცთ-მოყვარებისაგან არს.

ამისთვის უკვე გევედრები, საყვარელნო! ვისწრაფოთ ძალისაებრ ჩვენისა ქმნად კეთილისა და მოწყალებისა, რათა ჩვენცა შევიწყალნეთ და მივემთხვივნეთ საუკუნეთა მათ კეთილთა, მადლითა და კაცთ-მოყვარებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ნდ. ვერცხლის-მოყვარებისათვისვე

ძმანო! ისმინეთ ჩემი, რამეთუ ბოროტ არს ვერცხლის-მოყვარება ბოროტი. და თვალთა და ყურთა დაუყოფს, და მხეცისა უფიცხეს ჰყოფს კაცსა: არცა გონებისა მხილებასა, არცა მეგობრობასა, არცა თვისისა სულისა ცხოვნებასა უტევებს გულის-ხმის-ყოფად, არამედ ვინათგან ჰსძლოს კაცსა ვერცხლის-მოყვარებამან, სრულიად დაიმონებს მას, ვითარცა მძლავრი ბოროტი. და უბოროტესი ესე არს, რომელ დაარწმუნებს, რათა მადლიერცა მისდა იყვნენ, და რაზომცა ჰმონებდენ მას, ესე ზომცა აღორძინდების გულის-თქმა მათი და ესრეთ უკურნებელ იქმნების სენი იგი და მხეცი იგი უბრძოლველ.

ვერცხლის-მოყვარებამან - გეეზი განაკეთროვნა. ამან ანანია და საპფირა წარსწყმიდნა. ამან იუდა ქრისტეს განმცემელ ჰყო. ამან ჰურიათა მთავარნი დაანთქნა, რომელნი მიიღებდეს ქრთამსა და ზიარ მპარავთა იქმნებოდეს. ვერცხლის-მოყვარებამან აღავსო სისხლითა გზანი. ვერცხლის-მოყვარებამან აღავსო გლოვითა და გოდებითა ქალაქნი. ვერცხლის-მოყვარებამან შეაგინნა მრავალნი და ტაბლები ბილწებისა დააგო და სანოვაგები უსჯულოებისა. ამისთვის ვერცხლის-მოყვარებასა კერპთ-მსახურებად უწოდა პავლე, ხოლო ვითარ არს კერპთ-მსახურებაი? ესრეთ, რამეთუ, რომელთამე აქვს საფასე და, შეხებად მისა ვერ იკადრებენ, არამედ შვილითი შვილად მარხვენ მიუახლებელად, ვითარცა სიწმიდესა რასმე, რომლისა ვერ იკადრებენ კაცნი მიახლებად. და უკეთუ ოდესმე იიძულნენ მიახლებად მათდა, ესრეთ შეურაცხიეს, თუ - ბოროტი რაიმე ჰქმნეს? და ვითარცა კერპთა, ესრეთ მარხვენ საფასეთა შეწყვდეულთა შინაგან კართა და მოქლონთა. და ტაძრისა წილ, აქვს მათ კიდობნები და მარხვენ ჭურჭელთა შინა ვერცხლისათა. რაისა იქმ, ჰოი კაცო, ვერცხლის-მოყვარეო? არა თაყვანის-ცემაა ოქროსა მას, ვითარცა კერპსა? რამეთუ, დაღაცათუ არა თაყვანის-ცემ, არამედ ყოვლით კერძო მას პატივ-ჰსცემ. და, ვითარცა კერპთ-მსახურსა ურჩევიეს სულისა თვისისა აღმოსლვაი, - ვიდრე კერპისა თვისისა წარგებაი, ეგრეთვე შენ, ვერცხლის-მოყვარეო, გირჩევიეს სულისა აღმოსლვა, ვიდრე საფასეთა შენთა შეხებაი. ხოლო ამას თუ იტყვი შენ, კაცო, ვითარმედ არა თაყვანის-ვსცემ მე ოქროსა, არცა იგი (ვერცხლის-მოყვარე) არა კერპსა თაყვანის-ცემს, არამედ მას შინა დამკვიდრებულსა ეშმაკსა. ეგრეთვე შენ, დაღაცათუ ოქროსა მას არა თაყვანის-ცემ, არამედ ეშმაკსა მას თაყვანის-ცემ, რომელი ოქროსა მისგან და გულის-თქმისა მისისაგან სულსა შინა შენსა შემოვალს. რამეთუ ყოვლისა ეშმაკისა უბოროტეს არს გულის-თქმა ვერცხლის-მოყვარებისა, რომელი გასწავებს ყოველსა ბოროტსა და გეტყვის, ვითარმედ მარადის მბრძოლ ექმენ ყოველთა კაცთა და მტერ. უცხო ექმენ ბუნებასა შენსა, შეურაცხ-ჰყავ ღმერთი, შემოსწირე თავი შენი ჩემდა! კერპთ-მსახურნი კერპსა უზორვენ და ცხოვარსა შესწირვენ. ხოლო ვერცხლის-მოყვარება იტყვის, შემოსწირე სული შენი ჩემდაო, და ისმენ მისსა. ჰხედავა, ვითარნი ბომონნი ჰქონან, ვითართა შესაწირავთა ეძიებს? „სასუფეველსა ვერ დაიმკვიდრებენ ანგაჰარნი," და არავე ეშინის, და ესე გულის-თქმაი უუძლურეს არს ყოველთა გულის-თქმათასა. რამეთუ არა ბუნებით დანერგული არს, არა თუ პირველითგანმცა იყო! ხოლო აწ ვჰხედავთ, რამეთუ პირველითგან ოქრო და ვერცხლი არა იყო, არცა ვის უყვარდა. არამედ ამის მიერ შემოვიდა ბოროტი ესე, რომელ თვითეულთა მეორისა შურითა იწყო უმეტესისა მოგებად და ესრეთ განეფინა სენი ესე. რამეთუ, რაჟამს იხილნენ ბრწყინვალენი ტაძარნი და უბანთა სიმრავლენი, და ჭურჭელნი ვერცხლისანი და სხვა ყოველივე სიმდიდრე, მეყვსეულად ყოველსავე მოსწრაფებასა იქმან, რათა მათ წარხდენ და ესრეთ იქმნებიან პირველნი მიზეზ შემდგომთა. გარნა არცა ესრეთ აქვს სიტყვა ვერცხლის-მოყვარეთა წინაშე ღვთისა. რამეთუ მრავალნი არიან უპოვარნი ქალაქთა შინა და უბანთა. დაღაცათუ უპოვარება ვერ ძალ-გიძს, არამედ უცხოთა

მონაგებთა ნუ მოიტაცებ. რამეთუ სახენი ამის საქმისანი მრავალნი არიან, რომელნი არა იტაცებენ, არამედ სიმართლით მოგებული აქვს და მისგან ჰყოფენ მოწყალებასა. რად არა უკვე მათ ვეშურებით და ვჰბაძავთ? მოვიხსენნეთ პირველ ჩვენსა ყოფილნი კაცნი. არა ცარიელნი ჰსდგანანა ტაძარნი და აგარაკნი მათნი, და ოდენ სახელი მათი ეწოდების, ვითარმედ მის ვისიმე სახლი და მის ვისიმე სოფელი? არა სულთ-ვითქვამთა, ვიხილნეთ რა, თუ რაზომნი ტაცებანი ჰქმნნა მისთვის, და აწ არღარა სადა ჰსჩანს. არამედ მისთა ნაშრომთა შინა იშვებენ სხვანი, რომელთასა არა ჰგონებდა. და ნუ უკვე მტერნიცა მისნი იყვნენ მას შინა და იგი ბოროტითა სიკვდილითა მომკვდარ არნ? და ესევე ჩვენ წინა გვიძს, რამეთუ უეჭველად იგივე აღსასრული მოსვლად არს ჩვენ ზედა. რამეთუ, რაოდენნი მტერობანი სხვათანი ჰქმნეს მაშენებელთა ამის ტაძრისათა, რაოდენნი მოხვეჭანი, რაოდენნი წარსაგებელნი, და რაი იქმნა მის ყოვლისა სარგებელი? სატანჯველი საუკუნო და არცა ერთისა ნუგეშინის-ცემისა პოვნაი. - და აქაცა, აწ ყოველნი უზრახვენ ძვირსა. ანუ არა მრავალთა კაცთა ხელმწიფეთა ხატები გამოწერილები (დახატულ არიან) სახლთა შინა მათთა, რაჟამს ვიხილნეთ, არა უფროსად ვიგლოვთა? ჭეშმარიტად კეთილად ჰსთქვა წინასწარ-მეტყველმან, ვითარმედ „ამაოდ შფოთებს ყოველი კაცი.“ რამეთუ ჭეშმარიტად ამაოება არს ესე ვითართა საქმეთა ზედა მოსწრაფებაი, არამედ სავანეთა მათ საყოფელთა ზეცისათა ჯერ არს მოგებაი. რამეთუ აქა სხვამან შვრის და სხვა განისვენებნ მას შინა. ხოლო მუნ თვითოეული თვისსა ნაშრომსა ზედა უფალ არს, და მრავალ წილად მიიღოს მისაგებელი. მას მისაგებელსა ვეძებდეთ, ძმანო, მუნ ვიშენოთ სახლები, რათა განვისვენოთ ქრისტეს იესოს მიერ უფლისა ჩვენისა, რომლისა არს დიდება თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ნე. ვერცხლის-მოყვარეობისათვისვე

ვინაითგან უკვე იუდასთვის გვასმიეს, ვისწრაფოთ ჩვენცა, ძმანო, განფრთხობად და მღვიძარე ყოფად მარადის: რამეთუ, უკეთუ რომელი იგი წმიდასა მას მოციქულთა კრებულსა შინა იყოფოდა და, ესოდენნი ნიჭნი მოეხვნეს უფლისა მიერ, რომელსა ესოდენნი სასწაულნი ექმნეს, რამეთუ ერთი იყო ათთორმეტთა მოციქულთაგანი, რომელნი წარავლინნა იესო მკვდართა აღდგინებად და კეთროვანთა განწმედად.

ვინათგან უკვე ესე ვითარი იგი შეპყრობილ იქმნა სენითა მით ვერცხლის-მოყვარებისათა, და მოძღვარი თვისი განჰყიდა, და არა რას სარგებელ ეყვნეს მას ქველის მოქმედებანი იგი და ნიჭნი უფლისანი, არცა მის თანა ყოფაი მისი, და არცა დაბანაი იგი ფერხთა, არცა ზიარება იგი ტაბლისა მისისა, არცა ტვირთვა იგი გვადრუცისა, არამედ უფროსად დასასჯელ ექმნა მას ესე ყოველი. ამისთვის გევედრები, ძმანო, რათა შევიშინოთ ჩვენცა, ნუ უკვე მივემსგავსნეთ იუდას ვერცხლის-

მოყვარეებითა, დაღაცათუ ქრისტეს არა განვჰყიდით. არამედ, რაჟამს ვიხილოთ გლახაკი სიყმილითა მომწყდარი, ანუ სიცივით შეჭირვებული და სიკვდილად მიახლებული და შეურაცხ-ვჰყოთ იგი, მითვე სასჯელითა დავისაჯებით. და კვალად ოდეს უღირსებით მოვუხდეთ ზიარებად წმიდათა ქრისტეს საიდუმლოთა, ესრეთ წარვსწყმდებით, ვითარცა ქრისტეს მკვლელნი. და კვალად, რაჟამს მოვიტაცებდეთ და ვაჭირვებდეთ ქვრივთა და ობოლთა, ფრიადსა სასჯელსა მოვაწევთ თავთა ზედა ჩვენთა და სამართლადცა.

ვიდრემდის შევუპყრიეთ ჩვენ ტრფიალებასა ვერცხლის-მოყვარებისასა? ვიდრემდის შემსჭვალულ ვართ ამაოებისადა? ვიდრემდის არა მივხედავთ საქმეთა მათ ზეცისათა? არა განვიფრთხობთ, არცა განვიღვიძებთ საქმეთა ამათგან ქვეყანისათა? მოვიხსენოთ უწინარეს ჩვენსა განმდიდრებულნი იგი: არა ყოველივე დიდება მათი სიზმარ იქმნაა? არა ზღაპარ და ამბავ იქმნაა ყოველივე, ვითარმედ იგი ვინმე განმდიდრდაო, და აწ სადა არს სიმდიდრე მისი? წარსწყმდა და განიხრწნა და ცოდვანი იგი, რომელნი მას სიმდიდრისა მიერ ექმნეს, ჰგიან და ცოდვათა მისთათვის სატანჯველი, არცა სასუფეველი წინა მდებარე იყო, არამედ ბუნებისა მისგან ნათესავისა ჩვენისა სირცხვილი ჯერ იყო, რომელ არიან გლახაკნი. ხოლო აწ ჩვენგანნი მრავალნი ძაღლთა და ქორთა, და ავაზათა, (ვეფხვსა ჰგავს, მცირეა) და სხვათა თითო სახეთა მხეცთა ზრდიან და კაცთა გლახაკთა შეურაცხ-ჰყოფენ, შიმშილითა შეჭირვებულთა, რომელ არს ქრისტე. გულის-ხმა-ჰყავ, ჰოი კაცო, ვერცხლის-მოყვარეო, ვითარმედ მაშინ ფრიად გევნოს, რაჟამს შემასმენელ შენდა იყვნენ გლახაკნი დღესა მას სასჯელისასა. რამეთუ შენ ოქროთა შემოსილ ხარ, და გლახაკსა, რომელ არს ქრისტე, არცა მცირე სამოსელი აქვს. შენ სანოვაგისა სიმრავლითა განსქდები და ქრისტე მშიერი მიმოვალს. ნუ ძმანო, ნუ ესრეთ უგულისხმო ვართ. არამედ ვიქმოდეთ მოწყალებასა გლახაკთა ზედა, რომელთა ქრისტე მიითვალავს და მოვეკიდნეთ სასოებასა მას მერმისა მის საუკუნესასა. ბერნი ვიგონებდეთ, ვითარმედ აჰა ესერა მოახლებულ არს სიკვდილი, ჭაბუკნი ვგონებდეთ, ვითარმედ უცნაურ არს ჟამი სიკვდილისა და ვითარცა მპარავი ღამით ესრეთ მოიწიოს დღე იგი სიკვდილისა.

ამისთვის უკვე გევედრები, ძმანო, ვეკრძალნეთ ყოველნი და ვისწრაფდეთ შეურაცხყოფად წარმავალთა ამათ და წარუალთა მათ ზეცისათა ვეძიებდეთ, რათა ღირს-ვიქმნეთ პოვნად კეთილთა მათ საუკუნეთა, მადლითა და კაცთ-მოყვარებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა მიერ და რომლისა თანა მამასა ჰშვენის დიდება სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ნვ. თავი ით.

მრისხანებისათვის

ძმანო ჩემნო, ჯერ არს ჩვენდა განშორებაი მრისხანებისაგან და ვერცხლის-მოყვარებისა, რომელი იგი მიზეზი არს მრისხანებისა. რამეთუ რისხვა ვნება არს ბოროტი, მრავალ ღონე დამაბნელებელი სულისა, და უშვერ-მყოფელი ხორცთა. ამისთვის ჯერ არს, რათა ყოვლით კერძო ვეკრძალნეთ რისხვასა. რამეთუ ბოროტ არს, უკეთუ მხეცთა დამშვიდებაი ძალ-გვედვას და გონებასა ჩვენსა განმხეცებულსა უგულებელს-ვჰყოფდეთ. რამეთუ გულის-წყრომა ცეცხლი არს შემწველი სულისა და მავნებელი ხორცთა, უშვერ-მყოფელი; და უკეთუმცა მრისხანესა ჟამსა რისხვისასა ძალ-ედვა თავისა თვისისა ცნობაი, თუ ვითარი არს, არამცა სახმარ იყო სხვათა სწავლაი, - რამეთუ არა რაი არს უუშვერეს მრისხანისა. მთვრალობა არს ბოროტი მრისხანება, და უფროს მთვრალობისა უბოროტეს და ეშმაკეულისა უძვირეს.

არამედ მოვიწყვიდოთ, ძმანო, ჩვენგან რისხვა და ხმა-მაღლობა სიტყვისაებრ პავლე მოციქულისა, და ჟამსა განრისხებისასა მოვიხსენებდეთ ცოდვათა ჩვენთა. და რაჟამს მონასა შენსა რისხვიდე და პეროდე. (ქაფსა ჰყრიდე პირიდან) და იგი ჰსდგეს მდუმრიად და ბრძნად, იგი კმა იყავნ შენდა სწავლად. დაღაცათუ მონა არს, არამედ კაცი არს და სული აქვს უკვდავი, და იგივე ნიჭნი ჰქონან ღვთისაგან, ვითარ ეგე შენ. და უკეთუ რომელი იგი სულიერითა პატივითა სწორ ჩვენდა არს და ხორციელისა ამის და არა რაისა ხელმწიფებისათვის - ესრეთ სიმშვიდით თავს ისხამს სიტყვათა ჩვენთა, - ხოლო ჩვენ, რომელი სიტყვა მივუგოთ ღმერთსა, რაჟამს შიშისა მისთვის ესრეთ არა აღვირ ვასხმიდეთ გონებათა ჩვენთა, ვითარ იგი მონანი ჩვენთვის? ამას ყოველსა გულის-ხმა-ვჰყოფდეთ და ცოდვათა ჩვენთა ვიხსენებდეთ და ბოროტისა ამის მრისხანებისა ვნებისაგან განვეშორნეთ და ქრისტეს მიერი სიმშვიდე შევიმოსოთ, რათა ვჰპოვოთ განსვენება სულთა ჩვენთა მადლითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა შვენის დიდება სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ნზ. მრისხანებისათვის

ჭეშმარიტისა ქრისტეანისა ჯერ არს, ძმანო ჩემნო, ბრწყინვალე ყოფად სოფელსა შინა და ყოველსავე საქმესა სიმშვიდით საცნაურ: სლვისაგან და ხედვისა, სახისაგან და ხმისა, ჯდომისაგან და დგომისა, რათა ყოველსავე შინა ქრისტეს მიერი სიმშვიდე ბრწყინვიდეს. ხოლო, უკეთუ განრისხნები, და მხეცთა ბოროტთა მიემსგავსები: ჰბრდღვინავ, ვითარცა კურო (ბუღა ხარი, დაუკოდავი), ხუვივი, - (ხვიხვინებ

ხურვებით), - ვითარცა ცხენი, დედათა ზედა ნაყროვანებ, - ვითარცა დათვი, განსუქნები, - ვითარცა ღორი, მოიხსენებ ძვირსა, - ვითარცა აქლემი, იტაცებ, - ვითარცა მგელი, ჰსცბი, - ვითარცა მელი, უცემ (ჰკბენავ) კაცსა, - ვითარცა გველი, გესლსა ჰსთხევ, - ვითარცა ღრიანკალი, განრისხნები), - ვითარცა ვეშაპი, იცავ გესლსა, - ვითარცა ასპიტი, ჰსძულობ კაცსა, - ვითარცა ფოცხვერი, ემტერები, - ვითარცა ეშმაკი. ესე ყოველი თითოეული მხეცსა ჰქონან ბუნებით, ხოლო შენ უძვირეს ყოველთასა იქმნები, - და ვითარ გეწოდოს შენ ქრისტეანე ამათ ესე ვითართა მოქმედსა? არამედ ნუმცა ვინ არს თქვენგანი ესრეთ, ჰოი ძმანო! უფროსღა მოვიგოთ სიმშვიდე, სახე ჭეშმარიტებისა, რათა დავიმკვიდროთ ქვეყანა იგი მშვიდთა, რამეთუ იტყვის, „ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა,“ რომელსა შინა ღირსმცა ვართ ყოველნი განსვენებად მადლითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ნწ. მრისხანებისათვისვე

ვისწაოთ უკვე ძმანო უფლისა მიერ, სახიერება და სიმშვიდე, ვითარცა იტყვის, ვითარმედ „ისწავეთ ჩემგან, - რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა.“ ესრეთ ვისწაოთ და აღვირ ვახსნეთ ყოველსავე უკეთურებასა, უკეთუ ვინ ამაღლდეს ჩვენზედა, ხოლო ჩვენ დავმდაბლდეთ, და ნუ შურის მეძიებელ ვართ, და ნუცა მოვკლავთ სულთა ჩვენთა. რამეთუ მრისხანება მხეცი არს, მხეცი ბოროტი და ფიცხელი. ვეტყოდეთ უკვე თავთა ჩვენთა, ჟამსა მას რისხვისასა, სიტყვათა მათ წერილისათა, ვითარმედ „მიწა ხარ და ნაცარი“ და კვალად ვითარმედ წამი იგი გულის-წყრომისა მისისა დაცემა მისდა. და კვალად კაცი მრისხანე უშვერ არს, რამეთუ არა რაი არს უბოროტეს პირისა განრისხებულისა, არცა უუშვერეს. ხოლო უკეთუ პირისა უუშვერეს არა რაი არს, სულისა განრისხებულისა უუშვერეს რაიმე იყოს? რამეთუ, ვითარცა სკორესა რა ურევნ, ვინ უფროსად აღიძრის სუნი სიმყრალისა მისისა? ეგრეთვე სული, გულის-წყრომის მიერ რა შეშფოთებულ არნ, და ზამთარი ფრიადი არნ შორის მისსა. ანუ იტყვი, თუ ვერ თავს-ვიდებო, რაჟამს სხვა მაგინებდეს. გარნა რაისათვის ვერ თავს იდებ? რამეთუ უკეთუ ჭეშმარიტსა გეტყვი სიტყვათა მათ გინებისათა, თვით მისსა პირველცა თანა გაძს უფროსად ბრალობაი თავისა შენისა. ხოლო უკეთუ კულა სტყუის, ნუ განრისხნები, არამედ უფროსად ეცინოდე, და სულთ-ითქვენ მისთვის, რამეთუ „რომელმან ჰრქუას ძმასა თვისსა ცოფ, თანამდებ არს გეენიასა,“ რამეთუ, რაჟამს გაგინოს, გულის-ხმა-ჰყავ სატანჯველი იგი, რომელსა შინა შესვლად არს რისხვისა მისთვის და გინებისა, და ნუ ოდენ რისხვასა დააყენებ, არამედ ცრემლნიცა დასთხიენ მისთვის. რამეთუ სნეულისაცა მიმართ, გინა მოწყლულისა არავინ განრისხნების, არამედ უფროსღა ეწყალოს იგი. და სულიცა განრისხებული

ესრეთ არს, დაღაცათუ ბოროტის ყოფა მისი გნებავს, დადუმენ და ესრეთ უწყოდე, ვითარმედ მოგიწყლავს იგი ძლიერად, უკეთუ კულა გინება გინებასა ზედა დართო, უფროსად ცეცხლსა მას აღატყინებ. ნუ იტყვი, ვითარმედ უკეთუ დავიდუმო, მუნ მყოფნი ყოველნი უძლურებასა დამწამებენ. გარნა გულის-ხმა-ჰყავ, ვითარმედ არა უძლურებასა, არამედ სიბრძნესა ფრიადსა იტყვიან შენთვის და განკვირვებულ იქმნებიან. უკეთუ კულა იგინო რა, განრისხნე და აგინო შენცა, მაშინ დაამტკიცებ შენ თვით, ვითარმედ უგუნურ ხარ შენ, და ვითარმედ სიტყვანი იგი გინებისანი, რომელნი მან გრქვა, ჭეშმარიტ არიან, რამეთუ უკეთუმცა არა ჭეშმარიტ იყვნეს რადმცა განრისხენ? რამეთუ მდიდარსა უკეთუ ვინ ჰრქვას, თუ გლახაკ ხარ, რად არა განრისხნების? არამედ უფროსად ეცინის, ამისთვის, რამეთუ იცის, ვითარმედ არა გლახაკ არს. აწ უკეთუ ჩვენცა ვიგინეთ რა, ვიცინოდეთ გინებასა მას ზედა, დავამტკიცებთ, ვითარმედ არა რაი იპოვების ჩვენთანა სიტყვათა მათგანი. და კვალად, დაღაცათუ ესე არა ესრეთ არს, ჩვენ ვიდრემდის გვეშინის სიტყვათაგან კაცთასა? ვიდრემდის შეურაცხ-ვჰყოფთ მეუფესა მას ყოველთასა, და შემსჭვალულ ვართ ქვეყანისადა. რამეთუ, ვინათგან არს ჩვენთანა შური და ხდომაი და განწვალებანი, არა ხორციელ ვართა? ვიქმნნეთ უკვე სულიერ და აღვირ ვასხნეთ ბოროტსა მას მხეცსა მრისხანებისასა. რამეთუ არა რაი არს განყოფილება მრისხანებისა და სიცოფისა, არამედ ეშმაკი არს მძვინვარე და უფროსად ეშმაკეულისა უარეს ჰყოფს კაცსა. რამეთუ ეშმაკეული საწყალობელ არს, ხოლო მრისხანე ბევრეულთა სატანჯველთა ღირს არს. რამეთუ ნებსით შთააგდებს თავსა თვისსა მთხრებლსა მას წარწყმედისასა და, უწინარეს საუკუნოსა მის გეენიისა, აქავე დასჯილ არს. რამეთუ ამბოხებასა და შფოთსა ბოროტსა ღამე და დღე მოაწევს თვალთა ზედა სულიერთა. აწ, უკვე, ძმანო, განვსდევნოთ ჩვენგან ბოროტი ესე ვნებაი მრისხანებისა, და ვაჩვენოთ ყოვლით კერძოვე სიმშვიდე, რათა ამასცა საწუთოსა ვიხსნნეთ თავნი ჩვენნი ბოროტისაგან და მას საუკუნესა სატანჯველთა მათგან მწარეთა განვერნეთ და ვჰპოვოთ აქაცა განსვენება სულისა და მერმესა მასცა საუკუნესა, სასუფეველი ცათა დავიმკვიდროთ, რომელსა ღირსმცა ვართ ყოველნი მადლითა და კაცთ-მოყვარებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლის მიერ და რომლისათანა მამასა შვენის დიდება სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ნთ. თავი კ.

შურისათვის

იხილეთ უკვე, ძმანო, ვითარ ბოროტ არს შური და ვითარ თვალთა დაუბრმობს მის მიერ ძლეულთა, რამეთუ, ვითარცა განცოფებულნი, მრავალ გზის თავთა თვისთა მოიკვლენ, ეგრეთვე მოშურნე თვისსა ცხოვრებასა წარსწყმედს. კაცი მოშურნე უბოროტეს მხეცისა არს: რამეთუ მხეცნი ბოროტისა წილ მიაგებენ ბოროტსა, ხოლო მოშურნე კეთილისა წილ, იქმს ბოროტსა. და ესრეთ მხეცთაცა უძვირეს არს და სწორ ეშმაკთა. და ნუ უკვე ეშმაკთაცა უძვირეს? რამეთუ მათ ჩვენდა მომართ დაუგებელი (განუწყვეტელი ბრძოლა აქვს), ხოლო ურთიერთარს არა იბრძვიან. არამედ მოშურნე არა ერიდების ზიარებასა ბუნებისასა, (მოყვასის ბრძოლას არ ერიდება). და არა აქვს სიტყვაი ამის ბოროტისა მოქმედსა. რამეთუ წუხილი გვიხმს ჩვენთა ბოროტთათვის და არა სხვისა კეთილისათვის. მეძავსა აქვს მიზეზად - გულის-თქმაი, და მპარავსა - სიგლახაკე, და კაცის მკვლელსა - გულის-წყრომაი. დაღაცათუ ცუდ არიან მიზეზნი ესე, გარნა არიან რაიმე მიზეზ. ხოლო შენ, ჰოი მოშურნეო, მითხარ, თუ რომელი მიზეზ ჰსთქვა? არცა ერთი რა მიზეზი გაქვს, გარნა უკეთურებისა სიმრავლე. რამეთუ უკეთუ მტერთაცა სიყვარული ბრძანებულ არს ჩვენდა, ხოლო რაჟამს მოყვარენიცა გვძულდენ, რაი სიტყვა მივუგოთ? და ვითარცა უფალი იტყვის, ვითარმედ „რომელი მეგობართა ოდენ ჰყვარობდეს, არა რათ უმჯობეს არს წარმართთასა.“ მაშა რომელი კეთილის-მყოფელთაცა ბოროტსა უყოფდეს, რომელი სასჯელი მიიღოს მან? ესე ვნება შურისა სიძვისაცა უძვირეს არს და მრუშებისა, რამეთუ იგი მოქმედსა მისსა თანა ოდენ ჰგიეს, ხოლო შურისა სიბოროტემან ეკლესიანი დიდნი დააქცივნა და სოფელი განხრწნა; შურისა მიერ მოჰკლა კაენმა აბელი, შურისა მიერ ეძიებდა მოკვლად ესავ იაკობს, შურისა მიერ განჰყიდეს იოსებ ძმათა, შურისა მიერ ჰბრძავს ეშმაკი კაცთა ყოველთა. და ყოვლისა უძვირესი ესე არს, რომელ ცოდვა ესე ბოროტი მსუბუქად შერაცხილ არს, არამედ ყოველთა უმძიმეს არს. დაღაცათუ იტყვი, ჰოი მოშურნეო, თუ მე არა მოვკლავ, არცა განვჰყიდი ძმასა ჩემსა, გარნა უკეთუ ემტერები და არა გნებავს კეთილი და სათნოება მისი, მასვე ბოროტსა შინა ხარ და ღმერთსა ებრძვი, რომელსა იგი ჰმონებს. არამედ იხილე, ვითარ უბოროტეს არს სიძვისაცა, რამეთუ ისიძვა ვინმე კორინთესა შინა და შერისხეს მას და მოიქცა სინანულად. ხოლო ეშურებოდა აბელს კაენი და არა მიიღო კურნება, არამედ ღმერთი ზედას ზედა ეტყოდა, და იგი უმეტესად განძვინდებოდა. ესრეთ უძვირეს არს შური და ძნიად საკურნებელ, უკეთუ არა ვისწრაფოთ სრულიად ძირითურთ აღმოფხვრად მისა. ხოლო აღმოვფხვრათ ესრეთ, უკეთუ ვიგონებდეთ, ვითარმედ განვარისხებთ ღმერთსა, უკეთუ ვეშურებოდეთ მოყუვსისა კეთილსა. ხოლო ეგრეთვე დავატკბობთ ღმერთსა ჩვენზედა, უკეთუ ვიხარებდეთ კეთილსა ზედა მოყვსისასა. ამისთვის პავლე მოციქული გვამცნებს

სიხარულსა მოხარულთა თანა, და ტირილსა მტირალთა თანა, რათა ორ კერძოვე დიდ ვიქმნეთ სულითა. დაღაცათუ ჩვენ არა დავშვრეთ, თანა ზიარ შურისა (ბაძვისა) მათისა ვიქმნეთ, რომელთათვის გვიხაროდეს.

ესრეთ უკვე ვიღვაწოთ, ძმანო, აღმოფხვრად ჩვენგან შურისა, რათა საუკუნეთა მათ კეთილთა მივემთხვივნეთ მადლითა და კაცთ-მოყვარებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა ჰშვენის დიდება სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ჲ. შურისათვისვე

ვსთქვი და კვალადცა ვიტყვი, ბოროტ არს შური და ორგულებითა სავსე. შურმან აღავსო სოფელი ბევრეულითა ბოროტითა: შურის მიერ არიან კაცის-კლვანი, ვერცხლის-მოყვარებანი, ცუდად მზვაობრობანი. შურის მიერ არიან ავაზაკობანი და მპარავობანი, შურის მიერ ევნო ფრიადი იგი ვნება ნათესავსა ჩვენსა. რომელიცა ბოროტი იხილო, შურისაგან ნაშობი არს. აჰა ესერა ეკლესიათაცა მოიწია და მრავალნი ბოროტნი ჰქმნნა. შურისა სენმან, შვა ვერცხლის-მოყვარება, შურმან ყოველივე ზედაი ქვე ჰქმნა, შურმან დაამხვა სიმართლე, შურმან - აზნაურნი მონა ჰყვნა. ამისთვის გასწავებ მარად-დღე და არა რაი იქმნების სარგებელი. მხეცთა უძვირეს ვიქმნებით, ობოლთასა მოვიტაცებთ, ქვრივთა ვავნებთ, გლახაკთა ვაჭირვებთ, ვაებაი ვაებასა ზედა გვიქმნიეს! ვაიმე, რამეთუ წარწყმდა ღვთის მოშიში ქვეყანით და ჯერ არს გლოვაი, რამეთუ ვერცა რაი ლოცვითა ვჰქმენით და ვერცა ჰსწავლითა! აწ ტირილი ოდენ გვიხმს, ვითარცა ჰყო ქრისტემან, რაჟამს ფრიადი ასწავა იერუსალიმელთა. და ვითარცა არას ისმენდეს, მაშინ ჰსცრემლეოდა მათთვის. ვითარცა წინასწარმეტყველნიცა იქმოდეს, ეგრეთვე ჩვენცა ვიქმოდეთ აწ - რამეთუ ჟამი ტირილისა და გოდებისა არს. ვიგლოვდეთ ისაიასთანა და ვსთქვათ, „ვაი მათდა, რომელნი შეაერთებენ სხვისა სახლსა და მიიახლებენ აგარაკსა აგარაკსა, რათამცა მოყვსისა მიიტაცეს რაი.“ და უფროსღა ქრისტე მეუფისა თანა ვსთქვათ, ვითარმედ „ვაი თქვენდა მდიდარნო, რამეთუ მიგიღებიეს ნუგეშინის-ცემა თქვენი.“ არა ყოველთა მდიდართა, რომელნი მოწყალებასა ჰყოფენ, არამედ მათდა არს ვაებაი, რომელნი ვერცხლის-მოყვარე იყვნენ და მტაცებელ და ანგაჰარ. რამეთუ შესაძლებელ არს კეთილად ხმარებაი სიმდიდრისა, რაჟამს გლახაკთა ზედა წარვაგებდეთ. ხოლო ანგარება არს წარმწყმედელ და ბოროტ. ვიგლოვდეთ ანგართათვის, ვითარცა წინასწარმეტყველმან ჰსთქვა, ვითარმედ, „ნუ იგლოვთ მკვდართათვის, არამედ მტაცებელთათვის ანგაარისა, ვერცხლის-მოყვარისა და უძღებისა,“ ანუ რად ვიგლოვთ მკვდართათვის, რომელთა არღარა ეგების მოქცევაი, არამედ ვიგლოვდეთ ამათ ვნებათა მიერ ძლეულთათვის და მოშურნისა, რათა მოიქცეს სინანულად. შურისა წილ მოვიგოთ სიყვარული და სიხარული მოყვასისა კეთილსა ზედა, რათა ესრეთ ყოველნივე ღირსმცა ქმნულ ვართ საუკუნეთა მათ კეთილთა,

მადლითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება, თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ჲა. კვალად შურისათვისვე

გევედრები, საყვარელნო ძმანო, რათა ვიდრემდის გვაქვს სასოება ცხოვრებისა, ვიდრემდის შემძლებელ ვართ მოქცევად, ყოვლით კერძო ვისწრაფოთ ცხოვნებად სულთა ჩვენთა. რამეთუ მოშურნე სხვასა არა რას ჰხედავს, არამედ ამას ოდენ, რათამცა გულის-თქმა თვისი აღასრულა. დაღაცათუ ტანჯვა წინა ედვას მოშურნესა, ანუ მებრ სიკვდილი, იგი ოდენ ვნებისა თვისისა ისწრაფის აღსრულებად. ეგრეთვე სიძვის მოყვარე და ეგრეთვე ვერცხლის-მოყვარე. ხოლო უკეთუ ვნებათა ესე ზომი მძლავრება აქვს, არა უმეტესი ძალი აქვნდეს სათნოებასა, უკეთუ ოდენ გვინდეს? და უკეთუ ცოდვისათვის სიკვდილსა შეურაცხ-ჰყოფენ, არა უფროსად სათნოებისათვის შეურაცხ-ვჰყოფთა? უკეთუ ბოროტისა მოყვარენი სულთა თვისთა უგულებელს-ჰყოფენ, რათამცა ბოროტი ჰქმნეს, არა უფროსად ცხოვნებისათვის სულთასა ჯერ არს უგულებელს-ყოფაი თავთა თვისთა?!

რაი სიტყვა გვაქვნდეს წინაშე ღვთისა, რაჟამს ვხედვიდეთ, ვითარმედ წარწყმედადნი იგი ესრეთ ისწრაფიან წარწყმედისათვის მათისა ყოვლითა ღონის-ძიებითა და ჩვენ არა ვისწრაფდეთა ცხოვრებისათვის სულთა ჩვენთასა, არამედ მარადის შურსა, და ხდომასა შინა ვიყოფოდეთ? არა რაი არს უძვირეს შურისა, რამეთუ ისწრაფის მოშურნე, რათამცა მეორეცა წარწყმიდა და თავიცა თვისი მისთანა შთახადა ჯოჯოხეთს. თვალი მოშურნისა დადნების მწუხარებითა, სიკვდილსა შინა სამარადისოსა, ყოველნივე მტერად შეურაცხიან, რომელთა არა რაი ევნოს მისდა; მწუხარე არს - რაჟამს ღმერთი პატივ-იცემებოდის და უხარის, სადა ეშმაკთა უხაროდის იგი ვინმე პატივ-ცემულ იქმნა კაცთა მიერო, არამედ ნუ ეშურები, ჰოი კაცო, რამეთუ არა პატივი არს პატივი იგი, არამედ, უკეთუ ღვთისა მიერ პატივ-ცემულ იქმნას, ეშურებოდე და იქმნე მსგავს მისა; და უკეთუ არა გნებავს ესე, რაისათვის უკვე გნებავს თავისა შენისა წარწყმედაი შურითა ბოროტითა? რაისათვის დააგდებ მაგასაცა, რომელი გაქვს კეთილი? უკეთუ ვერ ძალგიძს სწორ მისა ყოფად და კეთილის მოგებად ბოროტსა რადღა მოიგებ? არამედ ჯერ არს ესრეთ ყოფა, ძმანო ჩემნო, არამედ აღმოვფხვრათ შურისა ვნებაი ძირითურთ და დავნერგოთ სიყვარული ძმათა, რათა ყოველთაგან ბოროტთა განვერნეთ და საუკუნეთა მათ კეთილთა მივემთხვივნეთ მადლითა და კაცთ-მოყვარებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა მიერ და რომლისა თანა მამასა შვენის დიდება სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ჲბ. თავი კა.

ნაყროვანებისათვის

ნაყროვანება წყლისა მსგავს არს, აღმოივსის მუცელი თვისი ძლიერად და მყის დაცალიერდის, ხოლო ხრწნილებაი, ვითარცა წყალსა, უჩინო ჰყოფს მას, და მან მეყვსეულად კვალად აღმოივსის და მარადის, ვითარცა წყალი, ჰსდინ იგი!

ხოლო შვება და ნაყროვანება არა თვით ოდენ განიხრწნების, არამედ მისთანა ძლიერებასაცა და სიწმინდესა სულისასა წარღვნის და ხორცთა სიმრთელესა დაჰხსნის. რამეთუ მდინარე მძაფრი არა შესჭამს კიდეთა თვისთა. ესრეთ, ვითარცა მრავალნი ჭამადნი სიმრთელესა დახსნიან. და უკეთუ სამკურნალოდ მიხვიდე და ჰკითხო, გესმას, ვითარმედ ყოველი მიზეზი სენთა, ჭამისაგან არს, ხოლო ტაბლა ლიტონი სიმრთელისა დედა არს. ამისთვის მკურნალთა „არა განძღომასა სიმრთელედ უწოდეს და წერილ არს წიგნთა მათთა, ვითარმედ არა განძღომაი ჭამადითა არს სიმრთელე.“ აწ უკვე ნაკლულევანება ჭამადთა დედა არს სიმრთელისა, ხოლო სიმაძღრე დედა არს ყოვლისა სენისა. რამეთუ ნიკრისი (ავი ქარი) და სიბრმენი, და თრთოლანი, და სიცოფენი და მამაცნი, და თავ ქედნი (თავ კისრის სენი), გრძელნი და სხვა მრავალი არა ნაკლულევანებისაგან, არამედ ნაყროვანებისაგან არს. ხოლო იხილეთ სულისაცა სენნი, რომელნი ნაყროვანებისაგან იშვებიან: ანგარება, უდებება, ბილწება და ძილი და სხვა მრავალი ბოროტი, - და კვალად გემოიცა არა არს ჭამასა შინა ნაყროვანებითსა, რამეთუ მარხვა დედა არს გემოვანად ჭამისა, ხოლო სიმაძღრე დახსნის და განჰრყვნის გემოსა ჭამადთასა. ამისთვის უკვე, ვინათგან ესრეთ ბოროტ არს ნაყროვანებაი, ვივლტოდეთ, ძმანო, სიმთვრალისაგან და სიმაძღრისა, და ვიშვებდეთ უფლისა მიმართ, რამეთუ მან მოგვცეს ჩვენ თხოვაი გულისა ჩვენისა და საუკუნენი კეთილნი მოგვანიჭნეს, რომელსა ღირსმცა ვართ ყოველნი მიმთხვევად მადლითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ჲგ.

ნაყროვანებისათვის და მთვრალობისა

ძმანო ჩემნო! რაიმცა იყო ბოროტი (რომელი ბოროტი იყოს), რომელი არა იქმნებოდის ნაყროვანებისაგან და მთვრალობისა? რამეთუ კაცსა უძვირეს ღორთასა გამოაჩინებს: ღორი მწვირესა შინა ინწუპების და საჭმელ მისა არიან სიმყრალე, ხოლო მომთვრალე და ნაყროვანი უძვირეს მისა არს - რამეთუ გულის-თქმათა მოიპოვებს

უცხოთა ბუნებისაგან, და ტრფიალებათა უსჯულოთა ფრიად საძაგელთა და უფროსღა ვსთქვა, თუ ეშმაკეულთაგან არა რაით განყოფილ არს კაცი მომთვრალე. ეშმაკეულთა ყოველნი სწყალობენ, ხოლო კაცი მომთვრალე, ყოველთა სძაგს და სძულობენ, - ამისთვის, რამეთუ ნებსით თვისით მისცემს თავსა თვისსა წარსაწყმედლად და ჰყოფს პირსა თვისსა, და თვალთა, და საყნოსელთა და ყოველთავე ასოთა უსაძაგელეს მწვირისა. ხოლო შინაგანი თუ მისი იხილო, ჰპოვო სული იგი ზამთარსა შინა და ნეფხვასა (ხმელი ყინვა) ძნელსა განყინული და უხმარი ყოველსავე საქმესა ზედა კეთილსა, ხოლო ბოროტთა მიმართ საქმეთა მხურვალე და მოსწრაფე.

მრცხვენის თქმად მრავალთა მათ ბოროტთა, რომელნი შეემთხვევიან კაცთა მთვრალობისაგან, არამედ მესმიან მრავალთაგან შემდგომად მთვრალობისა, ვითარმედ ნუმცა არს ღვინოი, რამეთუ მით იქმნებიან საქმენი უჯერონიო.

ჰოი უგუნურება ესე! სხვანი იქმან ბოროტსა და შენ ნიჭთა ღვთისათა აბრალება? კაცო, უგულისხმოო! არა თუ ღვინომან ჰქმნა უჯერებაი, არამედ ბილწებამან უძღებად მსმელთამან. ესრეთ იტყოდე ნუმცა არს მთვრალობაი, ნუმცა არს უძღებებაი, ხოლო უკეთუ იტყვი ნუმცა არს ღვინოი, რამეთუ მისგან იქმნების მთვრალობაი. კვალად სხვასა ჟამსა სთქვა, ნუმცა არს რკინაი, რამეთუ იქმნებიან კაცის კვლანი, ნუმცა არს ღამე, რამეთუ იპარვენ მპარავნი, ნუმცა არს დედაკაცი, რამეთუ იმრუშებენ მეძავნი, და ესრეთ ყოველთავე დაბადებულთა დახსნა ჰსთქვა შენ. გარნა ნუ ესრეთ იქმ შენ, რამეთუ ესე საქმე საეშმაკო არს. ნუმცა აბრალებ ღვინოსა, არამედ მთვრალობასა, რამეთუ მოგვეცა ღვინო სიხარულად წესიერად, არა უშვერებად და უწესოდ. ღვინოი მოგვეცა ხორცთა განმაძლიერებელად, არა თუ ხორცთა და სულისა დამხსნელად. კეთილი ნიჭი მოგვანიჭა ღმერთმან, ხოლო ჩვენ უზომოებითა ვჰყავთ იგი შეურაცხ. ისმინე, რასა ეტყვის პავლე მოციქული ტიმოთეს, „ნუ წყალსა ხოლო ჰსვამ, არამედ ღვინოცა მცირედ იხმიე სტომაქისათვის და ზედას ზედა უძლურებისათვის შენისა.“ ხოლო უკეთუ ტიმოთე კაცმან მან წმიდამან უძლურებასა შინა ესოდენსა არა თავს იდვა სმაი ღვინისა ვიდრემდის უბრძანა მოძღვარმან, რაიმცა სიტყვა მივუგოთ ჩვენ ღმერთსა, რომელნი ესე სიმრთელესა შინა ვითრობით?

ღვინოი სიხარულად მოგვეცა, ვითარცა იტყვის დავით, „ღვინომან ახარის გულსა კაცისასა:“ ხოლო შენ, ჰოი მომთვრალეო! ესე ვითარი ესე საქმე მისი განჰრყვენ, რამეთუ ვითარიღა არს სიხარული იგი, ოდეს კაცმან გონება თვისი წარიწყმიდოს და მიმოიჭრებოდეს, და ყოველივე გარემოსულად უჩნდეს და თვალნი მისნი ბნელ იყვნენ, და ყოველივე ბოროტი თავსა ზედა მისსა დაკრებულ იყოს, და სული მისი დანთქმულ იყოს მწვირესა ცოდვისასა? არამედ გევედრები, მორწმუნენო, ვიჯმნათ უზომოსა შვებისაგან და მთვრალობისა, და ვზრუნვიდეთ წესიერებისათვის, რათა ხორციელიცა სიმრთელე მოვიგოთ და სულნი ჩვენნი ვიხსნეთ ნაწილისა მისგან მდიდრისა, რომელი დაისაჯა ცეცხლსა შინა საუკუნესა. უფროსღა ვიღვაწოთ ლაზარესთანა გლახაკისა,

წიაღთა მათ აბრაჰამისთა მისვლად და საუკუნეთა კეთილთა მკვიდრ ყოფად მადლითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება თანა მამით, და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ᲙᲓ. მთვრალობისათვისვე

იტყვის მოციქული პავლე, „ნუ დაითვრებით ღვინითა, რომლითა არს სიბილწე.“ რამეთუ მომთვრალენი დაითვრნეს რა იმწუპებიან, ვითარცა ღორნი სიმყრალესა შინა და გარდააბნევენ, რაიცა აქვნდეს კეთილი, გინათუ სიწმიდე ხორცთა, გინათუ კრძალულებაი, გინათუ გონიერება, გინათუ სიბრძნე, ანუ თუ სიმშვიდე, გინა სიმდაბლე. ამისთვის თქმულ არს, ვითარმედ „მთვრალობითა სასუფეველი ცათა ვერვინ იხილოს,“ ვითარცა იტყვის, „ნუ ჰსცდებით, არცა მეძავთა, არცა კერპთ-მსახურთა, არცა მემრუშეთა, არცა მამათმავალთა, არცა ჩუკენთა (ხელით დაცემა), არცა მპარავთა, არცა ანგაჰართა, არცა მომთვრალეთა, არცა მაგინებელთა, არცა მტაცებელთა, სასუფეველი ღვთისა ვერ დაიმკვიდრონ.“ (ა.-კორინ.: ვ,თ.)

აჰა ესერა იხილეთ რაბამთა ბოროტთა თანა აღრაცხა მოციქულმან მთვრალობაი, რამეთუ ნამდვილვე მათ ყოველთა მოყვასი არს და მიზეზი! აწ უკვე, ჰოი, კაცო! გულის-ხმა-ვჰყოთ და არა რაისა ამის და უსარგებლოსა საქმისათვის ნუ მივსცემთ თავთა ჩვენთა, ესე ვითართა ბოროტთა სულისა წარწყმედელისა, არამედ გევედრები, ძმანო, და განვეშორნეთ შვებისაგან და მთვრალობისა, მარხვითა და ლმობიერად ვედრებითა ღვთისათა აღვასრულნეთ დღენი ჩვენნი, რათა ვჰპოვოთ მოტევება ცოდვათა და საუკუნეთა კეთილთა ღირს ვიქმნეთ მადლითა და კაცთ-მოყვარებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა არს სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ᲙᲔ. თავი კᲑ. მარხვისათვის

საყვარელნო, მარხვა სამოთხესა შინა განიწესა. რამეთუ ადამ არა დააკლო ღმერთმან მარხვასა, რომელსაცა ჰრქვა, „ყოვლისაგან ხისა, რომელ არიან სამოთხესა შინა, სჭამოთ, ხოლო ხისა მისგან, რომელ არს ცნობად კეთილისა და ბოროტისა, არა სჭამოთ მისგან.“ და ესე არს სახე მარხვისა. ხოლო უკეთუ სამოთხესა შინა იყო მარხვაი, რაბამ უფროს გარე სამოთხისა სარგებელ არს? უკეთუ პირველ წყლულებისა იყო წამალ, რაბამ უფროს წყლულებასა ზედა? უკეთუ არღარა შემოსრულ იყო ჩვენზედა ბრძოლა გულის-თქმისა და სახმარ იყო საჭურველი მარხვისა, რაბამ უფროს აწ შორის ბრძოლათა გულის-თქმათასა მდგომარეთა საჭირო არს მარხვაი? აწ ესეცა ჰსცანით, თუ ვითარ განურისხნების ღმერთი შეურაცხის-მყოფელთა მარხვისათა, და რაბამ უფროს

უყვარს მისი პატიოსან ყოფაი? არა პატივ-ჰსცა ადამ მარხვასა, ვინაცა ესმა ხმა უფლისა მეტყველი, ვითარმედ „მიწა ხარ და მიწადვე მიიქეც.“ ხოლო ამის მიერ გულის-ხმა-ვჰყოთ, ვითარ არა სათნო უჩნს ღმერთსა, ვინ მარხვასა ჰგმობდეს, რამეთუ მუნვე მეყვსეულად სიკვდილსა შეიმოსს, შეურაცხის-მყოფელი მარხვისა. და გულის-ხმა-ჰყავთ ძალი მარხვისა, რამეთუ მარხვა გვასწავებს ჩვენ მოქცევასა სინანულად, ვითარცა დიდი იგი ქალაქი ნინევისა წარწყმედისაგან იხსნნა მარხვამან და სინანულმან და ცხოვრებად მოაქცივნა. ხოლო მოსეს და ილიას ოდეს უნებდათ მიახლება ღვთისა მიმართ და ზრახვად, პირველ უკვე მარხვისა მიმართ მიივლტოდეს და ლოცვითა მარხვისათა მიახლებულ იქმნებოდეს მისსა. ხოლო იმარხა თვით თავადმანცა ღმერთმან და უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან ორმეოცი დღე, არა მოხამსემან მარხვისამან, არამედ სახედ მოგვცა ჩვენ და სძლო ყოველსა ძალსა ეშმაკთასა, რამეთუ ჩვენცა გვამცნებს მარხვასა მეტყველი, ვითარმედ „არა რაით განვალს ნათესავი ეშმაკისა, გარნა ლოცვითა და მარხვითა.“ ამისთვის ვიმარხვიდეთ, საყვარელნო, რათა განვერნეთ ბრძოლათა ეშმაკისათა, და ღირს ვიქმნეთ საუკუნეთა მათ კეთილთა ზეცისათა მადლითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომელსა შვენის დიდება თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ᲙᲒ. მარხვისათვისვე

საყვარელნო! მარხვა და ლოცვაი კაცსა ანგელოს ჰყოფენ და ზეცისა მხედრობათა მობაძავად გამოაჩენენ. აწ უკვე, რომელსა ენებოს ჭეშმარიტისა ლოცვის და მარხვისა მოგებად და წარმართნეს ესე სათნოებანი, სანატრელ არს იგი. რამეთუ ესე ვითარსა მას არა უხმს მრავალი საფასე, და რომელსა არა უხმდეს მრავალი საფასე, არა იქმნების ანგაჰარ; რომელი განეშოროს ანგაჰარებასა, იგი შემძლებელ იქმნების წარმართებად მოწყალებისა. კაცი მმარხველი მსუბუქად მდგომარე არნ ლოცვასა, გულის-თქმათა ბოროტთა დაშრეტს, ზვაობასა და სილაღესა გულისასა დაამდაბლებს, ლმობიერად შეუვრდების ღმერთსა, და ითხოვს წყალობასა. ამისთვისცა მოციქულნი მარადის მარხვითა და ლოცვითა აღასრულებდნენ დღეთა მათთა. რომელი ილოცვიდეს მარხვითურთ, ფრთოვან არს ლოცვა მისი, და უმხურვალეს ცეცხლისა საშინელ არს იგი ეშმაკთა და შემწველ ძალისა მათისა. და რაიმცა იყო უძლიერეს კაცისა, ჭეშმარიტთა ლოცვათა აღმასრულებელისა? უკეთუ ქვრივმან მოწყალე ჰყო მსაჯული იგი, „რომელსა არცა ღვთისა ეშინოდა, არცა კაცთაგან რცხვენოდა.“ უწყინოდ ვედრებითა თვისითა. რავდენ უმეტესად მოწყალე ჰყოს კაცმან სახიერი იგი და მოწყალე ღმერთი, უკეთუ მარხვითა შემზადოს თვისი იგი ვედრებაი და ლმობიერებითა სიწმიდისათა განაგდოს თავისაგან თვისისა ნაყროვანებაი და სიმთვრალე, ხოლო უკეთუ მარხვა ფრიადი ვერ ძალგიძს, კაცო, უძლურებისათვის ხორცთასა, მოიწყვიდენ შვებანი და სანოვაგენი, და ყოველივე სახე უზომოისა ნაყროვანებისა, და ესეცა არა შორს არს

წესისა მისგან მარხვისა, და ესეცა შემძლებელ არს დახსნად სიბორგილესა ეშმაკისასა. რამეთუ არა რაი არს საყვარელ და საწადელ ეშმაკისა, ვითარ ნაყროვანებაი და მთვრალობაი. და არა რაი არს ესრეთ სანატრელ და სწორ ანგელოსთა მყოფელ, ვითარ მარხვა და სიწმიდე, და მიმაახლებელ ანგელოსთა და მეუფისა. აწ უკვე შევიტკბოთ, საყვარელნო, მარხვა და სიწმიდე და ვაჩვენოთ სინანული, რათა მოგვიტევნეს ცოდვანი ჩვენნი და ესრეთ ღირსს ვიქმნნეთ საუკუნეთა მათ კეთილთა მადლითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება თანა მამით, და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ჲზ. მარხვისათვისვე

საყვარელნო! მარხვა დედა არს სიწმინდისა და წინამძღვარი ლოცვისა. მარხვა ცხად მყოფელი არს სინანულისა, და ყვავილი ყოვლისა კეთილისა ნაყოფისა! მარხვა არა ჭამადთა ზედა ხოლო ოდენ გამოისახვის, არამედ ყოველთა ვნებათაგან ჯერ არს მარხვაი და უფროსად ჭეშმარიტი მარხვა ესე არს ღვთისა, რათა მარხვისა ჩვენისა პურსა მივსცემდეთ მშიერთა და შევმოსდეთ შიშველთა. რათა მუნ გამოგვზარდნეს ჩვენცა ქრისტემან და შეგვმოსოს სამოსელი უხრწნელებისა.

უკეთუ აქა დავიმარხნეთ ქრისტეს მცნებანი და ვასვათ წყურიელსა, მუნ არღარა ვსთქვათ, ვითარცა მან მდიდარმან, შვებასა შინა მყოფმან, თუ „მოავლინე ლაზარე, რათა განმიგრილოს სასაი ჩემი.“ უკეთუ აქა შევიწყნაროთ უცხოი, მუნ ქრისტე სავანეთა მრავალთა განგვიმზადებს; უკეთუ მივიდეთ საპყრობილესა შინა მყოფთა, ქრისტემანცა გვიხსნეს საპყრობილისაგან, უკეთუ უცხოი შევიწყნაროთ, ქრისტემანცა შეგვიწყნარნეს უცხო ქმნილნი ესე სასუფეველისაგან ცათასა, უკეთუ უძლური ვიხილოთ, ქრისტემანცა ადრე განგვათავისუფლნეს უძლურებისაგან ჩვენისა. და ამისთვის, გევედრები, საყვარელნო ძმანო! აქა მივსცეთ მცირედნი დიდთა მათ ნიჭთათვის, ვიდრეღა ჟამი გვაქვს. ვჰსთესოთ ცრემლითა, რათა მოვიმკოთ სიხარულით. რამეთუ აწ არს ჟამი თესვისა და რომელმან არა ჰსთესოს, საწყალობელ არს იგი. ნუმცა უკვე უდებ ვიქმნებით, ძმანო, არამედ ვიმარხოთ მარხვა კეთილი, და შევინანნეთ ცოდვანი ჩვენნი, ვსთესოთ თესლი მოწყალებისა ხელთა შინა გლახაკთასა, რათა მოვიღოთ ნაყოფი მდიდრად და გვირგვინი ხელისაგან ქრისტესისა და ესრეთ ბრწყინვალებითა სასუფეველსა ცათასა მკვიდრ ვიქმნეთ ყოველნი მადლითა და კაცთ-მოყვარებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისათანა მამასა შვენისა დიდება სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ჲწ. თავი კგ.

სინანულისათვის

საყვარელნო! სინანული არის მოქცევა ბოროტისაგან და ქმნა კეთილისა, ვითარცა იტყვის, ვითარმედ „ჰყავთ ნაყოფი ღირსი სინანულისა.“ რაი არს ესე, ვითარმედ ჰყავთ ნაყოფი ღირსი სინანულისა? რათა წინააღმდგომი ცოდვისა ჩვენისა სათნოება აღვასრულოთ. ესე იგი, უკეთუ მოგიტაცებიეს სხვისა, მიეც შენიცა გლახაკთა; უკეთუ სიძვითა შებღალულ ხარ, განეშორე სრულიად გულის-თქმათა; განეყენე მეუღლესაცა შენსა განჩინებულთა დღეთა სინანულისათა; მოიგენ მარხვაი, მოისპენ გულის სიტყვანი ცოდვისანი გულისაგან შენისა, განიბანენ ბილწებანი იგი ცრემლითა და სულთქმითა. უკეთუ გიგინებიეს და შეურაცხ-გიყოფიეს მოყვასი, პატივ-ეც და კეთილი უყავ. თავს-იდევ შეურაცხება და გინება შენცა, და აკურთხევდ მაგინებელთა და ძვირის-მეტყველთა შენთა. ესე არს ნაყოფი ღირსი სინანულისა, მოქცევა ბოროტისაგან, და ქმნა კეთილისა, რამეთუ არა კმა არს აღმოწვდა ხოლო ისრის პირისა წყლულებისა მისგან, არამედ წამლისაცა ჯერ არს დადებაი. უკეთუ შვებითა და მთვრალობითა წარგიხდიან გარდასრულნი დღენი შენნი, მოიგე მარხვაი და წყალსა იხმევდე, რათა ვნება იგი მთვრალობისა აღმოფხვრა. უკეთუ თვალითა ვნებულითა მიგიხედავნ განცდად სიკეთესა პირისასა, აღვირ ასხენ თვალთა ყოვლად არა ხედვად ბოროტად დედათა. ესრეთ თუ ყოფდე, იქმნე აღმასრულებელ სიტყვისა მის, ვითარმედ „მოიქეც ბოროტისაგან და ჰქმენ კეთილი.“ და კვალად „დააცხვრე ენაი შენი ბოროტისაგან და ბაგენი შენნი ნუ იტყვი ზაკვასა.“ ესრეთ შეიწირავს ღმერთი სინანულსა შენსა და არა გარე მიიქცევს პირსა მისსა შენგან. ხოლო რაი არიან (მიზეზნი) პირისა მისისა მიმქცეველი ჩვენგან? ესე იგი არს: ამპარტავანება, ზვაობა, ანგაჰარება, მრისხანება, შური, ნაყროვანება და სხვანი მსგავსნი ამათნი. რამეთუ ესე ვითართა მათგან გარე მიიქცევის უფალი და მტერობა ღმრთისა არს ესე ვითარნი საქმენი. აწ უკვე, საყვარელნო, გარე-მიმქცეველნი პირისა მისისა საქმენი ჩვენგან გარე-მივაქცივნეთ და სინანულითა შევუვრდეთ უფალსა. და ვევედრებოდეთ ცრემლითა მხურვალითა, რათა მოგვიტევნეს ცოდვანი ჩვენნი და ღირს ვიქმნნეთ განრინებად სატანჯველთა მათ საუკუნეთა, რომელნი ელიან ცოდვილთა უნანელთა, და უფროსად ღირს ვიქმნეთ განწმენდილითა პირითა ხილვად პირსა მას გამოუთქმელსა, და საუკუნეთა კეთილთა მივემთხვივნეთ ყოველნი მადლითა და კაცთ-მოყვარებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისათანა მამასა შვენის დიდება სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ჲთ. სინანულისათვისვე

ჰოი კაცო! დაღაცათუ ყოველთა ბოროტთა შთავრდომილ იყო, ნუ წარიკვეთ სასოებასა, არამედ ჰსთქვი, ვითარმედ კაცთ-მოყვარე არს ღმერთი და ჰნებავს ცხოვრება ჩვენი. რამეთუ იტყვის, „უკეთუ იყვნენ ცოდვანი თქვენნი, ვითარცა ღებილნი, ვითარცა თოვლი განვასპეტაკო.“ ესე ჰსთქვი, და განეშორე ცოდვასა და მოიქეც სინანულად, და მზა არს ღმერთი შეწყნარებად შენდა.

აწ უკვე ნუ სასოწარკვეთილ ვართ, რამეთუ არა ესრეთ ბოროტ არს ცოდვითა დაცემაი, ვითარ დაცემულისა არა აღდგომაი სინანულითა; არცა ესრეთ ძნელ არს მოწყლვაი, ვითარ წყლულისა მის კურნებისა და წამლისა არა ძიებაი. რამეთუ ვინ იქადოს სიწმინდე გულისა, ანუ ვინ იკადროს თქმად, თუ წმიდა ვარ ყოვლისაგან ცოდვისა? არამედ სინანულითა განვიკურნნეთ ცოდვანი, რამეთუ დიდი წამალი არს სინანული, და მზა არს სახიერი ღმერთი შეწყნარებად მონანულთა. და ამას რა ვიტყვი, არა ამისთვის, რათა უდებებად მოგიყვანნე. ნუ იყოფინ. არამედ რათა არავინ მოვიდეს სასოწარკვეთილებად. გნებავსა ცნობად, თუ ვითარ სახიერ არს და შეიწირავს სინანულსა მეუფე ჩვენი? წარსდგაო ოდესმე მეზვერე, სავსე ბევრეულითა ბოროტითა და ჰსთქვა: „ღმერთო მილხინე ცოდვილსა ამას, და მოიქცა განმართლებული.“ რაიმცა იყო სწორ ამის კაცთ-მოყვარებისა? არამედ ესე არს სიბოროტე ჩვენი, რომელ არცა თუ ესოდენსა ლმობიერებასა ვაჩვენებთ, არცა ხელ-ვჰყოფთ მცნებათა ღვთისათა აღსრულებად, ამისთვის უკურნებელ იქმნებიან სენნი ჩვენნი, ხოლო უკეთუ მოვიქცეთ სინანულად, არა ძალ-უძს სიმრავლესა ცოდვათა ჩვენთასა ძლევად სახიერებასა ღვთისასა? ნუ იყოფინ, არამედ ჰოი ჩვენი ესე გულ-ფიცხელობაი. ყოველნი შექცეულ ვართ ანგაჰარებასა, ვერცხლის-მოყვარებასა, ნაყროვანებასა, უდებებასა და სხვათა ბოროტთა. აწ უკვე, საყვარელნო, დავსდვათ თვითეულსა ამათ ცოდვათაგან მოწყლულსა წყლულებასა ზედა, წინა აღდგომისა მათისა სათნოების წამალი და განიკურნოს, ესე იგი არს: მოწყალება, ლოცვა, ლმობიერება, მარხვა, სინანული, ცრემლნი, სიმდაბლე გულისა, შემუსრვილება სულისა, შეურაცხება სოფლისა, მიტევება ბრალთა მოყვასისათა. მადლობა ღვთისა ყოველსავე ზედა განსაცდელსა, ვედრება ღვთისა სამარადისო, ხსენება სიკვდილისა და სასჯელისა, განშორება ყოველთავე ამაოთა და ბოროტთა გულის-სიტყვათა, განწმედა გულისა ყოვლისაგან ბიწისა. რამეთუ მრავალნი გზანი უჩვენებიან ღმერთსა სინანულისა და ცხოვრებისანი. უკეთუ ვინებოთ სლვაი, ვიღვაწოთ უკვე, ძმანო, სლვად მათ შინა, რათა მივიწივნეთ საუკუნეთა მათ კეთილთა, რომელთა ღირსმცა ვართ ყოველნი მიმთხვევად მადლითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება და სიმტკიცე თანა მამით, და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ო. კვალად სინანულისათვისვე

სინანული განმაახლებელი არს დაძველებულისა მის კაცისა. სინანული განმწმედელი არს სულისა. სინანული აღდგომა არს დაცემულისა. აწ უკვე ვიცნათ, ძმანო, თავნი ჩვენნი, განვიცადნეთ წყლულებანი ჩვენნი, რათა წამლისაცა დადებად ვისწრაფოთ. რამეთუ რომელი წყლულებათა თვისთა უმეცარ იყოს, ვითარ ისწრაფოს დადებად წამლისა? მრავალთა ცოდვათა მიერ შებღალულ ვართ. არამედ არა გამოხვებულ ვართ სინანულისაგან, უკეთუ გვენებოს (შესაძლოა), რამეთუ ჯერეთ სავაჭრო ჰსდგას (არის დრო მონანიებისა), და ქადაგება სინანულისა იქადაგების, ვითარმედ „შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათა.“

უკეთუ დაბერებულხარ და მიახლებულ ბჭეთა სიკვდილისათა, ნუ ჰგონებ თუ განვრდომილ ხარ სინანულისაგან, ნუცა წარიკვეთ სასოებასა შენისა ცხოვრებისასა. არამედ გულის-ხმა-ჰყავ ავაზაკი იგი, რომელი ჯვარსა ზედა წამსა შინა ერთსა განთავისუფლდა ცოდვათაგან. რამეთუ რაიმცა იყო უმოკლეს ჟამსა მის, ოდეს იგი ეკიდა ჯვარსა ზედა, არამედ კმა ეყო მას მცირე იგი ჟამი სინანულად და განთავისუფლდა ცოდვათაგან. უკეთუ ჭაბუკი ხარ, ნუ მიენდობი სიჭაბუკესა შენსა და იტყვი, ვითარმედ შორს არს ჟამი იგი სიკვდილისაო. რამეთუ დღე იგი უფლისა, ვითარცა მპარავი ღამისა, მოიწიოს. ამისთვის უცნაურ-ჰყო (დაჰფარა) ჟამი აღსასრულისა ჩვენისა უფალმან, რათა საცნაურ და ჭეშმარიტ ვჰყოთ მოსწრაფება ჩვენი, და მოქცევა ცოდვათაგან არა ვადროოთ. არა ჰხედავა, ვითარ ჩჩვილნიცა წარიტაცებიან სიკვდილისაგან და ჭაბუკნი უცნაურად მოსწყდებიან? ამისთვის წერილ არს, „ნუ ჰყოვნი მოქცევად უფლისა, ნუცა ჰსდროებ დღითი დღედ, ნუ უკვე ვიდრე იგი ჰყოვნიდე წარიტაცო ხელითა მით წარმყვანებელისათა.“ ესრეთ ბერთაცა და ჭაბუკთა ისწავენ კაცად-კაცადმან მოძღვრება ესე, რათა არცა ვინ ჭაბუკი უზრუნველ იყოს, არცა ბერი სასოწარკვეთილ. რამეთუ დაღაცათუ მრავალ არიან ცოდვანი ჩვენნი, არამედ უკეთუ შევინანოთ ღირსად, არა მოტევება ხოლო ვჰპოვოთ, არამედ ცხოვრება საუკუნო დავიმკვიდროთ და გვირგვინი სასუფეველისა მოგვეცეს. რამეთუ ნუ ამას ოდენ ვჰხედავთ, ვითარმედ ცოდვითა შებღალულ ვართ, არამედ ესეცა ვიხილოთ, ვითარმედ მეუფე ჩვენი კაცთ-მოყვარე არს. უკეთუ შევინანოთ, ყოველივე აღგვიხოცოს ცოდვანი ჩვენნი. ამისთვის გევედრები, ძმანო, პირველნი ცოდვანი ჩვენნი შევინანნეთ ჯეროვნად, და მომავალთაგან დავიცვნეთ თავნი ჩვენნი, რათა საუკუნეთა მათ სატანჯველთა განვერნეთ, და გვირგვინი დაუჭნობელი მოვიღოთ მადლითა და კაცთ-მოყვარებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ოა. თავი კდ.

საქმეთათვის კეთილთა

ვილოცოთ, საყვარელნო, ღვთისა მიმართ, რათა გულის-ხმის-ყოფასა თანა საღმრთოთა სიტყვათასა და სარწმუნოებასა თანა მართალსა, საქმენიცა კეთილნი გვაქვნდენ და მოქალაქობა წმიდა და ბრწყინვალე. რამეთუ, უკეთუ საქმენი კეთილნი არა გვაქვნდენ, ამათგან სარგებელი არა გვაქვნდეს. დაღაცათუ სარწმუნოება გვაქვნდეს, და ყოველთა წერილთა გულის-ხმის-ყოფაი, და საქმეთაგან კეთილთა ოხერ ვიყვნეთ, არა რაი არს დამაყენებელ მისლვად ჩვენდა ცეცხლსა მას გეენიასა, დაუშრეტელსა სახმილსა შინა გვემაი. და ვითარცა მოქმედნი კეთილისანი აღდგებიან აღდგომასა ცხოვრებისასა, ეგრეთვე მოქმედნი ბოროტისანი აღდგომასა სასჯელისასა სატანჯველად დაუსრულებელად. ამის ყოვლისათვის უკვე ვისწრაფოთ, რათა არა წარვსწყმიდოთ სარგებელი იგი, რომელი სარწმუნოებითა მართლითა მოგვეგოს, არამედ რათა საქმეთა მიერ კეთილთა ღირს ვიქმნნეთ კადნიერებით ქრისტეს ხილვასა. რამეთუ არა რაი არს მსგავს ამის ნეტარებისა, რომელსა ღირსმცა ვართ ყოველნი მიმთხვევად საქმეთა მიერ კეთილთა, და დიდებასა ღვთისასა ვხედვიდეთ, მადლითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ობ. საქმეთათვის კეთილთა

ნუმცა უკვე ვგონებთ ჩვენ, საყვარელნო, თუ კმა გვეყოს სარწმუნოება ოდენ ცხოვრებად ჩვენდა, უკეთუ არა ვჰქმნეთ საქმენი კეთილნი, არამედ უღირსითა სამოსლითა შემოსილნი მივიდეთ სანატრელსა მას ქორწილსა და ჩვენზედაცა მოიწიოს, რაი იგი უბადრუკსა (მონასა) ზედა მოიწია. რამეთუ ბოროტ არს, უკეთუ ღმერთმან და მეუფემან არა უღირს იჩინოს უნდოთა ამათ და საწყალობელთა კაცთა სერობასა თვისსა წოდებაი და ჩვენ ესრეთ უგულისხმო ვიქმნნეთ. რამეთუ ესოდენსა მას პატივსა ზედა არავე შევიკდიმოთა და მოვიქცეთ უმჯობესისა მიმართ? ანუ შემდგომად წოდებისაცა ესე ვითარსა უკეთურებასა ზედა ვეგნეთ? არა თუ ამისთვის გვიწოდს ჩვენ მეუფე საშინელისა მის საიდუმლოსა მიმართ წმიდისა ზიარებისა, რათა პირველითავე უკეთურებითა მოვიდოდეთ, არამედ, რათა აღვიძარცოთ უკეთურებაი და შევიმოსოთ, რაი იგი (რაიცა) შვენის შემოსვად წოდებულთა მეუფისათა, ესე იგი არს საქმენი კეთილნი სიწმიდისანი. ხოლო, უკეთუ უღირსითა სამოსლითა მოვიდეთ ქორწილსა მას, რომელ არიან არა წმიდანი საქმენი, გვესმას ჩვენცა, ვითარმედ „მონაო ბოროტო, ვითარ შემოხვედ აქა, რამეთუ არა გმოსიეს სამოსელი საქორწინე?“ რომელ არიან საქმენი კეთილნი სიწმიდისანი. არამედ ნუმცა ვის ჩვენგანსა ზედა მოწევნულ

არს ხმა ესე, რამეთუ, ამისთვის უწინარეს მოწევნისა, წერილ არს ესე ყოველი, რათა შევიკდიმოთ (დავირცხვინოთ) და განვეკრძალნეთ, რათა არა შთავვარდეთ საქმეთა მათ შინა ბოროტთა, არამედ, სამეთა მიერ კეთილთა და ბრწყინვალითა სამოსლითა, მივიდეთ ქორწილსა მას საუკუნოსა სიხარულისასა, რომელსა ღირსმცა ვართ ყოველნი მიმთხვევად მადლითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომელსა შვენის დიდება თანა მამით, და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ოგ. საქმეთათვის კეთილთა

საყვარელნო! ვიქმოდეთ სამეთა კეთილთა და ვადიდებდეთ ძესა ღვთისასა მხოლოდ შობილსა, არა ოდენ მართლ აღსარებისა დიდებითა, არამედ საქმეთაცა მიერ კეთილთა. რამეთუ მართლმორწმუნეობა ოდენ, თვინიერ საქმეთა კეთილთა, არარად სარგებელ არს. რამეთუ, უკეთუ შენ ურია გეწოდების და განისვენებ სჯულსა ზედა, და იქადი ღვთისა მიერ, აწ უკვე რომელი ეგე ასწავებ სხვასა, თავსა შენსა არა ასწავებაა?! რომელი ეგე, სჯულსა ზედა იქადი, გარდასლვითა სჯულისათა ღმერთსა შეურაცხ-ჰყოფ.

აწ უკვე, ძმანო! ვიხილოთ ჩვენცა, ნუ უკვე სიმართლესა ზედა სარწმუნოებისასა ვიქადოდეთ, და არა ვიქმოდეთ საქმეთა კეთილთა, რომელნი სარწმუნოებასა ამას ჩვენსა შეეტყვებოდენ და ამისთვის განვარისხებდეთ ღმერთსა ჩვენ ზედა და ჩვენ მიერ იგმობოდეს სახელი მისი წმიდა.

რამეთუ ჯერ არს, რათა ქრისტიანე მოძღვარი იყოს ყოვლისა სოფლისა, და ნათელ, და მარილ, და საფუვარ (ხაში პურის ცომისა) კეთილთა საქმეთა, ვითარცა უფალი იტყვის, ხოლო რაი არს ნათელ ყოფაი? ესე იგი არს ცხოვრება ბრწყინვალე და კეთილი, რომელსა შინა არცა ერთი იყოს სიბნელე, რამეთუ ნათელი არა თავისა თვისისა სახმარ არს, არცა საფუვარი, არამედ სხვათა მიერ გამოაჩინებენ სახმარობასა თვისსა. ეგრეთვე უკვე ჩვენცა, არა თავთა ჩვენთა ოდენ სარგებელსა ეძიებს ღმერთი, არამედ სხუათასაცა. რამეთუ მარილი უკეთუ არა შეიმარილებდეს, არა არს მარილი. და კვალად ესეცა გულის-ხმა-ვჰყოთ, ვითარმედ, უკეთუ ჩვენ წარვმართოთ კეთილი საქმე, მოსვლად არიან სხვანიცა ჩვენსა მას კეთილსა საქმესა ზედა. ხოლო უკეთუ ჩვენ წარუმართებელ ვიყვნეთ, ვითარ შევუძლოთ სხვათა სარგებელად? ნუმცა არს უკვე ჩვენ შორის, ჰოი ძმანო, დრკუ (მიდრეკილება) რაიმე და დახსნილობისა, და სიცოფისა სახე, რამეთუ ესე ვითარნი არიან საქმენი სოფლისანი და ესე ვითარნი არიან ზრუნვანი ამაოსა ამის ცხოვრებისანი. ამისთვის ეწოდა ქალწულთა მათ ცოფ, რამეთუ სოფლისა ამის საქმეთა შექცეულ იყვნეს და შეიკრებდეს, სადა არა ჯერ იყო შეკრებაი, და სადა სიმდიდრე კეთილ იყო, მუნ გლახაკ იყვნეს. შიშ არს უკვე და ძრწოლა, ნუ უკვე წარვიდეთ ჩვენცა შემოსილნი სამოსლითა შეგინებულითა, სადა იგი ყოველთა

მართალთა აქვნდეს ბრწყინვალები და დიდებულები სამოსლები? არა რაი არს ცოდვისა უბილწეს და უსაძაგლეს! ამისთვისცა ბუნებასა მას ცოდვისასა გამოსთარგმანებდა წინასწარმეტყველი და იტყოდა, „შეყროლდეს და დალპეს წყლულებანი ჩემნი.“ ამისთვის გევედრები, საყვარელნო! განვეყენნეთ ცოდვასა და ბოროტთა საქმეთა და მარადის ვიქმოდეთ კეთილთა საქმეთა, რომელნი ნათელ გვყოფენ ამას სოფელსა წინაშე კაცთა, ვითარცა იტყვის, „ეგრეთ ბრწყინავდინ ნათელი თქვენი წინაშე კაცთა, რათა იხილნენ საქმენი თქვენნი კეთილნი.“ ხოლო მას საუკუნესა, „ვითარცა მზე გამობრწყინდეთ სასუფეველსა ღმრთისასა,“ რომლისა ღირსმცა ვართ ყოველნი მიმთხვევად მადლითა და კაცთ-მოყვარებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა შვენის დიდება სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ოდ. თავი კე.

გლახაკთ-მოყვარებისათვის

საყვარელნო ძმანო ჩემნო! შევიკდიმოთ სიყვარულისა მისგან ღვთისა და დიდისა მის კაცთ-მოყვარებისა მისისა! რამეთუ მან სახიერმან მხოლოდ შობილსა ძესა თვისსა არა ჰრიდა ჩვენთვის, ხოლო ჩვენ საფასეთა ვშურობთ მისთვის და უფროსად თავთა ჩვენთათვის. არა ფრიადისა სასჯელისა ღირს ვართა? რამეთუ უკეთუ კაცმან, ვინ ჩვენთვის შრომაი და ჭირი თავს იდვას, ჩვენცა გვიხმს მისთვის თავს-დებაი ჭირისა, და ყოველი ჩვენი მისა მინიჭებად არა გვშურს? ხოლო ქრისტეს მიმართ ამასცა არა ვიქმთ, რომელმან სული თვისი ჩვენთვის დასდვა და პატიოსანი სისხლი თვისი დასთხია, რომელნი ესე მტერ მისა ვიყვენით, და საუკუნოისა სატანჯველისაგან გვიხსნა, და ჩვენ აწ არცა თუ უნდოსა სახმარსა მივსცემთ მას? ვინ მიხსნნეს ჩვენ საუკუნოსა ცეცხლისაგან? არა ჩვენ თვით დავსჯითა თავთა ჩვენთა? არა საუკუნოსა გეენიასა ნებსით მივეცემითა, რამეთუ, რომელმან სული თვისი ჩვენთვის დასდვა, არა შევიწყნარებთ მას? რამეთუ არა საფასენი, არამედ სულიცა ჩვენი თუ მიგვეცა, არამცა ღირსვე იყო ქველის-მოქმედებისა მისისა. არამედ არა გულის-ხმა-ვჰყოფთ ამას ყოველსა, გარნა ვართ უგულისხმო და უკეთურ. რამეთუ მონათა და ცხენთა ოქროითა შევამკობთ, ხოლო ქრისტესა მეუფესა ჩვენსა, არცა თუ პურსა მივსცემთ მრავალ გზის; და შიშველი, თუ იყოს, არა შევმოსთ და უფროსად რისხვით განვსდევნეთ. და იგი სახიერი სიგლახაკესა თავს იდებს, რათამცა ჩვენ მიზეზი ვეცით მრავლისა წყალობისა მისისა ჩვენზედა მოფენად. და შიშველი მიმოვალს, რათამცა ჩვენ მიზეზი ვსცეთ შემოსვად ჩვენდა სამოსელი უხრწნელებისა. გარნა შენ, ჰოი კაცო, სამოსელნი შენნი, რომელნიმე მღილთა მიერ შეჭმულ არიან, რომელნიმე ამაოდ სხენან, და რომელითამე შენ იმკობი, რათამცა უბნისა კაცთა გიხილეს, და სულისა შენისა შემკობაი არა გნებავს.

რასა ესრეთ მოსწრაფე ხარ შემკობად თავისა შენისა? რაი კეთილი არს მაგას შინა? რამეთუ დედანიცა მეძავნი ესრეთ იმკობიან და უმეტესცა. არამედ ჭეშმარიტი სამკაული სათნოება არს, რომელი შვენიერ ჰყოფს სულსა ამას. მარადის ვიტყვი და თქმად არა დავსცხრები, რამეთუ არა ესე ზომ მიყვარან და მეწყალვიან მე გლახაკნი, რაზომ თქვენი სული. იხილეთ, თუ უწყალოებამან მდიდრისამან ვის უფროს ავნო, ლაზარეს ანუ თვით მას მდიდარსა? ეგრეთვე თქვენ უმეტესი გევნოს უწყალოებითა, ვიდრეღა გლახაკთა, და მათვე სიტყვათა მდიდრისათა იტყოდეთ ცეცხლსა მას შინა და არა ჰპოვოთ წყალობაი, არამედ ნუმცა ვის ასმია ხმა იგი! გარნა შევიყვაროთ, ძმანო, გლახაკი, რომელ არს ქრისტე, და ვაჩვენოთ წყალობაი, რათა წიაღთამცა აბრაამისთა მივიწივნეთ ყოველნი მადლითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა ჰშვენის დიდება სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ოე.

გლახაკთ-მოყვარებისათვისვე

ესრეთ ჰნებავს ღმერთსა, საყვარელნო, რათა სრულ იყოს კაცი ღვთისა ყოვლისა კეთილისა მიმართ, რამეთუ, რომელსა ერთი აქვნდეს კეთილი და მეორე არა აქვნდეს, იგი არა სრულ არს. რამეთუ რაი სარგებელ არს, უკეთუ ილოცვიდეს ფრიად, ხოლო მოწყალება არა აქვნდეს, ანუ მოწყალება აქვნდეს, გარნა მოტაცებულისაგან იქმოდეს, ანუ მაჩვენებლობით კაცთათვის, ანუ კეთილად იქმოდეს მოწყალებასა, გარნა ზვაობდეს, ანუ მდაბალი იყოს, გარნა ვერცხლის-მოყვარება აქვნდეს. დედა იგი ყოველთა ბოროტთა, ვერცხლის-მოყვარება არს, რომელი მოაძულებს გლახაკთა.

ვივლტოდეთ უკვე, საყვარელნო, ბოროტისა მისგან ვერცხლის-მოყვარებისა, რამეთუ ამან სოფელი ყოველი დაუწყნარებელ ჰყო. ესე (ვრეცხლის-მოყვარეობა) მონებისაგან ქრისტესისა განგვაშორებს, რამეთუ შეუძლებელ არს მონება ღმრთისა და მამონასი. რამეთუ ქრისტე გვამცნებს გლახაკთ-მოყვარებასა და მოწყალებასა. ხოლო იგი - მტაცებლობასა და უწყალეობასა; ქრისტე გვიბრძანებს, რათა შევუნდოთ თანამდებთა ჩვენთა, ხოლო იგი, რომელთა არა ევნოს ჩვენდა, მათცა ვავნებდეთ. ქრისტე იტყვის, ვითარმედ „მოწყალე იყავ,“ ხოლო იგი იტყვის, ვითარმედ - უწყალო იყავ და გულ-ფიცხელ და ნურად შეგირაცხიან ცრემლნი გლახაკთა, ქვრივთა და ობოლთანი. რათა დღესა მას სასჯელისასა უწყალო იყოს უფალი ჩვენ ზედა? რამეთუ მაშინ ყოველი საქმე ჩვენი წინაშე თვალთა ჩვენთა წარმოგვიდგეს, და ჩვენ მიერ ჭირვეულნი იგი და ძვირ-ხილულნი (განუკითხავნი) და ყოველსა სიტყვასა ჩვენგან მიგვიღებდენ (სიტყვას ვეღარ ვეტყვით). რამეთუ, უკეთუ ლაზარეს არა რაი ევნებოდა მდიდრისაგან, გარნა ოდენ მის მიერ მოწყალება არა მიეღო, და იყო იგი შემასმენელ

მისა და პირისა დამყოფელ. ხოლო რაიმე ეყოს მათ, რომელნი გლახაკთასა მიიტაცებენ, და ქვრივთა და ობოლთა აჭირვებენ და დააქცევენ? უკეთუ მშიერი გლახაკი არა გამოზარდეს, ესოდენსა (დიდს) ბოროტსა შთაცვივნეს. ხოლო რომელთა უცხოთა მონაგები მოიტაცონ, იგინი რაისა ღირს იქმნენ? ანუ რაი ნუგეშინის-ცემა ჰპოვონ? ვივლტოდეთ უკვე, ძმანო, ამის ბოროტისაგან. მოვიხსენნეთ (მოვიგონოთ) პირველ ჩვენსა ყოფილნი ანგაჰარნი. საფასენი მათნი აწ არა სხვათა ჰქონანა? ხოლო იგინი ცეცხლსა შინა იგვემებიან. ვითარ უკვე არა სიცოფე არს ესე ვითარი უბადრუკებაი, რომელ სიცოცხლესა, შრომასა და ბოროტსა შინა ვიყვნეთ და წარრავიდეთ ამიერ (სოფლით) საუკუნოდ ვიტანჯებოდეთ? გევედრები, საყვარელნო, შევიყვაროთ გლახაკი და ვსწყალობდეთ მათ, რომელი ქრისტესდა მიიწევის. რამეთუ იტყვის, „რაოდენი უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა, ძმათა ჩემთასა, იგი ყოველი მე მიყავთ.“ რათა აქაცა განვისვენოთ და მუნ სასუფეველი ცათა დავიმკვიდროთ. რამეთუ ვითარცა ცოდვა, პირველ გეენიისაცა აქავე ჰსტანჯავს, მხილებითა მით გონებისათა, მოქმედთა მისთა, ეგრეთვე სათნოება პირველ სასუფეველისაცა აქავე მოქმედთა მისთა სასოებითა კეთილითა ახარებს. ვიღვაწოთ, ძმანო, რათა ჩვენცა ესე ვითარი მოქალაქობა გვაქვნდეს, რათა აქაცა განვისვენოთ, და მუნ საუკუნეთა კეთილთა მივემთხვივნეთ მადლითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება თანა მამით, და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ოვ.

გლახაკთ-მოყვარებისათვისვე

ჰოი, საყვარელო, მითხარღა ერთსა დღესა, დღესა უმჯობეს არსა გვირგვინოსნობაი, ანუ დაუსრულებელთა მათ საუკუნეთა? ამისთვის გეტყვი, ძმაო, მოიძულე საფასე და შეიყვარე გლახაკი. მიეც გლახაკსა და ნუ მისცემ მომღერალსა და მროკველსა (მოცეკვავეს), რათა არა საფასესა თანა შენსა სულიცა შენი წარსწყმიდო და მათიცა. რამეთუ შენ ხარ წარწყმედისა მათისა მიზეზი, რომელი ეგე ბოროტთა მათთვის პატივ-ჰსცემ. რამეთუ უკეთუმცა იცოდეს მგოსანთა და მომღერალთა, ვითარმედ უსარგებლო არს ხელოვნება მათი, ადრემცა დაცხრომილ იყვნეს საქმეთა მათგან. ხოლო ოდეს გხედვიდენ, ვითარმედ გიყვარს საქმე იგი და მისცემ მათთვის ფრიად, დაღაცათუ არა უნდეს, გულის-თქმაი საფასეთა აქმნევს.

განვეშორნეთ უკვე უსარგებლოსა მის წარსაგებელისაგან. ვსცნათ და გულის-ხმა-ვყოთ, თუ სადა ჯერ არს წარგებაი, რათა არა ორკერძოვე ღმერთი განვარისხოთ, რაჟამს, სადაით არა ჯერ იყოს, შევკრებდეთ და, სადა არა ჯერ იყოს, განვაბნევდეთ. რამეთუ, ვითარ არა უსჯულოება არს, ჰოი კაცო, რაჟამს გლახაკსა თანა წარხდე (გვერდი აუხვიო) და მეძავსა მისცე? დაღაცათუ სიმართლით მოგეგოს საფასე ეგე,

ბოროტვე არს საქმე ესე. სასყიდლად ბოროტისა მისცემა, რომლისათვის ტანჯვაი ჯერ იყო, მისთვის პატივ-სცემ. ხოლო ოდეს ობოლთა განსძარცვიდე, და ქვრივთა მძლავრობდე, და გლახაკთა მიხვეჭდე, და სასყიდლად ცოდვისა მისცემდე, გულის-ხმა-ჰყავ, თუ ვითარ სახედ ცეცხლსა მოაწევ შენზედა? რამეთუ, უკეთუ აქებ მომღერალსა და სათნო გიჩნს საქმე მისი, უარეს მისსა ხარ. რამეთუ, მას დაღაცათუ არა რაი აქვს სიტყვაი, გარნა სიგლახაკე მიზეზად აქვს. ხოლო შენ რომელი მიზეზი ჰსთქვა? გარნა წარწყმედა სულისა. რაი ჰსთქვა სამსჯავროსა მას ზედა დიდსა, სადა იგი გულის-სიტყვათათვისცა სიტყვის მიცემაი თანა გედვას? რომლითა თვალითა იხილო მართლ-მსაჯული იგი, რაი მიზეზი სთქვა? გარნა სატანჯველი საუკუნო დაუსრულებელი. ნუმცა არს ესე ვითარი რაიმე ერსა ამას ზედა! არამედ ჩვენ ვისწრაფოთ, საყვარელნო, სიმართლით მოგებაი და ჯეროვნად წარგებაი, გლახაკთა სიყვარული და მათდა მიმართ წყალობაი, რათა გლახაკთა წყალობითა დავშრიტოთ ცეცხლი იგი უწყალოთათვის განმზადებული და ღირს ვიქმნეთ მოწყალებისა გვირგვინითა სასუფეველსა ცათასა დამკვიდრებად ყოველნი მადლითა და კაცთ-მოყვარებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა შვენის დიდება სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ოზ. თავი კვ.

ღვთისა სათნოყოფისათვის

საყვარელნო! ამისთვის დაგვბადნა ჩვენ ღმერთმან და მოგვიყვანნა სოფელსა ამას, და შთაგვბერნა სული, რათა მარადის ღმერთსა სათნო ვეყოფოდეთ, და საუკუნოსა მისთვის ცხოვრებისა სურვიელ ვიყვნეთ, და არა თუ საწუთოსა ამისთვის ვიყოფოდეთ. რამეთუ ამის საწუთოსათვის პირუტყვნი ოდენ არიან, ხოლო ჩვენ ამისთვის გვაქვს სული უკვდავი, რათა საუკუნოსა მისთვის ვზრუნვიდეთ და მუნ გამოვბრწყინდეთ, და ანგელოსთა თანა ვიყოფოდეთ, და წინაშე მეუფისა ყოველთასა ვჰსდგეთ დაუსრულებელთა მათ საუკუნეთა. ამისთვის მოგვეცა სული უკვდავი და ხორცნი მოგვეცნეს უკვდავნი. ხოლო უკეთუ ჩვენ ზეცისა შეურაცხ-ვჰყოთ და ქვეყანისასა ვზრუნვიდეთ, და ღვთისა სათნო ყოფასა არა ვისწრაფდეთ, იხილეთ ვითარ შეურაცხ-ვჰყოფთ მომცემელსა მას? რამეთუ, რაჟამს ღმერთი ზეცისასა მოგვიპყრობდეს, ხოლო ჩვენ არა რად შეგვერაცხოს იგი, არა მისი შეურაცხება არსა? ამისთვის გეენიაცა განმზადა შეურაცხის-მყოფელთა მისთათვის, რათა ვსცნათ, თუ, ვითართა კეთილთაგან გამოვახვებთ თავთა ჩვენთა? არამედ ნუ იყოფინ ჩვენდა ხილვად გემოი მწარეთა მათ სატანჯველთა. ამისთვის გევედრები, ძმანო, მარადის სათნო ვეყოფოდეთ ღმერთსა და პირველითგანვე ჩვენთვის განმზადებული სასუფეველი, და საუკუნენი კეთილნი დავიმკვიდრნეთ, მადლითა და კაცთ-

მოყვარეებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა ჰშვენის დიდება სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ოᲬ. ღვთისა სათნოყოფისათვისვე

საყვარელნო! სათნო ვეყოფოდეთ ღმერთსა, და გვირგვინოსან ვჰყოთ სული ჩვენი შიშითა ღვთისათა და მოწყალებითა, სიწმიდითა, და სიმართლითა, რამეთუ ესე ვითარნი სათნოებანი შვენიერ ჰყოფენ და შეამკობენ სულსა და სათნო არს წინაშე ღვთისა. ხოლო ნუმცა შევამკობთ, ძმანო, ხორცთა ჩვენთა, ოქროითა და სამკაულით წარმავალითა, რამეთუ ამას სამკაულსა სიგრძე ჟამისა განხრწნის და სხვანი მრავალნი მიზეზნი წარწყმედენ. ხოლო სულისა იგი სამკაული შორს არს ამის ყოვლისაგან, და ხორცთა სამკაული სხვათა შურსა და ხდომასა შთაუთესავს, ხოლო სულისა სამკაული ამის ყოვლისაგან წმიდა არს, რაჟამს ოქროი არა გვამთა ზედა ჩვენთა და თითთა მდებარე იყოს, არამედ გლახაკთადა მიცემულ. რამეთუ რაი არს სარგებელი ოქრო-ქსოვილითა სამოსლითა შემოსისა, ვინათგან ყოველი ხორცი თივაი არს, და ყოველი დიდება კაცისა, ვითარცა ყვავილი ველისა?! ამას ყოველსა ვიტყვი, რათამცა გასწავე სათნო-ყოფა ღვთისა და შემოსად ბრწყინვალე იგი სამკაული სულისა, რომელი გვასწავა დიდმან მოციქულმან პავლე: „არა ოქროი ანუ ვერცხლი, არამედ საქმენი ღვთის მსახურებისანი,“ რომელნი იგი უკუნისამდე ჰგიან და მომგებელთა მათთა გვირგვინითა ბრწყინვალითა შემოსილ ჰყოფენ. ხოლო, უკეთუ კულა კაცთა მიერსა დიდებასა ეძიებ, ეგრეთცა ღვთის სათნო ყოფა მოიგე, და კაცთაცა შორის ბრძენთა დიდებულ იყო და პატიოსან, ხოლო ხორციელისა სამკაულისათვის არავინ გაქებს. დაღაცათუ გაქონ უგუნურთა და სოფლის მოყვარეთა, და უფროსად იგინიცა არა გაქებენ, არამედ გებრძვიან და გეშურებიან. ხოლო ღვთის სათნო ყოფისათვის კეთილნიცა და ბოროტნიცა გაქებენ, და ფრიადი მიიღო ქებაი და ღვთისაგან სასყიდელი, და ანგელოსთა შორის დიდებაი დღესა მას სასჯელისასა, ოდეს მუნ იყვნენ ყოველნი დაბადებულნი, და წინაშე ანგელოსთა და კაცთა ცხად იყოს ქება და დიდება შენი. ესრეთ სათნო-ყოფა ღვთისა მოვიგოთ, ძმანო, და ესე ვითარი ბრწყინვალე სამკაული სულისა შევიმოსოთ, რათა აქაცა კეთილად ვიყოფოდეთ და მუნ საუკუნენი კეთილნი ვჰპოვნეთ, რომელთა ღირსმცა ვართ ყოველნი მიმთხვევად მადლითა და კაცთ-მოყვარეებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ოთ. ღვთისა სათნოყოფისათვისვე

ვისწრაფოთ, საყვარელნო, ღვთისა სათნო ყოფაი, რათა ესრეთ შევუძლოთ წმიდა ყოფა ცხოვრებისა ჩვენისა, რამეთუ სულიერნი საქმენი მსგავს არიან მარგალიტისა და, სადაითაც მოაქციო, შვენიერ და საყვარელ არს. რამეთუ უკეთუ ვინ ქმნას მოწყალებაი ანუ სიწმიდე, ანუ სიმართლე, ანუ ლოცვაი და სხვა სათნოებაი, არა თუ ოდენ საუკუნოსა სასოებითა იხარებს, არამედ აქაცა მხიარულ არს. და უკეთუ ვინ სძლოს გულის-თქმასა ბოროტსა, ანუ გულის-წყრომასა, ანუ რისხვასა, ანუ შურსა, პირველ სასუფეველისა აქავე ნაყოფი აქვს. რამეთუ, რომელი იქების და იდიდების ყოველთა მიერ, და უფროსად თვისისა სვინიდისისაგან, რომელ არს გონება შინაგანი, და ყოველი სათნოება ეგრეთ არს, ხოლო ბოროტნი საქმენი - პირველ ჯოჯოხეთისა - აქავე საძაგელ და საჭირველ არიან, და დასასჯელ გონებისა მიერ. რამეთუ, რომელი ცოდვასა შინა იყოს, უკეთუ საუკუნო იგი მოიგონოს, ძრწის და საწყალობელ არნ. უკეთუ საწუთოსა მიხედნეს, მრავალ არიან მტერნი მისნი, და სიმწარით ჰსცხოვრებს. და ესრეთ გონება ჩვენი გვამხილებენ, კაცნი გვაყვედრებენ, ღმერთი განრისხებულ არს ჩვენ ზედა, გეენია მიგველინ. რამეთუ ბოროტი და მძიმე ტვირთი არს ცოდვაი, და უმძიმეს ბრპენისა (ტყვია), და რომელსა იგი აქვნდეს, მარადის ქვე დადრეკილ არნ. არამედ ჩვენ უკეთუ გვიცოდავს, დავსთხივნეთ ცრემლნი, ვიგლოვოთ ჯეროვნად, აღვიძარცვნეთ ცოდვანი, ვითარცა ზაქე, მივაგოთ ოთხ წილად, რომელთაგან მოვიანგარეთ. უკეთუ პირველად ხელნი ჩვენნი არა დავაყენნეთ ანგაჰარებისაგან, ყოველივე ამაო არს: რამეთუ დაღაცათუ მივსცეთ მოწყალებაი, ანუ სხვა რაიმე კეთილი ვჰქმნეთ და კვალად ანგაჰარებასა შინა ვიყვნეთ?! კვალად შევიგინებით მის მიერ, და უძვირეს პირველისა ვიქმნებით. დავსცხრეთ უკვე, ძმანო, ანგაჰარებისაგან და ტაცებისა, და ესრეთ ვჰქმნეთ მოწყალებაი, რათა ღმერთსა სათნო ვეყვნეთ. და უკეთუ ვინ დაეცემოდის სიმაღლისა დიდისაგან, და ერთსა ზეით ემჭიროს, (ეწეოდეს) და მეორე ქვეით ზიდვიდეს, არა რაი სხვა იქმნების გარნა განკვეთა კაცისა მის. ხოლო რათა არა ჩვენზედაცა ესე ვითარი მოიწიოს, და სიმძიმისაგან ანგაჰარებისა, დაგვიტეოს მოწყალებამან, ამისთვის გევედრები, საყვარელნო, განვიფრხოთ და ვისწრაფოთ განშორება ბოროტთაგან, და რათა კეთილთა საქმეთა მიერ სრულ ვიქმნეთ, და ღმერთსა სათნო ვეყოფოდეთ, და სათნო მყოფელნი მისნი, მივემთხვივნეთ საუკუნეთა მათ კეთილთა, მადლითა და კაცთ-მოყვარებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომელსა ჰშვენის დიდება თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა პ. თავი კზ.

სიმართლისათვის

საყვარელნო! ქადაგება წმიდისა სახარებისა არა მაშინდელთა კაცთა მიმართ ოდენ თქმულ არს, არამედ ჩვენდა მომართცა - რათა არცა ერთითა საქმითა გარდავაქცევდეთ სიმართლესა, არამედ ყოვლით კერძო სიმართლისათვის ვისწრაფდეთ: გინა თუ გლახაკი ვინ იყოს, გინა მდიდარი, არა პირთა ვხედვიდეთ, არამედ საქმეთა, რამეთუ წერილ არს, „არა შეიწყალო გლახაკი სასჯელსა შინა.“ ხოლო რაი არს სიტყვაი ესე? ესე იგი არს, ვითარმედ ანუ მისდრკები უსამართლოებისა კერძოსა, დაღაცათუ გლახაკი იყოს უსამართლოი? აწ უკვე, უკეთუ გლახაკისა წყალობისათვის სიმართლისა გარდაქცევა არა ჯერ არს, არა უფროსად მდიდართათვის არა ჯერ არსა? ხოლო ამას ვიტყვი, არა მსაჯულთა მიმართ ოდენ, არამედ ყოველთა კაცთა, რათა არა ოდეს გარდავაქციოთ სამართალი, არამედ ყოველივე კეთილად დავიმარხოთ იგი, რამეთუ უფალსა უყვარს სამართალი. ხოლო რომელსა უყვარს სიცრუე, მას ჰსძულს სული თვისი. აწ უკვე, ძმანო, ნუმცა მოვიძულებთ სულთა ჩვენთა, ნუმცა შევიყვარებთ სიცრუესა. რამეთუ არა რაი არს სარგებელი სიცრუისა, რამეთუ დაღაცათუ იყოს ხორცთა რაიმე სარგებელი, მცირე არს და არა რაი და უკანასკნელ ბოროტად წარვსწყმდეთ და უფროსად აქაცა არა რაი ვირგოთ სიცრუისაგან. რამეთუ, რაჟამს გონებითა ბოროტითა ვიშვებდეთ არა სასჯელ არსა და სატანჯველ საქმე ესე? შევიყვაროთ უკვე, საყვარელნო, სიმართლე და ნუმცა სადა შეურაცხ-ვჰყოფთ ამას ჰსჯულსა, რამეთუ რაი შევიძინოთ ამის ცხოვრებისაგან, უკეთუ სათნოება არა მოვიგოთ ამას შინა საგზლად საუკუნოისა მის? ანუ თუ მუნ რაი გვერგოს მეგობართაგან და ნათესავთა და მომადლება ვისიმე სიცრუესა ზედა? და რად ამას ვიტყვი, არამედ გინათუ ნოე, ანუ იაკობ, ანუ დანიელ იყვნენ მამად ჩვენდა, არა რაივე გვერგების, უკეთუ საქმენი ჩვენნი ბოროტ იყვნენ. გარნა ერთი ოდენ საქმე სახმარ არს ჩვენდა: სათნოება სულისა სიმართლით ქმნილი. ესე შემძლებელ არს ხსნად ჩვენდა და განრინებად საუკუნეთა მათ სატანჯველთაგან. ესევე მიმიყვანებს ჩვენ სასუფეველსა ცათასა, რომელსა ღირსმცა ვართ ყოველნი მიმთხვევად მადლითა და კაცთ-მოყვარეებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისათანა მამასა შვენის დიდება სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა პა. სიმართლისათვისვე

საყვარელნო, ძმანო ჩემნო! ვიქმნნეთ ჩვენცა წმიდა, ვისწრაფოთ ქმნაი კეთილისა. ხოლო რაი არს კეთილი? სჯაი ობლისა და განმართლება ქვრივისა. რამეთუ დიდ არს წერილთა შინა სიტყვა ესე ობოლთა და ქვრივთა, არამედ ჩვენ არა დიდად გვაქვს იგი (მიჩნეული), რამეთუ იხილეთ, ვითარი არს მადლი მისი, რამეთუ იტყვის, ვითარმედ „უკეთუ იყვნენ ცოდვანი თქვენნი, ვითარცა მეწამულნი, ვითარცა თოვლი განვასპეტაკო, და უკეთუ იყვნენ, ვითარცა ღებილნი, ვითარცა მატყლი განვასპეტაკო.“ ამისთვის უკვე ვისწრაფოთ ხელის-აღპყრობად ობოლთა და ქვრივთა, რამეთუ არა მცირე ძალი აქვს ცრემლთა ქვრივისა, ობლისა და გლახაკისათა. არამედ შემძლებელ არიან ცათა განხმად და ჯოჯოხეთისა ცეცხლთა დაშრეტად. ამისთვის უკვე ნუმცა ბოროტსა ვუყოფთ მათ და ნუმცა უსავმართლოებთ, არამედ ვსწყალობდეთ და ხელსა აღვუპყრობდეთ. და ესე არს სამართალ, რათა ფრიადი ვჰპოვოთ ჩვენცა წყალობაი ამასცა საწუთოსა და მერმესაცა საუკუნოსა. რამეთუ მრავალთა ცოდვათა ვჰპოვოთ ამის საქმისა მიერ შენდობაი, და კადნიერებით წარმოვუდგეთ საყდარსა ქრისტესსა, და ღირს ვიქმნნეთ ყოველთა მართალთა თანა სასუფეველსა ცათასა მადლითა და კაცთ-მოყვარებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება და სიმტკიცე თანა მამით, და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა პბ. კვალად სიმართლისათვისვე

საყვარელნო, ქრისტემან ჰრქვა ჰურიათა, ვითარმედ „სადა მე ვიყო, თქვენ ვერ ძალ-გიძსთ მოსვლად.“ ხოლო მეშინის ნუ უკვე ჩვენდა მომართცა ითქვას ესე ცხოვრებისა ამის ჩვენისათვის, სავსისა ცოდვითა და სიცრუითა? რამეთუ, ვინაითგან არა გვაქვს ჩვენ სიმართლე, ვერ მივიდეთ სადა იგი არს, რამეთუ მოწაფეთათვის იტყვის, ვითარმედ „მნებავს, რათა სადაცა მე ვიყო, ესენიცა ჩემთანა იყვნენ.“ ხოლო მეშინის ჩვენთვის, თუ წინააღმდგომი ითქვას. ესე იგი არს, ვითარმედ, „სადა მე ვიყო, თქვენ ვერ ძალ-გიძსთ მოსლვად,“ რამეთუ ამასცა სოფელსა მხედარი, რომელი განარისხებდეს მეფესა, არა ხელეწიფების ხილვად მეფისა, არამედ საპყრობილესა შინა არნ და სატანჯველთა. ხოლო ქრისტე გვამცნებს სიმართლესა, და ჩვენ ცრუ ვიყვნეთ და მტყუარ. ქრისტე გვამცნებს მოწყალებასა, და ჩვენ მტაცებელ ვიყვნეთ და ანგაჰარ; ქრისტე გვიბრძანებს სიყვარულსა და ჩვენ მოძულე ვიყვნეთ და უწყალო, ვერ შევუძლოთ მუნ მისთანა შესლვად. და იხილენით ქალწულნი იგი, ვითარ არა ხელეწიფა შესლვად. სადა იგი სიძე იყო, რომელთა დაეხშა კარი წყალობისა. არამედ ნუ იყოფინ ჩვენდა სმენად ხმისა მის მწარისა სასმენელად, ვითარმედ „არა გიცნი თქვენ.“ ხოლო სადაით იქმნების ხმისა მის, თუ „არა გიცნი თქვენ?“ გარნა ამისგან, რომელ

ვიხილოთ რა გლახაკი, ესრეთ ვართ ვითარმცა არა რაი გვეხილვა და, რაჟამს ჩვენ არა გვეწყალოდეს გლახაკი და მშიერი, რომელ არს ქრისტე, ქრისტემან ვითარ შეგვიწყალნეს ჩვენ, რაჟამს წყალობა გვიხმდეს? რამეთუ, რომელმან შეურაცხ-ჰყოს ჭირვეული და არა მისცეს თვისისაგან, ვითარ ითხოვოს მან მოღებად არა თვისი იგი? ამისთვის გევედრები საყვარელნო, რათა ყოვლით კერძო ვიქმოდეთ სიმართლესა და სიმართლისა მიერ მონაგებისა მოწყალებასა, რათა არა მოგვაკლდეს ჩვენ ზეთი იგი, არამედ შევამკოთ ლამპარი ჩვენი ბრწყინვალედ, და შევიდეთ სიძესა მას თანა, უკვდავსა სასძლოსა მას უხრწნელსა, რომელსა ღირსმცა ქმნულ ვართ ყოველნივე მადლითა და კაცთ-მოყვარებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა ჰშვენის დიდება სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა პგ. თავი კწ.

კეთილად ხმარებისათვის სიმდიდრისა

საყვარელნო! ნუმცა უკვე ვიქმთ უღირს საქმეთა ჩვენისა ამის სახელისათა, რომელთა ესე ქრისტესად გვეწოდების, რამეთუ მოციქულმა პავლემ ესრეთ გვიწოდა, ვითარმედ „თქვენ ქრისტესნი ხართ.“ გულის-ხმა-ვჰყოთ, საყვარელნო, სახელისა ამის სიმაღლე, რამეთუ, უკეთუ ვისმე მეფისად ანუ ერის თავისად ეწოდებოდეს, დიდად აქვს პატივად, რომელი მისდა ეწოდების. მაშა ჩვენ, რომელთა ზედა არა მეფისა და მთავრისა მიწისაგანისა სახელი წოდებულ არს, არცა ანგელოსისა, არცა მთავარ-ანგელოსისა ანუ ხერუვიმისა, არამედ თავადისა, ყოველთა მეუფისა ღვთისა, არა დავსდვათა სული ჩვენი სიკვდილად, რათა არა შეურაცხად გამოსჩნდეს ჩვენი ესე სახელი?! არა ჰხედავთა მხედართა მათ გარემოს მეფისა მდგომარეთა, რაოდენი პატივი აქვს? ხოლო ჩვენ ღირს ქმნულ ვართ მახლობელ ღვთისა ყოფად, არა ვითარცა იგინი მეფისა, არამედ ვითარცა გვამი მახლობელ არს თავისა, და არა ყოვლით კერძო ჯერ არსა მოსწრაფება, რათა მსგავს ქრისტესსა ვიქმნნეთ? ხოლო უკეთუ ქრისტეს ბაძუაი გვნებავს, ისმინეთ რასა იტყვის იგი, ვითარმედ „მელთა ხვრელი უჩნს და მფრინველთა ცისათა სადგური, ხოლო ძესა კაცისასა არა აქვს, სადა თავი მიიდრიკოს.“ რამეთუ ჯერ იყო ჩვენდაცა ესრეთ ყოფაი. არამედ რათა ესე დავუტეოთ თქვენისა უძლურებისათვის, და ვითხოვო თქვენგან მსუბუქი საქმე, რათა არა ესრეთ ფრიად მოყვარე იყვნეთ საფასეთა მაგათ, და ვითარცა უძლურებისა თქვენისათვის, სრულსა მას სათნოებასა არა ვითხოვ თქვენგან, ეგრეთვე თქვენ განეშორენით ფრიადსა მას უკეთურებასა, და ნუ მონა მონაგებთა თქვენთა იქმნებით, არამედ უფალ მათდა იყვენით. რამეთუ სახმარ ამისთვის ეწოდების საფასეთა, რათა ვიხმარებდეთ და არა ვმარხვიდეთ. რამეთუ დამარხვა მნისა (მოხელე მონის საქმე) არს, ხოლო ხმარება

უფლისა. არა თუ ამისთვის მოგვეცნეს საფასენი, რათა დავფლათ ქვეყანასა შინა, არამედ, რათა განუყოთ, რომელთა უხმდეს. და უკეთუმცა უნდა ღმერთსა დაფლვაი ოქროსა, არამცა მოეცა იგი კაცთადა, არამედ დაეტევამცა იგი სიღრმეთა შინა ქვეყანისათა, ხოლო მოგვცა იგი, რათა ურთიერთარს მივსცემდეთ. უკეთუ კულა ვმარხვიდეთ ოქროსა, არღარა უფალ მისა ვართ, არამედ მონა. და უკეთუ ამისთვის ჰმარხავ, რათა განმრავლდეს, იხილე, რამეთუ ვაჭარნიცა განაბნევენ ოქროსა, რათა უმეტესი შემოიკრიბონ, და ნავად შევლენ და შორთა ქვეყანათა წარვლენ, რათა განაბნიონ ოქრო მათი და უმეტესი შეიძინონ. და მუშაკნიცა განაბნევენ იფქლსა (ხორბალსა) მიწასა შინა, რათა მრავლად მოიღონ, და შვრებიან მას ზედა მრავალ-ჟამ. ხოლო შენდა, ძმაო, არცა ნავი სახმარ არს, რათა უცხოთა ქვეყანათა წარხვიდე, არცა შეუღლება ხართა, მოხვნად ქვეყანისა, არცა ზრუნვად წვიმისათვის, ანუ შიში სეტყვისა, გინა აღძვრისა ზღვისა, ანუ შიში კლდეთაგან ზღვისათა, არამედ მას ვაჭრობასა და მუშაკობასა ერთი უხმს, რათა განაბნიო საფასე შენი ხელთა შინა გლახაკთასა და სხვა ყოველივე მან მუშაკმან ჰქმნას, რომლისათვის იტყვის ქრისტე, ვითარმედ „მამა ჩემი მუშაკი არს.“ ვითარ უკვე არა ბოროტ არს, უკეთუ სადა ესრეთ უშრომელად მოგვეცემის ყოველივე ამას ზედა უდებ ვიყვნეთ, და სადა იგი ფრიადი შრომა და ზრუნვაი, და უცნაურ არს, თუ ჰქმნას ანუ არა და მუნ ყოველსა მოსწრაფებასა ვაჩვენებთ? ნუ, გევედრები, საყვარელნო, ნუ ვართ ესრეთ უდებ ჩვენისა ცხოვნებისათვის. არამედ სადა ესე შრომა არა ფრიად არს და სარგებელი მრავალ, მას ვეძიებდეთ, რათა საუკუნეთა კეთილთა მივემთხვივნეთ მადლითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა პდ.

კეთილად ხმარებისათვის სიმდიდრისა

ისმინეთ, საყვარელნო, მაცხოვრისა, ვითარმედ „არავის ძალუძს მსახურებად ღვთისა და მამონასა, არამედ ერთისა უხმს შეყვარებაი და მეორისა მოძულება.“ და რომელნიცა მძლე ექმნნენ ვერცხლის-მოყვარებასა, მათცა შეიყვარეს ღმერთი, ვითარცა ჯერ არს, ხოლო რომელნი იძლივნეს მის მიერ, იგინიცა დაეცნეს. და რამეთუ ვერცხლის-მოყვარებისა მიერ ძლეული ადრე იძლევის ყოველთაგან ვნებათა, განმარისხებელთა ღვთისათა, ვინათგან მონა არს ყოვლისა ბოროტის-მოყვარისა, არამედ განიფრხვეთ და აღსდეგით და გულის-ხმა-ჰყავთ, თუ ვისი სახელი წოდებულ არს ჩვენ ზედა და ვისი ვართ მონა? და მისი ოდენ მეუფება ვადიდოთ. ვსტიროდეთ და ვიგლოვდეთ პირველთა მათ ჟამთა, რომელთა შინა ვჰმონეთ მამონასა. განვაგდოთ ჩვენგან მძიმე იგი უღელი მისი და ვიტვირთოთ ტკბილი იგი და მსუბუქი უღელი

ქრისტესი. რამეთუ ქრისტე არა რას გვიბრძანებს ესე ვითარსა, ვითარ იგი მამონა. რამეთუ იგი გვეტყვის, რათა ყოველთა მტერ ვიყვნეთ, ხოლო ქრისტე უფროსად გვამცნებს სიყვარულსა. იგი (ვერცხლის-მოყვარება) თიხასა შინა და მწვირესა დაგვფლავს, რამეთუ ოქრო და ვერცხლი თიხა არს და მწვირე, - ხოლო ქრისტე აღგვამაღლებს ნევთთაგან ქვეყანისათა და გვიბრძანებს ზრუნვად საუნჯისა მისთვის ზეცათასა. იგი აქაცა შრომით და ურვით წარაგებს ცხოვრებასა ჩვენსა და მუნ თანამდებ გვყოფს ცეცხლისა მის უშრეტისა, ხოლო ქრისტე სასმელისათვისცა ერთისა გრილსა წყლისა მოგვცემს სასყიდელსა მოუკლებელად და უფროსად მრავლად წილად. ვითარ უკვე არა სირცხვილ არს ესე ვითარისა სახიერისა და ტკბილისა უფლისა წილ ესრეთ უკეთურისა მძლავრისა მონება? რომელი იგი არცა აქა რას მოგვცემს სარგებელსა, არცა მუნ, არამედ უმეტესად ტანჯვასა და ჭირსა ორ კერძოვე მორჩილთა მისთა. რამეთუ უმეტესნი ჯოჯოხეთს მიმავალნი ამის მიერ მივლენ, რამეთუ ოქრო შეიყვარეს და გლახაკნი არა შეიწყნარეს. რომელი იგი რათა ჩვენზედაცა არა მოიწიოს, განვაბნიოთ, ძმანო, საფასე და მივსცეთ გლახაკთა და განვათავისუფლნეთ სულნი ჩვენნი აქაცა ზრუნვათაგან და მუნ სატანჯველთაგან და დავიუნჯნეთ ზეცისა კეთილთა სიმრავლე - ოქროისა წილ ბრწყინვალენი გვირგვინნი, საფასეთა წილ - საუნჯენი ცათა შინა მოუკლებელნი, რათა წარმოსდგნენ მოწყალებანი ჩვენნი წინაშე საყდრისა, და მოწყალე ჰყონ ჩვენზედა მსაჯული, და ხელი აღგვიპყრან და აღვფრინდეთ ფრთითა უბრწყინვალეს ოქროსათა, და ესრეთ სავანეთა მათ სასუფეველისათა განვისვენოთ, რომელთა ღირსმცა ვართ ყოველნი მადლითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა პე.

კეთილად ხმარებისათვის სიმდიდრისა

ჰოი კაცო ამაო! წარმავალთათვის გსურის და წარუალთა არა ეძიებაა? და შენ, უკეთუ ვინ იხილო, ვითარმედ დრაჰკანსა ოქროსასა დააგდებდეს და ტყვივისასა აღირჩევდეს, ფრიად აბრალებ მისსა უმეცრებასა. ხოლო შენ ამისსაცა უუნდოესსა შეჰკრებ და გგონიეს, ვითარმედ სიმდიდრე გაქვს. არამედ მე მდიდრად მას ვიტყვი, რომელსა სოფლისა საქმენი შეურაცხ-ექმნენ. რამეთუ არავინ შეურაცხ-ჰყოფს უნდოთა მათ საქმეთა, უკეთუ სურვილი უზესთაესისა მის არა აქვნდეს, ვითარცა ტყვიასა არა ვინ უგულებელს ჰყოფს, უკეთუ არა იცნას ოქროი. და შენცა - უკეთუ იხილო კაცი, რომელი ყოველსა სოფელსა თანა წარვლიდეს, ჰსცან, ვითარმედ საუკუნოსა მის სურვილი დამკვიდრებულ არს მის თანა. ეგრეთვე მუშაკი მცირესა იფქლსა შეურაცხ-ჰყოფს, რაჟამს უმეტესსა მოელოდდეს ნაყოფსა. და უკეთუ სადა ესე უცნაურ არს, თუ

მოვიღოთ ნაყოფი ანუ არა, და ესრეთ შეურაცხ-ვჰყოფთ მონაგებსა ჩვენსა, არა უფროსად (უფრო უმჯობესი არ არის), სადა იგი მტკიცე არს მოღება ნაყოფისა, დავსთესოთ თესლი მოწყალებისა?!

ამისთვის, გევედრები, ძმანო, ნუმცა დავიმჭირვებთ კეთილთა მათ ზეცისათა, მოვიხსენოთ სიტყვა იგი წინასწარმეტყველისა, ვითარმედ „ცოდვანი შენნი მოწყალებითა აღიხოცენ," არამედ ნუ ესრეთ, რათამცა დღეს ჰქმნე და ხვალე დასცხრე. რამეთუ ვითარცა ხორცთა ამათ მარად-დღე საზრდელი უხმს, ეგრეთვე არს სულიცა. რამეთუ უფროსად სულსა ეხმარების, და უკეთუ არა მივსცეთ - მოუძლურდების. და ნუმცა უკვე შეურაცხ-ვჰყოფთ, რამეთუ ჭირსა შინა მოიშთობის მარად-დღე, და მრავალნი წყლულებანი მოვლენ მის ზედა, გულის-თქმათაგან, გულის-წყრომისაგან, ძვირის ზრახვისა, უდებებისა, ძვირის ხსენებისა, და შურისა. ჯერ არს უკვე რათა წამალნიცა დავასხნეთ მას ზედა, ხოლო არა მცირე არს წამალი იგი მოწყალებისა, ყოველთათვის წყლულებათა, რამეთუ იტყვის, „მიეცით მოწყალება და ყოველივე თქვენი წმიდა იყოს." მოწყალება დასდევით თქვენ ზედა, საყვარელნო, და ნუ ანგაჰარებასა დასდებთ. ხოლო მოწყალება ჯერ არს, რათა უცხო იყოს ყოვლისაგან უსამართლობისა. უკეთუ არა, მოწყალება ანგაჰარებისაგან ქმნილი, არად სარგებელ არს, არამედ რომელი წმიდა იყოს, იგი არს კეთილ და ყოვლისა უმჯობეს განანათლებს სულსა, და შვენიერ ჰყოფს, და განაპოხებს. ვიცხოთ უკვე, ძმანო, ესე ზეთი ხელთა ჩვენთა, რათა კეთილად შევუძლოთ ეშმაკსა წინააღდგომად. რამეთუ ყოველივე ვნება დაიხსნების მოწყალებისა მიერ. რამეთუ ვითარცა მკურნალი, რომელი მარად-დღე უძლურთა თანა იქცეოდეს, დამდაბლდების, უკეთუ გულის-ხმა-ჰყოფდეს ბუნებასა მას კაცობრივსა, ეგრეთვე ჩვენ, უკეთუ გლახაკთა თანა ვიქცეოდეთ, და ვსწყალობდეთ მარადის, ფრიადი სიბრძნე მოვიგოთ ამის საქმისაგან, და ყოველი სოფელი შეურაცხ-ვჰყოთ, და ავმაღლდეთ ზეცად და მუნ ანგელოსთა თანა ვიშვებდეთ, და ყოველთა მეუფესა ვადიდებდეთ საუკუნოდ, რომელსა ღირსმცა ვართ, ყოველნი მიმთხვევად მადლითა და კაცთ-მოყვარებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომელსა შვენის ყოველი დიდება თანა მამით, და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა პვ. თავი კთ.

სასუფეველის დიდებისათვის

საყვარელნო! ამისთვის მოვიდა უფალი ჩვენი იესო ქრისტე, რათა საუკუნო იგი დიდება მისი ვიხილოთ, რომლისათვისცა იტყვის, ვითარმედ „მნებავს, რათა სადაცა მე ვიყო, ესენიცა ჩემთანა იყვნენ, და ჰხედვიდენ, დიდებასა ჩემსა.“ რამეთუ, უკეთუ აქა დიდება მისი ესრეთ ბრწყინვალე იქმნა, რომელ მთასა თაბორსა მოციქულთა თვალთ-შედგმად ვერ იკადრეს, რაი ვინ ჰსთქვას მერმისა მისთვის დიდებისა, რომელი გამოჩინებად არს ესოდენითა ბრწყინვალებითა, რომელსაცა სიტყვით ვერვინ გამოაცხადებს. ჰოი სანატრელნი სამგზის და მრავალ გზისცა სანატრელნი, რომელნი ღირს იქმნნეს დიდებისა მისისა ხილვად? ამისთვის იტყვის წინასწარმეტყველი, „მოისპენ უღმრთო, რათა არა იხილოს მან დიდება იგი ღვთისა.“ არამედ ჩვენგანი ნუმცა ვინ მოსპოლვილ არს; ჰოი უფალო, უფალო, ნუცამცა ვინ დაშთომილ არს უხილავად მის დიდებისაგან, რამეთუ უკეთუ მას არა ღირს ვიქმნებით ხილვად, კეთილ არს ჩვენთვისცა თქმად, ვითარმედ უმჯობეს იყო, თუმცა შობილვე არა ვიყვენით? და რაისათვის ცხოველ ვართ? ანუ რაისათვის ვიქცევით, უკეთუ მის დიდებისაგან დავაკლდებით, და მეუფესა ჩვენსა ვერ ვიხილავთ? რამეთუ უკეთუ, რომელნი ამის მზისა ნათელსა ვერ ჰხედვენ, მწარესა ცხოვრებასა შინა არიან, რაი ყოფად არს მათდა, რომელნი მის დიდებისაგან დააკლდენ? რამეთუ აქა ესე ოდენ არს დაჭირვებაი, რომელ ნათელსა ვერ იხილვენ, ხოლო მუნ არა ესრეთ არს, არცა ესოდენ არს ტანჯვაი, არამედ ესრეთ უმწარეს არს, რაოდენ იგი ნათელი ამის მზისა უბრწყინვალეს არს ბნელისა შეუმსგავსებელად. და კვალად ესეცა არს, რომელნი მის ნათლისაგან დააკლდენ, არა ბნელსა ოდენ მივლენ, არამედ საუკუნოდცა წვაი ცეცხლსა შინა მოიწევის მათ ზედა, და ღრჭენა კბილთა.

ნუმცა უკვე შთავცვივით მწარეთა მათ სულმოკლებითა საუკუნოსა მას სატანჯველსა. არამედ განვიფრთხოთ და ვიღვაწოთ, რათა განსვენებასა მას მივემთხვივნეთ, და განვერნეთ მდინარესა მას ცეცხლისასა, რომელი სდიოდის, საშინელითა ოხრვითა, წინაშე საყდრისა მის დიდებისა. რამეთუ რომელი მუნ შთავარდეს ერთგზის, ვერღარავინ იხსნას მიერ, ვერცა მამაი, ვერცა დედაი, ვერცა ძმაი, ვითარცა წინასწარმეტყველნი ღაღადებენ, რამეთუ დავით იტყვის, „ძმამან ვერ იხსნას, კაცმან იხსნასა?“ ხოლო ეზეკიელ ამისსა უმეტესიცა ჰსთქვა, „დასდგენ ნოე, და იობ, და დანიილ, ძენი და ასულნი მათნი ვერ იხსნან,“ რამეთუ მუნ ერთი ოდენ შეწევნა არს ჩვენი, საქმეთა მიერ კეთილთა, და რომელსა იგი შეწევნაი არა აქვნდეს, სხვა არა რაი ეპოების მას. ამას უკვე ვიხსენებდეთ მარადის, საყვარელნო, და განვიწმიდნეთ თავნი ჩვენნი, რათა კადნიერებით ვიხილოთ უფალი და საუკუნო იგი დიდება დავიმკვიდროთ მადლითა და კაცთ-მოყვარებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა,

რომლისა არს დიდება თანა მამით, და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა პზ. სასუფეველის დიდებისათვის

საყვარელნო! უფალი დიდებისა იტყვის, „მადიდე მე მამაო თავისა შენისა თანა, დიდებითა მით, რომელი მაქვნდა წინაშე შენსა უწინარეს სოფლის დაბადებისა.“ ესე ვითარი უკვე დიდებაი ჩვენცა ვჰპოვოთ ძმანო, საზომისაებრ ჩვენისა, უკეთუ ვიღვაწოთ. ამისთვისცა მოციქული იტყვის, „უკეთუ მისთანა ვივნოთ, მისთანავე ვიდიდნეთ.“ ხოლო ჩვენ ბევრეულთა ცრემლთა ღირს ვართ, რომელთა წინა გვიძს ესოდენი დიდებაი და ჩვენ უდებებისათვის ჩვენისა დავიჭირვებთ ამას ყოველსა; რამეთუ დაღაცა თუმცა არა იყო გეენიაი, საწყალობელვე ვართ, რომელთა ესე გვაქვს ხელმწიფება, რათა, უკეთუ გვენებოს, ვჰსუფევდეთ ძისა თანა ღვთისასა და ჩვენ დაკლებულ ვჰყვნეთ თავნი ჩვენნი მის ყოვლისაგან. რამეთუ, დაღაცა თუმცა ჯერ იყო ასოეულად დაჭრაი და ბევრეულითამცა სიკვდილითა სიკვდილი, და ბევრეულთა სულთა მიცემაი, და ესე ზომთავე ხორცთა მის დიდებისათვის არა რაივე იყო, ხოლო აწ ჩვენ საფასეთაცა არა შეურაცხ-ვჰყოფთ მის დიდებისათვის, რომელთაგან შემდგომად მცირედისა უნებლიეთცა განშორებად ვართ. არა უგულებელს-ვჰყოფთ საფასეთა, რომელნი იგი ბევრეულთა ბოროტთა შინა შთამთხევენ ჩვენ და რომელნი აქავე დარჩებიან და არა ჩვენნი არიან. ხოლო ვინაითგან არა მის დიდებისა ოდენ დაჭირვება წინა მდებარე არს, არამედ გეენიაცა და მატლი დაუსრულებელი, ცეცხლი დაუშრეტელი, ღრჭენა კბილთა, და ყოველი სატანჯველი, ვიდრემე თავს ვიდვათ იგი ყოველი?

ვიდრემდის არა აღვიხილავთ თვალთა ჩვენთა, არამედ მარად-დღე შფოთთა შინა ვართ და მხილებათა და სიტყვათა ამაოთა? მიწასა ვზრდით, რამეთუ ხორცნი ესე ჩვენნი მიწანი არიან, რომელთა ვაპოხებთ და სული უდებ გვიყოფიეს და ჭეშმარიტსა დიდებასა არა ვეძიებთ. ხოლო ურგებთა დიდებათათვის ვზრუნავთ, და ბრწყინვალებასა საყოფლებსა აღვაშენებთ და მოვიგებთ ტაძართა მრავალ-ფასისათა და სიმრავლესა მონათასა, და მნეთა დავადგინებთ და ყოველთა ზედა მთავართა და მთავრის მთავართა. ხოლო სული ჩვენი ოხრად ჰსდგას, და ყოვლადვე არა ვზრუნავთ მისთვის, რაიმე ყოფად არს ამის ყოვლისა დასასრული? არა ერთსა მუცელსა აღვავსებთა? არა ერთსა გვამსა შევმოსთა? რაი არს ესე ოდენი ესე ამბოხებაი, რად აღვაოხრებთ ერთსა მას სულსა, რომელნი ხდომილ არს ჩვენდა და შევაგინებთ მას და ბოროტსა მონებასა შინა ხორცთასა შთავაგდებთ? რამეთუ, რომელი მრავალსა ეძიებდეს, მრავალთა მონა არს. ანგელოსნი ამისთვის სანატრელ არიან, რომელ არა რაი ეხმარებიან ესე ვითარნი ზრუნვანი და ჩვენცა რაოდენ ნაკლულევანებით ვიყვნეთ, ანგელოსთა ცხოვრებასა მივეახლებით. არა ამისთვის ვნატრითა ადამსა, რამეთუ არა

რაი ეხმარებოდა სამოთხესა რა იყო, არცა სახლი, არცა სამოსელი, არცა სხვაი რაი ამის სოფლისაგანი? ხოლო ჩვენ რაისათვის აღვაორძინებთ ანგარებასა და დავაკლდებით ზეცისა დიდებასა აზნაურებასა? განვიფრთხოთ უკვე, საყვარელნო, და განვაგდოთ მონაგებთა ჩვენთა მონებაი, რათა მოვიგოთ ჭეშმარიტი იგი აზნაურებაი, და ღირს ვიქმნეთ ზეცისა დაუსრულებელსა დიდებასა დამკვიდრებად მადლითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა პზ. სასუფეველის დიდებისათვისვე

ნეტარ არიან და სამგზის სანატრელ, რომელნი ღირს იქმნენ სასუფეველისა დიდებასა მიმთხვევად! და ეგრეთვე უბადრუკ არიან და სამ გზის საწყალობელ, რომელნი დიდებისა მისგან განვარდენ! ხოლო ჩვენ, ძმანო, უკეთუ გვნებავს დიდებისა მის ზიარებად, რომელი „თვალმან არა იხილა, და ყურსა არა ესმა, და გულსა კაცისასა არა მოუხდა,“ რომელი იგი განუმზადა ღმერთმან მოყვარეთა თვისთა, შევიტკბოთ სათნოება და მცნებათა უფლისათა მუშაკად გამოვსჩნდეთ, რათა ზეცისა იგი დიდება დავიმკვიდროთ. ნუ დიდებისა ამის წარმავალისა მოყვარეთა ვხედავთ, არამედ აღსასრული მათი გულის-ხმა-ვჰყოთ, რომელთა - აქა მონაგებთა თვისთა მონებაი მოუგიესთ და მუნ სიგლახაკე ბოროტი, და ბნელსა შინა გარესკნელსა ყოფაი. ნუ ვხედავთ მათ, რომელნი შვებასა შინა არიან და განცხრომასა და გულის-თქმათა ბოროტთა აღასრულებენ. არამედ იგი მოვიხსენოთ, თუ რაი არს აღსასრული მათი. აქა სიზრქე ხორცთა და სიმყრალე, და მას საუკუნესა ცეცხლი და მატლი დაუსრულებელი და სხვანი იგი სატანჯველნი. კვალად ნუ მტაცებელთა ვხედავთ, არამედ აღსასრული მათი გულის-ხმა-ვჰყოთ: აქა ზრუნვანი და შიშნი და ურვანი, და მუნ საკრველნი განუხსნელნი, უკეთუ ამას ესე ვითარსა ვიხსენებდეთ და წინა აღუდგებოდეთ ბოროტთა მათ გულის-თქმათა ჩვენთა, ადრე მძლე ვექმნეთ მათ მადლითა ქრისტესითა და მოვიგოთ სურვილი საუკუნოისა მის დიდებისა. ესე, გევედრები, საყვარელნო, დიდებისა მის სურვილი მოვიგოთ, რამეთუ ხსენებაცა მისი მებრ სახარულევან არს. ხოლო მიმთხვევაი მის დიდებისა რომელმანმე ენამან გამოთქვას, ანუ რომელმან გონებამან მოიგონოს, რაზომ ტკბილ არს და საწადელ. განვეყენნეთ აქა, ძმანო, ცუდისა დიდებისაგან და ნუ ვიჯმნით ქრისტესმიერისა სიგლახაკისა, რათა სასუფეველისა დიდება დავიმკვიდროთ, რომლისა ღირსმცა ვართ ყოველნი მიმთხვევად მადლითა და კაცთ-მოყვარებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომელსა შვენის დიდება თანა მამით და სული წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა პთ. თავი ლ.

ქრისტიანეთათვის ჭეშმარიტისა

ქრისტიანესა უხმს, საყვარელნო, რათა იყოს ნათელი სოფლისა და მარილ, ვითარცა იტყვის უფალი, ვითარმედ „თქვენ ხართ ნათელი და მარილნი სოფლისანი.“ ქრისტიანე იცნობების საქმეთაგან კეთილთა, რათა აღიძარცოს ძველი იგი კაცი ცოდვისა და შეიმოსოს ახალი მადლი და მოიგოს ცხოვრება განათლებული და სხვათაცა ანათებდეს, ვითარცა ნათელი. ხოლო უკეთუ კულა ვერცა თავსა თვისსა უნათობდე, ჰოი ქრისტეანეო, ვინა გიცნა, თუ ქრისტეანე ხარ ჭეშმარიტი? ვინაი გულის-ხმა-ვჰყო, თუ განბანილ ხარ წყალსა მას შინა საიდუმლოსასა? რამეთუ უკეთუ შემდგომად პატივისა მის უღირსებით იქცეოდე, სასჯელისა მიზეზ გექმნას პატივი იგი. რამეთუ სიმაღლე პატივისა მაგის შენისა ფრიად არს. ქრისტიანესა უხმს, რათა ყოვლით კერძო საიდუმლოდ ღირს იყოს და სარგებელ ეყოს ყოველთა საქმით, სიტყვით, ხედვით, სლვით და ყოვლითავე სახითა. ხოლო ესე ვსთქვი, არა თუ რათამცა მაჩვენებლობით რასამე ვიქმოდეთ სახილველად კაცთა, არამედ რათა ყოველი ცხოვრება ჩვენი სახილველად ღვთისა და სათნო ყოფად მისსა შევმზადოთ და ესრეთ კაცთაცა სარგებელ ვეყოფოდეთ და ვანათლებდეთ, ვითარცა ნათელი. არა თავთა თვისთა ოდენ არს ნათელი, არამედ ყოველთა მიმართ ქრისტიანისა ჯერ არს, რათა ბაძვიდეს ქრისტესა, ვითარცა იგი არა თავსა თვისსა სათნო ეყო, არამედ ყოველთა. და მოციქული პავლეცა არა თავისა თვისისათვის ოდენ ზრუნვიდა, არამედ ყოველთა ექმნა ყოვლად, რათა ყოველნი აცხოვნნეს და იტყვის, „მობაძავ ჩემდა იყვენით, ვითარცა მე ქრისტესა,“ და უფროსღა მაშინ ზრუნავს კაცი თავისა თვისისასა, ოდეს მოყვასთათვის ზრუნვიდეს. რამეთუ მოყვასისა ყოველივე ჩვენი არს და თანა გვაძს შეყვარებად მოყვასისა, ვითარცა თავი თვისი. ამისთვის გევედრები, საყვარელნო, თავთა თვისთა განვანათლებდეთ საქმეთა მიერ კეთილთა და სხვათაცა სარგებელ ვეყოფოდეთ, რათა მივემთხვივნეთ ყოველნი სასუფეველსა ცათასა მადლითა და კაცთ-მოყვარებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ჟ. ქრისტეანეთა ქცევისათვის

გლოცავ, საყვარელნო, და გევედრები, ვაჩვენოთ მოქალაქობა კეთილი და უბრწყინვალესი მზისა, რათა უფროსად იდიდოს ღმერთი ჩვენ მიერ, რამეთუ ესრეთ შვენის ქრისტიანეთა, და სათნო ვეყოფოდეთ ქრისტესა, რამეთუ სათნოება მარადის უბრწყინვალეს მზისა არს. მოვიგოთ უკვე, ძმანო, სათნოება, ვიქმნეთ მოწყალე და წმიდა გულითა და მშვიდობის მყოფელ ყოველთა მიმართ! უკეთუ ესრეთ ვიყვნეთ, უმეტესღა სასწაულთა საქმისა მრავალნი მოვიდნენ ჩვენ მიერ დიდებად ღვთისა,

დაღაცათუ ვინმე წინააღმდგომ და მაგინებელ ჩვენდა იქმნან, ვერა რაი გვავნონ, არამედ უფროსად იგინიცა გულსა შინა მათსა მაქებელ ჩვენდა იქმნენ ჭეშმარიტებისათვის. იხილეთ, ვითარ ნაბუქოდონოსორ, მტერი იგი და მბრძოლი, სამთა ყრმათა მაქებელ და მადიდებელ მათდა იქმნა, იხილნა რა იგინი ახოვნად სიყვარულსა შინა ღვთისასა. გლოცავ, საყვარელნო, და გევედრები, მტკიცე იყავნ და აღუხოცელ გულთაგან ჩვენთა საღმრთონი წერილნი. მივემსგავსნეთ მცირეთა ყრმათა, ვითარცა მათ პირველ იწყიან ანბანი, მერმე აღმოკითხვაი ასოეულად და შემდგომად წარემართნიან კეთილად კითხვასა, და ესრეთ იწყიან სწავლად სიბრძნისა და მცირედ მცირედ იქმნიან ფილოსოფოს. ეგრეთვე ჩვენცა ვიქმოდეთ, ძმანო! განვჰყვნეთ სათნოებანი: პირველად უკვე ვისწაოთ არა ტყუილი, არა ფიცი, არა ძვირის ხსენება. მერმე კვალად სხვასა მუხლსა ხელ-ვჰყოთ წურთად (ვარჯიშობა), აღმოვჰფხვრნეთ გულის-სიტყვანი და გულის-თქმანი ბოროტნი. აღმოვფხვრათ შური და ხდომა, დიდების მოყვარება; მოვიძულოთ ნაყროვანება, მთვრალობა და უდებებაი, რათა ამიერ კვალად სიმაღლეთა მიმართ საქმეთასა სწავლად აღვიდეთ მარხვისა და სიწმიდისა, სიმართლისა და სიმდაბლისა. მერმე შევუძლოთ ლმობიერად ლოცვა, მდინარენი ცრემლთანი, სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულ-გრძელება, სიტკბოება, სახიერება, სარწმუნოება, მყუდროება და მოთმინება. მერმე შევუძლოთ მადლითა და შეწევნითა უფლისათა ჯუარცმად ხორცთა ჩვენთა, ვნებითურთ და გულის-თქმით და ცხოველ ვიყვნეთ სულითა და სულითაცა ვეგნეთ და ესრეთ ვიქმნეთ იფქლ წმიდა შესაკრებელ საუნჯეთა მათ ზეცისათა და მოქალაქე ზეცისა იერუსალიმისა, რომელსა ღირსმცა ვართ ყოველნი ქრისტიანენი მიმთხვევად მადლითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ჟა. კვალად ქრისტიანეთათვისვე

საყვარელნო! ქრისტეანესა შვენის რათა იყოს აღმასრულებელ მარადის მცნებათა ქრისტესთა, აქვნდეს გულის-ხმის-ყოფა, და წვრთა საღმრთოთა წერილთა, ხსენება სიკვდილისა და სასჯელისა, მოწყალება, სახიერება და ხსენება ქრისტეს ვნებათა. უკეთუ ესენი მოვიგნეთ, და ამათ მიერ წმიდა იქმნას სული, და ღირს შეწყნარებად უდიდესსა საიდუმლოსა, რომლისა ძლით შემძლებელ არს კაცი ყოველთაგან ვნებათა განთავისუფლებად. ხოლო რა არს საიდუმლო იგი, რომლისათვის უხმს პირველვე განმზადებაი და განწმედა სულისა, რათა შეუძლოს მოღებად მისსა? ესე იგი არს ყოვლად პატიოსანი და უხრწნელი ხორცი და სისხლი ქრისტესი. უკეთუ ჰპოვოს მან სული კეთილად განმზადებული და ღირსებით შეწყნარებად მისა, ყოველი ვნება იოტოს მისგან, ყოველი სიმყრალე განასუნნელოს, ყოველი ბნელი მისი განანათლოს, და მერმე ცხოვრებდეს სული იგი ცხოვრებითა მით

საღმრთოითა და იქმნას სამკვიდრებელ ქრისტესსა და უფროსღა ქრისტე შემოსილ. აწ უკვე, საყვარელნო, განვიწმიდნეთ თავნი ჩვენნი და მოსწრაფე ვიყვნეთ აღსრულებად ქრისტეს მცნებათა და ზიარ ყოვლად დიდებულთა საიდუმლოთა მისთა, საგზლად ცხოვრებისა მის საუკუნოსა და განმზადებულ თანა წარუალისა სიკვდილისათვის, რათა მივემსგავსნეთ ქრისტესა და ესრეთ ჭეშმარიტი ქრისტეანე ვიქმნეთ, მისთანა ვივნოთ და მისთანაცა ვიდიდნეთ დიდებასა მას ზეცისასა, რომლისა მსგავსი თვალმან არა იხილა, ყურსა არა ესმა და გულსა კაცისასა არა მოუხდა, რომელი განუმზადა ღმერთმან მოყვარეთა მისთა, რომელსა ღირსმცა ვართ ყოველნი მადლითა და კაცთ-მოყვარებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომელსა შვენის დიდება თანა მამით, და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ჟბ. თავი ლა.

ქრისტიანეთა მიცვალებისათვის

საყვარელნო! ქრისტიანეთა მიცვალებასა ზედა ანგელოსნი მოივლინებიან ზეცით მეუფისა მიერ, და მიუწოდებნ მონასა მას ღირსსა; ჰოი ვითარ დიდი საიდუმლო აღესრულების, საშინელი და შესაძრწუნებელი, და ღირსი გალობისა და სახე დიდისა მის სიბრძნისა საღმრთოისა! ვითარ განვალს სული ხორცთაგან, ვითარცა სახლისა რაისაგანვე, და მივალს მეუფისა თვისისა. ვითარცა ოდეს იგი იშვებოდეს ყრმა, ეგრეთვე მიცვალებაიცა კაცისა: შობა არს ფრიად უაღრესი მის შობისა, რამეთუ მივალს სული იგი ნათლად ბნელისა ამის სოფლისაგან, - განიხსნების, ვითარცა საკრველისაგან - განვალს დიდებისა ამისგან, განთავისუფლდების ღვაწლისაგან, და მივალს განსვენებად. რამეთუ, ვითარცა მზე ცისკარსა განწმედილსა აღმობრწყინდეს რა, ეგრეთვე სული, განვიდის რა ხორცთაგან, გონებითა წმიდითა ბრწყინავენ, და ვითარცა მეფე შარავანდითა შერავალნ პალატად შემკობილი, ესრეთ არს სული განმავალი ხორცთაგან, და მიმავალი ღვთისა დიდებასა.

ამას უკვე ესე ვითარსა საღმრთოდ განგებულსა ვიხსენებდეთ, საყვარელნო, და ნუ ვიგლოვთ მიცვალებულთა ზედა უწესოდ და უშვერად, არამედ ვიქმოდეთ მათთვის ქველის საქმესა, და საღმრთოსა მსხვერპლისა შეწირვასა, გლახაკთა მიმართ წყალობასა, ქვრივთა და ობოლთა გამოზრდასა, ლოცვასა და ფსალმუნებასა. ესე არს წესი ქრისტიანეთა და სათნო ღვთისა შესაწირავი, მიცვალებულისა მის ფრიადი შესაძინელი, და თავთა ჩვენთა დიდი სარგებელი. ამას ვიქმოდეთ, ძმანო, რათა მათცა და ჩვენცა სასუფეველი ღვთისა დავიმკვიდროთ, რომელსა ღირსმცა ვართ ყოველნი მიმთხვევად მადლითა და კაცთ-მოყვარებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება თანა მამით, და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ჟგ. მიცვალებულთა პატივისათვის

საყვარელო! უკეთუ გნებავს მიცვალებულისა მის პატივის-ცემაი, აღასრულენ მისთვის ვედრებანი და ლოცვანი, მიეც გლახაკთა და ჭირვეულთა, დაასხი წყალი მოწყალებისა ცეცხლსა გეენიისასა, შემოჰკრიბენ გლახაკნი, არქვი სახელი მის მიცვალებულისა, აღადგინენ მრავალნი მეხვაიშნენი, და ისმენს უფალი მათსა ვედრებასა, - და ესეცა მისისა სახიერებისა და კაცთ-მოყვარებისა საქმე არს, რომელ ლოცვითა და ვედრებითა გლახაკთა, ობოლთა და ქვირვთათა ულხენს შესვენებულთა მათ, რათა უმეტესი პატივი ჰპოვონ ცხოვრებასა მას. ნუ იტყვი, თუ გლახაკ ვარ და არა მაქვს საფასე. მრავალ გზის მითქვამს, ვითარმედ მოწყალებასა არა საზომისა მისებრ მიცვალებულისა შეჰრაცხავს ღმერთი, არამედ ძალისაებრ და გონებისა მიმცემელისა. ძალისაებრ შენისა ჰქმენ, ძმაო, მოწყალებაი, მოუწოდე მღვდელთა, რათა აღასრულონ მისთვის უსისხლო იგი მსხვერპლი. არა თუ ცუდად აღესრულების წმიდათა ჟამის წირვაი შესვენებულთათვის, ანუ ვედრებანი და მოწყალებანი მათთვის ქმნილნი, არამედ ესე ყოველი სულმან განაწესა, რათა ურთიერთარს სარგებელ ვეყოფოდეთ. მიცვალებულსა შენ მიერ სარგებელ ეყოფის, და შენ მის მიერ, რომელ წესსა და მცნებასა სიყვარულისასა აღასრულებ. ამისთვის ღაღადებს დიაკონი და იტყვის, ქრისტეს მიერ შესვენებულთათვის და რომელნი ხსენებასა მათსა აღასრულებენ, უფლისა მიმართ ვილოცოთ. არა დიაკონი ღაღადებს ამას, არამედ მადლი იგი სულისა წმიდისა წინა მდებარე არს მსხვერპლი იგი დიდებული. მუნ მდგომარე არიან ანგელოსნი და მთავარ-ანგელოსნი, წინაშე ძისა ღვთისა ძრწოლით ჰმსახურებენ. და მაშინ ღაღადებს დიაკონი ამას ვედრებასა, და ყოველივე ჭეშმარიტ არს და სარწმუნო, რამეთუ დიდი პატივი არს ესე მსხვერპლი ქრისტეს მიერ შესვენებულთათვის და ჰპოვებენ ლხინებასა.

აწ უკვე, საყვარელნო, სარწმუნოებით აღვასრულებდეთ ხსენებასა შესვენებულთათვის, და ამით სახითა ნუგეშინის-ვჰსცემდეთ მიცვალებულთა მათ ჩვენთა, უწესოთა გლოვათა და უსარგებლოთა ცრემლთა, და სამარეთა შემკობისა წილ, აღვასრულებდეთ მათთვის საღმრთოსა წირვასა, ლოცვასა და მოწყალებასა, გლახაკთა, ობოლთა და ქვრივთა მიმართ, რათა იგინიცა და ჩვენ ყოველნი ღირს ვიქმნეთ საუკუნოსა ცხოვრებასა მიმთხვევად, მადლითა და კაცთ-მოყვარებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა შვენის დიდება სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ჟდ.

რათა არა უზომოდ ვიგლოვდეთ მიცვალებულთა

გულის-ხმა-ვჰყოთ, საყვარელნო ძმანო, რამეთუ ჩვენთა ცოდვათა თანა ესეცა ბოროტი არს უზომოი იგი გლოვაი მიცვალებულთა ზედა! რამეთუ რომელნიმე ჰგოდებენ ხმითა და დაიბძარვენ პირსა, და იფხვრიან თმათა, და შეეყენებიან სახლსა ბნელსა, რომელნიმე გოდებისათვის და რომელნიმე მაჩვენებლობისათვის! რაისა იქმ, ჰოი კაცო მორწმუნეო, საქმესა ურწმუნოთასა? რამეთუ მწყობრთა შემოჰკრებდ და განწესებულად იქმ ტირილსა, და დედათა ხმითა და კილოითა მტირალთა მოიყვანებ. არა სიცოფე არსაა ესე ყოველი? ანუ არა გვეცინოდიანა წარმართნი და ყოველი საიდუმლო ქრისტეანობისა ზღაპრად შეჰრაცხონ? ხოლო უფალი იტყვის, ვითარმედ, „ნეტარ იყვნენ მგლოვარენიო,“ და მას გლოვასა არავინ იგლოვს თვისისა სულისა ცხოვნებისათვის. ხოლო ამას გლოვასა, რომელი არა ბრძანებულ არს ჩვენდა, მას ვიგლოვთ, არამედ იტყვიან ვიეთნიმე, ვითარმედ ვის ძალ-უძს კაცსა, არა ცრემლვაი მამისა, ანუ შვილისა, ანუ ძისა თვისისათვის, ანუ სხვისა რაისამე ესე ვითარისა, გარნა არა თუ მეცა ამას ვის ვაყენებ, ანუ თუ ვიტყვი, ვითარმედ არა ჯერ არს, რათა ელმოდეს, არამედ უშვერებასა მას ვჰსძაგებ. არა ვარ ესრეთ ულმობელ, ვიცი, რამეთუ ბუნება იიძულების და არა ეგების არა შეწუხებაი. რამეთუ ესე ქრისტემან აჩვენა, ჰსცრემლეოდა რა ლაზარეს ზედა. და შენცა უკვე, საყვარელო, ჰსცრემლეოდე შიშითა ღვთისათა და მყუდროებით, და პატიოსნებით. უკეთუ ესრეთ ჰსცრემლეოდე, არა უწესოებისა სახე არს ესე, და არცა ვითარცა ურწმუნოი აღდგომისა იგლოვ. არამედ ვერ იტვირთავ განყოფასა მას საყვარელისა შენისასა, რამეთუ, რაჟამს გზასაცა წარვიდიან თვისნი ჩვენნი, მწუხარე ვიყვნით. ეგრეთვე შენ ჰსცრემლეოდე, ძმაო, ვითარმცა შორის გზასა წარგზავნიდე. და ამასცა არა თუ სჯულსა დაგიდებ, არამედ შეგინდობ და ვიტყვი, ვითარმედ არა ბრალი არს, თუ იქმოდე ამას საქმესა ესრეთ წესიერად. არამედ, უკეთუ ცოდვილი იყო, რომელი აღესრულა, მისთვის ჯერ არს წუხილი და ტირილი, - და უფროსად არა ტირილი ოდენ, რამეთუ ესე არას ერგების მას, არამედ რათა ვიქმოდეთ მისთვის მოწყალებასა და შესაწირავთა, და ჟამის წირვათა. და რათა ვჰმადლობდეთ ღმერთსა, რომელმანცა იცოდა, ვითარმედ არა მოვალს იგი სინანულად და მისთვის ადრე წარიყვანა, რათა არღარა სცოდვიდეს; და უკეთუ მართალი იყო, ეგრეთ ჯერ არს სიხარული, რამეთუ განერა საბრხეთაგან სოფლისათა და შევიდა ნავთ საყუდელსა დაუთქმელად; ხოლო უკეთუ ჭაბუკი იყოს, ესრეთ ვიხარებდეთ, რამეთუ ადრე განეშორა ბოროტთაგან სოფლისათა. და უკეთუ მოხუცებული იყოს, რამეთუ მოსცა ღმერთმან ჟამი ფრიად კეთილის ყოფად და ესრეთ წარიყვანა. ხოლო შენ ამას ყოველსა არა იგონებ, არამედ მტირალთა შემოჰკრებ, ვითარმცა მიცვალებულსა მას პატივ-ჰსცემდი, რომელი ესე უკანასკნელი უპატიოება არს. რამეთუ შესვენებულისა პატივი არა ცრემლნი არიან და მტირალთა ხმანი, არამედ

გალობანი და ლოცვანი და ფსალმუნებანი. და უკეთუ გნებავს მიცვალებულისა მის პატივის-ცემა, სხვითა სახითა პატივ-ეც: მოწყალება ჰქმენ, მშიერთა - პური ეც, შიშველთა - სამოსელი და ყოველი სახე მოწყალებისა ჰყავ მისთვის, თუ არა, ესოდენისა გოდებისა მიერ, რა სარგებელი იქმნების? ვიდრემდის ვართ მიწა და ნაცარ, ვიდრემდის ვართ სისხლ და ხორც, აღვიხილნეთ ზეცად, გულის-ხმა-ვჰყოთ საქმე სულიერი. ვითარ ნუგეშინის-ვჰსცეთ წარმართთა? ვითარ ვეტყოდეთ აღდგომისათვის მკვდართასა? რაჟამს ჩვენ ესრეთ ვიყვნეთ, ანუ ჩვენ თვით ვითარ ვიყოფოდეთ? რამეთუ უზომოი მწუხარება დააბნელებს თვალთა სულისათა და არა რას უმჯობესსა შეუნდობს ხილვად და ღმერთსა შევაწუხებთ უთმინოებითა, და მიცვალებულსა მას ვერას ვარგებთ და თავთა ჩვენთა დიდად ვავნებთ. ხოლო ესრეთ თუ ვიქმოდეთ, ვითარ ვსთქვით, ღმერთსაცა მოვიმადლებთ, და მიცვალებულსა მას ზედა წესსა სიყვარულისასა აღვასრულებთ და ჩვენთაცა თავთა ვარგებთ? და უკეთუ ვინ იტყოდეს ვითარ არა შევსწუხნეო შვილისა, ანუ მამისათვის? არამედ არა ვიტყვი მე ვითარმედ ნუ შესწუხდები, არამედ ნუ უზომოდ ჰგოდებ, და უშვერად იგლოვ. რამეთუ უკეთუ გულის-ხმა-ვჰყოთ, ვითარმედ ღმერთმან მიგვიღო და ვითარმედ მოკვდავნი იყო მამაცა და ძეცა ჩვენი, ესრეთ ვჰპოვოთ განსვენება. რამეთუ კაცი იშვა მოკვდავი და მოკვდავი იგი მოკვდა. რად უკვე მწუხარე ხარ ბუნებითისა საქმისათვის? ნუ უკვე მწუხარე ხარ, რომელ სჭამს შვილი შენი, რომელი იგი ბუნებითი საქმე არს? ეგრეთვე უკვე არს სიკვდილიცა. ნუ ეძიებ უკვდავებასა მოკვდავისა მის თანა, ნუცა ჰგოდებ, არამედ თავს იდევ სჯული ბუნებასა ზედა კაცობრივსა დადებული და ჰგოდებდე ცოდვისათვის. ესე გლოვა კეთილ არს. ესე სახე არს სიბრძნისა ფრიადისა, ესე გლოვა მოვიგოთ, საყვარელნო, რათა მუნ სიხარული საუკუნო ვჰპოვოთ, მადლითა და კაცთ-მოყვარებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება და სიმტკიცე თანა მამით, და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ჟე. თავი ლბ.

შემდგომად სიკვდილისა მოწყალებისათვის

საყვარელნო! არს უკანასკნელად აღმოფშვინვადმდე მოწყალებაი ღვთისა სათნო მყოფელი, და შემდგომად სიკვდილისაცა. გარნა არა ეგრეთ, ვითარცა ცოცხალ-ყოფისა, არამედ უკეთუ ჭეშმარიტად ჰქმნე რომლითამე სახითა, მუნვე აღუწერიეს ქრისტესა, „მიეც მას ნაწილი მონაგებთაგან შენთა.“ უკეთუ არა გამოზარდე ცოცხალმან მშიერი, მაშა განსვლასა შენისა ხარ, სთქვი და მიეც ქრისტესა ნაწილი რაიმე მაშინ და დახსენ ვნებანი უწყალოებისა შენისა და მით მიემთხვიო წყალობასა, ვინაითგან არა გამოზარდე იგი ცოცხალ-მყოფმან. აწ მიეც იგი ნებსით, რომელი მას მოუცემიეს შენდა, რომელი არღარა არს შენი. რამეთუ მრავალნი კაცნი მეყსა შინა მოსწყდეს, ხოლო შენ

მოგანიჭა ღმერთმან განგება მონაგებისა შენისა. უკეთუ არა ჰქმენ ცხოვრებასა შენსა სარგებელი სულისა შენისათვის, აწ ჰყავ კეთილი - ჟამსა სიკვდილისა შენისასა. უკეთუ არცა აწ ჰყო, ვინ იყოს შემწე შენდა წინა-მოსაჯულისა შენისა? რამეთუ ოდეს იყავ ცხოველ, ვითარცა უკვდავსა გეპყრნეს მონაგებნი შენნი, ხოლო აწ განაგდე ბოროტი ჩვეულება, რამეთუ მოკვდავი ხარ. კვალად მნებავს თქმად: უკეთუ ისმინო შენ ეგრეთ შეპყრობილმან ძრწოლითა, ვითარმედ აღრაცხე მონათა შენთა თანა მეუფეცა შენი. რაოდენი აწ გნებავს მიცემა მონათა, მიეც ქრისტესაცა, რათა შიმშილისაგან და წყურვილისა და შიშლოებისა და საპყრობილისა განთავისუფლდე. ვინათგან არა ჰქმენ სიცოცხლესა, არა შეიკდემაა აქა აწ თქმულთაგან? ხოლო აჰა ესე განხვიდე და ფრიად უძვირესი ამისსა ისმინო მუნ და მიიღო მოუთმენელი სატანჯველი. რამეთუ გეგულების თქმად, ვითარმედ ვისსა მიმართ მივივლტოდეო და ვისსამე შემწედ ჩემდა? აბრაამსა? არა ისმინოს. ანუ მამასა, გინა პაპასა, არამედ ესენი უკვე ვერ შემძლებელ არიან ხსნად ჩემდაო. გარნა უკეთუ აქამომდე იყავ ფიცხელ და უწყალო, ხოლო აწ იქმენ ლმობიერ და მოწყალე გლახაკთა მიმართ, და იგინი ევედრნენ შენთვის და მიემთხვიო ცხოვრებასა საუკუნესა მადლითა და კაცთ-მოყვარებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება თანა მამით, და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ჟვ.

შემდგომად სიკვდილისა მოწყალებისათვის

საყვარელნო! მოწყალება ჩვენი, ოდეს მოვჰკვდეთ, მაშინ გამოჩნდების და წარმოდგების ბრწყინვალედ, და ხელთაგან წარწყმედისათა გვიხსნის, და საუკუნესა მას ცხოვრებასა შეგვიყვანებს, და აღგვიშენებს სავანეთა მათ და საყოფელთა საუკუნეთა ცათა შინა. ლამპართა ჩვენთა არა შეუნდობს დაშრეტად, არცა სამოსელთა ხენეშთა (ძველთა, ავთა) შეგვინდობს შემოსად და შესვლად სასძლოსა მას, არამედ განგვბანს და უფროს თოვლისა განგვასპეტაკებს. არა შეგვინდობს შთავრდომად, სადა მდიდარი იგი შთავარდა, არცა სმენად სიტყვათა მათ მძიმეთა, არამედ მიმიყვანებს ჩვენ წიაღთა აბრაჰამისთა. აწ უკვე, საყვარელნო, ვისწრაფოთ მოწყალებაი, ვიდრე სიკვდილადმდე, რამეთუ უმჯობეს არს ამის წარმართებაი, ვიდრეღა დაპყრობად ყოველთა მეფობათა ქვეყანისათა. და ასწავებს მოყვარეთა თვისთა, თუ ვითარ განერნენ უკვდავისა მისგან სიკვდილისა და საუნჯეთა მიანიჭებს წარუპარველთა და წმიდა ჰყოფს სულსა ყოვლისა შეგინებისაგან. და რად სახმარ არს თვითოეულად წარმოთქმაი საქმეთა მოწყალებისათა? არამედ ერთიღა მიგითხრა და კმა არს: მოწყალება გასწავებს, თუ ვითარ იქმნა მსგავს ღვთისა, რომელ ესე თავი არს და ბეჭედი ყოველთა კეთილთა. არა უხმს მოწყალებასა შრომაი, არცა სიგრძე ჟამისა, არცა სხვა რაიმე სიძნელე. არამედ

უძლურებასა შინა თუ იყო, აღესრულების კეთილად და, თუ დაბერდე, ეგრეთვე და განხვიდე სოფლით, თანა მოგზაურ გექმნების, და არა ოდეს დაგიტევებს და შეგიყვანებს წინაშე საყდარსა ქრისტესსა და თანა შეგეწევის და განგამართლებს. დაღაცათუ ფრიად შეცოდებული იყო, მოწყალება შენი ღირს გყოფს წყალობასა და გვირგვინოსნობასა, და, უკანასკნელსა მას დღესა, სიხარულით აღგადგინებს და მარჯვენით კერძო ცხოვართა თანა დაგადგინებს, და წინაშე მსაჯულისა შენთვის მეოხი არს დიდი. და მოწყალებისა მიერ ისმენ ხმასა მას სანატრელსა მეუფისასა, ვითარმედ „მოვედით კურთხეულნო მამისა ჩემისანო და დაიმკვიდრეთ სასუფეველი თქვენთვის განმზადებული, რამეთუ მშიოდა და მეცით მე ჭამადი, და წყურიელსა, მასვით მე; შიშველ ვიყავ - და შემმოსეთ მე; უცხო ვიყავ და შემიწყნარეთ მე; სნეულ ვიყავ და მომხედეთ მე, და საპყრობილესა ვიყავ და მოხვედით ჩემდა.“ ესე ყოველი მოწყალებისა მიერ იქმნებიან. ძმანო, შევიტკბოთ მოწყალება და ვიქმოდეთ მარადის ცხოვრებასა შინა ჩვენსა, და შემდგომად სიკვდილისაცა იქმნებოდეს ჩვენთვის ქველის საქმეი, რომელნი ესე ფრიად კეთილ არს, რათა ღირს ვიქმნეთ ყოველნი სასუფეველსა ცათასა მადლითა და კაცთ-მოყვარეებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა შვენის დიდება სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ჟზ.

შემდგომად სიკვდილისა მოწყალებისათვის

საყვარელნო! მივემსგავსნეთ მენელსაცხებლეთა დედათა და ნუ დავუტოებთ იესოს ჟამსა განსაცდელისა. და შემდგომად სიკვდილისაცა, მათ სული დასდვეს ქრისტესთვის, და შემდგომად აღსრულებისაცა ჰმსახურებდეს მას. ხოლო ჩვენ, არცა თუ მშიერი რა ვიხილოთ უფალი, მივუპყრობთ საზრდელსა. და რაიმე იყოს შემწე ჩვენდა, ჟამსა მებრ სიკვდილისასა და შემდგომად სიკვდილისა, ვინათგან არა გვაქვს წყალობაი? ვიცი იტყვის კაცად-კაცადი ჩვენ შორის, ვითარმედ, უკეთუმცა ვიხილე უფალი, ვითარმცა არა მივეც ყოველი მონაგები ჩემიო? და არა იციან, ვითარმედ აწცა მას თავადსა ვხედავთ? რამეთუ მან ჰსთქვა, ვითარმედ „მე ვარ, და რაოდენი არა უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა, ძმათა ჩემთასა, მე არა მიყავთ.“ გარნა ნუ იყოფინ ჩვენდა სმენად ამის ხმისა. არამედ მოგვეცინ უფალმან აქავე ნაყოფსა მოწყალებისასა ჩვენებად და სმენად ხმასა მას კურთხევისასა მწოდებელსა ჩვენდა სასუფეველად. ესე, გევედრები საყვარელნო, შევიტკბოთ მოწყალებაი, რათა ჩვენცა მივემთხვივნეთ წყალობასა. გარნა ნუ მონახვეჭისაგან და ნატაცებისა ვიქმთ, რამეთუ იტყვის წინასწარმეტყველი, „ვითარცა ვინ მოკლას ძე წინაშე მამისა თვისისათა, ეგრეთვე, რომელმან შესწიროს შესაწირავი საფასეთაგან გლახაკთასა.“ ამისთვის გევედრები,

საყვარელნო ძმანო! მოვიქცეთ ბოროტისაგან და ვიქმოდეთ კეთილსა, რათა სიმართლით მონაგებისაგან ვიქმოდეთ მოწყალებასა მარადის. და შემდგომად სიკვდილისაცა იყვნენ მრავალნი გლახაკნი მლოცველ ჩვენთვის. და ესრეთ, მოწყალებისა მიერ განბრწყინვებულნი, წარვსდგეთ კადნიერებით წინაშე საშინელსა მას საყდარსა ქრისტესსა, და მართალთა თანა გვესმას ტკბილი იგი და ყოვლად საწადელი ხმაი კურთხევისა, და გვირგვინითა შემკობილნი ღირს ვიქმნნეთ სასუფეველსა ცათასა მადლითა და კაცთ-მოყვარებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა შვენის დიდება, სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ჟწ. თავი ლგ.

მეორედ მოსვლისათვის და სასჯელისა

საყვარელნო! ოდეს უფალი ჩვენი იესო ქრისტე მოვიდეს დიდებითა მამისათა, ურიცხვთა ზეცისა მხედრობათა თანა, ანგელოსთა, და მთავარანგელოსთა, ქერუვიმთა, და სერაფიმთა, და სხვათა მათ დასთათანა, ცანი განეხვნენ და დასჯდეს საყდართა დიდებისათა, და ყოველი ბუნება კაცთა წარმოსდგეს წინაშე მისსა. ვინმცა უძლო მითხრობად, ანუ გონებითაცა მიწთომად მაშინდელსა დიდებასა და ბრწყინვალებასა მისსა? რამეთუ ჭეშმარიტად საშინელ არს ჟამი იგი და შესაძრწუნებელ! ოდეს ყოველნი ანგელოსნი, და ყოველნი კაცნი წარდგომილ იყვნენ შიშით და განიკითხვიდეს ნათესავსა კაცთასა და რომელთამე ეტყოდეს: „მოვედით კურთხეულნო მამისა ჩემისანო,“ და სხვათა ჰრქვას, „ეჰა მონაო სახიერო და სარწმუნოო! მცირესა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ,“ და კვალად სხვათა, რისხვიდეს და წარავლენდეს ცეცხლად საუკუნოდ, და რომელსამე უწოდდეს მონად ბოროტად, უკეთურად და მედგრად. სხვათა ნაწილსა ორგან განჰკვეთდეს და ორგულთა თანა დასდებდეს. სხვათა კვალად უბრძანებდეს შეკრვად ხელით და ფერხით, და განგდებად ბნელსა მას გარესკნელსა. ვინ არა შეშინდეს და ძრწოდეს ჟამის მისგან? „მაშინ მართალნი გამობრწყინდნენ, ვითარცა მზე“ და ფრიად უბრწყინვალეს მზისა! არამედ არა რაი არს ამას სოფელსა უბრწყინვალეს მზისა. ამისთვის მას მოვიღებთ სახედ მაშინდელისა მის მართალთა ბრწყინვალებისა, რამეთუ მთასა ზედა თაბორსა, რომელ სთქვა მახარობელმან, ვითარმედ „განბრწყინდა პირი მისი ვითარცა მზე.“ ამისთვის ესრეთ სთქვა, რამეთუ არა რაი იპოვა სოფლის საქმეთაგან ხილულთა უბრწყინვალეს მზისა, რათამცა მას მიამსგავსა სახე იგი. უკეთუ არა ესე ცხად არს, თუ რაზომ უმეტეს იყო ბრწყინვალება იგი ნათელსა მზისასა, რამეთუ აჰა ესერა მცხინვარებისა მისგან მზისა არავინ დავარდების პირსა ზედა. რამეთუ მაშინ ესოდენ გარდაემატა ბრწყინვალებაი იგი ნათელსა მზისასა, რომელ ყოვლადვე ვერ იტვირთეს

მოწაფეთა, არამედ დაცვივნეს პირსა ზედა. ჭეშმარიტად უკვე გამობრწყინდნენ მართალნი დღესა მას მეორედ მოსვლისასა უმეტეს მზისა! ხოლო ვაი ცოდვილთა, რამეთუ დიდი სიბნელე, და შიში, და ძრწოლა შეედვას მათ, რაჟამს საქმენი მათნი ბოროტნი ემხილებოდნენ! მაშინ რად სახმარ არს მამხილებელთა და მოწამეთა წარმოდგინებაი? რამეთუ ყოველივე უწყის უცთომელად მსაჯულმან მან საშინელმან. ყოველივე შიშველ და ქედ დადრეკილ იყოს წინაშე მისსა. არა არს მუნ: მდიდარი და გლახაკი და უძლური, არამედ ესე წესნი და სახენი დაიხსნებიან, და გამოძიება საქმეთა თვალ-უხვავი იხილვების და მოქმედნი უსჯულოებისანი სირცხვილეულნი გამოსჩნდებიან! ამისთვის, საყვარელნო, გევედრები აღვიძარცვნეთ სამოსელნი ესე ხენეშნი, და ცოდვითა შებღალულნი და შევიმოსოთ საჭურველი ნათლისა, რათა დიდება უფლისა გამობრწყინდეს ჩვენ ზედა. ხელ-ვჰყოთ (შევუდგეთ) მცნებათა უფლისათა აღსრულებად, რამეთუ არა რაი შეუძლებელი უბრძანებიეს, არამედ ყოველივე მცნება მისი ადვილ და შესაძლებელ არიან. ისმინე რას იტყვის, „მშიოდა და მეცით მე ჭამადი, მწყუროდა და მასვით მე, უცხო ვიყავ და შემიწყნარეთ მე, შიშველ ვიყავ და შემმოსეთ მე, სნეულ ვიყავ და მომხედეთ მე, საპყრობილესა ვიყავ და მოხვედით ჩემდა.“ არცა ერთი არს ამათგანი შეუძლებელ, უკეთუ ოდენ ვინებოთ. აწ უკვე გევედრები, ძმანო, მოვიწყვიდნეთ ბოროტნი ჩვეულებანი, განვსდევნოთ ანგაჰარებანი, განვხსნათ ყოველი კრულება სიცრუისა, განვხეთქოთ გულარძნილებაი ყოვლისავე ცოდვისა, განუტევნეთ პყრობილნი მიტევებითა, და ყოველი ხელით წერილი სიცრუისა განვხეთქოთ. ვჰსცეთ მშიერსა პური და გლახაკნი უსართულონი შევიყვანნეთ სახლად ჩვენდა. ვიხილოთ თუ შიშველი, შევმოსოთ იგი, და თვისი ნათესავისა ჩვენისა (მოყვასი) არა უგულებელს ვჰყოთ. ესე არიან ყოველნივე სარწმუნოებისა მიერ ჩვენისა ნათლის-ღებისა ძმანი ჩვენნი. მოვიგოთ სიყვარული, სახიერება, კაცთ-მოყვარება, სიწმინდე, სიმდაბლე და ლმობიერება. უცხო ვჰყვნეთ თავნი ჩვენნი ყოველისავე ცოდვისაგან, შევინანნეთ პირველ ქმნული უსჯულოებანი, მოვიქცეთ ბოროტისაგან და ვიქმოდეთ კეთილსა. ესრეთ თუ ვჰყოთ, ღირს ვიქმნნეთ ჭეშმარიტისა მის ვაჭრობისა მოვაწრებად, ვითარცა იტყვის მოციქული, ვითარმედ „ნამდვილვე არს სარეწავი დიდ ღვთის მსახურება უნაკლულოებით, რამეთუ არა რაი შემოვიღეთ სოფლად, ჰსჩანს, რამეთუ არცა განღებად რაი ხელგვეწიფების, გარნა საქმენი ჩვენნი, გინათუ კეთილნი, გინათუ ბოროტნი.“ აწ უკვე, საყვარელნო, კეთილნი საქმენი მოვიგნეთ, რათა კადნიერებით ღირს ვიქმნეთ ხილვად დიდად შვენიერებასა მას უფლისასა, მორავიდეს მიუთხრობელითა მით დიდებითა თვისითა განკითხვად ყოველთა კაცთა. და დავსდგეთ მარჯვენით მისსა და გვესმას ხმა იგი კურთხევისა. და მივემთხვივნეთ მკვიდრობასა სასუფეველსა ცათასა მადლითა და კაცთ-მოყვარებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება თანა მამით, და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა ჟთ.

საშინელისა მისთვის სასჯელისა

გულის-ხმა-ვჰყოთ, ჰოი საყვარელნო, რამეთუ ყოველთავე წარდგომა გვიხმს წინაშე საშინელსა საყდარსა ქრისტესსა, და სიტყვის მიცემაი საქმეთა ჩვენთათვის. გამოვისახოთ გონებათა ჩვენთა იგი სამსჯავროი, ვითარმცა აწ მოწევნულ არს და სიტყვის-გება თანა-გვაძს. შევედინღა კაცად-კაცადი გონებასა თვისსა და შემოიღენ შორის ყოველივე, რომელიცა მუნ გამოჩინებად არს? არა შესძრწუნდითაა თითოეული, არა განცვიფრდითა? მე მოვიხსენე და ძრწოლა შემედვა, და გული ჩემი შეძრწუნდა ჩემთანა. ხოლო უკეთუ აწ ხსენებითა ოდენ შევსძრწუნდით, რაიმე ვჰყოთ? ოდეს ჭეშმარიტად მოიწიოს, ოდეს ყოველნივე ადამიანნი ერთად შეკრბენ, ოდეს ანგელოსთ მთავარნი განწყობილ იყუნენ, ოდეს საყვირთა მათ საშინელთა სცემდენ და მკვდარნი აღსდგებოდენ. რომელნიმე აღიტაცებოდენ ღრუბლითა და რომელნიმე დაშთებოდენ და მდინარე ცეცხლისა სდიოდეს, ვითარცა პეტრე მოციქული იტყვის, „ცანი, მძაფრიად წარხდენ, და წესნი იგი დაიწვენ და დაზულენ, და ქვეყანა და მას შინა საქმენი დაიწუნენ.“ მაშინ მეუფე ყოველთა და ღმერთი იესო ქრისტე დიდებითა დიდითა დასჯდეს საყდართა მათ საშინელთა და შესაძრწუნებელთა. და მართალნი დასდგენ მარჯვენით მისსა და საწყალობელთა ცოდვილთა მარცხენითი იგი ნაწილი ხვდეს. და მერმე დასჯილნი წარივლინნეს ცეცხლად საუკუნოდ. ვაიმე! ვაიმე! დაღაცა თუმცა ცეცხლად არა მივივლინებოდეთ: ესე მებრ, რომელ ესოდენისა მის დიდებისა და ბრწყინვალებისაგან განცვივნეთ შეურაცხად! რაზომ დიდი და მწარე სატანჯველი არს? ხოლო ოდეს ამას ყოველსა ზედა, ბნელსაცა მივეცემოდეთ გარესკნელსა, და ღრჭენასა კბილთასა, და საკრველთა განუხსნელთა, და მატლსა დაუძინებელსა, და ცეცხლსა დაუშრეტელსა, და ჭირსა მიუთხრობელსა?! ვაიმე! ვაიმე! რაი ვჰყოთ, ოდეს ენანი ჩვენნი შეიწვებოდენ, ვითარცა მდიდრისა მის? ვჰგოდებდეთ და არავინ ისმენდეს, სულთვითქმიდეთ და ვიღრჭენდეთ კბილთა, და არავინ მოგვხედვიდეს, აქა და იქი ვიხედვიდეთ და ნუგეშინის-ცემაი არა სადა იყოს! ჰოი გლახაკთა და საწყალობელთა, რომელნი ამას ჭირსა მივეცნეთ. აჰა, საყვარელნო, გევედრები, და გლოცავ, პირველ დღისა მის მოწევნადმდე შევიწყალნეთ სულნი ჩვენნი. რამეთუ აწ გვაქვს ჟამი სინანულისა, დავსცხრეთ ცოდვისაგან და ვიქმოდეთ სათნოებასა. მოვიძულოთ ანგარებაი და შევიყვაროთ მოწყალებაი, ვისმინნეთ ხმანი გლახაკთანი, რათა შესმენილ იქმნეს ვედრებანიცა ჩვენნი წინაშე ღვთისა. და ნუ უგულებელს-ვჰყოფთ ქვრივთა და ობოლთა, რათა არცა ჩვენ უგულებელს ვიქმნეთ მსაჯულისა მიერ მართლისა და, ესრეთ აქა სათნოებითა შემკობილნი, მუნ წარმოუდგეთ გვირგვინითა ბრწყინვალითა წინაშე საყდარსა ქრისტესა და გვესმას ხმა მისი ტკბილი და ყოვლად საწადელი, ვითარმედ „მოვედით კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკვიდრეთ

თქვენთვის გამზადებული სასუფეველი,“ რომლისა ღირსმცა ვართ ყოველნი მიმთხვევად მადლითა და კაცთ-მოყვარებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა ჰშვენის დიდება სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სწავლა რ.

საშინელისა მისთვის სასჯელისა

ჰოი ჩემდა დღისა მისთვის საშინელისა! ჯერ იყო ჩვენდა, საყვარელნო, სიხარული, ოდესმცა შემოვიდა მის დღისა ხსენებაი. ხოლო აწ ჩვენ სიმრავლისაგან ცოდვათა ჩვენთასა, უფროსად და მწუხარე და მჭმუნვარე ვიქმნებით, ოდეს ვახსენოთ იგი, ანუ თუ მე შემემთხვევის ესე! ხოლო თქვენ მოსრულ ხართ ხსენებითა მისითა. ესე ვუწყი, ვითარმედ ოდეს სიტყვანი ესე მესმოდენ, ძრწოლა შემედვის და მწარედ ვჰგოდებ, და სიღრმეთაგან გულისათ ვითქვამ, რამეთუ ვუწყი, ვითარმედ არა მაქვს ნაწილი მათთანა, რომელთა შეჰკრებენ ანგელოსნი და რომელთა ღრუბელნი აღიტაცებენ, არამედ სხვათა მათ თანა ზიარ ყოფად ვარ, რომელნი იხსენებიან სულელთა მათ თანა ქალწულთა, და მონისა მის, რომელმან დაფლა ქანქარი უფლისა თვისისა, და სხვათა მათ თანა ცოდვილთა. ყოველივე ეს მაგონდება და ამისთვის ვიგლოვ და ვჰსცრემლოი, ოდეს მოვიხსენო, თუ რაბამისა დიდებისაგან გამოვვარდებით ჩვენ ცოდვილნი და ვითართა კეთილთა და საშვებელთაგან საუკუნეთა და წარუალთა, მცირედისა და უნდოისა შრომისათვის. რამეთუ უკეთუმცა ჭირი დიდი გვიხმდა, და სჯულიმცა დადებულ იყო! ჯერ იყო ეგრეთცა დადებაი თავისა თვისისა სიკვდილად და არა გამოხვებად დიდებისა მისგან. გარნა ვჰსთქვა, თუ გვაქვნდა მცირედ რაიმე მიზეზი, რათამცა ვსთქვათ, თუ ფრიადი იგი სიმძიმე და სიძნელე ვერ მოვითმინეთ? რამეთუ შრომა დიდი იყო და ჟამი გრძელ და ტვირთი მძიმე. მიზეზი ესე არა რაივე არს, გარნა ვსთქვათ თუ მცირედ რაიმე სიტყვა გვეპოებოდა.

ხოლო ესე ვითარი სიტყვა და მიზეზი, არა რაი გვეპოების. და ესე არს მწარე და ძნელ და ამას საქმესა ეგულების უძვირეს გეენიისა წვრთაი (განხურება, ცეცხლში წვრთა) მაშინ გულთა ჩვენთა, ოდეს, მცირედისა ჟამისათვის და კნინოდენისა შრომისათვის, სასუფეველი ცათა დაგვჭირდეს და კეთილნი იგი გამოუთქმელნი და მოუგონებელნი. რამეთუ ნამდვილვე ჟამი მცირე არს და მოკლე, და შრომა კნინოდენი და ფრიად მსუბუქი. ხოლო ჩვენ დახსნილ ვართ და სრულიად ქვე მწოლარე. ჰოი კაცო, მოღვაწება შენი ქვეყანასა ზედა არს და გვირგვინი ცათა შინა. ჭირი შენი კაცთა შორის არს და პატივი ღვთისაგან. სრბაი შენი ორ დღე არს, და სასყიდელი საუკუნეთა მათ დაუსრულებელთა ძრწოლა ხორცითა ამით განხრწნადითა არს და ნიჭი იგი უხრწნელ

და წარუალ. აწ უკვე, დაღაცათუ ქრისტესთვის არა თავს იდვა სიკვდილი, თვით ბუნებით სიკვდილი თანა გაძს. უკეთუ ქრისტესთვის არა დაუტევნე საფასენი მცირედღა, და უნებლიეთ დაუტეო ყოველივე და ცალიერი განხვიდე. აწ უკვე სახიერი იგი და ტკბილი უფალი მას ეძიებს შენგან, რომელსა იგი თვინიერ ნებისა შენისა სიკვდილი მიგიღებს და მას გვენუკვის ნებსით თქმად, რამეთუ იგი უნებლიეთცა შემთხვეულ არს შენდა. ამას ოდენ გეტყვის, რათა უნებელი იგი თანანადები, ნებსით ჰქმნა მისისა სიყვარულისათვის. ხედავაა, ძმაო, ვითარ ადვილ არს ღვაწლი ესე და ტვირთი ესე მსუბუქ? რომელი იგი უეჭველად შემთხვევად არს შენდა, იგი ნებსით ჰქმენ ჩემთვისო, გეტყვის ტკბილი იგი (იესო) და სახიერი მეუფე, და კმა არს ესე ჩემდა მორჩილებად. რომელი ეგე სხვასა ავასხებ (ასესხებ, მისცემ) საფასესა, მე მავასხე და აღნადგინებითა ფრიადითა მოგცე. ხორცთა მაგათ, რომელთა სხვასა დაამონებ, მე დამამონე და შრომაი შენი არა იქმნეს ცუდ, - რამეთუ გძლევ შენ ფრიად ნაცვლის გარდახდითა. აწ საყვარელო, ესე სიტყვანი მეუფისანი ყურად-იხვენ და გულის-ხმა-ჰყავ. რაი არს ესე, რომელსა ყოველსა საქმესა ზედა მას პატივ-ჰსცემ, რომელი უმეტესსა მოგცემდეს გინათუ სესხება იყოს, გინათუ ვაჭრობაი, გინათუ მხედრობაი? უკეთუ სესხება იყოს, რომელი უმეტესსა ვახშსა მოგცემდეს, მას ავასხებ; უკეთუ ვაჭრობა იყოს, რომლისაგან უმეტესი შეგეძინებოდეს - მას ეზავები; უკეთუ მხედრობა იყოს, რომელიცა უხვი და კეთილად მიმნიჭებელი მეფე იყოს, მას შეეწყნარები (მიეკედლები), ხოლო ქრისტე, უმეტეს ყოველთასა, მოგცემს კეთილთა მათ მოუგონებელთა მცირედისა და არა რაისა შრომისა წილ, და უნდოისა წარსაგებელისა წილ. არა გთნავსაა სესხებაი ესე, გინა ვაჭრობაი, გინა მხედრობა მისი? (აი, თუ ქრისტეს არ შეუდგეთ), რაი არს ესე სისულელე და რაი არს ესე უგუნურებაი! კვალად გეტყვის ტკბილი უფალი: რაისათვის ქვე დაჰფლავ საფასესა შენსა? მომეც მე ნამარხევად (შესანახად). არა მე სარწმუნო ვარა, ვიდრე ქვეყანა? მან მრავალ გზის არცა თუ ნამარხევი იგი მოგცის, ხოლო მე ნამარხევიცა აღნადგინებითურთ მოგცე, და რომელ მე მარწმუნე ამის ჯერისათვის დიდი კეთილი გიყო, რამეთუ რომელთაცა მე გამომირჩიონ, დიდად შევიყვარებ მათ. აწ უკვე ჩემდა მომართ დასდევ ნაწილი შენი, და რაისაცა იქმოდე, ჩემ მიერ ჰქმენ, და ნეტარ იყოს შენდა. უკეთუ სესხებაი გნებავს, მე მავასხე. უკეთუ შენებაი გნებავს, ჩემსა ნაწილსა შინა აღაშენე. მე მიგცე ადგილი უსასყიდლოდ. უკეთუ სამკაული გნებავს, ჩემი მიიღე. უკეთუ საჭურველი გიხმს, ჩემი შეიმოსე. უკეთუ შიშველ ხარ, ჩემი შთაიცვი. უკეთუ საზრდელი გიხმს, ჩემსა ტაბლასა მოვედ. უკეთუ სლვაი გნებავს, ჩემსა გზასა ვიდოდე. უკეთუ სამკვიდრებელსა ეძიებ, მე დაგიმკვიდრო. უკეთუ მამული გნებავს, ქალაქსა მას მოიგე, რომლისა ხელოვანი და მაშენებელი მე ვარ. რამეთუ მე, რომელსა მოგცემ, სასყიდელსა არა ვეძიებ, არამედ უფროსღა სასყიდელი მიგცე. ამისთვის მებრ, უკეთუ ყოველი ჩემი იხმარო, და სხვისა არა ვისი იქმნა მოქენე, ამის სიყვარულისა უმეტესი რაი ეგების? ჰოი კაცო! მე გექმნა მამაი, მე ძმაი, მე სიძე უხრწნელებისა, მე მეგობარ სარწმუნო, მე სადგურ, მე საფასე, მე საფუძველი. რაიცა გნებავს ყოველი კეთილი გეპოვოს ჩემთანა. ნუ სადა იჭირვი. მოვედ

ჩემდა, მე განგისვენო, მე შენთვის მონებად (მსახურებად) მოვედ, მე შეგიყვარე, მე ასოდ ჩემდა გიწოდე და ძმად და დად და დედად. მე შენთვის დავგლახაკენ, ჯვარსა ვეცვ შენთვის, სიკვდილი თავს ვიდევ, და საფლავსა დავიდევ, მე აღგადგინე ქვესკნელით ზეცას. შენთვის მეოხ ვარ მამისა მიმართ. ქვეყნად შენთვის მოვედ, მამისა მიერ, შუამდგომელად. აწ უმეტესი ამისი რაი გიხმს, ანუ რაისათვის მელტვი (მერიდები, მიმირბი, გარბიხარ ჩემგან) მე, რომელმან ესრეთ შეგიყვარე? რად დამიტეობ მე და სოფელსა ამას ჰმონებ შრომითა და უბადრუკებითა? რაისათვის ჭურსა განხვრეტილსა შთაასხამ? რამეთუ ესრეთ არს, რომელი სოფელსა ამას ჰმონებდეს. რაისათვის ცეცხლად შთააბნევ შრომათა შენთა? რაისათვის ჰაერსა ჰსცემ? რაისათვის ამაოდ ჰრბი? არა ყოვლისავე ხელოვნებისა აღსასრული არსაა? ესე ჭეშმარიტად აწ უკვე მიჩვენე შენცა შრომათა მათ და რუდუნებათა (გარჯილი შრომა, დაუღალავი) სოფლიოთა აღსასრული. გარნა ვერა რაი ძალ-გიძს ჩვენებად, რამეთუ „ამაოება ამაოებისა - ყოველივე ამაო არს.“ ხოლო უკეთუ ჩემ თანა დასდვა ნაწილი შენი, და ჩემთვის იყოს შრომაი შენი, მიგცე შენ სამკვიდრებელად სასუფეველი ცათა და ჰსუფევდე ჩემთანა საუკუნეთა მათ დაუსრულებელთა.

ძმანო ჩემნო საყვარელნო! არა გესმის სიტყვანი ესე უფლისანი? ჭეშმარიტად, ამას ყოველსა მეტყვის ჩვენ და ფრიად უმრავლესსა. უკეთუ ვისმინოთ მისი, ნეტარ იყოს ჩვენდა, უკეთუ ურჩ ვიქმნნეთ, ვაებაი საუკუნო მოგვეცეს. ეჰა საქმე ღირსი მრავლისა ცრემლისა და გოდებისა, რომელ საძაგელებაი ამის სოფლისა და გულის-თქმანი ბილწებისანი, საწადელ არიან ჩვენდა, ვიდრეღა კეთილნი იგი საუკუნენი!

განვიდეთ, ჰოი კაცო, სამაროვანად, (სასაფლაოზედ), მიჩვენე მამაი შენი, და დედაი შენი, ანუ სხვა თვისთაგანი. გულის-ხმა-ჰყავ, რამეთუ შენცა ეგრეთვე ყოფად ხარ შემდგომად მცირედისა! სადა არს აწ რომელი იგი ოქროითა შემკულ იყო და ოქრო-ქსოვილი ემოსა? რომელი იგი ეტლთა ზედა ოქრო ქანდაკებულთა აღმხედრებულ იყო და მხედრობა ათასეული წინა უვიდოდა? და ქადაგნი შეასხმიდეს, რომელთამე მოსწყვედდა, რომელთამე შეამწყვდევდა, სხვათა ანიჭებდა, სხვათა ადიდებდა და სჩნდა, ვითარცა მპყრობელი სოფლისა!? აწ შთახედეღა საფლავსა მისსა და მაჩვენე დიდება მისი. ვერა რას ვჰხედავ, გარნა მატლთა და წუთხსა, ძვალთა და ნაცარსა და მტვერსა! იგი ყოველივე დიდება აჩრდილი იყო და წარხდა, ზღაპარი იყო, და საკიცხელ იქმნა. ესე, თუმცა აქამდე იყო სიძნელე მათი, ამაოება ოდენ და დავიწყებაი, ხოლო უძვირესი ესე არს, რომელ დიდება იგი, და პატივი, და შვება, და ბრწყინვალება აჩრდილი იყო და განქარდა. ხოლო ამათ მიერ შემოსრული იგი სულთა შინა ცოდვაი, არა აჩრდილებრ განქარდების, არცა დაივიწყების, არამედ ჩვენ თანა ჰგიეს საუკუნესა მას და გამოსცხადდებიან წინაშე ქრისტესსა: მტაცებლობანი ჩვენნი და ანგარებანი. - სიძვანი და მრუშებანი და სხვანი იგი ბოროტნი! ყოველივე განცხადებულად აღწერილნი წარმოსდგენ წინაშე ჩვენსა: რომლითამე თვალითა მივჰხედნეთ უფალსა ჩვენსა იესო ქრისტესა? რამეთუ წარდგომა გვიხმს წინაშე საყდრისა მის საშინელისა და

შესაძრწუნებელისა, და ყოველთავე საქმეთა ჩვენთა გამოძიება ყოფად არს გამოწვლილვით, ჭეშმარიტებით და მართლ-მსაჯულობით. აწ უკვე, საყვარელნო, ესე ყოველი გულის-ხმა-ვჰყოთ და სინანულითა განვიბანნეთ ცოდვანი ჩვენნი, რათა არა სირცხვილეულ ვიქმნნეთ წინაშე ღვთისა და ანგელოსთა და კაცთა, არამედ კადნიერებით წარმოვუდგეთ საყდარსა ქრისტესსა. ესე, გევედრები, ძმანო, მოვიგნეთ კეთილნი საქმენი, ვიღვაწოთ დამარხვად, რა იგი გვამცნო უფალმან, რათა იყოს იგი ჩვენ თანა, ვითარცა აღუთქვა მოციქულთა, ვითარმედ „აჰა ესერა მე თქვენთანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა.“ ჰოი უფალო იესო ქრისტე ღმერთო ჩვენო, მეუფეო სახიერო და კაცთ-მოყვარეო, ნუ განმეშორები ჩვენგან, ნუცა დამიტევებ და ნუცა დაგვაგდებ ჩვენ, არამედ ჩვენთანა ჯერ იჩინე მარადის ყოფად და შენ სუფევდე ჩვენ ზედა. აღხოცენ ხელით-წერილნი ცოდვათა ჩვენთანი, გვიხსენ მძლავრებისაგან ეშმაკისა, მყვენ ჩვენ მუშაკ წმიდათა მცნებათა შენთა, წარმიძეღ ქმნად ყოვლად წმიდისა ნებისა შენისა და ღირს გვყვენ ყოველნი მარჯვენით შენსა დგომად დღესა მას სასჯელისასა და ღრუბლითა აღტაცებად, რათა მივემთხვივნეთ კეთილთა მათ მოუგონებელთა და გამოუთქმელთა ზეცისა სასუფეველსა. რამეთუ შენ ხარ, რომელსა გნებავს ყოველთა კაცთა ცხოვრება და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსვლა და შენი არს სუფევა, ძალი, და დიდება, და შენდა შვენის ყოველი პატივი, მადლობა და თაყვანის-ცემა თანა დაუსაბამოით მამით შენით, და ყოვლად წმიდით, სახიერით და ცხოველს-მყოფელით სულითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

შესხმა და ვედრება

წმიდისა მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირისა

ჰოი, ყოვლად საწადელო წმიდაო მამაო იოანე ოქროპირო, ოქრო-სიტყვაო, ოქროს მდინარეო, ოქროს წყაროო, ოქროვანითა სწავლითა შენითა მომრწყველო ყოვლისა სოფლისაო, ოქროსა ხმაო, სინანულისა ქადაგო, ოქროსა ნესტო, ხმა ტკბილად მეტყველო, ოქროსა ქნარო პირმეტყველთა ცხოვართაო, გევედრებით, წმიდაო მამაო, განამტკიცენ ეკლესიანი, განაშვენე მღვდლობაი, განაბრწყინვე მეფობაი, განაძლიერე მხედრობაი და განანათლე მართლმადიდებლობაი. ხოლო ჰსწავლისა შენისა მოსურნეთა, მოგვფინე მადლი ლოცვათა შენთა და მოგვმადლე აღსრულება (შესრულება, რასაც გვიქადაგებ) ღვთივ-შვენიერთა ქადაგებათა შენთა, რათა, შენ მთესველი და ჩვენ მუშაკნი ერთბამად ვიხარებდეთ სასუფეველსა ღვთისასა. რამეთუ მამასა შვენის დიდება, ძესა მადლობა, და სულსა წმიდასა თაყვანის-ცემა, - პირველ საუკუნეთა, (წინედ დროისა, ეხლა და სამუდამოდ) აწ და უკუნისამდე, ამინ.